

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
თურქოლოგიის დეპარტამენტი

მ ზ ი ს ა ბ უ ს პ ი ვ ა ძ ე

ფემინიზმი თურქეთში და ქალი ავტორების საკითხისათვის თურქულ

ლიტერატურაში

(ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედების კონცეპტუალური
საკითხები)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მარიკა ჯიქია

თანახელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გაგა ლომიძე



2013

სარჩევო-----2

შესავალი -----4

თავი I

1.1. ფემინისტური მოძრაობის ზოგადი მიმოხილვა -----7

1.2. გენდერული პრობლემატიკის ისტორია-----22

თავი II

ფემინისტური მოძრაობა თურქეთში

1.1. ოსმალო ქალთა მოძრაობა -----29

1.2. ფემინისტ ქალთა ორგანიზაციები -----56

1.3. ქალთა პოლიტიკური ორგანიზაციები -----60

1.4. “ქემალისტური ფემინიზმი” -----65

1.5. 80-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა -----73

1.6. 90-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა -----81

1.7. “ისლამური ფემინიზმი” -----85

1.8. ფემინისტური მიმართულებები თურქეთში -----90

1.9. ქალთა საკითხის კვლევის ისტორია -----92

თავი III

3.1. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა -----95

3.2. ფემინისტური კრიტიკა და თურქული ლიტერატურათმცოდნეობა----104

3.3. “ქალთა პროზის” განვითარების პერსპექტივები	112
3.4. იდეალური ქალის ტიპი მამაკაც მწერალთა შემოქმედებაში	115
3.5. “ქალთა ლიტერატურის” განსაზღვრის საკითხი	126

თავი IV

4.1. ფინარ ქური და დუიგუ ასენა (შემოქმედების კონცეპტუალური საკითხები)	153
4.2. ქალის სუბიექტობის კონცეფციის საკითხი	158
4.3. ქალის სექსუალობის განსაზღვრის საკითხი	178
4.4. დასკვნა	186
4.5. ბიბლიოგრაფია	195

შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში, უძველესი დროიდან დღემდე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დადგენის საკითხი მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების დიდ ინტერესს იწვევს. ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრა საზოგადოების განვითარების დონის მაჩვენებლადაც კი მიიჩნევა. სხვადასხვა ქვეყანაში ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა კონკრეტული ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარების დონეზე, რელიგიურ შეხედულებებზე და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

საქართველოში თურქოლოგიას მდიდარი ტრადიცია გააჩნია. ქართველი თურქოლოგები სიღრმისეულად იკვლევენ თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს. თურქული ლიტერატურის ქართველი მკვლევრები განიხილავენ და აანალიზებენ როგორც ძველი, ისე თანამედროვე თურქული ლიტერატურის საკითხებს. ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკასა და ქალ მწერლებს ქართველი თურქოლოგები აქამდე არ შეჰებიან. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩემი დაინტერესება აღნიშნული საკითხით.

ჩვენი მიზანია თანამედროვე თურქი ქალი მწერლების შემოქმედების კვლევა ფემინისტური კრიტიკის კონტექსტში.

დროთა ცვალებადობას საზოგადოებრივი ნორმების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ახლებურად გადაფასება და აზროვნების სფეროში ძირეული ცვლილებები ახლავს თან. მე-19 საუკუნეში ქალთა საკითხი აქტუალური გახდა. მის გააქტიურებას ხელი მოახლოებულმა ბურჯუაზიულმა რევოლუციამ შეუწყო. ევროპაში დაწყებული ქალთა მოძრაობა მალე მთელ მსოფლიოს მოედო. ემანსიპაციისათვის ბრძოლის გზაზე ქალებს დიდი სირთულეების გადალახვა უწევდათ. თავისუფლებისათვის ბრძოლას უსისხლოდ არ ჩაუვლია, ფემინისტური მოძრაობის გამორჩეული ლიდერი, ოლიმპია დე გუზი, სიკვდილით დასაჯეს. ფემინისტურ პრაქტიკას მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა, რომელსაც ცოდნის თეორიული დაფუძნება სჭირდებოდა. ეს თეორიული საფუძველი კი ფემინისტური თეორიები აღმოჩნდა.

ფემინისტურმა პრაქტიკამ და თეორიამ გავლენა ლიტერატურაზეც მოახდინა. მე-20 საუკუნის ლიტერატურის თეორიებსა და კონცეფციებს შორის

მნიშვნელოვანი ადგილი ფემინისტურმა კრიტიკამაც დაიკავა. ფემინისტური კრიტიკა ლიტერატურული ტექსტების “რევიზიულ წაკითხვას” ისახავდა მიზნად. მისი კვლევის ცენტრალური ობიექტი ქალი მწერალი და ქალ მწერალთა შემოქმედება გახდა. ფემინისტური კრიტიკა წინა პლანზე წამოსწევდა ისეთ საკითხებს როგორიცაა: ქალი ავტორი, ქალი მკითხველი, ქალი პერსონაჟი, წერის ქალური სტილი, ავტობიოგრაფიული ჟანრი და მისი თავისებურება. ფემინისტურ კრიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს “ქალთა ლიტერატურის ” ცნებას.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ფემინისტური მოძრაობის ისტორია თურქეთში, მისი განვითარების პერსპექტივები, თურქულ ლიტერატურაში ფემინისტური კრიტიკის ადგილის საკითხი, “ქალთა ლიტერატურის” განსაზღვრის საკითხი, თანამედროვე ქალი მწერლების, ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას, შემოქმედების კონცეპტუალური საკითხები ფემინისტური კრიტიკის ჭრილში.

ჩვენ შევეცადეთ, ყურადღება გაგემახვილებინა იმ ფუნდამენტურ საკითხებზე, რომლებიც აღნიშნული საკითხის კვლევას მეტ ნათელს მოჰყენდა. ოსმალეთის იმპერიაში ქალთა მოძრაობის შესახებ ინფორმაციის საუკეთესო წყარო იმ პერიოდის ქალთა უურნალ-გაზეთები და ქალთა ფემინისტური და პოლიტიკური ორგანიზაციებია. სადისერტაციო ნაშრომში თითქმის ყველა იმ უურნალსა და გაზეთზეა საუბარი, რომელთა მეშვეობით ოსმალო ქალები ფემინისტური იდეების პროპაგანდას აწარმოებდნენ. ნაშრომში ყურადღება მახვილდება “ქემალისტურ ფემინიზმზე”. აქცენტები კეთდება ქალების “დეგენდერიზაციის” საკითხზე და იმ მიზეზებზე, რომლებმაც ქალები “ასექსუალები” გახდა. 80 და 90-იან წლების ფემინისტური მოძრაობის შესახებ საუბრისას ყურადღება მახვილდება იმ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც აღნიშნული პერიოდის ფემინისტური პრაქტიკისათვის არის დამახასიათებელი. ვიმსჯელეთ ისლამისა და ფემინიზმის ურთიერთობასა და მათ დიქოტომიაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ თურქულ ლიტერატურაში “ქალთა პროზის” განვითარების პერსპექტივებსა და “ქალთა ლიტერატურის” განსაზღვრის საკითხს. ნაშრომში დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე თურქი ქალი ავტორების მოსაზრებებს “ქალთა ლიტერატურაზე”. დეტალურად შევეხეთ ქალისადმი მამაკაცი ავტორების ამბივალენტური დამოკიდებულების თემას. თანამედროვე მწერლების, ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას, შემოქმედება იმიტომ

შევარჩიეთ, რომ მათ ოხზულებებში ქალის საკითხი ცენტრალურ ადგილს იჭერს და, რაც მთავარია, პატრიარქალური დისკურსის რღვევა ქალ პერსონაჟთა სუბიექტობისა და სექსუალობის დადგენის გზით ხორციელდება. უპირატესობა იმ რომანების განხილვას მივანიჭეთ, რომლებშიც ქალთა სუბიექტობის და სექსუალობის საკითხი სიღრმისეულად არის გადმოცემული. აღნიშნული რომანებია:

ფინარ ქური: “Asılacak kadın” (“ქალი სახერჩობელაზე”),

“Bitmeyen Aşk” (“დაუსრულებელი სიყვარული”);

დუიგუ ასენა: “Kadının adı yok” (“ქალს სახელი არ აქვს”),

“Kahramanlar hep erkek” (“გმირები ყოველთვის მამაკაცები არიან”).

1. ფემინისტური მოძრაობის ზოგადი მიმოხილვა

კველაფერი, რაც კი დაწერილია მამაკაცების მიერ ქალების შესახებ, კითხვის ნიშის ქვეშ უნდა დადგეს, ვინაიდან მამაკაცი ერთდროულად არის როგორც მხაჭული, ასევე დაცის ერთ-ერთი მხარე.

პულენ დე ლა ბარი¹

საზოგადოებაში ქალის როლისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: „სქესთა ბუნებრივი დანიშნულება”, რით და რატომ განსხვავდება ქალის მდგომარეობა მამაკაცის მდგომარეობისგან, რა იგულისხმება ცნებაში „ქალის დანიშნულება”, რა არის იმისათვის საჭირო, რომ ქალი გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, რა გარემოებები ზღუდავს ქალთა თავისუფლებას, როგორ უნდა იქნეს ეს შეზღუდვები დაძლეული – ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

დროთა ცვალებადობა, საზოგადოების მენტალური და სტრუქტურული ცვლილებები უმნიშვნელოდ მიჩნეული საკითხების აქტუალიზაციას უწყობს ხელს. გამყარებული ცნებების დეკონსტრუქცია საკითხების ახლებური და განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ მოითხოვა არსებული მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლა, ასევე ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპების ახლებურად გააზრება. ეგალიტარული ოეორიის ცხოვრებაში

¹ განმანათლებლობის ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოჩენილი ფემინისტი. 1673 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი “სქესთა თანასწორობის შესახებ”.

გატარება არსებული „ფუნდამენტური საკითხების“ გადახედვის აუცილებლობას ქმნის.

„ქალთა საკითხის“ ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება, თუმცა ქალთა საკითხისადმი დაინტერესება უფრო შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ქალთა საკითხისადმი დაინტერესება აღორძინების ხანიდან იწყება და პირველ ფემინისტად პლატონია მიჩნეული. აღორძინების ეპოქში შეიქმნა ქრისტინა პიზანელისა² და კორნეულის აგრიპას³ პირველი ტრაქტატები, სადაც საუბარი იყო ქალის პიროვნების დათრგუნვისა და მისდამი საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე. მსოფლიო ხალხთა მითების ანალიზი იმ იდეოლოგიური საფუძვლის გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომელსაც ქალსა და მამაკაცს შორის შრომის განაწილება ეფუძნება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მითები სწორედ ამ ფაქტს აღწერენ და ხაზს უსვამენ „ქალის ბუნებრივ დანიშნულებას“, საუბრობენ „სქესის საიდუმლოს“ შესახებ, ქალური და მამაკაცური საწყისის თავისებურებაზე. მსოფლიო რელიგიები კიდევ უფრო შორს წავიდენენ და სქესთა შორის იერარქიის სანქციონება მოახდინეს. მამაკაცი არის სრულყოფილი ადამიანი, ისტორიის სუბიექტი, ქალი კი არსებაა, რომელიც ნდობას არ იმსახურებს და მამაკაცის ძალაუფლების ობიექტია. ასეთი შეხედულება საზოგადოების მიერ აღიარებულ ნორმად იქნა მიჩნეული. თუმცა არსებობდა ეჭვები, რომლებიც აღნიშნულ ნორმას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. საკმარისია გავიხსენოთ პლატონი და მისი ლეგენდა ანდროგენზე, ან არისტოფანე და მისი „ლისისტრატე“. ამ ეჭვების გაღრმავებას ხელი მოახლოებულმა ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა შეუწყო. აღნიშნული რევოლუციები ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ ისტორია იმ ზღვარს მიაუხლოვდა, საიდანაც იწყება ახალი დრო – დრო დემოკრატიისა და მისი იდეალებისა, ისეთების, როგორიცაა: “თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ახალი დრო კი საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტური საკითხების

² ქრისტინა პიზანელი (1364-1430) ავტორი წიგნისა „ქალთა ქალაქი“, რომელშიც იგი აღწერს ქალაქ-თაგმესაფარს, სადაც მამაკაცთა ძალადობას გამოქვეული ქალები ცხოვრობენ.

³ კორნელიუს აგრიპა (1486-1535) მე-15 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი, მწერალი და ოკულტიზმის თეორეტიკოსი, ქალთა უფლებების დამცველი, იგი ერეტიკოსობაში იქნა დადანაშაულებული. დედლარაციაში „ქალთა სქესის მამაკაცთა სქესზე კეთილშობილისა და უპარატესის შესახებ იგი წერდა „მამაკაცთა ტირანია ართმევს ქალს თავისუფლებას, რომელიც მას დაბადებიდანვე ენიჭება“ (Энциклопедия кругосвет...)

გადახედვას მოითხოვდა, რაც თავისთავად გულისხმობდა შრომის პირველადი განაწილების საკითხის ახლებურად შესწავლას. შრომის განაწილება კი იერარქიის პრინციპზე იყო დამყარებული და არა თანამშორმლობის. სოციოლოგ მაქს ვებერის აზრით, ახალ დროში ხდება „სამყაროს გადალაგება“და მისი განთავისუფლება ბუნებრივ-სქესობრივი საწყისებისგან, რომლებმაც განაპირობეს შრომის გადანაწილება პატრიარქალური სისტემის სასარგებლოდ. „სამყაროს გადალაგების“ პროცესი სქესთა შორის „გადამიანურებულ“ ურთიერთობასაც გულისხმობს. „ბატონიშვილ“ ურთიერთობას ნელა და თანდათანობით ის ურთიერთობა ცვლის, რომელიც „ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობას“ ეფუძნება, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების დონეზე კანონის წინაშე სქესთა თანასწორობას გულისხმობს. აღნიშნული პროცესი კი ახალი დროის გარიურაჟზე დაიწყო კამათით, რომელიც ქალთა მდგომარეობას და მის „ბუნებრივ დანიშნულებას“ ეხებოდა. ეს პროცესი დღესაც არ არის დასრულებული.

უკვე მე-17 საუკუნეში გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქალების ბუნებრივი მონაცემები არანაკლებ სრულყოფილია, ვიდრე მამაკაცების უბრალოდ, ისინი განსხვავებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქალი არასრულფასოვანი ადამიანია, ისიც ისეთივე თავისუფალი იბადება, როგორც მამაკაცი. ადრეული ფემინისტური პროტესტის ყველაზე მკვეთრ გამოვლინებად მიჩნეულია მე-17 საუკუნის პამფლეტისტი ქალების არფი ბენინის (1640-1689) და მერი ესტელის (1666-1731) შემოქმედება, რომლებსაც ხშირად ქალთა უფლებების პირველ დამცველებსაც უწოდებენ ბრიტანეთში. ისინი აღიარებდნენ ქალისა და მამაკაცის თავისუფლებას და თანასწორობას. მათ გამოსვლებს საკუთარი შემოქმედებით უერთდებოდნენ მამაკაცი მწერლებიც. უპირველს ყოვლისა, ფრანგი მწერალი პულენ დე ლა ბარი ესეთი „ორივე სქესის თანასწორობის შესახებ“. ესეში იგი ხაზს უსვამდა უთანასწორობის მთავარ მიზეზს. „უთანასწორობა არის შედეგი ქალების დაქვემდებარებისა უხეში მამაკაცური ძალისადმი და არა „ბუნებით განპირობებული“ (Энциклопедия кружосвет...). პულენ დე ლა ბარის ეს თეზისი გახდა ის ბიძგი, რომელმაც ეჭქვეშ დააყენა ყველაფერი, რაც კი მამაკაცებს უთქვამთ ქალის შესახებ. ამ ტრადიციამ კი ასახვა, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, განმანათლებლების შრომებში პპოვა. მითი ქალების უძლურებისა და უუნარობის შესახებ თავისი შინაარსით აბსურდულია. განმანათლებლებმა თავი შეიკავეს ქალის, როგორც ისტორიის ნაწილის,

აღიარებისაგან. ამის საფუძველს კი „ბუნებრივი უფლების“ შესახებ თეორია წარმოადგენდა, რომელიც ქალს მხოლოდ „ერის გამმრავლებლის“, სოციალური სივრცის მწარმოებლად მიიჩნევდა, სივრცისა, რომელშიც თავად ქალს ადგილი არ ჰქონდა. სწორედ ასე განსაზღვრავდა ქალის ფუნქციას რუსო და მისი გარემოცვა. მათ მიერ გამოცემული დეკრეტი „მეორე სქესის“ წარმომადგენლებს მიტინგებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას უკრძალავდა. აღნიშნული დეკრეტი წინააღმდეგობაში მოდიოდა რევოლუციის პრინციპებთან, რომელიც „ადამიანთა თანასწორობას ქადაგებდა განურჩევლად სქესის“. აღნიშნული წინააღმდეგობრივი ფაქტის გამართლების მიზნით კანონმდებლები იძულებულები გახდნენ, დაემატებინათ დეკლარაცია, სადაც ახსნილი იყო, ვინ შედიოდა „თავისუფლებისა და თანასწორობის“ კატეგორიაში. ქალები ამ კატეგორიაში ვერ მოხვდნენ. სწორედ უარმა, ეცნოთ ქალები საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, განაპირობა ახალი საზოგადოებრივი მოვლენის წარმოშობა, რომელიც ქალების პოლიტიკური უფლების დაცვას ისახავდა მიზნად. ეს საზოგადოებრივი მოვლენა კი ფემინიზმი⁴ იყო. ფემინისტური მოძრაობის პირველი წარმომადგენელია ოლიმპია დე გუჯი, რომელმაც დაწერა დეკლარაცია „ქალთა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ“. დეკლარაცია შეიცავდა მოთხოვნებს, რომელიც ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას ითვალისწინებდა. ოლიმპია დე გუჯი „ბუნებრივი უფლების“ შესახებ თეორიის თავისებურ განმარტებას იძლეოდა. მას მიაჩნდა, რომ თეორია გულისხმობდა იმ უფლებებს, რომლებიც ყველასთვის საერთო იყო და ეწინააღმდეგებოდა ყველა სახის დესპოტიზმს. ქალების მთავარი „წინაღობა“ ძლიერი სქესის ტირანია. ქალთა მოძრაობას ორგანიზებული სახე რომ ჰქონდა, დაარსდა „რევოლუციონერი რესპუბლიკელი ქალების საზოგადოება“. 1793 წელს კონგრეგაცია ეს საზოგადოება დახურა, ხოლო ოლიმპია დე გუჯი გილიოტინაზე დასაჯა. 1795 წელს საფრანგეთში, ქალებს აეკრძალათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და პოლიტიკურ შეკრებებზე გამოჩენა. 1804 წელს ნაპოლეონმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ქალებს არ ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები და ისინი ქმრებს უნდა დამორჩილებოდნენ. 1972 წელს ინგლისსა და ამერიკაში გამოქვეუნდა

⁴ ფემინიზმი (ფემინა-ქალი). ფემინიზმის ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. ლიტერატურაში არსებობს ტერმინის დაახლოებით 300–ამდე განმარტება. მაგ: ა. რიჩის აზრით ფემინიზმი არის „ეთიკა და მეთოდოლოგია“, პ. ვიდონის აზრით „პოლიტიკა, რომელიც ძალთა თანაფარდობაზეა ორიენტირებული“. და ა.შ.

მერი უოლსტონკრაფტის წიგნი „ქალთა უფლებების დაცვა“, რომელშიც დასმული იყო ეგალიტარული სოციალური ფილოსოფიის აქტუალური საკითხები. ავტორი მიიჩნევდა, რომ რაციონალური აზროვნების უნარი არ არის დამოკიდებული სქესზე, ქალთა „სისუსტე“ და მამაკაცებისადმი მორჩილება არის შედეგი მამაკაცთა მისწრაფებისა, გაამძაფრონ ქალებში ეს თვისებები. მწერალი წერდა „კიდევ რამდენი თაობაა საჭირო, რომ საცოდავი მონების თავისუფალმა შთამომავლებმა თამამად შეძლონ ფეხზე დადგომა და მრავალმხრივი ნიჭის დემონსტრირება“ (Понятие..).

მერი უოლსტონკრაფტი მიიჩნევდა, რომ სამართლიან საზოგადოებაში სქესის მიხედვით დისკრიმინაცია დაუშვებელია. მისი კონცეფციები ემყარებოდა იმ დროის ლიბერალურ შეხედულებებს, როცა თანასწორობად კანონის წინაშე თანასაწორობა მიიჩნეოდა. იმ პირობებში, როცა მთელი საკანონმდებლო და სასამართლო სისტემა დაფუძნებული იყო ქალის დამორჩილების იდეაზე, კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მოთხოვნა პროგრესულ ფაქტად იქნა მიჩნეული. მწერალი სამ მოთხოვნას აყენებდა: პირველი – მიენიჭებინათ ქალებისათვის ეკონომიკური თავისუფლება, მეორე – მამაკაცების მსგავსად ქალებსაც პქონოდათ იურიდიული დ სამოქალაქო უფლებები და მესამე – ქალებისთვის მიეცათ განათლების მიღების უფლება. შემდეგში ეს მოთხოვნები მე-19 საუკუნის ქალთა მოძრაობის მთავარ მოთხოვნებად იქცა. იმავე წელს, გერმანიაში გამოქვეყნდა თეოდორა ფონ ჰიპელის ნაშრომი „ქალთა სამოქალაქო უფლებების გაუმჯობესების“ შესახებ. ამგვარი სახის ღონისძიებები ფემინიზმის პირველი ტალღის წარმოშობის საფუძველი გახდა. იმ პერიოდში მსგავსი სახის ნაშრომების გამოჩენა შემთხვევითი არ იყო. დღესდღეობით ნათელი ხდება, რომ ფემინისტური თეორიების ჩასახვა და ფორმირება მნიშვნელონად განაპირობა სხვადასხვა სოციალურ-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ინტელექტუალური მიმდინარეობის განვითარებამ.

ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღა მე-19 საუკუნეში იწყება. მთელი მე-19 საუკუნე ფემინიზმის მომხრეები ცდილობდნენ აღგუმენტების მოპოვებას ქალების სოციალური და პოლიტიკური უფლებამოსილების დასამტკიცებლად. მწერალი და ფილოსოფოსი ჟერმენა დე სტალი 1800 წელს გულისტკივილით წერდა „საზოგადოებაში ქალის არსებობა არანაირი პრიცნიპით არ არის განსაზღვრული. არც ბუნებრივი და არც სოციალური წესრიგით“ (Энциклопедия

кругосвет). ნაპოლეონი, რომელიც მუდმივად ეწინააღმდეგებოდა დე სტალის მოსაზრებებს, ამბობდა: „ასეთი წესრიგი არსებობს, მხოლოდ იგი მიმართულია ქალების სოციალური მოთხოვნების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ქალი ქმრის გარეშე არარაობაა“ (Водопьянова, 2000). თუმცა იმავე პერიოდში გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც ამ პრინციპის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ერთ-ერთი მათგანი შარლ ფურიე იყო⁵. ნაშრომში „ოთხი მოძრაობის თეორია“ ფურიე წერდა „საერთო ჯამში, პროგრესი და ისტორიული პერიოდების ცვალებადობა ქალების თავისუფლების დონის შედეგია, თავისუფლების შემცირება სოციალური წესრიგის რეგრესზე მიუთითებს, ქალთა უფლებების გაფართოება არის სოციალური პროგრესის მთავარი პრინციპი“ (Айвазов, 1998:12). ფურიეს მსგავად, ქალის სოციუმსა და ისტორიაში შევანის მოსურნე მეორე სოციალისტურპაისტი ანრი დე სენ სიმონი იყო მისი ერთობ იდუმალი ფრაზით „ქალი და მამაკაცი – აი, სოციალური ინდივიდი“. სოციალ-უტოპისტთა საერთო შეხედულებით, სქესთა საკითხის მოგვარება არსებულ საზოგადოებრივ სისტემაში შეუძლებლია, საჭიროა მისი რადიკალური შეცვლა. კონკრეტულად, საჭიროა კერძო საკუთრების გაუქმება. თეორეტიკოსების აზრით, იდეალურ საზოგადოებრივ სისტემაში ქალს საშუალება უნდა ჰქონოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხოლო მამაკაცს – საშინაო საქმეებსა და ბავშვის აღზრდაში მიედო მონაწილეობა. ოჯახს სოციალისტ-უტოპისტები მამაკაცთა ძალაუფლების წყაროდ განიხილავდნენ, მათ იგი „ეგოისტური ინდივიდუალიზმის ბასტიონად“ მიაჩნდათ. თავისუფალი საზოგადოების აუცილებელ პირობად ისინი სიყვარულის თავისუფლებას, პარტიორის ცვლას და სქესთა შორის თანაბარი უფლებების არსებობას მიიჩნევდნენ. ამ ამოცანების პრქტიკულ ცხოვრებაში გატარება ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ვინაიდან თავად ქალები როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში ამ საკითხით არ დაინტერესებულან. ფურიეს და ინგლისში ოუგნის თეორიებმა მხოლოდ საზოგადოების განათლებულ ფენებში პოვა გამოხმაურება. დაბალ ფენებში კი ოჯახის არსებული სისტემა იყო ძალაში: ქმარი – მომპოვებელი, ცოლი – დიასახლისი.

ფურიეს და სენ სიმონის მოსაზრებებმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი შეურყია საზოგადოებრივ აზრს ქალის დანიშნულების შესახებ. მათ მოახერხეს „ქალის ბუნებრივი დანიშნულების“ შესახებ მითის მსხვრევა. ამან კი

⁵ სიტყვა „ფემინიზმი“ შეთხა და დაამკიდრა სოციალისტ-უტოპისტმა შარლ ფურიემ.

შესაძლებლი გახადა, ქალებისათვის რეპროდუქციული ფუნქციის გარდა, სოციალური და სამოქალაქო ფუნქციების მინიჭების აცილებლობაში დაერწმუნებინა საზოგადოება.

მე-19 საუკუნის შუა წლებში მაღალი წრის წარმომადგენელი, განათლებული ქალები აქტიურად ჩაებრუნ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისთვის დაიწყეს ბრძოლა. ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ხმის მიცემის უფლებისათვის წარმოებული ბრძოლა ისტორიაში „სუფრაჟიზმის“⁶ სახელით შევიდა. 1888 წელს პირველად ისტორიაში ამერიკელი ფემინისტების ინიციატივით დაარსდა ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია, რამაც საფუძველი დაუდო ქალთა საერთაშორისო მოძრაობას. 50-ზე მეტ ქალების დაარსდა ქალთა ნაციონალური საბჭოები, რეგულარულად ეწყობოდა ქალთა კონგრესები. სუფრაჟიზმის წარმატებამ დროებით შეაჩერა ქალთა პოლიტიკური მოძრაობის საერთო განვითარება და მომდევნო თითქმის 40 წლის განმავლობაში იგი ძილქუშის მდგომარეობაში იყო. გამოღვიძება ანუ „ქალთა აღორძინება“ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ემანსიპაციისათვის ბრძოლის ახალი ტალღა განპირობებული იყო ღრმა სტრუქტურული ცვლილებებით სოციუმში, უპირველეს ყოვლისა კი – საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა შრომის წილის ზრდით.

60-იან და 70-იან წლებში ფემინისტურმა მოძრაობამ რამდენადმე ექსტრავაგანტური ხასიათი მიიღო, რაც საზოგადოებისთვის უჩვეულო, გამომწვევლოზუნგებში გამოვლინდა. ფემინისტები მიისწრაფვოდნენ, გამოეღვიძებინათ ქალთა შეგნება, გაეთავისუფლებინათ საზოგადოებრივი ცნობიერება პატრიარქალურად ორიენტირებული მიზანდასახულთა იმპერიისაგან. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ „მოედნის თეატრებს“. 1968 წელს შექმნილი ამერიკული ორგანიზაციის ფურცლებში, რომელსაც „პუდიანი“ ერქვა, ნათქვმია: „ყველაფერს, რაც რეპრესიულია, აქვს მამაკაცური ორიენტაცია, შურიანია, აღინიშნება

⁶ ინგლისური სიტყვა „suffrage“ – ხმის უფლება. 1867 წელს მანჩესტერში ლიდია ბეკერის და რიჩარდ პანქერსტის აქტიური მონაწილეობით დაარსდა „ქალთა საარჩევნო უფლებისათვის მებრძოლი საზოგადოება“. საზოგადოების წევრებმა თაგბრუდამხვევი პროპაგანდის წარმოება დაიწყეს, დააარსეს „ქალთა სუფრაჟისტული უურნალი“, რომელმაც უმოკლეს დროში საზოგადოების ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა.

პურიტანულობით და ავტორიტარულობით. იგი თქვენი კრიტიკის საფუძვლად უნდა იქცეს. თქვენი იარაღია თეატრი, სატირა, თქვენი მშვენიერი მოჩვენებითი წარმოსახვა. თქვენი ძალა თქვენგანვე მომდინარეობს. თქვენი მოვალეობაა, გაათავისუფლოთ თქვენი მმები (უნდათ თუ არა მათ ეს) და თქვენი თავი სქესობრივი როლების სტერეოტიპებისაგან“ (თ. კიკნაძე, ნ. დონაძე, 2006:14). ფემინიზმის მერე ტალღის მთავარ მიზანს ქალების ცნობიერების შეცვლა, ქალისადმი ახლებური დამოკიდებულების შემუშავება წარმოადგენდა და არა ქალების პატრიარქალურ ღირებულებებთან ადაპტირება. როგორც აღვნიშნეთ, ფემინიზმის განვითარების ახალი ეტაპი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ფემინიზმის შიგნით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: ლიბერალურ-რეფორმატორული, სოციალისტური და რადიკალური.

ლიბერალურ-რეფორმატორული მიმართულების მომხრენი⁷ ძირითადად განაგრძობდნენ იდეას, რომლებიც განმანათლებლობის ეპოქაში, მოგვიანებით კი მერი უოლსტოკრაფტის და ჯონ სტიუარტ მილის მიერ ვითარდებოდა. ისინი ქალთა უთანასწორობისა და უუფლებობის მიზეზს სამოქალაქო და იურიდიული უფლებების უქონლობაში ხედავდნენ. შესაბამისად, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდულ რეფორმებს მიიჩნევდნენ.

სოციალისტური მიმართულების მიმდევრებმდე⁸ მარქსიზმისა და ფემინისტური შეხედულებების სინთეზი მოახდინეს. ქალთა დისკრიმინაციის მიზეზად კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა იქნა მიჩნეული. ამგვარ იდეას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოთქვამდა ფ. ენგელსი ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ენგელსისგან განსხვავებით, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა პროლეტარულისაგან განცალკავებული, განსაკუთრებული ქალთა მოძრაობის არსებობას, სოციალისტ-ფემინისტები დაუინებით მოითხოვდნენ ქალთა პრობლემების კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემიდან გამოყოფას. აღსანიშნავია, რომ მარქსი და ენგელსი, საუბრობდნენ რა ქალთა ემანსიპაციის შესახებ, მიმართავდნენ არა ინდივიდს, არამედ მასებს – ქალთა მასებს, როგორც დაქირავებულ მუშახელს და მათ მეუღლებს, რომლებიც ასევე დაქირავებულ მუშახელს წარმოადგენდნენ.

⁷ ამ მიმართულებას წარმოადგენდნენ ბეტი ფრიდანი და მისი მომხრეები ქალთა ეროვნული მოძრაობიდან.

⁸ ესენი იყვნენ: ზილა აიზენსთაინი, ლინდა გორდონი, ემი ო'ბრაინი და სხვ.

ისინი მათ უხსნიდნენ, რომ „ქორწინების საიდუმლოსა“ და „სქესის საიდუმლოს“ უკან „წარმოებითი ურთიერთობები“ იმაღება. ურთიერთობა, რომელიც შთამომავლობის შობას გულისხმობს. ასეთი ურთიერთობა განიხილება როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ ურთიერთობად. გარდა ამისა, ამგვარი სახის ურთიერთობა არის სოციალური უთანასწორობის საფუძველი, რომელიც შრომის არათანაბარი განაწილებიდან მომდინარეობს. აქედან გამომდინარე, ცოლი და შვილები ქმრის მონებად არიან მიჩნეული. მსხვილ სამრეწველო საწარმოებში ქალთა შრომის გამოყენებამ ისინი ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახდა. „ქალთა საკითხის“ მარქსისტულ ანალიზში ქალთა შრომის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მაქრსიზმის მეორე თეზისი ეხება კლასობრივ სტრუქტურას, ანუ მშრომელ ქალთა მდგომარეობა განპირობებულია კლასობრივი სტრუქტურით. ქალი ეკუთვნის პროლეტარიატის კლასს, და შესაბამისად, მისი ემანსიპაცია პროლეტარიატის განთავისუფლების ტოლფასია. როგორც პროლეტარიატი, ისე ქალები დაინტერესებულები არიან ექსპლუატაციის და ჩაგვრის ყველანაირი ფორმების აღმოფხვრით. ამგვარად, „ქალთა საკითხის“ სოციალურ საკითხებში გაერთიანებამ ქალებს ისტორიაში გარკვეული ადგილი განუსაზღვრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ემანსიპაციის მარქსისტული კონცეფცია ერთ არსებით ნაკლს შეიცავდა, რაზეც ყურადღება ფრანგმა ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვეურმა გაამახვილა ნაშრომში „მეორე სქესი“. ავტორმა მისი ნათელი ფორმულირებისგან თავი შეიკავა. ამ „ნაკლს“ ხაზი ფრანგმა სოციოლოგმა ე. მორენმა გაუსვა. მისი თქმით, „მცდელობა, ქალთა ჩაგვრის საკითხი განხილულ იქნეს კლასობრივი კატეგორიის ანალიზის მეშვეობით, წარმოადგენს საქმის გამარტივებას, თუნდაც იმიტომ, რომ ეს პრობლემა წარმოიშვა კლასობრივ პერიოდამდე და ისტორიამდელ ეპოქამდე და ატარებს არა იმდენად სოციოლოგიურ, არამედ ანთროპოსოციოლოგიურ ხასიათს“ (Айвазова, 1997:14).

იდეების მიხედვით ყველაზე გამორჩეული და გავლენიანი რადიკალური მიმართულება გახდა, რომელიც ქალთა ჩაგვრის ზოგად, სიღრმისეულ საკითხებს იკვლევდა.

ფემინისტური თეორიის წარმოშობა ფემინისტური მოძრაობის ლოგიკური შედეგი იყო. თუმცა მისი ჩამოყალიბება სრულიად სხვა სახის მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. თეორიული სახით ფემინიზმის ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის 50-იან

წლებში ხდება, როდესაც ინტელექტუალი ქალების ყურადღება ყოველდღიური ცხოვრების რეალიებმა მიიპყრო. ამით იწყება ფემინისტური იდეოლოგია, რომელიც არა მარტო ქალებისათვის იურიდიული უფლების მინიჭებისათვის იბრძის, არამედ თანამედროვე საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის მნიშვნელოვან მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. სქესთა შორის ურთიერთობის ამ ახალმა მოდელმა ძალიან მაღება გაიჩინა მომხრეებიც და მოწინააღმდეგებიც.

ურიგო არ იქნება, თუ სხვადასხვა ქვეყნის ფემინიზმზე და მათ ეროვნულ მახასიათებლებზე გავამახვილებო ყურადღებას. საფრანგეთში ფრანგულმა ინტელექტუალურმა ცხოვრებამ იმდენად დიდი გავლენა იქონია ფემინისტურ მოძრაობაზე, რომ მას თამამად შეიძლება ეწოდოს „ინტელექტუალური ფემინიზმი“. ფრანგული ფემინიზმის თეორიულ ფუნდამენტად, როგორც 70-იანი წლების დასაწყისში, ახლაც ფილოსოფია და ფსიქოანალიზი ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის საფრანგეთში ფსიქოანალიზს მყარად არ ჰქონდა მოკიდებული ფეხი, ქალი ფსიქოანალიტიკოსების რაოდენობა საკმარისად იყო. გარდა ამისა, ფსიქოანალიზი უპარ ატარებდა ფემინისტურ „შეფერილობას“, ვინაიდან მისი ფრანგი წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცს არ შეუძლია ქალის საიდუმლოს ამოხსნა. სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო ფემინიზმის ფილოსოფიური კუთხით განხილვის სფეროში.

1949 წელს გამოიცა სიმონა დე ბოვუარის⁹ წიგნი „მეორე სქესი“, რომელშიც ავტორი ფემინიზმის ცენტრალურ იდეას აფიქსირებს. პატრიარქატის დომინირებული სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურის სფეროში განვითარება და მატერიალური მდგრადირების მიზანით მიმდინარეობს. სიმონა დე ბოვუარის მიზანი არ იყო ქალების უფლებათვის მიმდინარეობის განვითარება, არა კულტურული მდგრადირების მიზანი.

⁹ სიმონა დე ბოვუარი – მე-20 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი, ესეისტი და მწერალი, ფრანგული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ლიდერი. მისმა წიგნმა „მეორე სქესი“ მნიშვნელოვანი როლი შესარტულა ფემინიზმის თეორიის ჩამოყალიბებაში. მირითად განსხვავებას ქალური კონცეფციის ეგზისტენციალური გაგებისა და მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის ფემინისტურ კონცეფციის შორის ბოვუარის მიერ ქალთა დიკსრიმინაციის საკითხის თეორიულ დონეზე დაყენება ქმნიდა. მწერალი დისკრიმინაციის საკითხს პოლიტიკურ და წარმოებით სფეროში არ განიხილავდა. მისი აზრით მე-19 საუკუნის ფემინისტურმა არსებითი შეცდომა დაუშვეს ქალური ფენომენის კონცეპტუალიზაციის საკითხში, როცა ქალთა ჩაგვრის პრობლემა უშუალოდ დაუკავშირეს პრობლემის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. მწერლის მოსაზრებით, დაქვემდებარების ფენომენი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის და ინდივიდუალური არაცნობიერის დონეზე უნდა იქნეს განხილული. მხოლოდ ამ დაფარული ადამიანური რეალობის დონეების გაანალიზების შემდეგ უნდა დაისვას საკითხი კულტურაში ქალთა სტატუსის შესახებ.

ქალს არ აძლევენ უფლებას, ეზიაროს სოციუმის მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებს. პატრიარქატი ქალებს აიძულებს, შეასრულონ მეორეხარისხოვანი როლები და ქალთა სახეები ამბივალენტური სახითაა გადმოცემული. ქალი ან დედაა, ან ჰეტერა, წმინდანი ან ცოდვილი (მარიამ ღვთისმშობელი ან მარიამ მაგდალინელი). სიმონა დე ბოვეარი ეგზისტენციალისტური მეთოდოლოგიის გამოყენებით შეეცადა ფილოსოფიური თეორიის დონეზე აქესნა გენდერული უთანასწორობის ფენომენი და კულტურასა და საზოგადოებაში სექსიზმის წარმოშობის მიზეზები. სიმონა დე ბოვეარის ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედება არის კულტურაში ქალის ფენომენის, აზროვნების, ენის, წერის მანერის, ლიტერატურის, სუბიექტობის და გამოცდილების სტრუქტურის არტიკულირების პირველი თეორიული და ფილოსოფიური მცდელობა. ამ მიმართულებებს ფილოსოფიაში მოგვიანებით ფემინიზმის ფილოსოფია ან ფემინიზმის თეორია ეწოდა.

ფრანგული ფემინიზმის თეორეტიკოსების საბაზისო ფილოსოფიურ კონცეფციაში აშკარად ჩანს ჟაკ დერიდასა¹⁰ და ჟაკ ლაკანის¹¹ თეორიების გავლენის კვალი. დერიდამ წამოაყენა საკითხი „პირველი-მეორეს“ შესახებ. „პირველი“ შესაძლოა მხოლოდ მაშინ ჩაითვალოს პირველად, თუ მას „მეორე“ მოსდევს. დერიდას „დეკონსტრუქციის“ თეორია მეტაფორების ამოცნობის პროცესს გულისხმობს. მათი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს როგორც ცნებათა ბინარული ოპოზიცია (კაცი – ქალი, კულტურა – ბუნება და სხვ.). დერიდას აზრით, არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე. ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე მეორეს არის დაქვედმებარებული. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუქციისათვის, ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას. ჟაკ ლაკანმა თავის შრომებში, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილია „თხულებები“ და „სემინარები“, ქალისა და მამაკაცის სქესის თვალსაზრისით განსხვავების ბიოლოგიური დეტერმინიზმის შესახებ მითი დაამსხვრია და არსებული განსხვავება კულტურის სიმბოლურ წესრიგს დაუკავშირა. ფრანგი ფილოსოფოსების ეს ნააზრევი ასახვას ფრანგულ ფემინიზმი პოულობს, სადაც

¹⁰ ჟაკ დერიდა –მე-20 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი, დეკონსტრუქტივიზმის დამაარსებელი.

¹¹ ჟაკ ლაკანი – მე-20 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი და ფინქანალიტიკოსი.

აულტურაში ქალური საწყისი „მეორად“ და „განსხვავებულ“ ფენომენად აღიქმება. ამ მიდგომიდან გამომდინარე, მამაკაცი როგორც „ძლიერი“, თავისი სოციალური როლის რეალიზებას საზოგადოების მიერ „სუსტად“ მონათლული ქალის ხარჯზე ახდენს.

ინგლისური თეორიული ფემინიზმის ტრადიცია ზოგადი სახით შესაძლებელია დავახასიათოთ როგორც ემპირიულ-სოციოლოგიური. უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში ფემინისტური აზრი რეალიზებულია სოციოლოგიასა და მის ისეთ განშტოებებში, როგორიცაა შრომის სოციოლოგია, განათლება, ოჯახი და ჯანმრთელობა, აგრეთვე – ისტორია. ბრიტანული ფემინიზმის ემპირიზმი გულისხმობს გამოცდილების მრავალგვარობას. ქალთა გამოცდილების ეს მრავალგვარობა (კლასობრივი, რასობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი, ინდივიდუალური) ბრიტანული ფემინიზმის კვლევის მთავარი საკითხებია. ბრიტანეთში ფემინიზმის თეორიული კალევების სპეციფიკა ყველაზე ნათლად ორი მიმართულებით გამოვლინდა. ერთი ეს არის: კოლონიალიზმის ფემინისტურ-ისტორიული სოციოლოგია და ე.წ. „კიბერფემინიზმი“, რომლის წარმოშობაც 1985 წლით თარიღდება. ბრიტანელი ფემინისტებისათვის „პატრიარქალური“ აღნიშნავდა არა მხოლოდ კაპიტალისტურს ან ინდუსტრიულს, არამედ კოლონიალურსაც. ფემინისტური ისტორიული სოციოლოგია და, მათ შორის, კოლონიალიზმის სოციოლოგია მნიშვნელოვანი იყო ფემინისტური კვლევისა და ცნობიერების ფორმირების საკითხში ქალების მონაწილეობისათვის „სივრცის“ შესაქმნელად. ფემინისტების აზრით, ისტორია იწერებოდა მამაკაცების მიერ, ამიტომ ქალთა ისტორია, რომელიც გაცილებით ტრაგიკულია, ჩრდილში იყო მოქცეული. რაც შეეხება „კიბერფემინიზმს“ იგი იწყება ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორის დ. ჰარავეის ესეთი „კიბორგის მანიფესტი“. ბრიტანეთში ფემინიზმი სხვადასხვა სოციალური სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბდა. მათ შორის ტექნიკური და ინსტრუმენტალური პრაქტიკაც უნდა გავითვალისწინოთ. ამ გარემოებამ განაპირობა კიბორგის როგორც მანქანისა და ორგანიზმის ჰიბრიდის კულტურული მეტაფორის გაძლიერება. გარდა ამისა, ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ კიბორგი კონსტრუირებული იყო პატრიარქალური კულტურით. მასში მანქანური ნაწილი არის მასკულინური ხოლო, მისი სხეული არის ფემინური. ამგვარი სახით მითი კიბორგის შესახებ გამოხატავს ქალის დაქვემდებარებას.

გერმანულ თეორიულ ფემინიზმს შესაძლებელია ვუწოდოთ ეკოფემინიზმი. იგი ეყრდნობა იმ ოპოზიციურ ცნებებს, როგორებიცაა: ჭეშმარიტი და ხელოვნური, ბუნებრივი და კულტურული. გერმანიაში ქალური საწყისის კვლევა ხდება არა ტრადიციული ფორმით („მეორე სქესი“), არამედ როგორც „მეორე კულტურა“, რომელიც დათრგუნულია პატრიარქატის მიერ და იმავდროულად მიჩნეულია სოციალური მოწყობის პერსპექტიულ ფორმად, სადაც არ არის არანაირი ბატონობა, მათ შორის, არც ბატონობა ბუნებაზე. ასეთ საზოგადოებაში ურთიერთობა ბუნებასთან არ ატარებს ექსპლუატაციის ხასიათს. გერმანული ფემინიზმის თანახმად, პატრიარქატი იძრდვის ბუნებისა და ქალის წინააღმდეგ. ბატონობის ფუნქციას პატრიარქატი ახორციელბს ტექნიკისა და ტექნოლოგის მეშვეობით. მამაკაცის პატრიარქალური როლი ეს არის როლი – ოდისევებისა. ტექნიკა ქალს ართმევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას, გამომდინარე იქიდან, რომ მამაკაცური გამოცდილება ქალურ გამოცდილებაზე მეტია. (აյ არ იგულისხმება გამოცდილება ოჯახურ სფეროში). გერმანული ფემინისტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი სახით მამაკაცები შეძლებენ, ფრთები შეასხან ოცნებას, რომელიც ქალების გარეშე „ცხოვრებაში“ გამოიხატება. (იგულისხმება საზოგადოებრივი და მოღვაწეობის სხვა სფეროები). გერმანული ფემინისტური ტრადიცია პატრიარქატის რაციონალურ-კულტურული საკითხების დეკოდირებას ახდენს. ფემინიზმის თეორეტიკოსის ჰ. გუნტერ აბენდროტის თქმით, „მამაკაცი თავის თავს ტრასცენდენტულთან აიგივებს, სამყაროს სული ახალ იმედებს იძლევა და მათ შორის სულის უკვდავების პირობასაც დებს, რასაც მატრიარქატი არასდროს არავის დაპირებია“ (Водопьянова, 2000). თუ რაციონალური „სულის აპოლოგიის“ ტრადიციას გავითვალისწინებთ, პატრიარქატის ასეთი დახასიათება გერმანიისათვის ორგანულია. ქალური ემოციური გამოცდილება, სიცოცხლეზე ქალების იდუმალი ძალაუფლება არ შეესაბამება რაციონალობის მამაკაცურ იდეალს და აიძულებს მამაკაცურ ცნობიერებას, წინ აღუდგეს ბუნებას, რომელიც ქალური საწყისის სიმბოლოდ მიიჩნევა.

ფემინისტური თეორია¹² ზოგადი სახით შესაძლოა განმარტებული იქნეს როგორც სქესის გაგების ფილოსოფიურ - კულტურული ანალიზი. ტრადიციულად ეს განმარტება გამოიყენებოდა მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური განსხვავების აღსანიშნავად, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა იყოფა მამაკაცებად და ქალებად. მაგრამ ბიოლოგიურ განსხვავებასთან ერთად, ადამიანებს შორის არსებობს სოციალური როლების განაწილების ტრადიცია, სამოქმედო სფეროების, ქცევების, მენტალური და ემოციური ხასიათის განსხვავებები. გარდა ამისა, ის, რაც ერთ საზოგადოებაში ითვლება მამაკაცურად“, მეორე საზოგადოებაში შესაძლოა ჩაითვალოს „ქალურად“. თავად წარმოდგენა – „მამაკაცური“ და „ქალური“ – ძალიან ვარირებადია. ამერიკელი ანთროპოლოგი მარგარეტ მიდი წერდა: „თუ ტემპერამენტის ის თვისებები, რომლებიც ჩვენ ქალის თვისებებად მიგვაჩნია (ემოციურობა, მზრუნველობა), ერთი ტომისათვის მამაკაცურ თვისებებად განისაზღვრება, მეორე ტომის ქალებისა და კაცებისათვის ისინი მამაკაცის თვისებად არ განიხილება. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ასეთი ასპექტები ბიოლოგიური სქესით განპირობებულად ჩავთვალოთ“ (Феминистская теория...). 70-იან, 80-იან წლებში ჩატარებულმა ისტორიულმა კლევებმა, რომლებიც ეთნოგრაფებისა და ანთროპოლოგების იდეებს ეფუძნებოდა, გამოავლინა, რომ ქალური და მამაკაცური თვისებების შესახებ წარმოდგენები ერთსა და იმავე საზოგადოებაშიც კი განსხვავებულია. ამგვარად, ფემინიზმის თეორეტიკოსები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთისგან უნდა გაერჩიათ ბიოლოგიური სქესი (ანატომიურ - ბიოლოგიური თვისებების ერთობლიობა – sex) და სოციალური სქესი – gender, როგორც სოციოკულტურული კონსტრუქტი, რომელსაც საზოგადოება „აშენებს“

¹² არსებობს ფემინისტური თეორიის სხვა განმარტებაც. ფემინისტური თეორია განიხილება როგორც შეხედულებების როლი სისტემა სოციალურ ცხოვრებასა და ადამიანურ გამოცდილებაზე, სადაც ამოსავალ წერტილად მიღებულია ქალის პრიორიტეტი. ის ფოკუსირებულია ქალზე და ქალებზე და ვლინდება სამი ძირითადი ასპექტით – შესწავლის ძირითადი ობიექტია სიტუაცია, ან სიტუაციები და პრობლემები, რომლებიც წამოიჭრებიან საზოგადოებაში ქალების წინაშე. ეს თეორია ქალებს განიხილავს მნიშვნელოვან „სუბიექტად“, ანუ ეს თეორია მიისწრაფვის, შეხედოს სამყაროს ქალის პოზიციიდან, ქალის როლიდან სოციალურ სინამდვილეში; და მესამე, ფემინიზმი, როგორც თეორია, აკრიტიკებს ქალის სახელით და მოქმედებს ქალის ინტერესებით, ცდილობს, შექმნას უკეთესი ვითრება ქალისათვის და, მაშასდამე, თვით ამ თეორიის თანახმად – მთელი კაცობრიობისათვის.

ფიზიოლოგიურ რეალობაზე. საბოლოო ჯამში, არა ბიოლოგიური სქესი, არამედ სოციოკულტურული ნორმები განაპირობებენ ფსიქოლოგიურ თვისებებს, ქცევის მოდელებს, საქმიანობის ფორმებს, ქალისა და მამაკაცის პროფესიებს. იყო ქალი ან მამაკაცი ნიშნავს არა მხოლოდ ანატომიური მახასიათებლების ქონას, არამედ ამა თუ იმ გენდერული როლების შესრულებას. სწორედ ამას გულისხმობდა სიმონა დე ბოვუარი, როცა ამბობდა: „ქალად არ იბადებიან, ქალები ხდებიან“. ¹³

სქესის ბიოლოგიური და სოციალური ასპექტების ანალიზისას ფემინიზმის თეორეტიკოსებმა აღმოაჩინეს სქესის მესამე, სიმბოლური ანუ საკუთრივ კულტურული ასპექტი. ქალური და მამაკაცური ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ დონეზე არსებობენ, როგორც კულტურულ-სიმბოლური ელემენტები.

მამაკაცური: რაციონალური - სულიერი - ღვთიური - კულტურული

ქალური: მგრძნობიარე - მიწიერი - ცოდვილი - ბუნებასთან გაიგივებული

სქესის ბიოლოგიური ასპექტისგან განსხვავებით მისი სოციალური და კულტურული ასპექტები ფარული დირექტულებებისაგან შედგება, რომლებიც ისეა ფორმირებული, რომ „მამაკაცური“ მიჩნეულია დომინირებულად და პოზიტიურად, ხოლო „ქალური“ – ნეგატიურად და მარგინალურად. ეს გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ მამაკაცი და მამაკაცური პრედიკატები დომინირებულია საზოგადოებაში, არამედ იმითაც, რომ ბევრი რამ, რაც არ არის დაკავშირებული სქესთან (ბუნება და კულტურა, მიწიერი და ღვთიური), არსებული კულტურულ - სიმბოლური ელემენტებით გაიგივებულია „ქალურთან“ და „მამაკაცურთან“, ანუ იქმნება იერარქია ამ არასქესობრივ ცნებებს შორის. გარდა ამისა, ბევრი მოვლენა და ცნება იძენს „სქესობრივ“ (გენდერულ) შეფერილობას. „ქალურისა“ და

¹³ სიმონა დე ბოვუარი აფორმიზად ქცეული ამ სიტყვებით უპირისპირდებოდა ფროიდის ცნობილ თეზას „ანატომია – ეს ბედია“. იგი ამტკიცებდა, რომ ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიური განსხვავება სრულიად არ მეტყველებს მათ ეგზისტენციურ განსხვავებაზე, განსხვავებაზე ისტორიის სუბიექტების თვალსაზრისით. ერთ გვევლინება ბატონად, ხოლო მეორე მონად. ეს განსხვავება განპირობებულია სოციალურ-ისტორიული გარემოებებით. როცა მამაკაცი გაიგივებული იქნა კულტურასთან და საზოგადოებასთან, ხოლო ქალი კი მიჩნეული იქნა სიცოცხლის მწარმოებლად. აქედან გამომდინარე, გაჩნდა სტერეოტიპები, რომლებიც მამაკაცს აიგივებენ კულტურასთან, ქალს კი – ბუნებასთან. სიმონა დე ბოვუარი ცდილობდა ეზვენებინა, რომ ქალში ყველა ის პოტენციალი ჩადგებული, რომელიც მამაკაცში დევს. მათი დათრგუნვა იწვევს ქალის პიროვნების დათრგუნვას, რაც არ აძლევს ქალს საშუალებას, პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

„მამაკაცურის“ კულტურულ-სიმბოლური მნიშვნელობის აღსანიშნავად ფემინიზმის თეორეტიკოსები იყენებენ ტერმინებს „ფემინური“ და „მასკულინური“.

გენდერის კონსტრუქციულ კატეგორიაში სქესი კულტურული მეტაფორა ხდება და ე. ფის განმარტებით „სულისა და ბუნების ურთიერთობას გადმოცემს. სული მამაკაცია, ბუნება ქალი. ხოლო შეცნობა აღმოცენდება, როგორც ფლობის გარკვეული აგრესიული აქტი. პასიური ბუნება განიცდის განსხვეულებას, გახსნას, ადამიანი მის სიღრმეებში შეაღწევს და დაიმორჩილებს“ (კიკნაძე, დონაძე, 2006:16).

2. გენდერული პრობლემატიკის ისტორია

„მამაკაცურის“ რაციონალობასთან, ხოლო „ქალურის“ ემოციურობასთან დაკავშირებული სიმბოლური ასოციაციები ბერძნულ ფილოსოფიაში მყარად იყო ფეხმოკიდებული. პითაგორელები სამყაროს აფასებდენენ როგორც პრინციპთა ნარევს, რაც ან წესრიგით, ან ქაოსით გამოიხატებოდა. პითაგორელებისათვის ქალური ექსპლიციტურად იყო დაკავშირებული უფორმობასთან და უწესრიგობასთან. მათ მიერ შედგენილი წყვილები – ფორმა და უფორმობა, მარჯვენა და მარცხენა, მამაკაცური და ქალური, კეთილი და ბოროტი – ისე იყო მოცემული, რომ პირველი პრინციპი (კონტრასტი) მეორეზე უფრო აღმატებული ყოფილიყო. მამაკაცური გაიგივებული იყო აქტიურ დეტერმინირებულ ფორმებთან, ხოლო ქალური – ქაოტურ მატერიასათნ. სულისა და ხორცის, ინტელექტისა და მატერიის დუალიზმი კონსტრუირდება პლატონის ნაშრომებში. პლატონისათვის ცოდნა არის არარაციონალური, შეუცნობელი მატერიის გარეგნული ფორმების შემეცნება. სწორედ პლატონის მიერ სულისა და ხორცის, ემოციურისა და რაციონალურის დუალიზმის შესახებ შემუშავებულმა პარადიგმებმა გარკვეული სახით განსაზღვრა ქალურის კონსტრუირება ფილოსოფიაში. თუმცა პლატონი თავის სოციალურ-პოლიტიკურ ნაშრომებში ქალებთან მიმართებაში ეგალიტარისტად გვევლინება, რამაც განაპირობა მისი აღიარება პირველ ფემინისტად.¹⁴

¹⁴ პლატონი „სახელმწიფოში“ ამბობს: „სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში არ არსებობს საკუთრივ ქალისათვის და საკუთრივ ქაცისათვის განკუთვილი საქმე, ბუნებაშ ერთი და იგივე უნარი უწილადა ერთსაც და მეორესაც. ასე რომ, თავისი ბუნებით ქალსაც და მამაკაცსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთსა და იმავე საქმეში. ოდონდ ქალი მამაკაცზე სუსტია“ (მეტრეველი, 2005:15).

აქტიური, შემოქმედებითი ფორმისა, და პასიური, ინერტული მატერიის დისტინქცია გააგრძელა არისტოტელებმ.¹⁵ არისტოტელეს ფილოსოფიის თანახმად, ქალს არ აქვს და არც შეიძლება პქონდეს დამოუკიდებელი მიზნები და მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებული არ იქნება მამაკაცთან. არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული საზოგადოებრივი აქტივობის ფორმა, რომელიც მან ქალებს განუსაზღვრა, მხოლოდ ოჯახური საქმიანობით შემოიფარგლება. ეს კი ოჯახში და, ზოგადად, სახელმწიფოში პატრიარქატის ავტორიტეტს აძლიერებს.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიაში თომა აქვინელი, წმინდა ავგუსტინე და ფილონ ალექსანდრიელი აგრძელებენ ფორმისა და მატერიის, ხორცისა და სულის, რაციონალურისა და ემოციურის დისტინქციის ტრადიციას. ფილონ ალექსანდრიელი თავის ნაშრომებში აერთიანებს ბიბლიური და ბერძნული ფილოსოფიის იდეებს. ამგვარი სახით, დუალიზმი ფემინურსა და მასკულინურს შორის კიდევ უფრო ძლიერდება. მისი აზრით მამაკაცური წარმოადგენს შემეცნებითს, ღვთიურს, ხოლო ქალური – ეს არის ბინბური ხორციელი სამყაროს სახე. ¹⁶ სრულიად ნათელია, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების

¹⁵ ნაშრომში “ცხოველების წარმოშობის შესახებ” არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ნამდვილი მშობლები მამაკაცები არიან. სწორედ მამაკაცი აძლევს ძალას სიცოცხლეს, ხოლო ქალი მხოლოდ პასიური ჭურჭლის როლს ასრულებს. ქალები, არისტოტელეს აზრით, არიან უმდაბლესი არსებები, იმპოტენტი მამაკაცები. ვინაიდან მათ არ გააჩნიათ „სული“, რომელიც გაიგივებულია რაციონალობასთან. სქესის დიფერენციაცია, არისტოტელეს აზრით, ატარებს არაბიოლოგიურ ხასიათს, ვინაიდან იგი არ არის აუცილებელი კაცობრიობის წარმოშობისათვის. სქესის დიფერენციაცია ეს ონტოლოგიური პრინციპია, „როცა უმაღლესი პრინციპი გამოყოფილია უმდაბლესისგან. ეს ძალიან კარგია. და თუ ეს შესაძლებელია, მამაკაცურიც გამოყოფილია ქალურისგან.“ (Айвазова, 1997:25).

¹⁶ ურიგო არ იქნება იმის გახსენება, რომ მაკედონიის საეკლესიო კრებაზე (585 წ.) საკითხი, იყო თუ არა ქალი ადამიანი, პქონდა თუ არა მას სული, დიდი დისკუსიის საგანი გახდა. საბოლოოდ კი მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით ცნეს, რომ ქალს აქვს სული. ამის მიზეზი კი საღმრთო წერილი გახდა, სადაც მითითებულია, რომ იქსო ქრისტე, ძე დვთისა, იმავდროულად იყო ადამიანის შვილიც, ვინაიდან მისი დედა ადამიანი იყო. შუა საუკუნეებში „ალქაჯებზე ნადირობაშ“ უამრავი ქალის სიცოცხლე შეიწირა. ბერებმა ი. შპრენგერმა და პეინრის კრამერმა (ლათინიზირებული ინსტიტორისი) „ალქაჯების უროში“ წარმოადგინეს ის მტკიცებულებები, რის გამოც ქალების ფიზიკური განადგურება ბუნებრივ ფაქტად იყო მიჩნეული. ბერები ირწმუნებოდნენ, რომ ქალები მცირედმორწმუნები არიან და ამის გამო ხშრად ექცევიან ეშმაკის გავლენის ქვეშ. ისინი არიან დედამიწაზე ყველანაირი ბოროტების მატარებელნი.

თანახამად, მამაკაცური და ქალური კულტურულ-ფილოსოფიური ფუნქციის მატარებელია. მასკულინური და ფემინური ერთგვარად ცნებათა იერარქიულობას იწვევს: ერთის – როგორც „კარგის“, ხოლო მეორის – როგორც „ცუდის“.

ანტიკური ხანის ფილოსოფიაში ჩასახული და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში მყარად ფეხმოკიდებული რაციონალურისა და ბუნებრივის, მაკსულინურისა და ფემინურის, როგორც კულტურული სიმბოლოების დიფერენციაცია ახალი პერიოდის ფილოსოფიაში მკვეთრადაა გამოხატული. მე-17 საუკუნეში ფეხს იკიდებს ახალი, ანტიკური და შუა საუკუნეების კონცეფციისგან განსხვავებული „შემეცნება„, აღნიშნული დიქოტომია გამოხატულია შემდეგი სახით: თუ ანტიკურ ტრადიციაში გონების „დავალებას“ სამყაროს გააზრება წარმოადგენდა, მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონისათვის, რომელიც ახალი დროის ფილოსოფიის ფუძემდებელია, გონება ეს არის გაზომვის, შესწავლის საშუალება და, საბოლოო ჯამში, ბატონობა ბუნებაზე. გარდა ამისა, ბეკონისათვის მატერიალური სამყარო წარმოადგენს მოდელებისა და ნიმუშების ნაკრებს, რომელშიც ბუნება მექანიკის კანონების მიხედვით არის ორგანიზებული. ბეკონი ბუნებას აანალიზებს არა როგორც ორგანიზმის ანალოგიას, როგორც ამას ანტიკური ხანის მოაზროვნები აკეთებდენენ, არამედ როგორც მანქანის ანალოგიას. ბუნების სწორედ ასეთი წარმოდგენა ხორცს ასხამს იმ იდეას, რომლის მიხედვით მეცნიერების დანიშნულებაა – ბუნებაზე დომინირების სწორი ფორმის გამყარება და მის დაპყრობა. გარდა ამისა, ბეკონი საკუთარი ფილოსოფიური იდეების გამოხატვისათვის აქტიურად იყენებს სქესის მეტაფორას. ბუნება მისთვის ყოველთვის მდედრობითი სქესისაა, ხოლო ცნობიერება, გონება და მეცნიერება – მამრობითი. ბეკონი საყვედურობდა აროსტოტელეს იმის გამო, რომ მან ბუნება „ხელუხლებელი“ დატვა. თავად კი შემოგვთავაზა შემეცნებასა და ბუნებას შორის „კანონიერი ქორწინება“, რომელშიც შემეცნების სუბიექტს ეკისრება მამაკაცის როლი. იგი აძლიერებს თავის ძალაუფლებას ბუნებაზე. ამგვარი სახით ანტიკურ ფილოსოფიაში შემოთავაზებულ განმარტებას – „ცოდნა – მადლია“, ბეკონის ფილოსოფიაში ცვლის ფორმულა – „ცოდნა ძალაა“. ასეთ მიდგომას ფილოსოფოსმა კაროლინ მერჩანტმა „ბუნების სიკვდილი“ უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ბუნება გონებასთან და სულთან მიმართებაში მეორეხარისხოვანად იყო მიჩნეული, იგი მაინც ითვლებოდა ცოცხლად, ირაციონალური ძალებით სავსედ. ბეკონთან კი ბუნება მექანიკური,

უსულო და მკვდარია. სწორედ ასეთი სახის ობიექტთან შეუძლია შემეცნების სუბიექტს სურვილისამებრ მოქცევა. შეუძლია აკონტროლოს, დაიმორჩილოს. მერჩანტის აზრით, ბუნებაზე ამგვარი სახით დომინირება ეკოლოგიურ პრობლემამდე მიგვიყვანს. ეს კი კაცობრიობის გადაშენებას და ცოდნის დეპუმანიზაციას გამოიწვევს. დეკარტმა გააგრძელა იდეა, რომელიც ცნობიერების ყველა სახის დედაბუნებისაგან „გაწმენდას“ ეხებოდა. კარტეზიანობაში¹⁷ ფეხი მოიკიდა შემეცნების მასკულინურმა თეორიამ, რომელშიც ბუნებისგან გაუცხოება მიჩნეულია პოზიტიურ ეპისტემოლოგიურ ღირებულებად. კონსტრუირდება ახალი სამყარო, რომელშიც ყველაფერი კრეატიული და გენერატიული დაპავშირებულია ღმერთთან, მასკულინურ რაციონალურ სულთან. ბუნებრივის, მატერიალურის და ხორციელის დათრგუნვის ტენდენცია კულტურაში ფემინურის დათრგუნვის პარალელურად მიმდინარეობდა.¹⁸ ფრანგი განმანათლებლი, ჟან ჟაკ რუსოც კი, რომელისთვისაც ბუნება წარმოადგენს ჭეშმარიტ ღირებულებას, ქალს, რომელიც გაიგივებულია ბუნებასთან, მამაკაცთან შედარებით მორალურად დაბალ არსებად თვლის. ვინაიდან მხოლოდ მამაკაცი, რომელსაც არა აქვს ბუნებასთან მჭიდრო კავშირი, გონების მეშვეობით გადის ერთგვარ ინტელექტუალურ გზას საკუთარ თავში ჭეშმარიტი ადამიანური ბუნების გაძლიერებისათვის, რაც მას მორალურ არსებად აქცევს. რუსოს მიაჩნდა, რომ ვნებები, რომელიც ქალებთან ასოცირდება საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს. რუსო იძლევა კარგი მოქალაქის და კარგი მეოჯახის სახეებს „ემილში“ და აღნიშნავს „ვინაიდან რთულია, იყო კარგი მოქალაქეც და კარგი მეოჯახეც, საჭიროა გაიყოს ეს სფეროები. ქალი უნდა გამოვთიშოთ საზოგადოებრივი სფეროდან და ადგილი თჯახში მივუჩინოთ“

¹⁷ კარტეზიანობა (ლათ. cartesius) -რენე დეკარტის ლათინიზებული სახელი, მიმართულება ფილოსოფიის ისტორიაში, როლისათვის დამახასიათებელია სკეპტიზმი, რაციონალიზმი, სქოლასტიკური ტრადიციის კრიტიკა.

¹⁸ სამყაროს შესახებ ახალი წარმოდგენების ფორმირებას მე-16, მე-17 საუკუნეებში, წინ უმდოდა ქალების მასობრივი განადგურება. საქმე ეხება ე.წ. „კუდი ანებზე ნადირობას“. როგორც საარქივო მასალებიდან ხდება ცნობილი, „კუდიანებში“ იგულისხმებოდა ექიმბაში ქალები, რომლებიც ბალახების მეშვეობით ამზადებდნენ წამლებს, რითაც ქალებს მშობიარობის პროცესის გაიოლებასა და შობადობის დარეგულირებაში ეხმარებოდნენ. შობადობასა და სექსუალობაზე კონტროლის ხალხური მეთოდები, რომლებსაც აღრე ქალები ფლობდნენ, შემდგომში „მეცნიერული მეთოდებით“ შეიცვალა, ხოლო ექიმბაშების ადგილი დიპლომირებულმა მამაკაცმა-სპეციალისტებმა დაიკავეს. ამან კი შედეგად, ქალური სექსუალობის მამაკაცების კონტროლის სფეროში გადასვლა გამოიწვია.

(Феминистская теория...). იმანუელ კანტი ავითარებდა იდეას ქალების დაბალი მენტალური შესაძლებლობების შესახებ და თვლიდა, რომ ეს საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი იყო. ნაშრომში „ესეე ამაღლებულისა და მშვენიერის შესახებ“ ამტკიცებდა, რომ აბსტრაქტული აზროვნების არარსებობა ქალებში ავითარებს გემოვნებას, მშვენიერების აღქმას, მგრძნობელობას და პრაქტიკულობას. ოჯახურ ცხოვრებაში, რომელიც საზოგადოების ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მამაკაცი ავსებს ქალის ნაკლს და ამგვარი სახით იქმნება ჰარმონიული წყვილი, სადაც ქალური და მამაკაცური საწყისები ერთმანეთს ავსებენ. ჰეგელი ქალს და მასთან დაკავშირებული ყოფისა და აზროვნების ყველა ფორმას სამოქალაქო საზოგადოებისა და მორალის ფარგლებს მიღმა განიხილავს. „სულის ფენომენოლოგიაში“ იგი ოჯახს საზოგადოების ყველაზე დაბალ სტადიად მიიჩნევს. ვინაიდან ურთიერთობები ოჯახში წარმოებს სისხლით ნათესავებს შორის და არა მოქალაქეებს შორის. ჰეგელის აზრით, ეს არის „უმდაბლესი სამყარო „და რახან ქალები არ არიან მოქალაქეები, ეს მათი სამყაროა. ურთიერთობები ოჯახში კერძო ხასიათისაა და ეთიკის სფეროში არ განიხილება. მამაკაცებს, ქალებისაგან განსხვავებით, მოღვაწეობის დამატებითი სფეროები აქვთ, სადაც ისინი მუშაობენ „უნივერსალურისა“ და „ეთიკურისათვის“. მამაკაცებისათვის ოჯახური ურთიერთობები პირად სფეროში რჩება, მათ არ სჭირდებათ საკუთრი ეთიკური ცხოვრების მსხვერპლად გაღება. ქალი მხოლოდ მაშინ შეძლებს ეთიკურ ცხოვრებასთან მიახლოებას, თუ მას ურთიერთობა ექნება ქმართან და შვილთან და ემსახურება მათ. თუმცა ეს ბადებს კონფლიქტს მამაკაცურს/უნივერსალურსა და ქალურს /ოჯახურ ცნობიერებას შორის. აქედან გამომდინარე, „ფემინური“ საზოგადოების საფრთხეეს წარმოადგენს, ამიტომ უნდა იყოს დათრგუნული და კერძო, პირად სფეროში გადატანილი.

ჰეგელის დამოკიდებულება ფემინურისადმი ამბივალენტურია. ერთი მხრივ, ეს არის რაციონალიზაცია, ქალისა და ქალურის გამორიცხვა სოციოკულტურული სფეროდან. ნაშრომში „უფლების ფილოსოფია“ ჰეგელი წერდა: „ქალები განსხვავდებიან მამაკაცებისაგან, როგორც მცენარეები ცხოველებისაგან“ (Феминистская теория...). პრინციპი, რომელიც ემსახურება მათ განვითარებას, არის გრძნობა და არა უნივერსალურობის აღქმა. სწორედ ამიტომ მიაჩნია ჰეგელს ზოგადად „ფემინური“ საზოგადოების საფრთხედ. მეორე მხრივ – დაბალი

ქალური სამყაროს არსებობა საზოგადოების აუცილებელი შემადგენლი ნაწილია, ვინაიდან ეს სამყარო მამაკაცებს აძლევს საშუალებას განვითარდნენ როგორც თვითმყოფადი არსებები.

აღმოსავლურ ფილოსოფიაში ქალური და მამაკაცური საწყისის საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. შუა საუკუნეების ფილოსოფოსისა და პოეტის ჯელალედინ რუმის კოსმოლოგია თელეოლოგიურ პრინციპს ეყრდნობა, რომლის მიხედვით სამყარო და ყველა სახის არსება შექმნილია განსაზღვრული მიზეზის გამო და ერთმანეთთან არიან კავშირში. მეგობრისადმი მიწერილ წერილში რუმი ამბობს: „სამყაროს მიზანს წარმოადგენს ადამიანი, სხეულის მიზანია სულის აღმოჩენა, სულის მიზანია გრძნობების რეგულირება, ხოლო გრძნობებისა და ორგანოების მიზანია გულის სრულყოფა, გულის მიზანი კი მისი სატრფოა“¹⁹ (Джавелиძე, 1979:50). იგივე აზრია გატარებული დანტე ალიგიერის „შონარქიაში“. ეყრდნობა რა არისტოტელეს ფილოსოფიას, ალიგიერი წერს „დმერთი და ბუნება ასე უბრალოდ არაფერს აკეთებს. ყველა არსება შექმნილია განსაზღვრული მიზნისათვის“ (Джавелиძე, 1979:53). აღმოსავლურ ფილოსოფიაში და, მათ შორის, რუმის კოსმოლოგიურ სისტემაში, ერთმანეთისგან არის გამიჯნული საერთო გონი, რომელიც არის აქტიური საწყისი, და ინდივიდუალური გონი, რომელიც სათავეს საერთო გონიდან იღებს და დამოკიდებულია მასზე. რუმის აზრით, „არფერია ინდივიდუალურ გონებაში ისეთი, რასაც ადგილი არ იქნება საერთო გონში. გონებას არ შეუძლია იმის შექმნა, რაც არ უნახავს. ადამიანები წერენ ნაწარმოებებს, იგონებენ გეომეტრიულ თეორიებს, თუმცა ეს ყველაფერი ახალი არ არის, ვინაიდან მათ უკვე რაღაც ამგვარი ნანახი აქვთ. თავად რომ შექმნან, ამისთვის ისინი საერთო გონამდე უნდა ამაღლდნენ“ (Джавелиძე, 1979: 59). მაგრამ საერთო გონი ეს ისეთი აქტუალური საწყისია, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს გაიაზრებს და მისი ქმედებები საკუთარი თავისკენ არის მიმართული. გარე სამყაროს ის „neksi kul“- აბსოლუტური სულის, მეშვეობით უკავშირდება. ეს უკანასკნელი პასიური შესაძლებლობაა, რომელიც საერთო გონიდან მომდინარეობს სხივის სახით და არ შესწევს ძალა, უშუალოდ აღიქვას აბსოლუტური სილამაზე. აბსოლუტური სული ქმნის ხილულ სამყაროს, კოსმოსს, გადააქცევს რა მას მშვენიერ ქმნილებად. თუმცა იმავე დროს „მშვენიერი ქმნილება“ არის ფარდა, რომელიც ჭეშმარიტ მზეს ფარავს. სამყაროს ეს ორი საწყისი, მოქმედების

¹⁹ სატრფოს სახეში დმერთი მოიაზრებოდა

აქტიური პრინციპი და პასიური შესაძლებლობა, გაგმულია როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების ორი ასპექტი. კოსმოლოგიაში ეს ორი ასპექტი წარმოდგენილია როგორც მდედრობითი და მამრობითი სქესი. ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნება სუფიურ დიალექტიკურ აზროვნებაში სამყაროს შექმნისა და განვითარების აუცილებელ პირობად ითვლება. ისინი ქმნიან კოსმოსს, მნათობთა სისტემას, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი სული და გონი, ანუ ქმედების აქტიური და პასიური შესაძლებლობები.

თავი II

ფემინისტური მოძრაობა თურქეთში

2.1. ოსმალო ქალთა მოძრაობა

ფემინისტური მოძრაობა, საყოველთაო ფემინისტური აზრი, ფემინისტური თეორიები და ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა ევროპულ „მოვლენას“ წარმოადგენს, მაგრამ მისი უნიკალურობა სწორედ ისაა, რომ მან გავრცელება პპოვა არა მხოლოდ ევროპის, არამედ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაშიც. სადაც კი გავრცელდა ფემინისტური მოძრაობა, ყველგან იმ ქვეყნის საზოგადოების, კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის ეროვნული ნიშნების მატარებელი შეიქნა. ამიტომ მეტნაკლები მსგავსების მიუხედავად, ყველა ქვეყნის ფემინიზმი ინდივიდუალურია.

თურქეთში ფემინისტური მოძრაობის და, ზოგადად, ფემინისტური აზრის გავრცელება მეტად რთული და კომპლექსური პროცესია. თანამედროვე თურქეთის მაგალითზე ფემინისტური მოძრაობის და ფემინისტური თეორიების ლიტერატურაზე ასახვის საკითხის განხილვამდე საჭიროა იმ პროცესების გაანალიზება, რომლებიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო და ფემინისტური იდეების ჩასახვას და განვითარებას შეუწყო ხელი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქეთში ფემინისტური მოძრაობის გაანალიზება სახელმწიფოს მიერ ამ მოძრაობისადმი გამოხატული რეაქციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თურქეთში ფემინისტური მოძრაობა პერიოდებად უნდა დაიყოს და გაანალიზდეს, რადგან 10-წლიანი პერიოდიც კი განსხვავებას იძლევა ისევე, როგორც 80-იანი და 90-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა. ამ საკითხებზე კონკრეტულად უფრო ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას. ასევე მნიშვნელოვანია რესპუბლიკის პერიოდის თურქეთში ფემინისტური მოძრაობის ცალკე განხილვა, ვინაიდან ამ პერიოდის ფემინისტურ მოძრაობას „ქემალისტური ფემინიზმი“ ან „სახელმწიფო ფემინიზმი“ ჰქვია. ფემინისტური მოძრაობის ამგვარი დახასიათება თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ქალის საკითხისადმი

დამოკიდებულების შედეგის მაჩვენებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამდეროვე თურქეთში ფემინისტური მოძრაობის მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს ფემინისტური მოძრაობა მკვეთრად გამოხატული სახით არ არსებობს, ქალთა საკითხის კვლევის სფეროში წარმოებული სამეცნიერო მუშაობა, უნივერსიტეტებში ქალთა კვლევების სახით დისციპლინის არსებობა ფემინიზმის არსებობის უშუალო დადასტურებაა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც: თურქეთის რესპუბლიკაში „ისლამური ფემინიზმი“ ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ლიბერალური, სოციალური და რადიკალური ფემინიზმი. ვფიქრობ, „ისლამური ფემინიზმი“ ლოგიკური შედეგია ზოგადად ფემინიზმის არსებობისა თურქეთში. იგი ევროპული ფემინიზმის „მავნე“ გავლენისგან ერთგვარი თავდაცვითი პროცესია.

ოსმალეთის იმპერიასა და 1923 წლის 29 ოქტომბრიდან თურქეთის რესპუბლიკაში მწერლები აქტიური საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ისინი უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის იდეოლოგიისა და ბედის განსაზღვრაში. ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროცესები უშუალოდ აისახებოდა თურქულ ლიტერატურაზე. ქალთა საკითხისადმი დამოკიდებულება იმ პერიოდების მიხედვით იცვლება, რა პერიოდების გავლაც მოუწია ქვეყანას.

თურქი ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს პერიოდად მე-19 საუკუნე შეიძლება ჩავთვალოთ, კერძოდ კი ე.წ. „თანზიმათის ეპოქა“. ²⁰ სწორედ „თანზიმათის პერიოდში“ იწყება ქალთა საკითხის წინ წამოწევა და მისი გადასაჭრელ ამოცანათა სიაში ჩართვა. თუმცა სანამ უშუალოდ თანზიმათის პერიოდის ლიტერატურაზე და ლიტერატურაში ქალის საკითხზე ვისაუბრებდეთ, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ის ისტორიული წინაპირობები, რამაც განაპირობა ოსმალეთის იმპერიაში რეფორმების გატარება და საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ქალის საკითხით დაინტერესება.

²⁰თანზიმათი, როგორც ეპოქის დასახელება, მოიგონა თურქულმა ინტელიგენციამ. წარმოოქვამდნენ შებრუნებულად: Tanzimat-i hayriye – სასარგებლო ცელილებები. საქმე ეხება ეპოქას, რომელშიც მნიშვნელოვანია კანონი და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვა. თავად სიტყვა არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ეს ლექსიკონშია მოცემული (Tanzim – მოწყობა), არამედ ისე, როგორც მას იმ ეპოქაში იყენებდნენ. თანზიმათი გულისხმობის არამარტო რეორგანიზაციას, არამედ აღნიშნავს მთლიანად ქვეყნის ცხოვრების ახლებურად მოწყობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – განსახორციელებული ცელილებების დაკანონებას.

მე-19 საუკუნე, ევროპული ქვეყნების მიერ აღმოსავლური ქვეყნების, მათ შორის, ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური „ტყვეობის“ საუკუნედ არის მიჩნეული (Kurdakul ,1986:13). 1838 წელს ოსმალეთის იმპერიასა და ინგლისს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულებით ქვეყანაში ევროპული კაპიტალის მოდინება დაიწყო. ამან ადგილობრივი მეწარმეების გაპოტრება და გაქრობა გამოიწვია. ეკონომიკის სფეროში დანერგილმა ლიბერალურმა სისტემამ და კაპიტალიზაციამ სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნამიქ ქემალი ამ მდგომარეობას შემდეგნაირად აფასებდა: „ჩვენ ისევე, როგორც სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკაშიც საკუთარ ცხიმში მოვიხრავთ. გვქონდა სახელოსნოები, რომლებიც ჩვენს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, 20-30 წელიწადში მათი კვალიც აღარ დარჩა. ამის მიზეზი კი ეჭვგარეშეა, რომ ევროპის ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულება და მათთვის მიცემული ვაჭრობის თავისუფლებაა“ (Kurdakul ,1986:14).

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიის დასავლეთისაკენ კურსის აღებას საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. მათი კმაყოფილება თუ უკმაყოფილება კარგად არის ასახული მათსავე შემოქმედებაში. ²¹ „მცდარი გაეგრობელების“ თემა არაერთი მწერლის შემოქმედებაში იჭერს მნიშვნელოვან ადგილს. ოსმალეთის იმპერიის იმდროინდელ მდგომარეობას ევროპელი მკვლევრები „ავადმყოფ ადამიანს“ ადარებენ, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ცვლილებები. თუმცა სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული დირებულებების დანერგვამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა როგორც იმპერიის პოლიტიკურ, სოციალურ,

²¹ თურქეთში საგანმანათლებლო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ისტორიული განვითარების სპეციფიკაზეა დამოკიდებული. რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებზე, არასტაბილურობის განცდის ქმნიდა ქვეყანაში. თურქელი ბურჟუაზია, ერთი მხრივ, ცდილობდა, ბრძოლა ეწარმოებინა ფეოდალიზის წინააღმდეგ და ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში შეენარჩუნებინა ქვეყნის მთლიანობა, მეორე მხრივ კი იგი ცდილობდა, თავი დაედწია ევროპული კოლონიზაციისათვის. ამან კი განაპირობა ის ამბივალენტური დამოკიდებულება, რასაც თურქეთი დასავლეთის მიმართ იჩენდა. ერთი მხრივ, ის ქედს იხრიდა ევროპის მეცნიერული, კულტურული, ლიტერატურული პროგრესის წინაშე, მეორე მხრივ, თავიდან გაუცნობიერებლად, შემდგა კი შეგნებულად დასავლეთს მტრად აღიქვამდა. თურქეთის ბურჟუაზია აპელირებდა ისლამით. ისლამს ისინი დასავლეთის ანგქისური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ იარაღად განიხილავდნენ, რაც აბსოლუტივიზმის დამარცხების საშუალებასაც წარმოადგენდა.

ეკონომიკურ, გულტურულ ცხოვრებაში, ისე საზოგადოების აზროვნებაში. დასავლეთში, კერძოდ კი საფრანგეთში, განათლებამიღებული ახალგაზრდები ახალი იდეებით ბრუნდებოდნენ სამშობლოში და მისი წინსვლისა და განვითარების ახლა გზებს სახავდნენ.

1839 წლის 3 ნოემბერს რეშიდ ფაშას მიერ გამოცხადებულმა თანზიმათის დეკრეტმა ძირეული ცვილებები მოუტანა ქვეყანას. დეკრეტში მოცემული იყო მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ქვეყნის ლიბერალიზაციას შეუწყობდა ხელს. დეკრეტი ითვალისწინებდა სიცოცხლის, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, ადამიანის ღირებულებების პატივისცემას, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას. დეკრეტში გატარებული იყო მნიშვნელოვანი იდეა მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ. ბოლო უნდა მოღებოდა ცუდ მმართველობას, მუსლიმებს და არამუსლიმებს უნდა ესარგებლათ თანაბარი უფლებებით.²² ახალგაზრდა თურქების საფრანგეთში განათლების მიღებამ, 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებმა, რა თქმა უნდა, დააჩქრა ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაციის პროცესი. „ახალი ოსმალების საზოგადოება“ მოითხოვდა ადამიანის უფლებებზე, ხელისუფლების ჰეგემონიის შეზღუდვაზე, პიროვნული ღირსების დაცვაზე ორიენტირებული კონსტიტუციის შექმნას. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საგანმანათლებლო დაწესებულებები. კლასიკური პერიოდისაგან განსხვავებით განათლებას ახალგაზრდები მედრესეებში აღარ იღებდნენ. ²³ ხელისუფლებას სჭირდებოდა ისეთი სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მათზე დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევდნენ. საქმე ეხებოდა საზოგადოებაში ევროპეიზაციის შესახებ იდეოლოგიის გატარებას.

²² მუსლიმებისა და არამუსლიმებისთვის თანაბარი იურიდიული უფლებების მინიჭებამ ისლამის პრინციპებზე დამყარებულ სახლმწიფოსა და საზოგადოებრივ სტრუქტურასაც დიდი დარტყმა მიაყენა. თანასწორობის იდეას უფრო მეტი ძალა რომ პქონოდა, 1856 წლის 18 თებერვალს გამოიცა დეკრეტი რეფორმების შესახებ (Hattihümayun). რეფორმების განხორციელებაში ყველაზე დიდ დაბრკოლებას სწორედ რელიგიური ასპექტები ქმნიდა.

²³ ოსმალეთის იმპერიაში განათლების ოთხი ფორმა არსებობდა. განათლების სახეობები სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდა და მეთოდებიც განსხვავებული პქონდა. Enderun – წარმოადგენდა სასახლის კარზე არსებულ საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც სახელმწიფო მმართველებს ამზადებდნენ. Kalem – სახელმწიფო კანცელარია, Dergâh (საგანე) და ბოლოს – Medrese

მე-19 საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობისას თითქმის ყოველთვის მახვილდება ყურადღება ადმინისტრაციულ, ფინანსურ, სამხედრო და ენის გამარტივების რეფორმებზე. ნაკლები ყურადღება ექცევა ქალთა საკითხეს. მაშინ, როცა ოსმალეთის იმპერიაში ქვეყნის ბეჭის განსაზღვრაში, საზოგადოებრივი სტრუქტურის მოწყობაში, დასავლეთოან ურთიერთობის ავკარგიანობის, განათლების, ოჯახის, ქალებისათვის იურიდიული, ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებების მინიჭების, საზოგადოებაში ქალის ადგილისა და ქალის, როგორც პიროვნების, განსაზღვრის საქმეში საკუთარ მოსაზრებებს იმ პერიოდის გამოჩენილი ქალები გამოთქვამდნენ. ოსმალეთის იმპერიაში ქალთა მოღვაწეობას სათანადო ყურადღება დათმობილი არა აქვს. პირიქით, თავად იმ ეპოქის ინტელიგენციაც კი ქალთა ნებისმიერ წამოწყებას არასერიოზულად აღიქვამდა და დასცინოდა კიდეც მათ. ქალთა უფლებების შესახებ ხშირად აღნიშნავენ, რომ „თურქეთში ქალთა უფლებების განხილვა დაიწყო რესპუბლიკის პერიოდში, ქალების მხრიდან კი არანაირი სახის მოთხოვნა არ იყო. სწორედ ამიტომ მათ მინიჭებული უფლებები არ დაუმსახურებიათ“ (Çakır, 2011:21). მარათალია, ქალთა უფლებებზე აქტიური გამოსვლები რესპუბლიკის პერიოდის თურქეთში დაიწყო, მაგრამ ქალთა მოძრაობას უფრო შორს წასული ისტორია აქვს. 1913 წელს ურნალში „Kadınlar Dünyası“ („ქალთა სამყარო“) იწერებოდა: „უკანასკნელ პერიოდში ოსმალო ქალებმა ყველას დაანახვეს საკუთარი არსებობა. ყოველ წამს გვესმის მათი კვნესანარევი ხმა, ჩვენ ვარსებობთ, ვიღვიძებთ, ფეხზე ვდგებით, გზა გვაჩვენეთ... მიგვაჩნია, რომ ჩვენი ცხოვრება კარგი ცხოვრება არ არის. დღეიდან ქალი ასე ვედარ იცხოვრებს. ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ“ (Çakır, 2011:53).

ოსმალეთის იმპერიაში ფემინისტური მოძრაობის, ქალთა მდგომარეობის და, ზოგადად, ფემინისტური მოძრაობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევის საუკეთესო წყაროს იმ პერიოდში გამოცემული ურნალ - გაზეთები და ქალთა ორგანიზაციები წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქალებმა საკუთარი არსებობის შესახებ განაცხადი ბეჭდური მედიის საშუალებით გააკეთეს. ქალთა მიერ გამოცემული ურნალები პირველი ნაბიჯია წერასთან დაკავშირებული შიშისა და გაუბედაობის გადალახვის გზაზე. გარდა ამისა, ქალებს სტატიების მეშვეობით საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება და საზოგადოების ფართო წრეებისათვის საკუთარი სურვილების გაცნობის შესაძლებლობაც მიეცათ.

თავდაპირველად ქალთა ჟურნალ-გაზეთების გამოცემას იმ პერიოდის განათლებული მამაკაცები უზრუნველყოფდნენ. ამ გამოცემების მთავარ მიზანს საზოგადოებაში ქალის როლის და უფლება-მოვალეობის შესახებ საკითხის დასმა წარმოადგენდა. 1868 წელს გამოცემულ გაზეთ „Terakki-i“-ში („პროგრესი“) ქალთა საკითხის შესახებ ანონიმური წერილები დაიბეჭდა. გაზეთის 104-ე ნომერში „სამი ქალბატონის“ ფსვედონიმით დაბეჭდილ წერილში გამოხატული იყო ის გულისტკივლი, რომელიც საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებების განაწილებით არის გამოწვეული. ავტორი (ავტორები) გემზე არსებულ მდგომარეობას აკრიტიკებდა. გემზე ქალებისათვის განკუთვნილი ნაწილი, მამაკაცების ნაწილისაგან განსხვავებით, ძალიან ცუდი იყო იმის მიუხედავად, რომ მგზავრობის საფასური არ განსხვავდებოდა. გამოცემის თვალსაზრისით ქალთა პირველი გაზეთი „Terakki-i Muhadderât“²⁴ („ქალთა პროგრესი“) შინაარსით და გამოხატვის სტილითაც იმ პერიოდს და, ზოგადად, ქალთა მდგომარეობას აკრიტიკებდა. წერილში, რომელიც რაბიას ხელმოწერით დაიბეჭდა, განმარტებული იყო თავად ქალის ცნება: „ერთი რამ კარგად უნდა გვესმოდეს: არც მამაკაცები არიან ქალების მსახურები და არც ქალები – მამაკაცების მოახლეები. მამაკაცები თავისი ცოდნითა და საქმით უძღვებიან ოჯახს, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ცოდნის შეძენა?! ხელი, ფეხი, თვალი, ჭკუა ჩვენც ისევე გვაქვს, როგორც მამაკაცებს. მაშ, რა განსხვავებაა ჩვენ შორის, განა ჩვენ ადამიანები არ ვართ? მხოლოდ სქესია იმის საფუძველი, რომ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ? ეს არანაირად არ არის სადი აზრით მისაღები. თუ ცოდნის შეძენის მთავარ დაბრკოლებად ჩვენი ჩადრის ტარებაა მიჩნეული, ამის პასუხად მინდორში მომუშავე ქალები შეიძლება დავასახელოთ, ვინაიდან ისინი მამაკაცებს ყველაფერში მსარში უდგანან და ეხმარებიან“ (Çakır, 2011:62). 1875 წელს გამოცემული გაზეთი „Vakit, yahut Mürebbi-i Muhadderât“ („დრო, ანუ აღმზრდელი ქალები“), იმავე წელს გამოცემული ჟურნალი „Ayine“ („სარკე“) ძირითადად ქორწინების საკითხს, მეუღლების უფლება-მოვალეობებს, ბავშის აღზრდასა და ჯანმრთელობის საკითხებს აშექებდა. 1880 წელს გამოიცა ჟურნალი „Aile“ („ოჯახი“), რომელშიც თითქმის ყველა წერილი მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, გამოჩენილ ლექსიკოგრაფს შამსედდინ სამის ეკუთვნის. 1883 წელს გამოცემული ჟურნალი „İnsaniyet“ („კაცობრიობა“) ჟურნალ „Aile“-ს („ოჯახის“)

²⁴Muhadderât – სიმწიფის ასაკს მიღწეული მუსლიმი ქალი

მსგავსად ქალების სხვადასხვა საკითხში ინფორმირებას ისახავდა მიზნად. ენციკლოპედიური ცნობების გარდა, ჟურნალში საუბარი იყო კალენდარსა და ვარსკვლავთა სისტემაზე. ჟურნალის რედაქტორის, მაჟმუდ ჯელალედინის, წერილების გარდა, ქალების მიერ სხვადასხვა ფსევდონიმით გამოგზავნილი წერილებიც იბეჭდებოდა. “სკოლის მოსწავლე გოგონას” სახელით დაბეჭდილ წერილში მოთხოვნილი იყო ქალების მიერ გამოგზავნილი წერილების დაბეჭდვა. ჟურადსადებია ერთი გარემოება: წერილში ახსნილი იყო მიზეზები, რომელთა გამოც ქალების წერილებს მნიშვნელობას არავინ ანიჭებდა და ამიტომ ისინი იძულებულები იყვნენ, მამაკაცთა სახელით გამოექვეყნებინათ წერილები. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. 1886 წელს გამოცემული ჟურნალი *Şükûfezar* „ყვავილების ბაზი“ ქალთა პირველი ჟურნალია, რომელშიც ყველა ავტორი მამებისა და ქმრების სახელების ნაცვლად საკუთარ სახელს იყენებს. ჟურნალის მიზანი შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „ჩვენ, მამაკაცთა განსაზღვრებით, გრძელ თმიანი და მოკლე ჭკუის მქონე ჯგუფს წარმოვადგენთ, ჩვენ კი გვინდა მათ საპირიპირო დავუმტკიცოთ...“(Çakır ,2011:55). 1887 წელს გამოცემული გაზეთში *“Mürüvvet”* („დიდსულოვნება“) გაშუქებული იყო როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკის, ლიტერატურის, განათლების საკითხები, ისე საზღვარგარეთ მიმდინარე პროცესები. ჟურნალი „დიდსულოვნება“, რომელიც გაზეთ „დიდსულოვნების“ დამატებას წარმოადგენდა, ქალების კულტურის სფეროში ცოდნის ამაღლებას, საზღვარგარეთ ქალების ცხოვრების აღწერასა და ოსმალო ქალებისათვის გაცნობას ისახავდა მიზნად. პოეტი ქალების, ნიგარ ჰანიმის, ლეილა ჰანიმის და ფითნათ ჰანიმის შემოქმედებას მკითხველი პირველად ამ ჟურნალის მეშვეობით გაეცნო. 1895 წლის 1 აგვისტოს დაარსდა გაზეთი *“Hanimlara Mahsus Gazetesi”* („ ქალთა გაზეთი“), რომლის გამოცემას უპირატესად ქალები წარმართავდნენ.²⁵ გაზეთის მთავარი რედაქტორები მამაკაცებთან ერთად ქალებიც იყვნენ. მაგალითად, მაკბულე ჰანიმი, ფათმა შადიქ, გულისთან ისმეთი. გაზეთი სხვა ჟურნალ-გაზეთებთან შედარებით არსებობის 13 წელს ითვლიდა.

²⁵ გაზეთის წევრებს იმ პერიოდის ინტელიგენციის წარმომადგენლების შვილები ან მეუღლეები წარმოადგენდნენ: ფატმა ალიქ და ემინე სემიქ ისტორიკოს ჯვევლეთ ფაშას ქალიშვილები იყვნენ, პოეტი ნიგარ სმანი, სამხედრო სკოლის დირექტორის თსმან ფაშას ქალიშვილი იყო, პოეტი ლეილა (საზი) ექიმ ისმაილ ფაშას ქალიშვილი იყო, ჰამიდე მწერალ აბდულჰაკ ჰამიდის ქალიშვილი იყო, გულისტან ისმეთი, ბადდადელი მაიორის მფრიდ თევფიქ ბეის ქალიშვილი იყო. გულისტან ისმეთს ამერიკული ქალთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

გაზეთში დაიბეჭდა ცნობილი, პირველი თურქი რომანისტი ქალის, ფატმა ალიეს, ნაწარმოებები. აგერთვე, ემინე სემიეს და პოეტ ნიგარ ჰანიმის პოეზიის ნიმუშები.

გაზეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა იმ პერიოდის განათლებული მამაკაცების მიერ საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს. გაზეთის მთავარ მიზანს, „თაობის აღზრდასთან“ ერთად, ქალების ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებისა და ქალის ურთიერთობის დარეგულირება წარმოადგენდა. „ერი ოჯახის ერთიანობით წარმოიშვება. თუ ოჯახში მხოლოდ მამაკაცია ცოდნით აღჭურვილი და ქალი – არა, ის ოჯახი და საზოგადოება წინ ვერ წავა. რაც უფრო განათლებულია ქალი, მით უფრო ნათელი მომავლის აღზრდა შეუძლია. ეს ნათელი მომავალი კი ერის პროგრესის საწინადრია“ (Çakır, 2011:68). გარდა ამისა, გაზეთი მნიშვნელოვან უურდლებას უთმობდა იმ პერიოდის ინტელექტუალი ქალების შემოქმედების გაშუქებას, რითაც ცდილობდა საზოგადოებისთვის ოსმალო ქალების ნიჭიერება და შემოქმედებითი უნარი დაენახვებინა. „ჩვენი მიზანი, ორი სიტყვით რომ გადმოგცეთ, შემდეგია: ოსმალო ქალები დაბადებიდანვე ნიჭიერები არიან. მათი ეს ნიჭიერება და ნააზრევი საზოგადოებამაც უნდა გაიგოს“ (Çakır, 2011:68). იმის აღნიშვნა, რომ გაზეთი მხოლოდ ქალის, როგორც კარგი დედის, როლის განსაზღვრით შემოიფარგლებოდა, სიმართლეს არ შეეფერება. პირიქით, ხშირად ქალების მდგომარეობას მამაკაცის მდგომარეობასთან ადარებდნენ და დისკრიმინაციის მთავარ მიზეზად საზოგადოებაზე მამაკაცთა გავლენას ასახელებდნენ. ამის ნათელი ნიმუშია მწერლის, ფატმა ალიეს, მიერ გამოთქმული მოსაზრება: „ნათლად ჩანს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ცოდნასა და მეცნიერებას ჯერ მამაკაცები ეზიარებიან, შემდეგ კი – ქალები. გაიგებენ რა ცოდნის ძალას, მამაკაცები ცდილობენ, ეს საუნჯე ქალებისათვის მიუწვდომელი გახადონ. ეს კი მამაკაცთა ეგოისტობის ბრალია. ეს ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასეა, თუმცა ცოდნის მიღების უფლება არა მხოლოდ მამაკაცებს, არამედ ქალებსაც აქვთ, ვინაიდან ეს უფლება მათ ღვთისგან ენიჭებათ“ (Çakır, 2011:69).

სამწერლობო სფეროში ქალების და, მით უფრო, ოსმალო ქალების გამოცდილების შესახებ ინფორმაციას საზოგადოების მცირე ნაწილი ფლობს. ფატმა ალიეს განცხადებით, გასულ საუკუნეებში ოსმალო ქალებმა ამ კუთხით დიდ წარმატებას მიაღწიეს. ამის ნათელი მაგალითია კვლევა ”ცნობილი

ისლამისტი ქალების“ შესახებ, რომელზეც თავად ფატმა ალიე მუშაობდა. მისი თქმით მე-13 საუკუნეში დაახლოებით ასამდე მუდერისი²⁶ ქალი მოღვაწეობდა. აგრეთვე იყვნენ თექეს (დერვიშთა სავანე) შეიხი (მეთაური) ქალებიც. ფატმა აბასის თექე დღევანდელი ქალთა თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა. თავად მწერალი გამოთქამდა გაკვირვებას ამ ყველაფრის შესახებ: „თავად ევროპაშიც კი იმ ეპოქაში ასეთი ქალები არ არსებობდნენ“, წერს მწერალი (Çakır, 2011:71). ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ ფატმა ალიე აკეთებდა დასკვნას, რომ ისლამი არ ზღუდავს ქალს განათლების მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაში. „Hanimlara Mahsus Gazetesi“-ში („ქალთა გაზეთი“) ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ქალის როლსა და ფუნქცია-მოვალეობებზე ოჯახსა და საზოგადოებაში; აგრეთვე, ქალთა განათლების, სამოსის, ჯანმრთელობასა და მოდის საკითხებზე. გაზეთი ცდილობდა, ქალებს საკუთარი თავისადმი რწმენა გამძაფრებოდათ. ქალების ძირითად საქმიანობად კი სამკერვალო, საქსოვი საქმიანობა იქნა მიჩნეული. გაზეთში ყურადღება მახვილდებოდა საზღვარგარეთ მიმდინარე პროცესებზე. ქალების უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლას დიდი ყურადღება ექცეოდა. მაგალითად, საფრანგეთში ქალების მიერ ადვოკატობის უფლების მოპოვებას გაზეთის მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთმა დიდი ინტერესი დაიმსახურა არა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიაში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, მაღამ დურანი მონტილამ თავად გამოთქა სურვილი, ყოფილიყო პარიზში გაზეთის კორესპონდენტი.

1908 წელს II კონსტიტუციური მმართველობის პერიოდში გაზეთებისა და უურნალების რიცხობრივი რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ყველაზე ცნობილ უურნალში “Demet” („თაიგული“) პირველად იქნა გაშუქებული პოლიტიკური საკითხები. უურნალის მთავარი მიზანი ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური საკითხების გაშუქება იყო. უურნალში ადგილი ეთმობოდა მკითხველის მიერ გამოხატულ პროტესტსა თუ მოსაზრებას“ (Çakır, 2011:74).

²⁶ სიტყვა აღნიშნავს „გაპვეთილის ჩამტარებელს“. მუდერისი განსაზღვრავდა სწავლის პროცესს მედრესეში და პასუხს აგებდა მასზე. ოსმალეთის იმპერიაში მუდერისები დიდი ავტორიტეტით სარგებლოდნენ. ამის საფუძველს კი ისლამში მასაწვლებლისათვის მინიჭებული მაღალი შევასება წარმოადგენდა.

Şüren-nağ-şı o bęk-łęd-je-bən-də o m პერიოდის ცნობილი მწერლების წერილები.²⁷ ისმეთ პაკი შურნალ “Demet”-ის („თაიგულის“) გამოსვლამდე გაზეთ “İkdam”-ში („პროგრესი“) წერდა: „რა მონაწილეობას მივიღებთ ჩვენ ქვეყნის პროგრესში, ისევ ძველებურად უნდა მოვუდრიკოთ თავი მწუხარებასა და უუფლებობას? არა და არა, საკმარისად ვიტანჯეთ, ადარ გვინდა ჩრდილში ყოფნა“ (Çakır, 2011:75). ქალების ავტორობით დაწერილი წერილები სხვადასხვა გაზეთებსა და შურნალებში გვხვდება, მაგალითად, “Serveti-Fünun” -ში (“ცოდნის საგანძურო“), “Sabah” -ში („დილა“), “Millet” -ში („ერი“). რაც შეეხება შურნალს “Mehasin” (“მშვენიერება“): იგი იყო პირველი ილუსტრირებული ქალთა შურნალი. ²⁸ 1908 წლის მაისში სელანიკში გამოვიდა შურნალი “Kadin” („ქალი“). შურნალის მესვეურები იმ დროის ინტელექტუალი ქალები იყვნენ. მაგალითად: აიშე ისმეთი, ჯავიდე ფეიქერი, ემინე სემიე, ფატმა სანიე, ზექიე, ფატმა ჰაშიმი, ნაქიე. პოლიტიკისა და ლიტერატურის სფეროში წერილებს აბდულჰაკ ჰამიდი, მეჰმეთ ემინი, ქაზიმ ნამი, აბდულჰაკ ჯევდეთი ბეჭდავდნენ. შურნალში აქცენტი კეთდებოდა ქალების განათლებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უსამართლობაზე, რომელსაც ქალები საზოგადოებაში აწყდებიან. ყურადღების მიღმა არც ევროპელი ქალების მიერ მოპოვებული უფლებები რჩებოდა. მაგალითად, საფრანგეთში ქალების მიერ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების უფლების მოპოვება დიდ მონაპოვრად იქნა მიჩნეული. ეს შურნალ-გაზეთები მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ოსმალეთის იმპერიაში ქალთა აქტივობისა და მოღვაწეობის შესახებ ცოდნის მოპოვების კუთხით. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ქალთა მოძრაობის ნათელ სურათს გვიხატავს, 1913 წელს გამოცემული შურნალი “Kadınlar Dünyası”²⁹ („ქალთა სამყარო“) წარმოადგენს. შურნალი ფემინისტური ორგანიზაციის “Osmanlı Müdafaa-i Hukuk-ı Nisvan Cemiyeti” -ის („ოსმალო ქალების

²⁷ ჯელალ საჰირი, მეჰმეთ აქიფი, მეჰმეთ ემინი, მიდჰათ ჯემალი, ფატმა მუზფერი, ჰალიდე ედიფი, ნიგარ თსმანი, ისმეთ ჰაქი.

²⁸ შურნალი გამოირჩეოდა სხვადასხვა წამახალისებელი აქციების თაოსნობით. მაგალითად: მეტი მყიდველისა და მქითხველის მოზიდვის მიზნით ლაბარიას ათამაშებდა. ლაბარიაში გამარჯვებული კი პარიზელი იუველირის მიერ დამზადებულ ალმასს მიიღებდა.

²⁹ თავად შურნალის დასახელება შეგნებულად იქნა შერჩეული. საზოგადოებას უნდა დაენახა, რომ არსებობდა ქალთა სამყარო და სურვილი, თუ როგორი უნდა იყოს იგი. შურნალი ოსმალურიდან თანამდროვე თურქულ ენაზეა თარგმნილი და ინახება ქალთა შემოქმედების ბიბლიოთეკაში, ქალაქ სტამბოლში.

უფლებების დამცველი საზოგადოება“) საგამომცემლო ორგანოს წარმოადგენდა. უურნალმა სრულიად განსხვავებული მისია იტვირთა. მან ქალებისათვის სამყაროს ახლებურად დანახვისა და საკითხების ქალის თვალსაზრისით გაანალიზების მეთოდს მიმართა. აღსანიშნავია ერთი გარემოება: უურნალ „Kadınlar Dünyası“ „ქალთა სამყაროს“ მსგავსად გამოდიოდა უურნალი Erkekler Dünyası“ („მამაკაცთა სამყარო“), რომლის მიზანი იყო ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის შესახებ წერილებისა და სტატიების წერა. „ქალთა სამყარო და მამაკაცთა სამყარო თანდათან უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს და შექმნას ადამიანთა საერთო სამყარო... ჩვენ მხოლოდ ადამიანთა სამყაროს ნახვა გვინდა, ამისათვის კი ქალისა და მამაკაცის ერთ დონზე დაყენებაა საჭირო, აი ამ მიზნის მისაღწევად ძალ-ღონებს არ დავიშურებთ“³⁰ (Çakır, 2011:85). უნდა ითქვას, რომ იმ დროის ოსმალეთის იმპერიაში, როდესაც ქალთა საკითხის განხილვაში იმ პერიოდის ინტელიგენციის სფეროს წარმომდგენლებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, მამაკაცთა მხრიდან ასეთი პროგრესული ნაბჯის გადადგმა უდავოდ მისასალმებელი ფაქტია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უურნალ „Erkekler Dünyası“ („მამაკაცთა სამყარო“) დაამარსებელი და რედაქტორი, რიფათ მევლანი, უურნალ „Kadınlar Dünyası“-ის გამომცემლის, ულვიე მევლანას მეუღლეა, უურნალის პროგრესულობა გაკვირვებას აღარ იწვევს. უურნალში იბჟდებოდა ქალთა საკითხებე საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან მოსული წერილები და შეხედულებები. უურნალი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმ დროის ოსმალეთის საზოგადოებრივ სტურქურაზე, პოლიტიკაზე, განათლების, სამართლის სისტემაზე და ოჯახზე. უურნალის მფლობელი და უურნალის წევრები მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენები იყვნენ.³¹

³⁰ უურნალი „Erkekler Dünyası“, მამაკაცთა სამყარო „, გამოვიდა 1914 წლის 14 დეკემბერს, და მისი მხოლოდ ერთი ნუსხა ინახება ბიბლიოთეკაში. უურნალის ყდაზე ეწერა: „ჩვენი უურნალი დააა ოსმალო ახალგაზრდების, ქალების მეცნიერული და ლიტერატურული ნაშრომებისათვის.

³¹ მიუხედავად იმისა, რომ უურნალში მოუშავე ქალების სურათი არსებობს, მათი ვინაობის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება, თუმცა წერის სტილით რამდენიმე ქალის ვინაობის დადგენა შესაძლებელია. მაგალითად: ულვიე მევლანი, აზიზ ჰაიდარი, ემინე სეპტემბერ ალი, მუქერემ ბელქიზი, ატიგ შექრანი, ალიქ ჯევადი, სიდიქა ალი რიზა, საფიქ ბირან, მელიქა ჯენანი...

ქურნალის მფლობელი გახლდათ ულვიე მევლანი. ³² ულვიე მევლანმა არა მხოლოდ ქურნალი, არამედ ქალთა დახმარების ორგანიზაციაც დაარსა. იგი ქალთა საკითხს იკვლევდა და გადასაჭრელი პრობლემების გზებსაც სახავდა; საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობას კი შემდეგნაირად აღწერდა: „ჩვენ გარშემო მყოფი მამაკაცები ქალებს „ქალად“ კი- არა, გარეულ არსებად აღიქვამენ. ეს საცოდავი არსება როგორც სახლში, ისე მის გარეთაც, მატარებელში, გემზე, სასადილოში, სავაჭრო ადგილებში შეურაცხყოფისა და შერცხვენას თავს ვერ აღწევენ“ (Çakır, 2011:140). ქურნალი ფემინისტური იდეების გამტარებელი იყო და რადიკალიზმით გამოირჩეოდა. წევრების მხოლოდ ქალებისგან დაკომპლექტებას ისინი შემდეგნაირად ხსნიდნენ: „სანამ ჩვენი კანონები ქალის და მამაკაცის თანასწორობას არ აღიარებენ ქურნალი მამაკაცთათვის დახურული იქნება“ (Çakır, 2011:67). ულვიე მევლანი, მუქრემ ბელქიზი და ნიმეთ ჯემილი, პოეტი იაშარ ნეზიჰე ქალთა უფლებების, ფემინიზმის და სოციალური სფეროს საკითხებს აშექებდნენ. პოეტი იაშარ ნეზიჰე ქურნალის სხვა წევრებისაგან განსხვავებით დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთნებოდა. განათლების მიღების სურვილის გამო მამამ იგი სახლიდან გააგდო და თავს ყვავილების გაყიდვით ირჩენდა. ლექსების კრებულებში „ერთი კონა ია“ და „ამოძახილი“ პოეტი ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანების საკითხებზე ამახილებდა უურადღებას. იაშარ ნეზიჰე პირველი პოეტი ქალია, რომელიც საზოგადოებრივ საკითხებზე წერს. მუქრემ ბელქიზი აქტიურად ეწეოდა ფემინისტური იდეების ქალებისათვის გაცნობასა და გაზიარების პროპაგანდას. იგი ქალებს რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. მისი აზრით ქალები მხოლოდ ერთობით შეძლებდნენ გამარჯვებას. იგი ქურნალის ფურცლებიდან ქალებს მეტი აქტიურობისგან მოუწოდებდა: „ერთად ვიფიქროთ, ამ მომაკვდინებელი ცხოვრებისგან განთავისუფლების გზები დავსახოთ.

³² ნურიე ულვიე (1893-1964) ქურნალისტ რიფატ მევლანზე დაქორწინების შემდეგ ულვიე მევლანის სახელითა და გვარით ბეჭდავდა სტატიებს. მევლანაზადე რიფატი (1869-1930) იმ დროის განათლებული ქურთული წარმომავლობის ქურნალისტი იყო. ნურიე მევლანი წარმოშობით ჩერქეზი იყო. 1864 წელს რუსების მიერ კავკასიოდან გამოსახლებული ოჯახი ტრაპიზონში ჩამოვიდა. ოსმალო ფადიშაპებმა ჩერქეზების ერთ ნაწილს ადგილი ბალიქესირის მხარეს, გორემეში, გამოუყო, მეორე ნაწილს კი – ჰათაის მხარეს. ნურიეს ოჯახი ჰათაიში დასახლდა, გოგონების მოტაცების შიშით ოჯახმა მათი სასახლეში მიბარება მოითხოვა. ნურიე 6 წლის ასაკში ილდიზის სასახლეში მიაბარეს. სასახლეში დაარქევს ულვიე. 13 წლის ასაკში მასზე გაცილებით უფროსს, აბდულჟამილის მადნაფიც, ჰათაის ბეის მიათხოვეს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისგან დატოვებული ქონებით ქურნალი „ქალთა სამყაროს“ გამოცემა დაიწყო.

ამგვარი სახით ადამიანურ ვალს მოვიხდით. ჩვენ ხომ რევოლუციისათვის მოვედით... ვიმუშაოთ, ერთად დავდგეთ, მცდარ ტრადიციებსა და უკანონობას ბოლო უნდა მოეფოს“ (Çakır, 2011:100). ბელქიზ შევქეთი ინგლისურის, ისტორიისა და მუსიკის მასწავლებელი იყო. იგი იყო პირველი მუსლიმი ქალი, რომელიც თვითმფრინავში ჩაჯდა და რომლის სურათიც გამოქვეყნდა. ოსმალო ქალებს ღრმად სჯეროდათ, რომ ისინი ქალთა ცნობიერებაში „გადატრიალებას“ მოახდენდნენ. ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის მცონდე ქალი ძალიან ცოტა იყო, უურნალ-გაზეთები, რა თქმა უნდა, „გადატრიალების“ საუკეთესო საშუალება ვერ იქნებოდა. მიზნის განხორციელების საუკეთესო გზად ქალებთან უშესალო შეხვედრები და ქალთა საკითხის ირგვლივ კონფერენციის მოწყობა იქნა მიჩნეული. „ჩვენ რევოლუციას მოვაწყობთ, ამ საკითხზე ჩვენი განათლებული ქალები უკვე მუშაობენ. მაგრამ რამდენი განათლებული ქალია ჩვენს ირგვლივ?! ძალიან ცოტა. ან რამდენმა იცის წერა-კითხვა? მცირე ნაწილმა. ამ მცირე ნაწილიდან ნახევარი ჩვენი წინააღმდეგია. იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა განათლებული და გაუნათლებელი ქალების ერთად ყოფნა, ეს კი ძალიან ძლიერი ძალაა. ყველა ოჯახში მივიღეთ, ქალებს ახალი მოძრაობის შესახებ ვუამბოთ, ვასწავლოთ, ვაჩვენოთ, რომ ეს მოძრაობა მათთვის სიკეთის მომტანია და თუ ზოგიერთი ოჯახი ცუდად მიგვიღებს, ისევ და ისევ ვეცადოთ მათთან საერთო ენის გამონახვას. მხოლოდ ამ გზით შვეძლებთ გამარჯვების მოპოვებას“ (Çakır: 2011:193).

უურნალი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქალებისათვის სიახლეების გაცნობას და მათ გამოღვიძებას არ ისახავდა მიზნად. თავად ის ფაქტი, რომ უურნალის დამატებითი ნომერი ფრანგულ ენაზე გამოდიოდა, უკვე მეტყველებდა უურნალის საერთაშორისო ასპექტზეც. დამატებითი ნომრის ფრანგულ ენაზე გამოცემა შემდეგნაირად იყო ახსნილი: „ჩვენი მიზანია, ჩვენს ევროპელ და მუსლიმ მეგობრებთან დიალოგი“ (Çakır, 2011:135). უურნალში სტატიებს ბეჭდავდნენ ევროპის გაზეთებში კორესპონდენტად მომუშავე ქალები, მაგალითად: ოდეტა ფელდმანი, რომელიც გაზეთ „Berliner Tageblatt“-ის („ბერლინური დღის გაზეთი“) კორესპონდენტი იყო, გრეის ელისონი, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა სტამბოლში და ქალთა საკითხის კველვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი იყო გაზეთ Times-ის („დრო“) კორესპონდენტი და აქტიური სუფრაჟისტი. ევროპულ პრესასთან კავშირი ფემინისტური იდეების დანერგვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. უურნალის მოვარი უპირატესობა

კველა სხვა დანარჩენი გაზეოთსა და უურნალთან მიმართებაში ის იყო რომ, სწორედ მან დაიწყო აქტიური ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, მან მოამზადა ნიადაგი ქალთა მოძრაობისათვის და, რაც მთავარია, ოსმალო ქალების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს სწორედ ეს უურნალი იძლევა. უურნალის მოღვაწეობა იმდენად ლია და აქტიური იყო, რომ იმ დროის განსახლების მინისტრი ბათზარია ეფენდი უურნალში „Jön Türk“ („ახალგაზრდა თურქი“) წერდა: „უურნალი “Kadınlar Dünyası” („ქალთა სამყარო“) ფემინისტური მოთხოვნების განხორცილების მთავარი იარაღია... ჩვენს ქვეყანაში ქალების გამოღვიძება მართლაც რომ სასიამოვნო ფაქტია, ვინაიდან ინტელექტი, ჭკუა და გონება მხოლოდ მამაკაცის თვისება არ არის. მსოფლიოში არსებობენ ისეთი ქვეყნები, სადაც ლიტერატურა ქალების საქმედ არის მიჩნეული“ (Çakır, 2011:145). თავდაპირველად, უურნალის პირველ ნომერში აღნიშნული იყო, რომ მის მთავარ მიზანს ევროპელი და ამერიკელი ქალების მიერ გაკვალულ გზაზე სიარული, ქალების და ზოგადად, ქალთა საკითხთან დაკავშირებული წერილების წერა იყო. „ევროპელი და ამერიკელი ქალები ქალების შესახებ წერენ წიგნებს, კამათობენ მისი ადგილისა და როლის შესახებ. უფრო მეტიც, ევროპელი ქალები კანონის ძალით მოითხოვენ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას“ (Çakır, 2011:146). ევროპელი ქალების გამოცდილების გაზიარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ოსმალო ქალების მიერ წარმოებულ გონივრულ ბრძოლაში. თავად ის ფაქტია ყურადღების ღირსი, რომ ოსმალო ქალები არა მარტო საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში არიან. უურნალის მფლობელის და რედაქტორის, ულვიე მევლანის აზრით, უკვე დამდგარი იყო იმის დრო, როცა ქალებს უნდა შევხედოთ არა როგორც „მომხმარებლებს“, არამედ როგორც „მწარმოებლებს“. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც უურნალის არსებობას უფრო მეტად ამართლებს, ქალებში წერის სურვილის გაღვიძება და საკუთარი ძალებისადმი რწმენის განმტკიცება წარმოადგენს. იმ დროს, როცა მამაკაცების მიერ გამოცემულ უურნალებში ქალები უმეტესწილად „გრძელობიან და მოკლე ჭკუის არსებებად“ არიან მონათლული და მათ წერილებს არავინ ბეჭდავს, უფრო მეტიც, როცა უურნალები ქალთა წერილებს გარკვეულ ადგილს უთმობს, მაგრამ მათი გამოცემა ძალიან მაღე წყდება, აი ამ ფონზე უურნალ „ქალთა სამყაროს“ თითქმის 13-წლიანი არსებობა, დროის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტია ქალთა თვითშეგნების, თვითრწმენის ამაღლების

საქმეში. ამის ნათელი დადასტურება კი მკითხველის მიერ გამოხატული ინტერესი და მადლობის წერილებია.³³ ამ წერილებიდან კარგად იკვეთება ოსმალო ქალების მზაობა ცვლილებებისადმი. „უკანასკნელი პერიოდია, ქალებში სიცოცხლისუნარიანობა შეიმჩნევა, სრულიად ახალი და პროგრესისაკენ მიმართული. ასეთი სიცოცხლისუნარიანობა კარგა ხნის მიძინებული იყო ჩვენს ქალებში, ყველა ჩვენგანი კუთხეში ვიყავით მიყუჟულები და სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით, უფრო სწორედ, კი გვეძინა, შეიძლება არც გვეძინა, მაგრამ სამყარომ ასე იცოდა. მსოფლიოს წინსვლისა და განვითარების შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდით. ნეტავ რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ სამყაროს ვიყავით მოწყვეტილები. თუმცა ჩვენ, ოსმალო ქალებს, პროგრესი და წინსვლა ნამდვილად გვწყურია, ისიც გვესმოდა, რომ პროგრესისათვის განათლებაა საჭირო. აი ეს განათლება კი წერა-კითხვის შესწავლით უნდა შეიძინოს კაცმა. განათლების მიუხედავად, რატომ არის, რომ ოსმალო ქალი მაინც არ არის საზოგადოებაში დაფასებული?“ (Çakır, 2011:154). უურნალი აკრიტიკებდა საზოგადოების მიერ თავად ცნება „ქალისადმი“ დამოკიდებულებას. „ამ ქვეყანაში ქალი დაფასებული და ბედნიერი არ არის... ჩვენში ქალი ერთ-ერთი ფრანგი ლიტერატორის თქმით, ფორმადაკარგული არსებაა. ჩვენს ქვეყანაში ქალები ისე არ კვდებიან, როგორც სხვა ქვეყნებში, ისინი ისედაც სიცოცხლეშივე განწირულები არიან, ისე იცხოვონ, როგორც მკვდრებმა... უმეტესწილად ქალი საკუთარ სახლში მოახლეა. ქმარს შეუძლია ნებისმიერ დროს უმიზეზოდ ქუჩაში გააგდოს. ჩვენში ქალი ვერ იმღერებს, ვერ იცხავებს, საზზე თუ დაუკრაგს, მხოლოდ ფარულად. საზოგადოებრივი თავშეურის ადგილებში მამაკაცების თავხედური და შეურაცხმულფელი მზერა მუდმივად თან დასდევს. ქალი მეუღლესთან ერთად ვერ ისაღილებს და ვერც წვეულებას დაესწრება. ქალები შავ ჩრდილებს ჰგვანან. აი, ასეთია ჩვენს ქვეყანაში მოკლედ ქალის განმარტება“ (Çakır, 2011:165). ქალები ლიად აცხადებდნენ, რომ მამაკაცები მათ მხოლოდ სიამოვნების მიღების იარაღად იყენებენ და, თურქი კაცების ფილოსოფიის თანახმად, ისინი ამ ქვეყნად მხოლოდ მამაკაცთა სიმშვიდის და

³³ უურნალის ერთ-ერთ ნომერში მკითხველი, ფერიდე ისმეთი, უურნალს დიდი მადლობას უხდიდა ქალთა საკითხით დაინტერესების გამო: „ჩვენს ქვეყანაში ქალების თითქმის ტყვეების და მონების როლში ყოფნის შესახებ პირველად თქვენ განაცხადეთ. ისიც აღნიშნეთ, რომ ქალებს სიცოცხლე სწყურიათ. ჩვენი კეთილშობილი ქალები იმსახურებენ კანონიერ თავისუფლებას, თქვენ რომ საცოდავი ოსმალო ქალების გულში არსებული იარა არ დაგენახათ, ისინი ისევ გააგრძელებდნენ თხვრასა და კვნესას ამ დამცირებისა და შეურაცხმულის მორგვეში“ (Çakır, 2011:102).

მყუდრობის შესაქმენლად არიან გაჩენილები. მამაკაცები ქალებს სამ კატეგორიად ჰყოფენ „სალონის ქალები“, „საშუალო შეძლების ქალები“ და „არაფრის მქონე ქალები“. მათვის სალონის ქალები „ტკბილი ხილია“, საშუალო შეძლების ქალები – „მოახლე“, ხოლო არაფრის მქონე კი – „ტყვე“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალში წამოჭრილი ყველა საკითხი პასუხისუფებელი არ რჩებოდა. იმ პერიოდის ქალებმა ძალიან კარგად იცოდნენ საზოგადებაში ქალის მარგინალიზაციის მთავარი მიზეზები. ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის გონიერი განვითარების თვალსაზრისით განსხვავება არ არის. ქალების სიბერიანის მიზეზი კი მათი ცხოვრების წესით და აღზრდით არის განპირობებული. „უპირველეს ყოლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქალმა თავისი სახლის გარეთ რა ხდება, არ იცის, რადგან იძულებულია ოთხ კედელს შორის იჯდეს, საჭმელი აკეთოს, ოჯახს მოუაროს. გარეთ გასვლა მისთვის დიდი ცოდვაა, ქალი უენო უნდა იყოს, მამაკაცის დესპოტიზმის წინააღმდეგ ხმის ამოღების უფლება არ აქვს. რადგან თმა გრძელი აქვს, ჭკუა კი – მოკლე. მამაკაცს შესწევს უნარი იაზროვნოს, ქალს კი – არა. და რადგან ვინც ვერ აზროვნებს, იმას არაფრის უფლება არ აქვს, ხმაც არ უნდა ამოიღოს. აი, ამ წესებზეა დამყარებული ოჯახების უმრავლესობა“ (Çakır ,2011:169). ასეთმა ქალებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდენენ საკუთარი უფლებების შესახებ. ეს კი მათი გაუნათლებლობით არის გამოწვეული. მათი თვითშეფასება იმდენად დაბალი იყო, რომ მამაკაცების მიერ ლოზუნგად ქცეულ გამონათქვამს „გრძელი თმისა და მოკლე ჭკუის“, შესახებ თავადაც ეთანხმებოდნენ. ქალის საზოგადოებისგან შორს ყოფნა და მუდმივად ოჯახური საქმეებით დაკავება, მათ პიროვნული განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. საზოგადოების მიერ მათზე დაკისრებული სოციალური როლი მხოლოდ კარგი დედობით და კარგი მეუღლეობით შემოიფარგლებოდა. ეს კი ქმნიდა იმ ფენომენს, რომელსაც „საზოგადოება ქალების გარეშე“ ერქვა. ქალები მიიჩნევდნენ, რომ მათი მარგინალიზაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას დიდ ზიანს აყენებდა. აბდულჰაკ ჰამიდის („ერში ქალების მდგომარეობა იმ ერის განვითარების დონის მაჩვენებელია“) და თევზიქ ფიქრეთის („თუ ქალი უბედურია, უბედურია ერიც“) გამონათქვამები კარგად გამოხატავდა ქვეყნის განვითარებასა და ქალების მდგომარეობის შორის კავშირს. მამაკაცთა მიერ ზოგადად ქალთა საკითხისადმი დამოკიდებულებას უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხებით. როგორც ნილუფერ მაზლუმი ამბობდა, „ჩვენი ქვეყნის უბედურების მიზეზი სწორედ რომ „უქალებობაა“. იმავე აზრს ავითარებდა ჟურნალში გაგზავნილ

წერილში მეჯლისის მთავარი მდივანი მუსტაფა ასიმ ბეი. „ჩვენ უქალებო ერი ვართ“ წერდა ის. თან ყურადღებას ამ სიტყვაზე ამახვილებდა: „თუ დააკირდებით, მე ყურადღებას არ ვამახვილებ გაუნათლებლობაზე, მე „უქალებობას“ ვუსვამ ხაზს. ღმერთმა ყველა ერი დაიფაროს ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობისგან. მის გამოსახატავად მხოლოდ ეს განმარტება თუ გამოდგება – „ერი ქალების გარეშე“. ძვირფასო ქალებო, ბულგარელი ქალებიც გაუნათლებელი არიან, რუსი ქალებიც, სერბი ქალებიც, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა განსხვავებულია. გაუნათლებლობის დაძლევა შესაძლებლია. თუმცა ჩვენ ვიმალებით, მაგრამ რისგან? დარწმუნებულები იყავით, რომ ცოდნისგან, სწავლისგან. იმიტომ, რომ ჩვენი ქალები მიჩვეულები არიან დამალვას, ისინი ისევე იმალებიან საზოგადოების წინაშე, როგორც მამაკაცთა წინაშე, ჩადრის ტარებისას“. (Çakır, 2011:233). უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტამ ქალებში გარკვეული სახის პროტესტის გრძნობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ისინი აღიარებდნენ, რომ ამგვარმა ცხოვრებამ ისინი ძალიან დაღალა და მათაც, როგორც სხვა განვითარებული ერების ქალებს, სურდათ თავისუფლად, ბედნიერად ცხოვრება. ეს კი, უფლებების მოპოვებით იყო შესაძლებელი. ქალების მიერ თავისუფლების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მოთხოვნა მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. მათ კარგად იცოდნენ, რა უნდოდათ. „პგონიათ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან თეატრში ადგილის გამოყოფით მადლიერები ვართ. იციან კი, რას გულისხმობს საზოგადოებაში ადგილის დაკავება? ჩვენი აზრით, საზოგადოებაში ადგილის ქონით საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონი ხდება ადამიანი, ვისზე თხოვდება, ისიც იცის და ქმრის სახლში ბაზარში ნაყიდი თხასავით არ გრძნობს თავს“ (Çakır, 2011:234). ქალებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვასთან დაკავშრებული საჭირო საკითხები იმ სტატიაში იყო ჩამოთვლილი, რომელსაც „ოსმალო ქალების მოთხოვნები“ ერქვა. ქალები მოითხოვდნენ :

1. სკოლების გახსნას და ქალების ცოდნის დონის ამაღლების უზრუნველყოფას;
2. ქალების ეკონომიკური ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით მათ სამრეწველო საქმიანობაში ჩართვას;

3. ტანსაცმლის ფორმის შეცვლას, განსაკუთრებით კი – საზოგადოებაში გამოსასვლელი ტანსაცმლის.³⁴

4. ქორწინებასთან დაკავშირებული წესების გამარტივებას და მცდარი ტრადიციების რღვევას;

5. ოჯახში ქალის ადგილის უფრო მეტად გაძლიერებას;

6. განათლებული შვილების აღზრდის უნარის მქონე დედების აღზრდას;

7. ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას.

ქალის საზოგადოებაში ჩართვა მას საშუალებას მისცემდა, საკუთარ უფლებებზე მეტი სცოდნოდა. სოციალური და ეკონომიკური უფლებების მოპოვების შემდეგ, რიგი პოლიტიკური უფლების მოპოვებაზე მიღებოდა. თუმცა, ქალები პოლიტიკური უფლების მოპოვებას არ ჩქარობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ საამისოდ ჯერ მზად არ იყვნენ. ძველი ტრადიციებისა და კანონების უარყოფით

³⁴ ქალების საზოგადოებისგან მოწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩადრია. ქალების ასეთი სახით შემოსვა სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. ოსმალო-თურქი ქალების ჩასაცმელი შემდეგი სახის თავისებურების მატარებელია. არსებობდა სახლში ჩასაცმელი სამოსი და სახლის გარეთ ჩასაცმელი სამოსი. სახლში ჩასაცმელი სამოსი მდიდრული უნდა ყოფილიყო, ხოლო გარეთ ჩასაცმელი სამოსი კი – ფერაჯე. სახლში ჩასაცმელი სამოსის სიმდიდრე ახლობელთა წრეების საჩვენებელად იყო გამიზნული, ხოლო გარეთ ჩასაცმელი სამოსი კი მამაკაცის, უფრო მეტიც, სახელმწიფოს ნამუსის დამცველ ფუნქციას ატარებდა. თურქი ქალის სამოსი მუსლიმი ქალის სიმბოლო უნდა ყოფილიყო, რითაც იგი ქრისტიანი ქალების სამოსისაგან განირჩეოდა. აკრძალული იყო ფერადი სამოსის ტარება. ოსმალო ქალები საუბრობდნენ რა სამოსის სახეცვალზე, პირველ რიგში, მოითხოვდნენ პირსაბურავის მოხსნას. ქალები მიიჩნევდნენ, რომ მათსა და სამყაროს შორის სწორედ პირსაბურავია ფარდის ფუნქციის მატარებელი. იგი ქალების დამამცირებელ ფაქტორად იქნა მიჩნეული. მოდერნიზება უნდა განეცადა ჩადრსაც. იგი უფრო მოხერხებული უნდა ყოფილიყო, რათა ქალებს თავისუფლად შეძლებოდათ მუშაობა. ქალები არ მოითხოვდნენ ჩადრის გადაგდებას. ისინი საზგანმით მოითხოვდნენ მხოლოდ პირსაბურავების მოხსნას. თუმცა იმასაც აღიარებდნენ, რომ ჩადრის ტარება მხოლოდ დროის საკითხი იყო. ოსმალო ქალები სამოსელის შესახებ ცნობებს ინგლისის ელჩის მეუღლე ლედი მონტეგიუც იძლევა, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ოსმალურ საზოგადოებას და თვლიდა, რომ მისი ცნობები უფრო სარწმუნო იყო, ვიდრე სხვა მოგზაურების. ლედი მონტეგიუ ქალთა პირსაბურავს თავისუფლების სიმბოლოდაც კი მიიჩნევდა. „მუსლიმი ქალები იმდენად კარგად იმაღებიან სამოსში, რომ მდიდარს დარიბისგან ვერ გაარჩევ. ყველაზე ეჭვიანი ქმარიც კი ვერ შეძლებს, საკუთარი ცოდი იცნოს. მიმაჩნია, რომ იმპერიაში ყველაზე თავისაუფალი სწორედ თურქი ქალია“ (Yeşenoğlu: 1995:sayı 24).

შესაძლებელი იყო ერის განახლება. ქალების საზოგადეობრივი სტატუსის ცვლილება ეპოქის მოთხოვნებით იყო განპირობებული. როგორც უპვე აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნე ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების საუკუნედ არის მიჩნეული. თანზიმათის ფირმანში ყურადღება ქალთა მდგომარეობაზეც მახვილებოდა, თუმცა უმნიშვნელოდ. შეიძლება ითქვას, რომ ქალის სტატუსთან დაკავშირებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ქალის საზოგადოებაში და ოჯახში ადგილის განმსაზღვრელი ფადიშაჲის ფირმანებს თანზიმათის პერიოდშიც ვხვდებით. ოსმალო ქალების აზრით, ქალი მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამის მიზანი მისი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვაა. საინტერესოა, როგორ ესმოდათ პიროვნული თავისუფლების საკითხი ოსმალო ქალებს. “თავისუფალი მაშინ არის ადამიანი, როცა მას ყველა საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და სურვილისამებრ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია” (Çakır :2011:209).

უნდა აღინიშნოს, რომ უურნალისადმი გამოხატული ინტერესით შესაძლებელია იმის დადგენა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მამაკაცებს ქალთა საკითხისადმი. მიუხედავად იმისა, რომ უურნალმა დიდი წარმატება და გამოხმაურება ჰპოვა როგორც ოსმალეთის იმპერიაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც, იმ პერიოდის „მამაკაცთა გაზეთების“ უმრავლესობა უურნალთან დაკავშირებით არ რეაგირებდა. “რამდენიმე თვეა ჩვენმა ქალებმა თავისი საქმით და შემართებით გაგვახალისეს, ჩვენში დაგროვილი ტანჯვა და სიმწარე ნელ-ნელ ნელდება, ვყვირით ხმის ჩახლეჩამდე, თუმცა ჩვენი ხმა ჩვენს მამაკაცებამდე არ აღწევს, ეგვიპტიდან, დასავლეთიდან მიღოცის წერილებს ვიღებთ და ეს ქალების გამარჯვებაა” (Çakır,2011:74). უურნალთან მიმართებაში მამაკაცები დამამცირებელ გამონათქვამებს ხშირად მიმართავდნენ. თუმცა არსებობდნენ ისეთი უურნალები, რომლებიც ქალთა უურნალით აღტაცებულები იყვნენ და მას ყოველგვარი სახის დახმარებასაც ჰპირდებოდა. ჩვენთვის ყურადსალებია შემდეგი ფაქტი, ქალები მამაკაცებს, განსაკუთრებით კი მამაკაც მწერლებს, ქალთა საკითხის გადაჭრის საქმეში არაგულწრფელობაში ადანაშაულებდნენ. მათი უნდობლობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ მამაკაცების ადარ სჯეროდათ. „თურმე ქალები მამაკაცების სულიერი ცხოვრების თანამგზავრები ყოფილან. ეს ყველაფერი სიცრუეა. გარდა ამ სიცრუისა, ჩვენს გრძნობებში მუდმივად ეპარებათ ეჭვი და მუდმივად გვატყუებენ. სწორედ ამ ტყუილების გამოა, რომ ჩვენ საკუთარ უფლებებს ვერ ვიცავთ. ქალი და მამაკაცი ყოველთვის სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობს. მამაკაცების გამოა,

რომ ჩვენი ცხოვრება ასეთი შეზღუდულია. თანაც არასოდეს ყოფილა, რომ ქალი და მამაკაცი ერთმანეთის ჭეშმარიტი სულიერი მეგობარი და ცხოვრების თანამგზავრი ყოფილიყო.... მამაკაცების დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან ისინი ასეთი გულით და განწყობით, ასეთი აზროვნებით, ჩვენ არ დაგვეხმარებიან. ეს ცხოვრება მათთვის სავსებით მისაღებია, ჩვენ სათამაშოები ვგონივართ და ერთობიან კიდეც. მამაკაცებისგან მოწყალება არ გვინდა, ჩვენ ვმუშაობთ და თავად გამოვასწორებთ ჩვენს მდგომარეობას. გვჯერა, რომ ჩვენი თანამემამულე ქალები ჩვენს მოსაზრებას გაიზიარებენ” (Çakır :2011:190). ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის შეუძლებლობაზე ბევრი მამაკაცი საუბრობდა. ამის დადასტურებაა უურნალში გაგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს ვინმე ჰასან ვეჰმი აწერდა. ჰასან ვეჰმი ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის აბსურდული იდეის გასაბათილებად სამხედრო სამსახურს ასახელებდა. „თუ გსურთ მამაკაცების თანასწორები იყოთ, აგერ – თქვენ და აგერ – სამხედრო სამსახური“, წერდა ის (Çakır, 2011:222). თან დასძენდა, რომ ოცდაათკილოიანი თოფის, საბრძოლო მასალების, სამი დღის სამყოფი საგზლის ტარება და საბრძოლო პირობების გაძლება ქალებს არ შეუძლიათ. ამ წერილმა უურნალის მწვავე რეაქცია გამოიწვია. უურნალში სამხედრო ტანსაცმლითა და იარაღით აღჭურვილი ქალის სურათი დაიბეჭდა. ქალებმა მამაკაცებს ჩანაკკალეს ომი და მათში ქალების მონაწილეობა და თავდადება შეახსენეს. ქალებს იმათვისაც ჰქონდათ პასუხი, ვინც მათთვის უფლებების მინიჭების დამაბრკოლებელ ბალად რელიგიას მიიჩნევდა. ქალებს ეგონათ, რომ ყველაფერი ყურანის არასწორი კომენტირების და განმარტების ბრალია. ისინი არ იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ისლამმა ქალი სახლში გამოკერა და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოსწყვიტა. „წინასწარმეტყველი მუჰამედის დროს ქალები ხელისუფლების მართვაშიც იღებდნენ მონაწილეობას და თავისუფლებიც იყვნენო, – ამბობდნენ ისინი (Çakır :2011:223).

ძალიან საინტერესოა ფემინიზმისადმი დამოკიდებულება როგორც თავად ქალების მხრიდან, ისე მოელი საზოგადოების მხრიდან. აქედანვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემობა, რომ დასავლეთის კულტურასთან ზიარება და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ოსმალო თურქ მოსახლეობაზე გარკვეული სახის გავლენას ახდენდა. თავად ფემინიზმის შესახებ ინფორმაცია ქალთა საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს უურნალ-გაზეთებისა და თარგმნილი ლიტერატურის საშუალებით მოეპოვებოდათ. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა

ევროპაში მიმდინარე ფემინისტური მოძრაობის და ფემინისტური იდეების ზედმიწევნით გაზიარებას და გადმოტანას. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქული ფემინიზმი, როგორც ასეთი, არსებობს და იგი წარმოადგენს ორგანულ პრობლემებთან და საჭიროებებთან ადაპტირებულ მოძრაობას, რომელიც ფემინისტური იდეების პირდაპირ ტრანსლაციას კი არ ახდენს, არამედ თურქულ სოციოკულტურულ სინამდვილეს ერგება.

მე-19 საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში, და არა მხოლოდ მე-19 საუკუნეში, დღევანდელ დღემდე, მიმდინარეობს კამათი თურქეთში ფემინიზმისა და ზოგადად, მასთან დაკავშირებული იდეების ირგვლივ. ისლამის მიმდევარი ერისათვის ფემინიზმის მიერ ნაქადაგები ქალთა ემანსიპაციის მარტივად მიღება წარმოუდგენელი პროცესი იყო. არაერთი სტატია და წერილი დაიბეჭდა იმ დროს გაზეთებსა და ჟურნალებში ზოგადად ფემინიზმის, ისლამისა და ფემინიზმის ურთიერთობის შესახებ. საუბრობდნენ რა „გადატრიალებაზე“, ქალები გადატრიალების გზად ფემინიზმს მიიჩნევდნენ. ოსმალო ქალები ფემინიზმს არა მხოლოდ ეპოქის იდეოლოგიის ცვლილებისა და ქალების ცნობიერების ამაღლების პროცესად, არამედ ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. რას გულისხმობდა ფემინიზმი და რა მოთხოვნებს აყენებდა იგი, შემდეგი სახით იყო განმარტებული „ფემინიზმის მოთხოვნებს წარმოადგენს: ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, ქალი მამაკაცის მსგავსად უნდა გახდეს ინჟინერი, მოხელე, ექიმი, მინისტრი და დეპუტატიც კი“ (Çakır,2011:85). ქალების გააქტიურება და მათი მხრიდან გარკვეული სახის უფლებების მოთხოვნა, ფემინიზმისადმი საზოგადოების უარყოფით რეაქციას იწვევდა და ამ მოძრაობას საზოგადოებისა და ქვეყნისათვის საზიანოდ მიიჩნევდა. ოსმალო ქალები ფემინიზმთან დაკავშირებით არაერთ განმარტებას იძლეოდნენ. მათი აზრით, ასეთი დამოკიდებულება თავად სიტყვა ფემინიზმისადმი არასწორი მიდგომით იყო განპირობებული. ქალების წერილობითი განმარტებით ნათლად იკვეთება, რომ საზოგადოებას ფემინიზმი ოჯახის საფუძვლის შემარყევლად, მორალური თვალსაზრისით ზიანის მიუენების მთავარ საშუალებად მიაჩნდა. „ფემინიზმი ზნეობისა და ოჯახის დამანგრევები მოძრაობა არ არის, პირიქით ფემინიზმი ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით ბედნიერების შეცნობის გზაა. იგი უსამრთლობის, უთანასწორობის წინააღმდეგ იბრძის. ფემინიზმის მიზანს ოჯახებსა და ადამიერებს შორის გულწრფელი

ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს“ (Çakır, 2011:180). არსებობდა იაკუბ კადრის ასეთი მოსაზრება: იმის გამო, რომ თურქულ ენაში სიტყვა „ფემინიზმი“ არ არსებობს, არც ფემინისტური მოძრაობა შეიძლება არსებობდეს. იაკუბ კადრის ამ მოსაზრების საპასუხოდ ქალები წერდნენ: „ბატონი იაკუბ კადრი მიიჩნევს, რომ რადგან ენაში თავად სიტყვა „ფემინიზმი“ არ არსებობს, არც ფემინისტური მოძრაობა არსებობს, ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სიტყვა არსებობს მსოფლიოში, რომელიც ყოველგვარი თარგმანის გარეშეა დამკვიდრებული სხვადასხვა ენაში (ტელეგრაფი, ავტომობილი, გემი) ჩვენ სიტყვის ყოველგვარი თარგმანის გარეშე გამოყენება გვირჩევნია“ (Çakır, 2011:181).

სოციალიზმისა და ფემინიზმის შედარებისას ფემინიზმი თავისი გავრცელებისა და იდეების თვალსაზრისით სჯობნიდა სოციალიზმს. მაშინ, როცა სოციალიზმი ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული, ფემინიზმი საკმაოდ გავრცელებული მოძრაობა იყო. ქალები მიიჩნევდნენ, რომ კაცობრიობის ბედნიერების ორი გზა არსებობს: სოციალიზმი და ფემინიზმი. თუმცა ფემინიზმი ამავე დროს „ხსნაცაა“. ქალებისათვის უფლებების მინიჭებით „შეშფოთებულ“ საზოგადოებას მუდმივად სჭირდებოდა იმის ახსნა, რას გულისხმობდა ფემინიზმი. „ჰონიათ, რომ როგორც კი ქალებს რაღაც უფლება მიენიჭებათ, მაშინვე თავსაბურავს მოიხსნიან. მუშაობას თუ დაიწყებენ, ქუჩაში გამოვლენ, ქმრის და მამის სიტყვას ყურს აღარ ათხოვებენ, როგორც გაუხარდებათ ისე მოიქცევიან. ქალებს კი მხოლოდ და მხოლოდ ტყვეობიდან თავის დაღწევა, ადამიანურად ცხოვრება და იმის გაგება უნდათ, რას ნიშნავს, იყო ადამიანი, ქალი, დედა, ბავშვი“ (Çakır, 2011:184).

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს არსებული იდეოლოგია ასრულებს. იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში კი მამაკაცის კულტურა დომინანტობს. ოსმალეთის იმპერიაში, მამაკაცების აზრით, საერთოდ არ იყო საჭირო ფემინისტური მოძრაობა. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები საზოგადოების დიდი ნაწილს ფემინისტური მოძრაობის წინააღმდეგ განაწყობდა. ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი ფემინისტურ მოძრაობას სტატისტიკას უკავშირებდა. „მსოფლიოში ყველა მამაკაცზე რომ ერთი ქალი მოდიოდეს, მაშინ ფემინისტური მოძრაობა არ იარსებებდა“ (Çakır, 2011:95). მამაკაცების ასეთი დამოკიდებულება ერთგვარი შიშით იყო გამოწვეული, რომელიც მათი მშვიდი ცხოვრებისა და გაბატონებული სტეროტიპების ნგრევას უკავშირდებოდა. ისინი

არასოდეს მიიღებდნენ ქალს თავიანთ სამყაროში. მათი რეაქცია ან ქალთა საკითხის უგულებელყოფით, ან ირონიული შენიშვნებით გამოიხატებოდა. იმ პერიოდის ცნობილი უურნალისტი ებუზია თვევფიქ ბეი 1899 წელს ქალებისათვის გამოცემულ უურნალში “Takvimün-Nisvan” („ქალთა კალენდარი“) ფემინიზმის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. წერილი კი სიტყვა ფემინას ოსმალური შესატყვისი სიტყვასთან შედარებით იწყება. უურნალისტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულისა და არაბულის მცოდნე ბევრია, სიტყვა ფემინიზმი, როგორადაც არ უნდა ითარგმნოს, ზუსტ შინაარსს მაინც ვერ გამოხატავს. შემდეგ ებუზია ბეი უურდდებას ფემინისტურ მოძრაობზე ამახვილებს და უვროპასა და ოსმალეთის იმპერიაში ქალთა მდგომარეობისა და უფლებების შესახებ ვრცლად საუბრობს. „მუსლიმი ქალი მშობლების მიერ მიცემულ ფულსა და ქონებას ქმრის დაუკითხავად, სურვილისამებრ ხარჯავს, უვროპელი ქალი კი საკუთარი შრომით მოპოვებულ ფულს ქმარს აძლევს. მუსლიმი ქალი კი –პირიქით, თუ ქმარი მეუღლეს ბაზარში გასაყიდ კერძებს დაამზადებინებს, ან პერანგს შეაკერინებს, მაშინ მასაც ისევე უნდა აუნაზღაუროს შრომის საფასური, როგორც სხვა ადამიანს აუნაზღაურებდა. თუ ასე არ მოიქცა, ცოლს უფლება აქვს, ქმარს უჩივლოს და ციხეში ჩასვას. ეს ქალთა სამოქალაქო უფლებით არის განსაზღვრული. ევროპაში სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ქალს მუშაობის უფლება არა აქვს, ხოლო თუ მუსლიმ ქალს სამედიცინო განათლება აქვს და დაამტკიცებს, რომ კარგი ექიმია, შეუძლია იმუშაოს. თუ ქალი დამოუკიდებლად, ყველას დახმარების გარეშე შეიწავლის ისლამის კანონებს და გამოცდასაც კარგად ჩააბარებს, შეუძლია ვექილად იმუშაოს“ (Demircioğlu 1993:114). ამ სტატიიდან კარგად იკვეთება მამაკაცთა დამოკიდებულება ფემინიზმისადმი. როგორც ჩანს, მამაკაცები ქალთა საკითხის გადაჭრის აუცილებლობას ვერ, ან არ ხედავდნენ და ყველაფერს იდეალურად წარმოაჩენდნენ. ამიტომ საჭიროა ქალთა პერსპექტივიდან გავაანალიზით „ქალთა საკითხი“, რაც რეალური შედეგის მიღწევის ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია.

ოსმალო ქალებს ევროპაში მიმდინარე ფემინისტური პროცესების შესახებ საკუთარი მოსაზრება გააჩნდათ. რადიკალური ფემინიზმზე მეტ მხარდაჭერას ლიბერალური ფემინიზმი იმსახურებდა. ამის მიზეზი კი სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება იყო. ოსმალო ქალები რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლებს მოქმედების გზებსა და მეთოდებს უწუნებდნენ. მიაჩნდათ, რომ სუფრაჟისტების

გამოსვლამ ფემინისტური მოძრაობა დააზარალა. იგივე დაქმართათ ჩინეთში, რადიკალიზმის გამო დაიხურა ქალთა ორგანიზაციები და სკოლები. ოსმალო ქალები მიზნის მიღწევის ნელ, მაგრამ უფასურ მეთოდებს მიმართავდნენ. მათი პირველი საზრუნავი განათლების საკითხის მოგვარება იყო.

II კონსტიტუციური პერიოდი ქალთა საკითხის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია.³⁵ II კონსტიტუციური მმართველობის დროს ქალთა საკითხი იმდროინდელი ისლამისტური, ევროპული და ოურქისტული³⁶ იდეების მომხრე ჯგუფების დღის წესრიგში განხილვის ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა. ისლამისტური მიმართულების წარმომადგნლების აზრით, დასავლური კულტურა და ტექნიკა ტრადიციებისა და ლირებულებების განადგურებას გამოიწვევდა და ქალებს პროსტიტუციისკენ უბიძგებდა. ისინი წინააღმდეგები იყვნენ პოლიგამიის გაუქმების და მოითხოვდნენ ქვენის ისლამური სამართლის მიხედვით განვითარებას. ამის საპასუხოდ კი გაევროპელების მომხრე ჯგუფი მოითხოვდა პოლიგამიის გაუქმებას, ქალებისათვის პარტნიორის არჩევის თავისუფლებას, მათვის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის უფლების მინიჭებას. გაევროპელების მომხრე ჯგუფის აზრით, ქალი კარგი დედა და კარგი მეუღლე უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი განათლება იყო საჭირო. მათი იდეები იმ დროის ლიტერატურაში

³⁵ 1908 წელს „ახალგაზრდა თურქების“ მიერ მოწყობილმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ბოლო მოუღო აბდულჰამიდ II-ის (1876–1908) ტირანულ მმართველობას. სულთანზე განხორცილებული პუტი II კონსტიტუციური მმართველობის დასაბამი გახდა.

³⁶ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაშია სხვადასხვა მიმართულების ჯგუფები არსებობდა, რომლებიც სახელმწიფოს განვითარების განსხვავებულ გზებსა და მეთოდებს სახავდნენ. ისლამისტური მიმართულება ცდილობდა, მუსლიმებს შორის ერთობის დაყვარებას და ქვენის ისლამის დოგმების მიხედვით განვითრებას. ისლამისტური მიმრათულება ვერ გაძლიერდა, რაღაც მას ხელი ნაციონალურმა მიმდინარეობამ შეუშალა. აბდულჰამიდის დროს ქვენის გარეთ ისლამისტური მიმართულება საქმაოდ ძლიერი იყო. ქვენის შიგნით კი ოპოზიცია კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობდა ქვენის განვითარებას. ევროპული მიმართულების სახელმწიფო დოქტრინა მოდერნიზაციის გზით ქვენის სსნას ისახავდა მიზნად. ევროპული აზროვნება ევროპული კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ფილოსოფიის მიღწევების გაზიარება და ქვენისათვის მორგება აბდულაპ ჯევდეთის, ჯელალ ნურის და სულეიმან ნაზიფის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. თურქისტული მიმართულება, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მცხოვრები თურქების ენის, რელიგიური და კულტურული დირქებულებებით გაერთიანებას და იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თურქებთან კავშირს ისახავდა მიზნად, პოლიტიკურ და მმართველ ძალად ვერ გაფორმდა. თურქისტულ მიმართულებას საბოლოო ჯამში პანთურქისტული სახე მიეცა.

კარგად იქნა ასახული. თურქისტული მიმართულების ფუძემდებელი ზია გოქალფი (1876-1924), რომელიც „თურქული ნაციონალიზმის მამად“ არის მიჩნეული, ქალთა საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა. მისი თურქისტული თეორია ემყარებოდა თანასწორობის, დემოკრატიისა და ფემინიზმის პრინციპებს. მისივე თქმით, „თურქები თან დემოკრატები, თან ფემინისტები იყვნენ„. თურქისტული მიმართულების წარმომადგენლები საზოგადოების მოდერნიზებას ისლამიზდები თურქი ხალხის დემოკრატიული და ეგალიტარული პრინციპების გატარებაში ხედავდნენ.

ქვეყნის მოდერნიზაციის შესახებ მოსაზრებას ოსმალო ქალებიც გამოთქვამდნენ. ისინი ემხრობოდნენ ქვეყნის დასავლურ კურსს. მათი აზრით, საჭირო იყო ეკროპის „გამოყენება“ ქვეყნის სასიკეთოდ. განათლების სფეროში დასავლური მეთოდოლოგიის გამოყენება მკაცრი რელიგიური დოგმებისა და მორალური პრინციპების შერბილებას გამოიწვევდა. აქე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალები არ მოითხოვნდენ საკუთარ რელიგიაზე უარის თქმას. მათ მიზანს განათლების „გასოციალურება“ წარმოადგენდა. განათლების კუთხით II კონსტიტუციური პერიოდი მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. თუმცა მანამდე თანზიმათის პერიოდში წამოჭრილ საკითხებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განათლებას ეთმობოდა. განათლების სისტემის მნიშვნელოვან ცვლილებას რელიგიური შინაარსის შემცველი საგნების ნაცვლად ევროპაში ადაპტირებული საგნების დანერგვა წარმოადგენდა. 1848 წელს გაიხსნა მამაკაც მასწავლებელთა სკოლა. სანამ ბავშვები მოზარდობის ასაკს მიაღწევდნენ, მანამდე სქესის მიხედვით განსხვავებას ადგილი არ ჰქონდა. შემდეგ კი გოგონებისა და ვაჟებისათვის სკოლების ცალ-ცალკე გახსნა იყო საჭირო. 1856 წელს რეფორმებთან დაკავშირებული ფირმანი, თანზიმათის ფირმანისგან განსხვავებით, განათლებას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა. სკოლა ლია უნდა ყოფილიყო ყველსათვის. თუმცა სკოლის პროგრამები და მასწავლებლები განათლების სამინისტროს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1858 წელს გოგონათა პირველი სკოლა გაიხსნა, სადაც ხელსაქმის გარდა, სხვა დანარჩენ საგნებს კაცი მასწავლებლები ასწავლიდნენ. ამან ქალი მასწავლებლისთვის მასწავლებლთა სკოლების გახსნის საჭიროება შექმნა. სანამ ქალი მასწავლებლების მომზადება დასრულდებოდა, მანამდე გაკვეთილებს მოხუცი და მაღალი ზნეობით გამორჩეული

კაცი მასწავლებლები ატარებდნენ.³⁷ ქალთა სკოლები კი გაიხსნა, მაგრამ როგორც შენობის, ისე სასწავლო გეგმის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდებოდა ვაჟთა სკოლებისაგან. სასკოლო პროგრამაში ყურადღება ეთმობოდა გოგონების მომზადებას ოჯახური ცხოვრებისათვის. „წერა-კითხვის ცოდნა ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობების დარეგულირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ სახლში მოსული მამაკაცი სახლის საქმეებისგან სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. ქალმა რელიგია და გარესამყარო იმიტომ უნდა იცოდეს, რომ მამაკაცების ბრძანებას დაემორჩილოს“ (Çakır, 2011:298). ნათელია, რომ ამ შემთხვევაში განათლება ქალებისგან კარგი დიასახლისის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, სკოლები იმპერიის მასშტაბით არ გახსნილა. გოგონათა სკოლები ძირითადად სტამბოლში გაიხსნა. თუმცა საჭირო მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა.³⁸

II კონსტიტუციური მმართველობის პერიოდში ქალთა განათლების შესახებ აქტიური საუბარი დაიწყო. გაიხსნა სკოლები და ქალთა უმაღლესი სასწავლებელი. 1913 წლის 15 სექტემბრის კანონით დაწყებითი განათლება სავალდებულო გახდა. ქალთა სასწავლებელები, რომლებიც მანამდე მხოლოდ 4 წლიანი იყო, 6-წლიანი გახდა. აგრეთვე გაიხსნა ქალთა პედაგოგიური სასწავლებელი და ლიცეუმები. 1914 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა ქალთა უნივერსიტეტი. იმის გამო, რომ ლექციები უნივერსიტეტის ძველ შენობაში ტარდებოდა და იქ ვაჟებიც სწავლობდნენ, ქალთა სასწავლებლის შენობა ჩადაოდლუში³⁹ გადაიტანეს.

³⁷ 1870 წლის 8 თებერვალს ქალი მასწავლებლების მოსამზადებელი სკოლის გახსნას იმ დროის განათლების მინისტრი საფეხ ფაშა რელიგიური მოტივით ხსნიდა. გოგონების, რომელებიც 9-10 წლის შემდგებ ვალდებულნი არიან თავსაბურავი ატარონ, მასწავლებელი ქალი უნდა იყოს.

³⁸ სკოლათა რაოდენობრივი ზრდა ბევრს არაფერს ნიშნავდა. აბდულპაშიდ II-ის დროს რელიგიური სასიათოს საგნების სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1895 წელს ქალთა სასწავლებლის წესდებაში შესული ცელილებები სქესთა მიხედვით განსხვავების ნათელ მაგალითს წარმოადგენს. წესდების მე-12 მუხლის მიხედვით, სასტიკად აიკრძალა ქალი და მამაკაცი მასწავლებლების ერთად თავშეეყრა და ერთმანეთთან შეხვედრები. შენობაში შესვლის უფლება მხოლოდ დირექტორს და საჭიროების შემთხვევაში, განათლების მინისტრის თანხმობით, მამაკაც მასწავლებელს ჰქონდა.

³⁹ ჩადაოდლუ – უბანი სტამბოლში.

ქალებისა და ვაჟების ერთად განათლების მიღება მხოლოდ 1921 წელს გახდა შესაძლებელი⁴⁰. ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების საკითხთან მიმართებაში ქალების პროგრესული დამოკიდებულებაა. მათ სჯეროდათ, რომ განათლება ნებისმიერი სირთულის გადალახვის საუკეთესო საშუალებაა. „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განათლება ქალებს მამაკაცებზე მეტად სჭირდებათ. ვისაც გონება უჭრის, მან კარგად იცის, რომ ერის სიამაყე და სირცხვილი ქალია. ერი, რომელიც უარს ამბობს ქალების განათლებაზე, ამერიკული და ევროპული ტიპის ფაბრიკების გახსნით წინ ვერ წავა. ვინაიდან ფაბრიკას კარგი მმართველი, კანონს კარგი დამწერი სჭირდება. ასეთებს კი მხოლოდ განათლებული დედები ზრდიან“ (Çakır, 2011:326). ქალები, საუბრობდნენ რა განათლების მიღების აუცილებლობაზე, აკრიტიკებდნენ თვალ განათლების სისტემას. მოითხოვდნენ სკოლებში ბავშვების ცემის აკრძალვას⁴¹. მათვის სულიერად ძლიერი თაობის აღზრდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუ ქალების მოთხოვნებს კარგად ჩავუდრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ ქალებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „კარგი დედების“ აღზრდაა. მოზარდებში ოჯახის, სამშობლოს სიყვარულის გადვივება ყველა პედაგოგის ვალად მიაჩნდათ. დროის, ისტორიული პირობების გათვალისწინებით განათლებისგან სხვა მოლოდინი ალაბთ არც არავის ექნებოდა.

ქალები გაუნათლებლობის მრავალ მიზეზს შორის მამების საკითხისადმი ტრადიცულ და ფანატიკურ დამოკიდებულებას ასახელებდნენ. „მამაკაცებს ჩვენ, ყოველთვის დამნაშავის როლში გამოყავართ. „ქალი ხომ უვიციაო“, ამბობენ. მართალია, ჩვენი ქალები გაუნათლებლები არიან, მაგრამ ვინ არ მისცა მათ განათლების საშუალება? გოგონების მხოლოდ 12 წლამდე სწავლების მომხრეები განა მამები არ არიან? ვთქვათ, დედები გაუნათლებლები არიან, მამები რას

⁴⁰ შერეული სწავლება განათლების მინისტრის ალი ქემალის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა. ამ ბრძანებას სტამბოლის უნივერსიტეტის რექტორი ბაბანზადე აქმედ ნაზიმ ბეი უარყოფითად შეხვდა. „მე ამ ბრძანებას არ ვეთანხმები, მე ქალს და ვაჟს ერთად არ დაგსვამ. ეს ჩემს რწმენას ეწინადაღებება“ რექტორის ამ განცხადებას სტუდენტების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. გოგონებმა უარი თქვეს თვითანთ ლექციებზე შესვლაზე და ვაჟების ლექციაზე შედიოდნენ.

⁴¹ ბავშვთა ცემის საკითხი ლიტერატურაშიც იქნა ასახული. თურქი მწერალი ომერ სეიფედინი (1884 -1920) მოთხოვდა შესაბამის „ფალაქა“ (წამების ერთგვარი იარაღია – ფეხის გააყოფინებდნენ თრ ფიცარს შორის და ჯოხით სცემდნენ ფეხის გულებზე) სკოლებში ბავშვების ამგვარი სახით დასჯაზე ამახვილებს ფურადღებას.

აკეთებენ? რა „სიკეთე“ ემეტებათ ჩვენთვის? რას ელოდებიან ჩვენგან, ან რისი მოლოდინის უფლება აქვთ?“ (Çakır,2011:305). ქალების განათლების საკითხი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიაში არ ითვლებდა მნიშვნელოვნად, იგი მნიშვნელოვანია დღესაც.

2.2 ფემინისტ ქალთა ორგანიზაციები:

II კონსტიტუციური მმართველობის პერიოდის ქალთა ორგანიზაციებს შორის⁴² ფემინისტურ ორგანიზაციად მხოლოდ ერთი მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ. „Osmanlı Müdafaa-i Hukuk-ı Nisvan Cemiyeti“ („ოსმალო ქალების უფლებების დამცველი საზოგადოება“, რომელიც 1913 წლის 28 მაისს დაარსდა. საზოგადოება მიზნად ისახავდა ოსმალო ქალების თვითშეგნების ამაღლებას და უფლებების მოპოვებისათვის აქტიური ბრძოლის წარმოებას. „ოსმალო ქალებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის სურვილი უნდა გავაღვიძოთ, განათლებული მომავლის საფუძველი განათლებულ ქალებშია. პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს ქალთა სამოსის საკითხი, მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ქალების დასაქმებაა, მესამე – ქალების ცოდნის ამაღლება“ (Çakır,2011:105). მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ქალების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას. იმ პერიოდის დასავლეთში ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას მოითხოვდნენ. ოსმალეთში კი ფემინისტური ორგანიზაციის დღის წესრიგში ეს საკითხი არ იდგა. (პოლიტიკური უფლების მოპოვების საკითხი თრგანიზაციის დღის წესრიგში მხოლოდ 1921 წელს შევიდა). იმ პირობებში, როცა ქალთა სოციალიზაციაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, პოლიტიკური უფლების მოთხოვნას შედეგი არ

⁴² ოსმალეთის იმპერიაში ქალთა სხვადასხვა სახის ორგანიზაციები არსებობდა. მაგალითად: დახმარების ორგანიზაცია, რომელიც ობოლ ბაგშეგბსა და სიღარიბეში მყოფ ოჯახებს უწევდა დახმარებას, ქალთა პროფესიული განათლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია, ქალთა დასაქმების ორგანიზაციები, კულტურული თვალსაზრისით ქალთა აღზრდის ორგანიზაცია, რომელიც ქალების სულიერი და ფიზიკური განვითარების მიზნით ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ლაბორატორიების და ატელიეების გახსნას მოითხოვდა. სტამბოლში არსებობდა „ქალთა ლიტერატურული წრე“. Teali-i Nisvan Cemiyeti (პროგრესულ და მოაზროვნე ქალთა საზოგადოება) პალიდე ედიფმა და მისმა მეგობრებმა დააარსეს. საზოგადოების წევრობისათვის თურქული ენის კარგი ცოდნა იყო საჭირო. ყურადღება ექცეოდა ინგლისური ენის ცოდნასაც. საზოგადოების მიზანს ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფის გარეშე ქალების ცოდნასთან ზიარება წარმოადგენდა.

ექნებოდა. „ჩვენ, ოსმალო ქალები, ამ ეტაპზე პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ ვიბრძოლებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და ცოდნის ამაღლებისთვის. საზოგადოების სრულფასოვანი და მნიშვნელოვანი წევრები გავხდებით“ (Çakır, 2011:109). ქალთა საზოგადოება ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის, უსამართლობის, ქალის უფლებების უგულებელყოფელი ტრადიციების, ქალთა გაუნათლებლობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა. აღნიშნული ფემინისტური ორგანიზაცია დარწმუნებული იყო, რომ ქალებს საზოგადოების ყველა სფეროში, მათ შორის, პოლიტიკაშიც, შეუძლიათ წარმატებას მიღწევა. „უნდა ვაღიაროთ, რომ ქალებს შესწევთ უნარი, მრეწველობის, ვაჭრობის და ხელისუფლების მმართველ პარტიაშიც კი წარმატებას მიაღწიონ. ოსმალურ საზოგადეობაში ქალი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე წინ წასული. მაგრამ ამის მიზეზი ოსმალო ქალების უუნარობა და უნიჭობა კი არ არის, არამედ ცხოვრების ის წესია, რომლითაც ისინი ცხოვრობენ“ (Çakır, 2011:108). ფემინისტური საზოგადოების წევრებს სჯეროდათ, რომ უკვე „საზოგადოებრივი რევოლუციის“ მოწყობის დრო იყო დამდგარი. ისინი ქალებისთვის განქორწინების მინიჭების უფლებას, მრავალცოლიანობის გაუქმებას მოითხოვდნენ. იყვნენ გარიგების მეშვეობით ქორწინების წინააღმდეგი. საზოგადოების პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ქალების სამოსის საკითხს უჭირა. მათ სურდათ ეროვნული სამოსის შექმნა, რომელიც შარიათის კანონის შესაბამისი იქნებოდა. იგი უნდა ყოფილიყო სადა, ნაკლებად მორთულ-მოკაზმული. სამოსის ნიმუში ხელისუფლებასაც კი გაუგზავნეს. მეორე საკითხს, ქალების დასაქმების მიზნით სხვადასხვა სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენდა. ამგვარად, თან ქალების ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდებოდა, თან ქვეყნის მრეწველობის საქმეში ქალებიც თავის წვლილს შეიტანდნენ. ფემინისტურმა საზოგადოებამ სამკერვალო სახლი გახსნა, რომელიც თან ქალებს კერვას ასწავლიდნენ, თან შეკვეთებს იღებდა. მათ მთავარ წარმატებას ოსმალო-თურქი ქალების საზოგადოებრივ გაერთიანებებში ჩართვა და მათი სოციალიზაცია წარმოადგენდა. ორგანიზაციის დიდი მცდელობის შემდეგ ბედრა ოსმან ჰანიმი და მისი მეგობრები ოსმალეთის სატავლეფო სააქციო საზოგადოებაში აიყვანეს სამუშაოდ. ბედრა ჰანიმი რევიზორადაც კი დანიშნეს. ამ ქალებს შორის თურქული კინოსა და თეატრის მსახიობი ბედია (მუვაჰიდ) ჰანიმიც იყო. იმის ნიშნად, რომ ორგანიზაცია ყველანაირი წინსვლისა და განვითარების აქტიური მომხრე იყო, მისი ერთ-ერთი წევრი, ბელქიზ ჰანიმი,

პილოტთან ერთად სამხედრო თვითმფრინავით სტამბოლიდან ედირნეში გაფრინდა. ამ მოვლენას ბელქიზ ჰანიმის მამა და მეგობრები ესწრებოდნენ. ურნალ „ქალთა სამყაროში,, ბელქიზ შევქათი წერდა „ევროპაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ყოველდღე ვიღებდით. ოსმალურ საზოგადოებაში თვითმფრინავისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდებოდა. ფემინისტური ორგანიზაცია ამ ფაქტს გულგრილი ვერ შეხვდებოდა. ჩემი მოთხოვნის საფუძველზე ნება დამრთეს პილოტთან ერთად გაგფრენილიყავი“ (Çakır, 2011:110). ამ ფაქტმა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების საკითხს. მათი აზრით ძირეული ცვლილებები დაწყებით სკოლებს უნდა შექმნან დაწყებითი განათლება საგალდებულო უნდა ყოფილიყო. ქვეყნის ყველა კუთხეში გოგონათა ლიცეუმები უნდა გახსნილიყო. ქალებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალება უნდა მისცემოდათ. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, გოგონები საზღვარგარეთ უნდა გაეგზავნათ. ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა, აზიზ ჰანიმმა, საკუთარი ხარჯებით გახსნა სკოლა. იმის გამო, რომ საჯარო ბიბლიოთეკა ქალებისათვის დახურული იყო, ჯაზიბე ჰაქი ჰანიმმა ბიბლიოთეკა გახსნა. საზოგადოების თავმჯდომარედ ულვის მევლან ჰანიმი, მდიგნად – ფაქიზე სადრი, ბულალტრად აზიზ ჰანიდარ ჰანიმი იქნა არჩეული. მმართველ კოლეგიაში კი ფათმა ფაქიზე, სურეია ლუთფუ, სიდიკა ალი რიზა, ბელქის შევქათი, იაშარ ნაზიპე, სარა არიფი, ნიმეთ ჯემილი, შუქუფე ნიჰალი შედიოდნენ. საზოგადოებამ თავისი საქმიანობით არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც დიდი ინეტერსი გამოიწვია. მათ შესახებ ინფორმაცია ამერიკულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ურნალებში იყო დაბეჭდილი. ამაში კი ურნალ „ქალთა სამყაროს,, უცხოელ წევრებს დიდი წვლილი მიუმდვით. ფემინისტურ საზოგადოებას ოსმალო ინტელიგენციისგან არც მატერიალური და არც მორალური დახმარება არ მიუღია. პირიქით, რადიკალიზმის გამო მას აკრიტიკებდნენ კიდეც. ისინი მხარდაჭერას საზოგადოების საშუალო ფენიდან იღებდნენ. ეს კი დასახული მიზნების მხოლოდ სანახვროდ განხორციელებას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ფემინისტურმა საზოგადოებამ ოსმალო ქალებს ახალი სოციალური სტატუსი შესძინა. ისინი აღარ იყვნენ მხოლოდ დედები და დიასახლისები.

“Osmanlı Müdafaa-i Hukuk-ı Nisvan Cemiyeti”-ols („ოსმალო ქალების უფლებების დამცველი საზოგადოება“) გარდა, არსებობდა კიდევ სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად კონფერენციების მოწყობით იყვნენ დაპავებულები. ეს შეკრებები და კონფერენციები II კონსტიტუციური მმართველობის შემდეგ დაიწყო. სტამბოლში გამართულ კონფერენციაზე კონფერენციის მონაწილეების თეთრი სამოსის გამო, კონფერენციას „თეთრი კონფერენცია“ ეწოდა. ფატმა ნესიბე ჰანიმის მიერ გამართულ კონფერენციებს უამრავი ქალი ეწრებოდა. ქალების უფლებებისათვის ბრძოლის ნათელი მაგალითია კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით ფათმა ნესიბე ჰანიმის სიტყვა. “ქალბატონებო, ყველა ქალის სახელით მადლობა მინდა მოგახსენოთ. ვხედავ, რომ დარბაზი სავსეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გზას, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, სულ მცირე 200 მიმდევარი ჰყავს. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის მიზეზები წარსულში უნდა ვეძებოთ. უკვირთ და ამბობენ, რომ ქალებს არაფრის მოთხოვნის უფლება არა აქვთ და თუ რამე უნდათ, ისევ შემოქმედისგან ითხოვონ. ამბობენ, რომ სამყაროს მთავარი ჰანონი კანონზომიერებაა. ეს როგორი კანონზომიერება? როცა ერთნი ძლიერნი, ხოლო მეორენი კი, სუსტი და დაუცველები არიან. ჩვენი უბედურების მიზეზი გაუბედავ, მშვიდობისმოყვარე, მოწყალე დედებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც ყველანაირ უსამართლობას ეგუებოდნენ. დღეს ქალს, როგორც „სიამოვნების ობიექტს“ ისე უურებენ. თავად კაცებს კი, როგორც ველურ მხეცებს, არც რწმენა, არც სინდისი და არც გრძნობები არ გააჩნიათ. ძალაუფლება, ქონება მხოლოდ მათ ხელშია. ჩვენ კი მათ ჩრდილებს წარმოვადგენთ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალი საზოგადოების ყველაზე დიდი ძალაა. კაცობრიობის სული და გულია. გჯეროდეთ, რომ ჩვენ მუდმივად ამ მდგომარეობაში არ ვიქნებით. დღევანდელი ჩვენი ყოფა ღრუბელს ჰგავს, რომელიც მალე გაიფანტება. მსოფლიოს ყველა კუთხეში რევოლუციის სუნი იგრძნობა. ეს რევოლუცია მამაკაცების რევოლუციის მსგავსად სისხლიანი არ იქნება. ევროპელი ქალები ჩვენზე წინ არიან წასულები, მაგრამ ჩვენ შგვიძლია მათი გამოცდილების გაზიარება. მეტად უნდა მოვინდომოთ და ყველაფერს მივაღწევთ“ (Çakır,2011:118,121).

2.3 ქალთა პოლიტიკური ორგანიზაციები

II კონსტიტუციური მმართველობის პერიოდში ქალებმა პოლიტიკური პარტია დააარსეს. ამის შესახებ ინფორმაცია 1923 წლის 15 ივნისს ჟურნალში „Süs“ (“სამკაული”) გამოცხადდა. პარტიას სახელად „Kadınlar Halk Fırkası“ („ქალთა სახალხო პარტია“) ერქვა. პარტიის გენერალური მდივანი, შუქუფე ნიჭალი განმარტავდა, რომ ქალებს ადრე თუ გვიან არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა მინიჭებოდათ. იმისათვის, რომ პარტიას იურიდიული ძალა ჰქონოდა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან ნებართვა იყო საჭირო. ეს ნებართვა კი პარტიას არ მიეცა. 1923 წელს მიღებული საარჩევნო კანონი, 1909 წლის კანონისაგან არაფრით განსხვავდებოდა. თურქეთის მოქალაქე ყველა მამაკაცს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. ასეთი მიღგომა 1924 წელსაც არ შეცვლილა. ქალთა პარტიამ თავისი პროგრამა შეცვალა და პოლიტიკური შინაარსის მოთხოვნები პროგრამიდან ამოიღო. ამის შემდეგ მათ პარტიად გაფორმების უფლება მიეცათ. პარტიამ სახელად “Türk Kadınlar Birliği” (“თურქ ქალთა ერთობა“) დაირქვა. პარტიის თავმჯდომარე, ნეზიპე მუჰამედინი, ⁴³ უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ. “მაშინ, როცა ყავახანის კუთხეში მჯდარ თრიაქის მწეველ გაუნათლებელ მამაკაცს უფლება აქვს, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, რატომ არის, რომ განათლებულ ქალებს ამისი უფლება არა აქვთ?” (Çakır, 2011:130). სმის მიცემის უფლება ქალებს მხოლოდ 1930 წელს მიენიჭათ.

ოსმალეთის იმპერიაში ქალების ასეთი აქტიურობა და მათი საზოგადოებრივ სფეროში ჩართვის აუცილებლობა გარკვეული სახით დროის ცვალებადობასთან არის დაკავშირებული. ქალები კარგად ხედავდნენ პატრიარქალური საზოგადოების შედეგებს. ტრადიციები, რელიგია, უთანასწორობა, მათი თავისუფლების შეზღუდვის იარაღს წარმოადგენდა. ამიტომ ისინი დაუდალავ ბრძოლას აწარმოებდნენ კუთვნილი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების

⁴³ ქალთა პოლიტიკური პარტიის მოთხოვნებს მწვავე კრიტიკით პასუხობდა პრესა. ამან, საბოლოო ჯამში, პარტიის თავმჯდომარის, ნეზიპე მუჰამედინის, თანამდებობიდან გადაყენება გამოიწვია. თუმცა იგი, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, 1934 წლის არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მწერალი ქალი სუათ დერვიშიც, რომელიც სულთანაშევის რაიონის კანდიდატი იყო.

მოსაპოვებლად. ისინი ხაზს უსვამდნენ თჯახური ცხოვრების, საზოგადობრივ ცხოვრებაში სქესთა შორის ურთიერთობის დალაგების აუცილებლობას. ოსმალო ქალები მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო რევოლუციის მოწყობა. რევოლუცია საზოგადოების მენტალურ ცვლილებებს გულისხმობდა. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ოსმალო ქალების მოძრაობის დამსახურებას წარმოადგენს, ის არის, რომ იმ დროინდელი საზოგადოების და ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ქალები საკუთარი გამოცდილებიდან და ქალური პერსპექტივიდან აკეთებდნენ დასკვნებს. ამიტომაა მათი მოღვაწეობა ესოდენ მნიშვნელოვანი. საკუთარი აზრის და საკუთარი არსებობის შესახებ მათ განაცხადი ბეჭდური მედიის საშუალებით გააკეთეს. მიზანს კი საზოგადოებისთვის როგორც საკუთარი, ასევე ევროპელი ქალების გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. ისინი ხაზს უსვამდნენ ქალთა იდენტობის საკითხს. ქალი არ იყო მხოლოდ დედა და მეუღლე, იგი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იყო, რომელსაც შესწევდა უნარი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელ ქალს საკუთარი აზრისა და დარღის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა. უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ქალთა ფემინისტურმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა შეასრულეს. მიხედავად იმისა, რომ ოსმალო ქალთა მოძრაობა ფართო მასშტაბიანი მოძრაობა არ იყო, მან ოსმალო ქალების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე და ცვლილება შეიტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალო ქალთა მოძრაობაში ქალთა რიცხობრივი სიმრავლე იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ხარისხობრივი შედეგი. ოსმალეთის იმპერიაში ქალთა მოძრაობას ბვერი მიმდევარი რომ არ ჰყავდა, ეს ისევ და ისევ ქალთა გაუნათლებლობისა და ტრადიციული აზროვნების ბრალია. ოსმალო ქალთა მოძრაობამ საზოგადოებაში ქალის ახალი სიმბოლოს შექმნას შეუწყო ხელი. შეიქმნა ქალის აქტიური და უფლებებისათვის მებრძოლი ტიპი. ქალებმა საკუთარი აზრისა და ბრძოლის წარმოების ორი გზა აირჩიეს: ჟურნალ-გაზეთები და ორგანიზაციები. პირველი მათ პიროვნული აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევდა, მეორე კი – მათი მოძრაობის ორგანიზებულობას, დასახული ამოცანების გადაჭრის გზების პოვნის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან შორსმყოფ ქალებს ჟურნალების გამოცემის საქმეში ის მამაკაცები ეხმარებოდნენ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ქალებისა და მამაკაცების სქესობრივი ნიშნით დაყოფით ცხოვრების დონე და

ხარისხი ყოველთვის დაბალია. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მამაკაცები თანახმა იყვნენ, იმ პერიოდის ქალი მწერლების ნაწარმოებები დაებეჭდათ და საზოგადოებისათვის გაეცნოთ. მაგალითად “Hanimlara Mahsus Gazetesi” („ქალთა გაზეთი“) სწორედ ამ მისიას ემსახურებოდა. აღნიშნულ გაზეთში ნაციონალური დისკურსი მნიშვნელოვნად დიდი იყო, რაც შემდგომში მამაკაცების მიერ გამოცემულ ჟურნალში “İnci” („მარგალიტი“) მთავარი პრინციპი გახდა. ჟურნალი “Kadınlar Dünyası” („ქალთა სამყარო“) კი იმ დროის ქალთა ჟურნალ-გაზეთებს შორის რადიკალიზმით გამოირჩეოდა. ჟურნალის ყველა წევრი მხოლოდ ქალი იყო. ჟურნალი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მკითხველის წერილებს, რაც დღევანდელი ჟურნალ-გაზეთებისაგან ნაკლებ მოსალოდნელია. მათ კარგად გაითავისეს ფემინისტური მოძრაობის იდეები. გაიზიარეს ევროპელ ქალთა გამოცდილება. ამიტომ ოსმალო ქალთა მოძრაობა არ წარმოადგენს ევროპული ფემინიზმის მიბაძვას და ზედმიწევნით გადმოტანას. პირიქით, ისინი ევროპელ ქალებს მოქმედების გზებსაც კი უწენებდნენ და ცდილობდნენ მათი შეცდომები არ გაემეორებინათ.

ქალებმა იცოდნენ, რომ თუ აზროვნების სფეროში გარდატეხა არ მოხედებოდა, ისინი თავისუფლებას და მამაკაცებთან თანასწორობას ვერ მოიპოვებდნენ. აზროვნებაში გარდატეხა კი, უპირველეს ყოვლისა, თავად ქალებში უნდა მომხდარიყო. ოსმალო ქალები მათი დისკრიმინაციის მიზეზს სქესის თვალსაზრისით განსხვავებაში ხედავდნენ. ისინი ეძებდნენ პასუხს კითხვაზე: „განა წვენ ადამიანები არ ვართ?“ სქესის გამო ისინი ადამიანთა კატეგორიაში არ განიხილებოდნენ. გაზეთში “Kadınlar Dünyası” („ქალთა სამყარო“) სემიჰა ჰანიმი და ბედია ჰანიმი სოციალური და ბიოლოგიური სქესის შესახებ აქტიურად საუბრობდნენ. სემიჰა ჰანიმი სოციალურ სქესს ბიოლოგიურისგან გამოჰყოფდა. ბედია ჰანიმი კი აღნიშნავდა, რომ არანაირი სოციალური სქესი არ არსებობს, ეს მხოლოდ ადამიანთა მიერ გამოგონილი ცნებაა. ოსმალეთის იმპერიაში გენდერული როლების შესახებ კამათი ისეთი აქტიური ვერ იქნებოდა, როგორც მომდევნო საუკუნეებში და დღეს – მით უმეტეს. დღესდღეობით გენდერული კვლევების ცენტრები არსებობს. მაგრამ ვფიქრობ, იმ პერიოდისათვის სოციალური და ბიოლოგიური სქესის სხვაობის შესახებ ინფორმაციის ფლობა მნიშვნელოვანი ფაქტია. ქალები უკვე თამამად გამოთქვამდენენ აზრს მამაკაცების შესახებ. ვითარება ოდნავ შეიცვლა, აქამდე მხოლოდ მამაკაცები განმარტავდნენ ქალის

“რაგვარობას” და ეს, რა თქმა უნდა, მათი პროექციის შედეგი იყო და არა რეალობა.

იმავე პერიოდში ქალთა დაახლოებით ოცდაათამდე თრგანიზაცია არსებობდა, რომელიც ორი მიმართულებით მუშაობდა: ეროვნული საკითხები და ქალთა საკითხები. ეროვნული მიმართულების ორგანიზაციები, ძირითადად, ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებას, ეკონომიკური საკითხების მოგვარებას, ადგილობრივი საქონლის წარმოებას,⁴⁴ ქვეყნის დაცვის მეთოდების შემუშავებას ისახავდა მიზნად. ქალთა პროფესიული და უმაღლესი განათლება, გოგონათა სკოლების გახსნა, ქალთა უფლებების მოპოვება, ქალთა კულტურული აღზრდა, ქალთა საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციების მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ცვლილებები ქალებზეც აისახა. ქალთა უფლებების საკითხში მნიშვნელოვანი უპირატესობა ნაციონალურმა შეხედულებებმა მოიპოვა. კარგ თაობას კარგი აღმზრდელი სჭირდებოდა. ამიტომ საჭირო იყო ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ეროვნული მახასიათებლების მქონე ოჯახის შექმნა, საზოგადოების მოდერნიზება, მხოლოდ ქალთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებით და უფლებების მინიჭებით იქნებოდა შესაძლებელი. ომის ქალების საქმედ არ მიჩნევას ისინი შემდეგნაირად პასუხობდნენ: „თუ ქვეყნას დასჭირდა, ქალი ჯარისკაციც გახდება“. უფლებები მამაკაცებზე უწინ ქალებს უნდა მიენიჭოთ. ვინაიდან ქალი მხოლოდ კაცობრიობის დედა არ არის, იგი ცივილიზაციის დედა და საფუძველია. ისლამზე საუბრისას ხაზი მის არასწორ კომენტირებას ესმეოდა.

ოსმალო ქალთა მოძრაობის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ქალთა თავისუფლების, მამაკაცებთან თანასწორობის მოთხოვნა მხოლოდ პიროვნული თვალსაზრისით არ მნიშვნელოვნობდა, იგი საზოგადოების ძველი, ტრადიციული აზროვნებისგან განთავისუფლებას და მოდერნიზებას ისახავდა მიზნად. ფემინიზმს კი ახალი საზოგადოების შექმნის მისია დაეკისრა. ოსმალეთის იმპერიის ინტელიგენციის შეკითხვას – „ქვეყანა როგორ უნდა ვიხსნათ?“ მხოლოდ

⁴⁴ ოსმალო ქალები ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულობას სახით ადგილობრივი წარმოების სახით უფლება ქვეყნის ეკონომიკური „ტუვების“ ხსნად მიაჩნდათ. მოსახლეობას ადგილობრივი წარმოების საქონლის შეძენისკენ მოუწოდებდნენ

ერთი პასუხი თუ შეეფერებოდა „მხოლოდ ქალთა საოანადოდ დაფასებით“. ქალების ხსნა და ქვეყნის ხსნა ერთმანეთთან იყო გაიგივებული.

ოსმალო ქალთა მოძრაობა, ევროპულ ქალთა მოძრაობისგან განსხვავებით უფრო სხვა სახით იქნა პოლიტიზირებული. ისლამურ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შეცვლა უშუალო კავშირშია სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სტრუქტურის შეცვლასთან. ეს ცვლილება რომ არ მომხდარიყო, სახელმწიფო ქალების საკითხის გადაჭრაში „პირველობას“ არავის უთმობდა. ქალის სამოსით დაწყებული, როგორი და რა წიგნების წაკითხვით დამთავრებული, ერთი სიტყვით, ქალის როგორც პირად, ასევე საზოგადობრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღება მის პრეროგატივას წარმოადგენდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქალთა მოთხოვნების დაქმაყოფილება, საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილება და ლაიცისტურობა ერთგვარი „იძულების წესით“ მოხდა. II კონსტიტუციური მმართველობის დროს ტრადიციული ისლამური პატრიარქატი, მოდერნიზებული პატრიარქატით შეიცვალა. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ოსმალურ საზოგადოებაში რელიგიური პრინციპები ძალიან მნიშვნელოვანია. ქალების ადგილი მხოლოდ სახლით არის განსაზღვრული. კონსტიტუციური მმართველობის დროს კი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და აზროვნების სფეროში ძირებული ცვლილებები მოხდა, რამაც გავლენა ქალთა მდგომარეობაზეც მოახდინა. მათი თავისუფლებისა და თანასწორობის მოპოვებისათვის ბრძოლა თურქეთში ქალთა მოძრაობის პირველ ტალღად შეიძლება შევაფასოთ. მიჩნეულია, რომ თურქეთში ფემინისტური მოძრაობა მხოლოდ 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაიწყო. ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. ვინაიდან მოთხოვნების, ბრძოლის მეთოდების და საზოგადოებაში ფემინისტური იდეების პირველი გამავრცელებლები ოსმალო ქალები არიან. კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ მიაჩნიათ ოსმალო ქალების მოძრაობა ფემინისტურ მოძრაობად, მისი ევროპულ ფემინიზმთან შედარებაა. „ევროპაში „სუფრაჟისტების“, მიერ ხმის მიცემისათვის წარმოებული აქტიური ბრძოლის მსგავსი თურქეთში არაფერი მომხდარაო“ – ამბობენ. ამ მოსაზრების ავტორებს მხედველობიდან ერთი ფაქტი რჩებათ. მაშინ, როცა ევროპელი ქალები პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდნენ, ოსმალო ქალები განათლების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლების მოპოვებას ცდილობდნენ. როდესაც ორ ქვეყანას ერთმანეთს გუდარებთ, საზომად ამ ქვეყნების რეალობა უნდა გამოვიყენოთ.

2.4. „ქემალისტური ფემინიზმი“

თურქეთში ქალთა მოძრაობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროექტების და იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ექცევა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია რესპუბლიკური პერიოდის თურქეთი. 1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალ ათათურქმა თურქეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. თავად კი თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა. ათათურქის მიერ გატარებული რეფორმები „ქემალისტური რეფორმების“, სახელით არის ცნობილი. ქალთა საკითხს ათათურქი და მისი გარემოცვა დიდ ყურადღებას უთმობს. მუსტაფა ქემალის ქალთა საკითხისადმი „ლრმა“ დამოკიდებულებას თავისი მიზეზები გააჩნია. ქემალისტურ იდეოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი „უსქესობის“, „დეგენდერიზაციის“ პროექტს ეთმობა. ქემალისტების მიერ ქალურობის და მამაკაცურობის ცნებები თავიდან გადაფასდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი „ახალი ქალის“ თურქი ერის სიმბოლოდ მიჩნევა წარმოადგენდა. ათათურქი თავად იყო დაინტერესებული „ახალი ქალის ტიპის“ შექმნით, რომელიც ძველი ტარდიციული და რელიგიური ნორმებისაგან გათავისუფლებულ ქალს ნიშნავდა. ⁴⁵ რესპუბლიკური პერიოდის თურქეთში სქესთა თანასწორობის იდეოლოგია, რა თქმა უნდა, ფრანგი განმანათლებლების იდეების გავლენას განიცდიდა, მაგრამ თანასწორობისა და ლიბერალურობის შესახებ მოსაზრებები მკაცრ კორპორატისტულ-ეროვნულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. ქემალისტურ-ეროვნული პარადიგმის მიხედვით ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ერთი და იმავე პასუხისმგებლობისა და იდეალების მატარებელ საზოგადოებას ნიშნავდა. ახალგაზრდა თურქი ქალები და მამაკაცები მოდერნიზაციის, პროგრესის სიმბოლოები იყვნენ.

ქემალიზმი ინდივიდზე მორგებული იდეოლოგია არ ყოფილა. პირიქით, მის საფუძველს კორპორატისტული იდეოლოგია წარმოადგენდა. ოსმალეთის იმპერიაში მოდერნიზაციისათვის მებრძოლი თანზიმათელების და ახალგაზრდა თურქების პოლტიკური და იდეოლოგიური დღის წესრიგში ქალთა საკითხი არცოუ ისე დიდ ადგილს იჭერდა. რესპუბლიკის პერიოდის თურქეთში მან ზენიტს მიაღწია. ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში მიენიჭათ ქალებს განათლების, პოლიტიკური, იურიდიული უფლებები. ოსმალური საზოგადოება, რომელიც სქესთა

⁴⁵ ათათურქმა თავის მეუღლე ლატიფე ჰანუმთან ერთად, რომელსაც თავსაბურავი ეხურა და სამხედრო უნიფორმის მსგავს სამოსში იყო გამოწყობილი, მოელი თურქეთი მოიარა.

სხვაობაზე იყო დამყარებული, ლაიცისტურობისა და სქესთა თანასწორობის სისტემაზე გადასვლამ ქალთა ფუნქციების ახლებურად შეფასების აუცილებლობაში დაარწმუნა. უკვე ყურადღება ეთმობა არა სქესს, არამედ ქალთა პროფესიონალიზმს. ქალები აღარ წარმოადგენდნენ პატრიარქალური მორალისათვის საფრთხეს. აქედან გამომდინარე, ქემალიზმი რაც არ უნდა მოდერინიზებულ იდეოლოგიად მივიჩნიოთ, ქალთა საკითხში იგი მაინც ტრადიციული რჩება. ვინაიდან მორალური ნორმები ქალთა პიროვნულ და სქესობრივ თავისუფლებას ზღუდავს.⁴⁶ “ქემალისტური ქალის ტიპი“ გულისხმობდა შემდეგს: ქალიშვილობის დაცვას ქორწინებამდე, ცოლის ქმრისადმი ერთგულებას, საზოგადოებრივ სფეროში შედარებით „თავისუფალი“ სამოსით გამოჩენას, ქცევის ნორმების დაცვას. ეს ყველაფერი „ქემალისტური ელიტის“ მორალურ საფუძველს წარმოადგენდა. ქემალისტურ იდეოლოგიაში „ქალთა საკითხი“ ერთი შეხედვით მოდერნისტული იდეოლოგიით, მაგრამ უაღრესად ტრადიციულ და მორალის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული ეკლექტიკური კუთხით იქნა განხილული. მართალია, „ქემალისტი ქალი“ არ ატარებს ჩადრს, მაგრამ ის საკუთარ სექსუალობაზე ამბობს უარს. „ქემალისტი ქალების“ სულიერ ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას

⁴⁶ მუსტაფა ქემალი ხშირად იმეორებდა, “უცოლობა სულთნობის ტოლფასიამ“ როცა ერთ დღეს პკითხეს, მაშ ცოლი რატომ შეირთეო, ამ რეფორმის გამოო, უპასუხა. ევროპული აზროვნების აპოლოგიტი მუსტაფა ქემალი თავისი ქცევით ჭეშმარიტი აღმოსავლები აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ გამოდგა მისი ქორწინება უიღბლო. ამგავრი „აღმოსავლურ-დასავლური“ წინააღმდეგობები მის მეუღლეს, ლატიფე ჰანუმსაც ახასიათებდა. მართალია, ათათურქს ევროპული განათლება და შეხედულებები ჰქონდა და ქორწინებას ორი თანასწორი ადამიანის კავშირად აღიქვამდა, სადაც ადამიანები ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ და ერთმანეთს მხარში ედგნენ, მაგრამ რეალურად არც არავის გავლენა სჭირდებოდა და არც დახმარება, მით უმეტეს – ქალისა. მას საკუთარი ცხოვრების წესი ჰქონდა, რომელსაც სახლშიც იცავდა და რომლის შეცვლას არ აპირებდა. სიტყვით და საქმით გენდერული თანასწორობის აპოლოგიტი, ბუნებით ამის წინააღმდეგი იყო. ქალებისაგან მხოლოდ სიამოგნების მიღება უყვარდა და მათ ერთადერთ ფუნქციად მამაკაცები სათვის სარგებლობის მოტანას მიიჩნევდა. ლატიფე ჰანუმმა იგი თავის დროზე მამაკაცური აზროვნებით მოხიბლა და ამ მხრივ საზიარო ბევრი ჰქონდათ. განქორწინებისას ევროპული წესით დაქორწინებულმა მუსტაფამ განქორწინების მუსლიმური წესი გამოიყენა, რომლის მიხედვითაც მამაკაცს ცოლთან გასაყრელად მხოლოდ იმის თქმა ჰყოფნიდა, გაგებარეო. სულ რამდენიმე თვეში იგი ამას ვეღარ გააკეთებდა, რადგან მეჯლისმა ბოლოს და ბოლოს ახალი სამოქალაქო კანონი მიიღო, რომელიც შვეიცარიულ სამოქალაქო კოდექსს ეფუძნებოდა და მისი რეფორმების მირითად საძირკველს წარმოადგენდა. კანონის თანახმად, აიკრძალა მრავალცოლიანობა და განქორწინების ისლამური წესი. ახლა უკვე ქორწინებაც და განქორწინებაც ორივე მხარის თანასწორი უფლებების საფუძველზე მოხდებოდა (კინროსი, 2011:65).

„ქემალისტი მამები“ ახდენენ. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალიშვილების აღზრდას, რომლებიც მამისა და, ზოგადად, ოჯახის ნამუსის სიმბოლო იყო.

ქემალისტებმა ქალთა საკითხის გადაწყვეტის საკითხში წინა თაობის პროგრესული მამაკაცების ფუნქციები იკისრეს. თანამედროვე სახელმწიფოსთან გაიგივებული თურქი ინტელიგენციისათვის სახელმწიფოს კულტურული მოდელის მნიშვნელოვან ნაწილს ქალები და მათი „სსნა“ წარმოადგენდა. უდავოა, რომ თურქეთის თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე მეტად სწორედ ქემალისტებს სურდათ ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ქემალისტი ქალი იძულებული იყო მამაკაცის როლი მოერგო. ბიუროკრატ მამაკაცთა შორის ადგილის დაჭერა ქალებისათვის, ქალურობაზე უარის თქმას ნიშნავდა. ათათურქი ქალების განათლებას დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა და ხაზს უსვამდა ეკროპელების მცდარ შეხედულებას ისლამზე. ისლამი ქალს მამაკაცზე დაბლა მდგარ არსებად არ განიხილავს, პირიქით, ალაჟი ქალისა და მამაკაცის, ყველა მუსლიმის ცოდნასთან ზიარებას ბრძანებსო, —ამბობდა. ათათურქის სიტყვები ძალიან კარგად არის ასახული ზია გოქალფის ნააზრევში, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. აქ შესაძლოა დავსძინოთ შემდეგი: ისლამამდელი პერიოდის შუა აზიაში მცხოვრებ თურქულ საზოგადოებაში ქალი გაიდეალებულია. ბიზანტიისა და ირანის გავლენით ქალთა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ამიტომ საჭირო იყო ახალ დროში „ეროვნული კულტურისა“ და თანასწორობის პრინციპების, „ფემინისტური იდეების“ ისევ გათავისება. ცივილიზაცია, ადამიანთა უფლებები, დემოკრატია და ფემინიზმი თურქული კულტურისათვის უცხო არ არის. „თურქები თან დემოკრატები, თან ფემინისტები იყვნენ. თანაც დემოკრატიული საზოგადოება იმავდროულად ფემინისტურიცაა. თურქები რომ ფემინისტები იყვნენ, ამის ნათელი მაგალითი შამანიზმია. ძველი თურქების აზრით, შამანიზმი ქალებში მადლს ხედავდა. სიწმინდის თვალსაზრისით, ტოინიზმისა და შამანიზმის თანასწორობა, იურიდიული თვალსაზრისით, ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საბაბი გახდა“ (Gökalp, 1976:158). გიოქალფის აზრით, „ეროვნული ოჯახი“ არ უნდა ყოფილიყო თანამედროვე ოჯახის ასლი. მაშინ, როცა ზოგიერთი ერი იძულებულია, დაივიწყოს თავისი წარსული, თურქეთი – პირიქით, ძველ დროში უნდა დაბრუნდეს. ნაციონალისტები გაეგროპელების მომხრეებსაც აკრიტიკებდენენ

(ძირითადად ოჯახის საკითხში ევროპული ტრადიციების დანერგვის მომხრეებს) და ტრადიციულ შეხედულებებსაც უარყოფდნენ.

ათათურქმა საზოგადოებას „ანატოლიელი ქალის ტიპი“ შესთავაზა, რომელიც თანამედროვე ქალის ტიპს ჰარმონიულად ერწყმოდა. ეს ევროპისათვის თურქეთის ევროპულობის ერთგვარი მაჩვენებელი იქნებოდა. ევროპული, ქალაქელი ტიპის საწინააღმდეგოდ მშრომელი, პატიოსანი და ერთგული “ანატოლიელი ქალის ტიპი” 1910-1930 წლების თურქულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს. ქემალისტების მიერ შემუშავებული „ემანსიპირებული“ ქალი, განათლებული, პროფესიის მქონე, ანატოლიელი გლეხი ქალისათვის შემუშავებული მოდელი არ ყოფილა. იგი მაღალი და საშუალო ფენის ქალებისთვის შემუშავებული მოდელი იყო, რომელიც ახალი რესპუბლიკის და მოდერნიზებული თურქეთის სიმბოლო უნდა გამხდარიყო. მეორე საკითხი, რომელზეც ათათურქი ამახვილებდა ყურადღებას, ჰარემის საკითხი იყო, რომლის შესახებ დასავლეთი საკმაო ინფორმაციას ფლობდა. ქალებზე საუბრისას ათათურქს მაგალითად ანატოლიელი გლეხი ქალი მოჰყავდა, რომლის შორომისმოყვარეობას, სხარგ აზროვნებას და ნიჭიერებას იგი ხოტბას ასხამდა. ხაზს უსვამდა, რომ ჰარემი მხოლოდ ქალაქისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ამგვარად, ქემალისტური ნაციონალიზმი სახელის მოხვეჭის მიზნით თან საკუთარი იდეოლოგიის, თან ქალთა საკითხის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. აბადან-უნათი ამ საკითხზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ცდილობდა რა თურქი ქალის გათავისუფლებას, ათათურქი თანასწორობასა და ჰარმონიაზე დამყარებული ოჯახური ცხოვრების შექმნასთან ერთად, ქალების ენერგიის და შესაძლებლობების სხვადასხვა სფეროში ნაყოფიერად გამოყენებით ერის საძირკველს აძლიერებდა“ (Abadan -Unat, 1986:29)

ქემალისტური იდეოლოგია განსხვავებული სოციალური ფენის წარმომადგენლების, განათლების, სქესის ადამიანთა ერთ მთლიანობად წარმოჩენას ცდილობდა, რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ისინიც მამაკაცების თანასწორები უნდა იყვნენ. უფრო სწორედ კი მათი დამხმარეები უნდა იყვნენ. ქალების “ეროვნულ პასუხისმგებლობას“ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე „სახლისა და ოჯახის საქმეებს“. “ცხოვრება მოქმედებას ნიშნავს, გარდა ამისა, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი შრომობს, ხოლო მეორე

კი –ზარმაცობს ის საზოგადოება წინ ვერ წავა. ცნობილია, რომ როგორც ყველა სფეროში, ისე საზოგადოებრივ სფეროში ფუნქციები და მოვალეობები იყოფა. ქალებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთივე აქტიური როლი უნდა შეასრულონ, როგორც ოჯახში. ქალის საზოგადოებრივი ფუნქციები გაცილებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანია“ (Durakbaşa, 2012:123). ათათურქს თავისებური დამოკიდებულება პქონდა ჩადრის საკითხთან. იგი ამ საკითხის მოდერნისტული პერსპექტივიდან განხილვას და წარმოჩენას ცდილობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისა და მათი უფლებების შესახებ საუბრისას ათათურქი ტრადიციებისა და რელიგიური რწმენის საკითხებს დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. მას არ სურდა რელიგიური სფეროს წარმომადგენლების გადიზიანება. თუმცა მათთვის საკუთარი ძალის დემონსტრირებას არასდროს ერიდებოდა.⁴⁷

ქალთა სამოსის საკითხი ერთ-ერთი ის საკითხთაგანი იყო, რომელიც ერის სახეს წარმოაჩენდა. ჩადრის ფუნქცია ქალების ღირსების დაცვასთან იყო ასოცირებული. სამოსის რეფორმირებისას ეს მნიშვნელოვანი დეტალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული⁴⁸. მუსტაფა ქემალი

⁴⁷ ანკარაში გამართულ პედაგოგთა კონგრესზე მამაკაცებთნ ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ, თუმცა მათ დარბაზში ცალკე რიგი გამოუყვას. როდესაც ხოჯებმა ამ კონგრესის შესახებ შეიტკვეს, აღშფოთებულებმა დაზისთან დელეგაცია მიავლინეს. დაზიმ მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე დაიბარა და უსაყვედურა, ეს რა გიქნიათ, პედაგოგთა კონგრესზე ქალებიც მიგიწვევიათო. ხოჯები აღფრთოვანებას ვერ მაღავდნენ, მაგრამ დაზიმ თავმჯდომარის გაკიცხვა განაგრძო, ქალები ცალკე რატომ დასვით საკუთარი თავის იმედი არ გაქვთო, თუ ჩვენი ქალების ნამუშები გეპარებათ ეჭვიო. კუდამოტუბული ხოჯები უხმოდ გაბრუნდნენ უკან (კინროსი, 2011:260).

⁴⁸ ათათურქი არამხოლოდ ქალების სამოსის ცვლილებას, არამედ, ზოგადად, ეგროპული სამოსის დამკუიდრებას ცდილობდა. პირველ ცდას იგი საკუთარ თავზე ატარებდა. თურქი მამაკაცების მიერ ფეხის ტარება მისი ევროპული შეხედულებებისათვის მიუდველი იყო. ამიტომ აკრძალა კიდევ იგი. თავად კი ერთ-ერთი ფერმის გახსნაზე პანამით გადაიღო სურათი. ინეგოლ ში წარმოთქმულ სიტყვაში იგი ხახს სამოსის ცვლილების აუცილებლობას უსვამდა: “ბატონებო, თურქეთის რესპუბლიკის შემქმნელი თურქი ხალხი ცივილიზებული ერია. ისტორიულადაც ასე იყო და ახლაც ასეა. მე, როგორც თქვენი დვიძლი ქმა, მეგობარი, მამა გუცინებით, რომ ეს აზროვნებით და შეხედულებებით უნდა დავამტკიცოთ. ამიტომ გამითხებით, ჩვენ ეროვნული ტანსაცმელი გვაცვია? ჩვენი სამოსი ცივილიზებულ საზოგადოებაში მიღებულია? ეს სასაცილო სამოსი არც ეროვნულია და არც – საერთაშორისო. ჩვენს ერს კი სწორედ ცივილიზებული ჩაცმა ეკადრება. ამიტომ უნდა გატაროთ შარვალი, ჟილეტი, პერანგი, პალ სტუხი, საყელო, პიჯაგი და, რა თქმა უნდა, ამის დამაგვირგვინებელი კეპიანი თავსაბურავი, რომელსაც „ქუდი“ ეწოდება“ (კინროსი, 2011:260)

ცდილობდა ხალხი დაერწმუნებინა, რომ მისი რეფორმები ისლამისა და თურქი ხალხის „ჭეშმარიტი სულის“, წინააღმდეგ მიმართული რეფორმები არ იყო. 1926 წელს ქასთამონუში სიტყვით გამოსვლისას ათათურქი ამბობდა: “ჩვენი რელიგიის მიხედვით ჩადრი, როგორც ჩვენი ცხოვრების, ისე ჩვენი დირსების განმსაზღვრელია. შარიათის მიხედვით, ჩვენი ქალები ჩადრის ტარებისას არც ძალიან უნდა დახურულიყვნენ და არც ძალიან გახსნილიყვნენ. ჩადრი ქალების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვას წინააღმდეგობას არ უქმნის“ (კინოსი, 2011:215). უნდა აღინიშნოს, რომ ათათურქი რელიგიურ დოგმებს ყოველთვის სოციალურ ძალასთან მიმართებაში განიხილავდა. ქალთა სტატუსის შესახებ საუბრისას იგი ქალების, როგორც ერის დედის, ეროვნული იდეალების დამცველის, მშრომელი, პატიოსანი და პატივსაცემი ადამიანის გაიდიალებულ სახეს ქმნიდა და საზოგადოებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში თურქი ქალების როლს და თავგანწირვას ახსენებდა. იგი აღნიშნავდა, რომ საზოგადოება ორი სქესის წარმომადგენლებისგან შედგება და მათი ურთიერთობანამშრომლობის გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერ განვითარდება: „განა შესაძლებელია, რომ საზოგაოდების ერთი ნაწილი ცაში აფრინდეს, როცა მეორე მიწასაა მიჯაჭვული? ეჭვგარეშეა, რომ პროგრესული ნაბიჯები მხოლოდ ერთად, ორივე სქესის წარმომადგენლების თანამშრომლობით, უნდა გადაიდგას. რეფორმებიც მარტო ამ შემთხვევაში იქნება წარმატებული. ხშირად მინახავს, მამაკაცების თანდასწრებით, როგორ მალავენ სახეს ან თავდახრილები უბრად სხედან ჩვენი ქალები. რაში მდგომარეობას ამ ქცევის არსი? ბატონებო, განა დასაშვებია ცივილიზებულმა ერმა თავისი დედები და ქალიშვილები ამ დღეში ჩააგდოს? ეს ერის სირცხვილია და ვითარება სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს“⁴⁹ (კინოსი, 2011:216).

ათათურქი ქალების განათლებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საუბრობდა რა ქალების განათლებაზე, იგი ორ მიზეზს ასახელებდა: ქალებმა

⁴⁹ 1926 წელს, ქასთამონუს მოგაზაურობის შემდეგ მუსტაფა ქემალი იზმირში ჩავიდა და პირველი თურქელი მეჯლისი მოაწყო, რომელზეც მხოლოდ მუსლიმები დაბატივეს ცოლებით. ორკასტრი ევროპულ მუსიკას უკრავდა დაზიმ ვალის ქალიშვილი გაიწვია საცეკვაოდ, სხვებისთვის მაგალითი რომ მიეცა. იმ დროისათვის არც ერთ თურქ ქალს თავის ქვეყანაში ხალხის თანდასწრებით მამაკაცთან არ უცეკვია. სტამბოლში ცეკვას მალე შეეწივნენ, თუმცა სხვა ქალაქებში ეს უფრო რთული პროცესი გამოდგა. ანკარაში ყოველ პარასკევს სადამოები ეწყობოდა, სადაც ყველას უნდა ეცეკვა. ამან, თავის მხრივ, ახალი პროფესია, ცეკვის მასწავლებლის ინსტიტუტი წარმოშვა.

სოციალურ სფეროში მამაკაცების გვერდით უნდა დაიკავონ ადგილი და ბავშვების პირველი აღმზრდელები ქალები არიან. აქ ათათურქი თავისი წინამორბედი რეფორმატორების ნააზრევს იმეორებს და ორიგინალობით არ გამოირჩევა. ანუ ახალი თაობის აღმზრდა და ერის წინსვლა განათლებულ დედებზეა დამოკიდებული. ქემალისტური იდეოლოგია მიზნად საზოგადობრივ ცვლილებებს ისახავდა, ამ საქმეში კი, მამაკაცების გარდა, ქალებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ქემალისტური იდეოლოგიის გამავრცელებლები ქალებიც უნდა გამხდარიყვნენ. წერა-კითხვის გავრცელებასთან დაკავშირებული კამპანიები, დაწყებითი განათლების აუცილებლობა, იდეოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. მასწავლებლები ახალი რესპუბლიკის ყველაზე ერთგული მცველები იყვნენ, ვინაიდან მათ „განათლების ჩირალდანი“ ყველა ადამიანამდე უნდა მიეტანათ. რესპუბლიკის პერიოდში სახალხო სახლების წევრების რაოდენობამ ასი ათასს გადააჭარბა. მათი მთავარი ფუნქცია ლაიცისტურ-მოდერნისტული დოქტრინის გავრცელება იყო. ამ წევრებს შორის ათი ათასი მასწავლებელი და თვრამეტი ათასი ქალი ირიცხებოდა. წევრების უმეტესობა მაღალი დონის ჩინოვნიკები და სახელმწიფო მოხელეებისგან შედგებოდა. პარტიის იდეოლოგიის გავრცელებაში მონაწილეობა მათვის სავალდებულო იყო.

ქემალისტურ იდეოლოგიაში „სქესთა შორის თანასწორობა“ ქალებისა და მამაკაცების ეროვნულ საკითხებში თანაბარი მნიშვნელობით ჩართვასა და საერთო იდეალების გაზიარებას მოიაზრებდა. ეს, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში გარკვეული სახის გაღიზიანებას იწვევდა. ამის ნათელი მაგალითია მამაკაცი მწერლების წერილი, რომელიც მათ „ქალთა გაერთიანების“ წევრების საქმიანობასთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს: “ზოგიერთი, ვითომდა კეთილშობილი ქალი იმის დასამტკიცებლად, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორები არიან, დიდი ხმაურს ტეხს. ამ მიმართულებით კამათს „ქალთა გაერთიანებაც“ აწარმოებს. ამ გაერთიანების მიზანი თურმე იმის დამტკიცება ყოფილა, რომ ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობები თანაბარია. ასეთი მცდელობა ამაოა. ასეთი სახის ფემინიზმის საჭიროება თურქეთში არ დგას და თუ ქალებს ნამდვილად უნდათ საქმის კეთება, მაშინ საზოგადოების საქმეებში ჩაებან“ (Durakbaşa,2012:126). რესპუბლიკის პირველ წლებში „ქალთა ხსნის“ შესახებ კამათი ეროვნული საქმისათვის ბრძოლის სტატუსით იწარმოებოდა და საზოგადოებაში ამ აზრის აქტიური გავრცელება ხდებოდა. რესპუბლიკის პერიოდის ქემალისტი

ქალები ხელისუფლებასთან განსაკუთრებულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მათ სახელმწიფოს იდეოლოგია და მოძრაობა ძალიან კარგად გაითავისეს. ამიტომ ამ პერიოდის ქალთა მოძრაობას „ქემალისტური ფემინიზმი“ ან „სახელმწიფო ფემინიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ. ახალი რესპუბლიკის დამარსებელმა, ქემალ ათათურქმა, ძალიან კარგად იცოდა, რომ თურქული საზოგადოება არ იყო მზად, ერთბაშად მიედო მისი ევროპული შეხედულებები. თითოეული რეფორმის გატარების დროს მას სიფრთხილისა და სიმტკიცის გამოჩენა უხდებოდა. ეროვნულ საქმეში რაიმე სახის გაერთიანების ან პარტიის არსებობასაც ვერ დაუშვებდა.⁵⁰ კველაფერი, რაც პეტდებოდა, მისი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. ქალთა საკითხის გადაჭრა მისი გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ქემალისტური იდეოლოგია ქალებს თავს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პირებად აგრძნობინებდა და თავიანთი ლიდერის პატივისცემას უნერგავდა. ქალთა ამ დამოკიდებულებას ჰამიდე თოფჩუოდლუს მოგონებები ძალიან კარგად გამოხატავს: “ჩვენ მართლა გამორჩეულები ვიყავით. უფროსები, მამაკაცები ძალიან დიდ პატივს გვცემდნენ. ჩვენ იმ რესპუბლიკის ლიდერები ვიყავით, რომელმაც მიზნად დაისახა ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, უფლებების მინიჭება და პიროვნული თავისუფლება. პროფესიის ქონასაც სხვა კუთხით ვუყურებდით. ჩვენ, ჩვენი არსებობა ჩვენი საქმით უნდა დაგვემტკიცებინა“ (Durakbaşa, 1988:171).

ქემალისტების მიერ შექმნილი „ახალი ქალის“ ტიპი იმდენად გავრცელებული და მისაბამი გახდა თურქულ საზოგადოებაში, რომ ქალების რეალურად პიროვნული თავისუფლება განხილვის საგანს აღარ წარმოადგენდა. იმ პერიოდის ქალები „ასექსუალები“ იყვნენ. მათი „მამაკაცური იდენტობა“ მათსავე ჩაცმულობაში გამოიხატა: მოკლედ შეჭრილი თმა, მკაცრი კოსტიუმი და მაკიაჟის არქონა (Göbenli, 1995:30). იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ქალებს სამოქალაქო კანონით გარკვეული უფლებები მიანიჭა, რითაც ისინი მამაკაცების თანასწორად ითვლებოდნენ, იმ პერიოდში არსებული ქალთა ორგანიზაცია სახელად “Türk Kadın Birliği” („თურქი ქალების გაერთიანება“) დახურა. ამის შემდეგ ქალი, იდეოლოგიის თვალსაზრისით, ფემინიზმზე უფრო მეტად ქემალიზმთან იქნა

⁵⁰ მუსტაფა ქემალი დერვიშთა სექტებში მტერს ხედავდა, რომელსაც მარტივად შეეძლო, ხალხი მის წინააღმდეგ განეწყო. ამიტომ გააუქმა ისინი იმ მოტივით, რომ თურქთის რესპუბლიკა დერვიშების, შეიხების და მიურიდების ქვეყანა ვერ იქნებოდა. ერთადერთი ორდენი ცივილიზაციის ორდენია, აცხადებდა იგი (ინროსი, 2011:256).

გაიგივებული. ქალების მდგომარეობის ოდნავ გამუჯობესებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქალებმა ფემინიზმს ზურგი აქციეს. 1950-1970 წლებამდე არსებული ქალთა ორგანიზაციები მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების და ლაიცისტური სახელმწიფოს შექმნის გამო ათათურქს მადლობას სწირავდნენ. თუმცა ოჯახში ისევ პატრიარქატი მეფობდა და სქესობრივი თანასწორობის საკითხი ქალების დღის წესრიგიდან საერთოდ იქნა ამოღებული. ქალების აზრით, მხოლოდ იმ ქალების საკითხი იყო მოსაგვარებელი, რომლებიც გაუნათლებლობის გამო კანონით მინიჭებულ უფლებებს ვერც სახლში იყენებდნენ და ვერც გარეთ. თავად კი ქალთა იმ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ თავს, რომლებიც მამაკაცებისაგან ჩაგვრასა და მათზე დამოკიდებულებას სრულიად არ განიცდიდნენ. ისინი „თავისუფალი ქალები“ იყვნენ.

2.5. 80-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა

1980-1990 წლები თურქეთში ფემინისტური თეორიების გავრცელების და ქალთა საკითხის კვლევის მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ერთი შეხედვით, 10-წლიანი შუალედი მნიშვნელოვანი ცვლილებების არსებობის საფუძველს ვერ მოგვცემს, მაგრამ ფემინისტური იდეების თეორიულ დონეზე არსებობის და თურქულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულების უტყუარ ფაქტს წარმოადგნეს. თურქი სოციოლოგები შირინ თექელი, აკსუ ბორა, აიშე დურაქბაშა, დენიზ კანდიოთი, ფატმაგიულ ბერქთაი თვლიან, რომ საზოგადოებაში ფემინისტური იდეების თეორიულ დონეზე დამუშავება 1980-1990 წლებში მოხდა. 1990-იან წლებში ქალთა საკითხის სფეროში კვლევის სხვადასხვა მეთოდები იქნა დამუშავებული. 1980-იან წლებში კი ქალთა საკითხი მხოლოდ მცირე ფემინისტური ჯგუფების განხილვის საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, ქალთა წრე ისე იქნა დაარსებული, როგორც საგამომცემლო ორგანო. იგი ინტელექტუალი ქალებისათვის „გულტურული კლუბის“ ფუნქციას ასრულებდა. 1980-იანი წლები მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისითაა, რომ „ქალთა საკითხის“ შესახებ არსებული პარადიგმები ფემინისტური კუთხით შეფასდა და საკითხი ახლებურად დაისვა.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, როგორი იყო ამ დროს თურქული საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ თურქეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაცია ტრადიციულ-

კლასიკურ ჯგუფებში სრული სახით წარმოდგენილი არ არის, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულობა თურქეთში მნიშვნელოვანწილად დაძლეულია. როგორც წესი, ლირებულებების, ქმედებების გადაფასება და შეცვლა უფრო რთული პროცესია, ვიდრე თავად სტრუქტურის ცვლილება. თუმცა ამ კუთხითაც ძირებული ცვილებებია. თურქული საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებას, რომელიც ახალგაზრდა და ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებისაგან შედგება. განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოება უხეშად შესაძლოა სამ ნაწილად დაგეოთ: პირველ კატეგორიას განეკუთვნება ტრადიციული ან ფეოდალური ლირებულებების მატარებელი, სოფლის მეურნეობით დაკავებული, პროვინციებში მცხოვრები ადამიანთა ჯგუფები. ასეთ ჯგუფებში ქალის საზოგადოებაში ფუნქციონირების როლი ძალიან დაბალია. ბავშვებსაც ოჯახში აზრის გამოხატვის უფლება არა აქვთ. საზოგადოებრივი ფასეულობები ოჯახისა და პიროვნების თავისუფლებას ძალიან ზღუდავს. საზოგადოების მეორე კატეგორიას განეკუთვნება საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც დასავლეთის ლირებულებები კარგად შეითვისა. საზოგადების ეს ნაწილი საზოგადოებრივი ზეწოლისგან შედარებით თავისუფალია. ქალები როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში გაცილებით თავისუფლები არიან და მამაკაცებიც თანასწორობის ტენდენციისაკენ იხრებიან. საზოგადოების მესამე ნაწილს განეკუთვნებიან ადამიანთა ის ჯგუფები, რომლებიც ზემოთ მოყვანილი ორი ჯგუფის გადაკვეთის ხაზთან იმყოფება (ესაა ძველისა და ახლის შეუზავებლობის ადგილი). მათ „ახალი ქალაქელი“ კულტურული ჯგუფი შეიძლება ეწოდოს. ქალი და ბავშვები საზოგადოების ამ ჯგუფში საზოგადოების მძლავრი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამის გამო ფასეულობათა კონფლიქტი, გაუცხოება ყველაზე დრამატული სახით არის წარმოდგენილი. სოციალური კლასები და საზოგადოების ფენებად დაყოფის სისტემა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. სოფლის მეურნეობის დაბალმა შემოსავალმა, მიწების არათანაბარმა განაწილებამ, სოფლის მეურნეობაში მუშა ხელის ტექნიკით ჩანაცვლებამ სოფლის მოსახლეობის ქალაქში დენას შეუწყო ხელი. 1970 წლებში ეკროპის ქვეყნებში გავრცელებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნიდან მუშახელის გადინება გამოიწვია.⁵¹ ქვეყანაში მიმდინარე ცვილებებმა საზოგადოების ერთი ნაწილი რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობაში

⁵¹ 1989 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მოსახლეობის 30,7 პროცენტს თურქეთში სურდა ცხოვრება, ხოლო 22, 9 პროცენტს გერმანიაში. ეს კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანები ფინანსურირად მზად იყვნენ, სხვაგან ეცხოვათ.

დაარწმუნა. მათ ოჯახისა და ფასეულობების მკვეთრად გაძლიერების ტენდენციას დაუჭირეს მხარი. 1970 წელს მემარცხენე რადიკალიზმთან ერთად, მემარჯვენე ისლამური რადიკალიზმიც გამოცოცხლდა. 1980 წლის სამხედრო გადატრიალებისას⁵² ისლამური რადიკალიზმი მემარცხენე რადიკალიზმისაგან განსხვავებით, დიდ ზეწოლას არ განიცდიდა. 1980-იან წლებში ევროპის ქვეყნების მსგავსად შეა აღმოსავლეთში რელიგიური ჯგუფების რადიკალიზაცია განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს მხარს სახელმწიფო უჭერდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ისლამურ სამყაროში იმ იშვიათ ქვეყნებს შორის, რომლებიც ლაიციზმით არის ცნობილი, თურქეთში რადიკალურ ისლამისტებს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფრთხედ აღიქვამდნენ. 1980-იან წლებში მიმდინარე საზოგადოებრივ ცვილილებებს შორის კიდევ ერთი მთავარი ცვლილება პოლიტიკის სფეროში კომპრომისის ძიება იყო. 1970-იან წლებში დაწყებული და 1980-იან წლებში სამხედრო გადატრიალებით დამთავრებული პოლიტიკური პოლარიზაცია და კრიზისი ტერორსაც გულისხმობდა. სამხედრო რეჟიმმა დღის წესრიგში დემოკრატიის დამკვიდრების აუცილებლობა დააყენა. 1980 წლების ბოლოს სახელმწიფო მიხვდა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს ვერ გაანადგურებდა. ამან ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე ჯგუფები, რომლებიც აქამდე ერთმანეთის არსებობას არ აღიარებდნენ, ახლა კომპრომისის გამონახვასა და სახელმწიფოს მხრიდან გარანტიებს მოითხოვდნენ. საზოგადოება მიხვდა, რომ 1982 წელს მიღებული კონსტიტუცია და მის საფუძველზე დამტკიცებული სხვა კანონები საზოგადოების განვითარებისთვის ვიწრო და ანტიდემოკრატიული იყო. იდეოლოგიის თვალსაზრისით, საზოგადოებამ დიდი ცვლილება განიცადა. რელიგიის საფუძველზე დაფუძნებული ოსმალეთის კულტურული მრავალფეროვნება, რესპუბლიკის პერიოდში გარკვეულწილად შემცირდა და ადგილი გეოგრაფიულ ფაქტორს დაეთმო. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. “დასავლეთა დამოსავლეთის” სინთეზი ვერ მოხდა. სხვადასხვა კულტურულ ნორმებზე

⁵² 1980 წლის გადატრიალება განხორციელდა 12 სექტემბერს, რაც გამოიხატებოდა თურქთის შეიარაღებული ძალების მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელისუფლების საკუთარ ხელში აღებით. სამხედრო მეთაურების მიზანი, მათივე განმარტებით, იყო ქვეყნისა და ერის ერთიანობის, ხალხის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, ქონებისა და სიცოცხლის უსაფრთხოების შიშისგან განთავისუფლება და ბეჭინიერების უზრუნველყოფა (ლებანიძე, 2011:90).

დაფუძნებული მუსულმანობა, ლაიცისტური ევროპულობა და ათეისტური სოციალიზმი გვერდიგვერდ აგრძელებდა თანაცხოვრებას, რაც მრავალფეროვან კულტურულ მოზაიკას ქმნიდა. ⁵³ ამ ზოგადი სურათის ფარგლებში საინტერესო ქალის ადგილის განსაზღვრა.

1970 წელს თურქეთში რესპუბლიკური სახალხო პარტიის მემარცხენე, სოციალისტურად განწყობილმა ახალგაზრდულმა ფრთამ, საკმაო რაოდენობის მხარდამჭერი შეიძინა. თურქეთის ნაკლებ განვითარებულობა, დასავლეთის ქვეყნებზე დამოკიდებულება, შემოსავლებისა და შესაძლებლობების უთანასწორობა, კლასებს შორის უფსკრულის არსებობა იმ პერიოდის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენდა. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის ცნებებმა პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ამან კი ქალების, როგორც „უუფლებოთა ჯგუფის“, არსებობა ცხადი გახადა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1970 წლის ბოლოს გავრცელებული ეს შეხედულება ანუ „ქალთა საკითხი“, როგორც მას იმ პერიოდის თურქეთში უწოდებდნენ, მარქსიზმის ანტიფემინისტურ ანალიზს ეფუძნებოდა. თუ აქამდე დისკრიმინირებული ქალის როლში გლეხი ქალი გამოდიოდა, ახლა მისი ადგილი მუშა ქალმა დაიკავა. ქალების „განთავისუფლების“ მთავარ საშუალებად სოციალიზმი იქნა მიჩნეული, ანუ მათ მამაკაცების მხარდამხარ უნდა ემუშავათ. ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოშვა ცნება „ბაჯი“, Bacı „და“. ის იმავე იდენტობის მატარებელი იყო, როგორც „ქემალისტი ასექსუალური ქალი“. მემარცხენე სოციალისტების მიერ ქალების კონტროლი მათი „გაბურუუებით“ ხორციელდებოდა. ქალების სამოსის, ქცევის და ქალებთან დაკავშირებული სხვა საკითხების კონტროლის მექანიზმების ლეგიტიმაცია სოციალისტებს საკუთარი იდეოლოგიის მარტივად და

⁵³ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტების მიერ ერთხმად არის აღიარებული, რომ 1982 წლის კონსტიტუცია თურქული კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. იგი შორის იდგა საკაცობრიო დემოკრატიული სტანდარტებისგან. პრეამბულიდან დაწყებული უკანასკნელ თავმდე კონსტიტუცია თავისი აკრძალვებით და შეზღუდვებით პრაქტიკულად გამორიცხავდა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას. სამაგიეროდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს და გენერალური შტაბის გაძლიერებით სამხედროთა პოლიტიკურ წონას არნასულ მასშტაბებს სძენდა. 1982 წლის კონსტიტუცია იყო კორპორატივიზმის კლასიკური გამოვლინება და მიმართული იყო სახელმწიფო იდეოლოგიის თითქმის რელიგიის დონეზე აყვანისკენ. ამის გამო, კონსტიტუციის ცალკეული მუხლები ძალიან ხელსაყრელი ხდებოდა ანტისახლმწიფოებრიობის მოტივით ხელოვნების, კულტურისა თუ სამოქალაქო, საგანმანათლებლო საქმიანობის აკრძალვა-შეზღუდვისათვის (ლებანიძე, 2011: 93).

უმტკივნეულოდ გავრცელებაში დაეხმარებოდა. მათ მიერ შემუშავებული „ბაჯის“ ცნება პიროვნული თვისებების არმქონე „ქალი მეგობარი“, იყო. ლოზუნგით – „ჩემი სიყვარული ეკუთვნის ჩემს ხალხს და ყველა ქალი ჩემი დაა“ – მამაკაცები პოტენციურად „დისპარმონიული ძალისგან“ თავის დაზღვევას ცდილობდნენ. სოციოლოგ ფატმაგიულ ბერქთაის აზრით, „ქალი მეგობარი“ მომომენი უნდა იყოს, ბრძოლაში უნდა ჩაებას და უნდა დამტკიცოს, რომ არსებობს. სანამ საკუთარ არსებობას დაამტკიცებენ, მანამდე ბურჟუები არიან. ეს კი მათში ეჭვის შეტანის ყველაზე კარგი საშუალებაა“ (Berkay, 2010:283).

ფემინიზმი, 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ პოლიტიკური გაერთიანებების დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად მემარცხენეთა მოძრაობაში ჩართული ქალები ადრე თუ გვიან მიხვდებოდნენ, რომ ისინი დისკრიმინირებულები იყვნენ, სხვა მოსაზრების თანახმად კი, რომ არა 12 სექტემბრის გადატრიალება, ფემინიზმს ჰქონილობის დაძლევა ძალიან გაუჭირდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას, საზოგადოების სიახლეებისთვის მზადყოფნაა. იმ ახალ ფასეულობებს შორის, რომელიც თანდათან იმკვიდრებდა საზოგადოებაში ადგილს, პიროვნების ინდივიდუალიზაციის პროცესს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ სფეროში კი სოციალური აქტორების როლს ქალები და ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი ყურადღების ცენტრში ექცევა. მაგალითად: ცნობილი თეზა, რომ ოჯახი ქალის საქმეა და მამაკაცი სრულიად არ ინტერესდება მისით, ახლებურად გადაფასდა და მისი ადგილი უკვე მამაკაცების ოჯახის საქმეებში აქტიურად ჩარევის თეზამ დაიკავა. საზოგადოების 45%-ის შეხედულება ასეთია, ხოლო 40% მიიჩნევს, რომ ქალი საზოგადოებრივ საქმეებში არ უნდა ჩაერთოს და მხოლოდ ოჯახის საქმეებით უნდა დაკავდეს. აქვე უნდა დაგსძინოთ, რომ მოცემული მაჩვენებლები პირობითია, რადგან მსგავსი სახის ცვლილებები ბოლომდე რეალიზებული არ არის და თუ არის, ისიც მხოლოდ დიდ ქალაქებში და არა სრულიად თურქეთში. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის და ურთიერთობის შესახებ არსებული ტრადიციული შეხედულებების სწრაფი შეცვლა წარმოუდგენელია. მაგალითად, ქალისა და ვაჟის ურთიერთობა, ქორწინება, შვილების ყოლა და აბორტი ქალის გადასაწყვეტ საკითხთა სიაში არ შედის, მას ოჯახი წყვეტს. 80-იან წლებში ტელევიზია და პრესა ფემინისტი ქალების, ქალთა საკითხის ირგვლივ არსებული ფილმების და

ქალთა საკითხის შემცველი წიგნების შესახებ არაერთ განცხადებას აკეთებდა. „ქალთა ფილმების“ სახელწოდებით ცნობილ ფილმებში ყურადღება ქალების პიროვნულ და სექსუალურ თავისუფლებაზე მახვილდებოდა. აქამდე ტაბუდადებული „სქესობრიობის“ ცნება ქალთა სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში განხილვის მნიშვნელოვანი თემა იყო. ქალები საკუთარი ქალურობის ახლებურად შეფასების გზებს ეძებენ, პირადი და სექსუალური ცხოვრების შემზღვეველი მორალური პრინციპების წინააღმდეგ გამოდიან. 1980-იან წლებში ქალები წინა პლანზე „თანამედროვე“ მამაკაცებთან (იქნება ეს მეგობარი, ნათესავი თუ თანამშრომელი) ურთიერთობაში მნიშვნელოვან საკითხად მათ მიერ პიროვნული თვისებების დათრგუნვის საკითხს წამოსწევენ. ისინი მემარცხენე სოციალისტურ ჯგუფებში გაერთიანებულ ქალებს პატერნალიზმში ადანაშულებენ. სწორედ 80-იან წლებში მოხდა ქალის, როგორც პიროვნების აღქმა. 1980-იანი წლების შემდეგ ფემინისტური მოძრაობის შიგნით შემდეგი სახის თეზა იყო გავრცელებული: ქალთა საკითხის ეროვნულ და ისლამურ ჩარჩოებში განხილვამ მისი, როგორც დამოუკიდებელი მოძრაობის არსებობა ეჭვებელ დააყენა. გარდა ამისა, ფემინისტური მოძრაობის პოლიტიზირებამ ინდივიდის პიროვნული თავისუფლების შეზღვევა გამოიწვია. შირინი თექელი 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდგომ ვითარებას ასე აღწერს: “საცოდავი ინდივიდი, რომელიც თურქული ნაციონალიზმის და ისლამური რწმენისადმი მსხვერპლად იქნა შეწირული, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მნიშვნელოვან პირად იქნა აღიარებული. უფრო მეტიც, მემარცხენე ჯგუფმა „აღმოაჩინა“, რომ საზოგადოება ახალგაზრდების, მოხუცების, პომოსექსუალების, პეტეროსექსუალების, ხელოვანების, ფეხბურთის მოყვარულების და, კიდევ უფრო მეტი, ქალებისა და მამაკაცებისაგან შედგება“⁵⁴ (Tekeli, 2010:27).

1981 წელს სტამბოლსა და ანკარაში ქალთა აქტიური მოძრაობა დაიწყო. “YAZKO”-ს (Yazarlar Kooperatifi) (მწერალთა კოოპერატივი) მიერ მოწყობილი შეკრების შემდეგ, რომელიც ქალთა საკითხს მიეძღვნა, ფემინისტი მწერლების წიგნების თარგმნა და საზოგადოებისთვის გაცნობის კამპანია დაიწყო. YAZKO-ს

⁵⁴ მემარცხენე სოციალისტური ჯგუფი ზნეობრიობისა და ტრადიციულობის მაგალითი იყო. ისინი პომოსექსუალიზმისა და სექსუალური თავისუფლების სასტიკი წინააღმდეგები იყვნენ. მათი აზრით, ეს „გულისამრევი და ავადმყოფური ურთიერთობები იყო“, რომელიც კაპიტალიზმის რეგრესის შედეგს წარმოაჩენდა (Berkay, 2010:282).

მიერ გამოცემულ ჟურნალში „Kaktüs” (“კაქტუსი”) ერთი გვერდი მთლიანად ქალთა საკითხის გაშუქებას ეთმობოდა. ქალები, რომლებიც ფემინისტურ იდეებს იზიარებდნენ, თავდაპირველად, „სახლის შეკრებებს“ აწყობდნენ. აღნიშნული შეკრებები ქალთა თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა. განხილვის თემას დედობის საკითხი, შვილებთან ურთიერთობა, ძალადობა, მამაკაცური ჰეგემონიის დაძლევის გზების ძიება წარმოადგენდა. „სახლის შეკრებების“ მონაწილე მუეზენ აითახი იხსენებს: „პირველი შეკრება სირმანის სახლში მოვაწყვეთ, თუ არ ვცდები, 1982-83 წელი იქნებოდა. დამსწრეთა უმრავლესობას ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები და სასწავლო პერსონალი შეადგენდა, მხოლოდ მე ვიყავი დიასახლისი, მაგრამ მათგან განსხვავებით მე სტამბოლში დაწყებული „სახლის შეკრებების“ აქტიური მონაწილე ვიყავი. ჩემი ქალიშვილი, შულე, სტამბოლის „სახლის შეკრებებში“ იღებდა მონაწილეობას. მეც იმ დროს მივდიოდი სტამბოლში, როცა შეკრება ტარდებოდა. შეკრებებზე მხოლოდ მსმენლის როლით შემოვიფარგლებოდი. თუმცა სათქმელი ბევრი მქონდა. როცა ანკარაში დაიწყო შეკრებები, ამას ვერ გამოვაკლდებოდი, უფრო მეტიც, „სახლის შეკრებები“ ჩემს სახლში ეწყობოდა... თურქეთში ფემინისტური ლიტერატურის თარგმნა ახალი დაწყებული იყო. სტამბოლის ფემინისტური ჯგუფისგან განსხვავებით, რომელიც ქალებს თავის რიგებში მხოლოდ რეკომენდაციით აწევრიანებდა, ჩვენ, ანკარის ფემინისტურმა ჯგუფმა, კარი ყველა მსურველს გავუდეთ“ (Timsi, Gevrek, 2009:16).

ფემინისტ ქალებს ძალიან კარგად ესმოდათ, რომ „სახლის შეკრებებით“ მათი იდეები მხოლოდ საზოგადოების ვიწრო წრისთვის იქნებოდა ცნობილი. ამიტომ მათ სამოქმედო ასპარეზად ქუჩა აირჩიეს. ანკარაში მოღვაწე ფემინისტმა ქალებმა 1987 წლის 10 მაისს „ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის,, მხარდასაჭერი აქცია გამართეს. ამ მოვლენას აქციის მონაწილე მუეზინ აითახი შემდეგნაირად აღწერს. “ფემინიზმის სახელით პირველად გავვდი ქუჩაში. ძალიან დიდი შრომა გავწიეთ. მე მაგალითად, ჩანკაიას უბანში რაც ოფისი და სამუშაო ადგილი იყო, ყველა შემოვიარე. იქ მომუშავე ქალებს ჩვენ მიერ წამოწყებული კამპანიის მნიშვნელობის შესახებ ვესაუბრე. ზოგი დაინტერესდა, ზოგი – არა, თუმცა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალებისათვის ინფორმაციის მიწოდება და ჩვენ მხარეზე გადმობირება იყო. ვფიქრობ, წარმატებას მივაღწიე“ (Timsi, Gevrek, 2009:23). ამერიკის კულტურის ცენტრში გამართულ შეკრებაზე განხილვის საგანი იყო ფემინიზმის რაობა და ფემინისტური მიმართულებები. 80-იანი წლების

ფემინისტური მოძრაობის ანალიზისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი გარემოება – ფემინისტ ქალთა რიგებში გაერთიანებული ქალების სოციალური იერარქია, გამოცდილება და განათლება. ეს განსხვავება გარკვეული სახის უთანხმოების მიზეზიც კი ხდებოდა. გამოცდილების მქონე ქალები ახალ შეძენილ წევრებზე ავტორიტეტის დამყარებას ცდილობდნენ. გარდა ამისა, მემარცხენე სოციალისტური ჯგუფის წევრი ქალები მკაცრი კრიტიკის ქვეშ ექცეოდნენ. ყოველივე ამან ფემინისტურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება გამოიწვია, რამაც რა თქმა უნდა, ფემინისტური მოძრაობის განვითარება მცირედით შეაფერხა. “ფემინიზმის მნიშვნელოვან პრობლემას ქალთა შორის მეტოქეობა, არა-კომუნიკაციელურობა და სიყვარულის ნაკლებობა ქმნიდა. გამოსავალი მხოლოდ მეტოქეობის დაძლევასა და ერთმანეთის სიყვარულში არ იყო. პრობლემის გადაწყვეტა საკითხის სიღრმისეულად განხილვასა და მისთვის სახელის სწორად დარქმევას მოითხოვდა. ფემინიზმი თავის თავში როგორც საზოგადოებრივ, ისე ინდივიდუალურ საკითხებს აერთიანებს“ (Bora, 2009:35). ფემინისტურ ჯგუფებს შორის ყველაზე გამორჩეული “Perşembe grubu” („ხუთშაბათის ჯგუფი“) იყო. 1989 წლის 11-12 თებერვალს „ხუთშაბათის ჯგუფის“ ორგანიზებით ჩატარებულ შეკრებას თითქმის ქალთა ყველა გაერთიანება ესწრებოდა. სწორედ ამ შეკრებაზე, რომელსაც „ფემინისტური კვირული“ ერქვა, გაჩნდა ფემინისტური კონგრესის ჩატარების იდეა. კონგრესზე მნიშვნელოვან საკითხებს შორის იყო ქალთა პოლიტიკა, ფემინისტური იდენტობა, სქესთა ურთიერთობა, ფემინისტური თეორია. 1980 წელის ფემინისტური მოძრაობა ქალთა საკითხის ფემინისტური პერსპექტივიდან განხილვის პერიოდს წარმოადგენს. ქალები აქტიურად ეწევიან ფემინისტური იდეების პროპაგანდას.

2.6. 90-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა

1990-იანი წლები ფემინისტური მოძრაობის უფრო მშვიდი პერიოდია. 90-იან წლებში თავი სხვა საკითხებმა იჩინა. ქურთი ქალების მოძრაობა⁵⁵ და ისლამისტი ქალების მოძრაობა განხილვის აქტიური საგანი გახდა. ქურთი ქალები ფემინისტურ მოძრაობას ისე აფასებდნენ, როგორც ნაციონალურ მოძრაობას. ისლამური ფემინიზმის მიმდევარი ქალები კი ქალთა დისკრიმინაციას საერთოდ უარყოფდნენ. 90-იანი წლები ქალთა გაერთიანებების სიმრავლით გამოირჩევა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული *Ka-Der-* ია (Kadın adayları eğitme ve destekleme Derneği) (ქალი კანდიდატების განათლებისა და მხარდაჭერის ფონდი) იგი 1997 წელს დაარსდა. მის მიზანს „პოლიტიკაში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა ნააზრევის მეჯლისამდე მიტანა და ამგვარი გზით ქალებისა და ქვეყნის ბედის შეცვლა წარმოადგენდა“ (Bora,2009:115). ფონდი მეჯლისში⁵⁶ ქალი კანდიდატების რაოდენობის გაზრდასა და ქალების

⁵⁵ თურქეთში ქურთთა ეროვნული მოძრაობა ინტელექტუალმა მამაკაცებმა წამოიწყეს. 90-იანი წლების დასაწყისში მან მასობრივი ხასიათი მიიღო. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ასპარეზზე გამოსული ქურთი ქალები თავდაპირველად დაპატიმრებული მამაკაცი ნათესავების დაცვას ისახავდნენ მიზნად. 1993 წლის შემდეგ კი ქალები მამაკაცებთან ერთად პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ერთვებოდნენ. ქურთი ფემინისტი ქალების გაერთიანება და თავისუფალ ქალთა პლატფორმა 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. ქურთ ქალებს პქნდათ საკუთარი ჟურნალები, რომლებიც კონცეპტუალურ საკითხებში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ჟურნალი *Yaşamda Özgür Kadın* („თავისუფალი ქალი ცხოვრებაში“) თავს წარმოაჩენდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ მონაწილეებს და ეროვნული და დემოკრატიული თავისუფლებისათვის მებრძოლ ორგანიზაციად. ჟურნალი ქალთა სექსუალურ თავისუფლებაზე, ოჯახში ძალადობაზე და ამგვარი სახის სხვა საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებდა, ჟურნალი 1998 წლიდან გამოდიოდა. თუმცა, 2000 წლის მარტის თვეში მისი გამოცემა აიკრძალა. ქურთ ქალთა პირველი ფემინისტური ჟურნალი „Ghoza“ („მზე“) 1996 წლიდან გამოდის. ჟურნალის განმარტებით, იგი წარმოადგენს ქალთა ჯგუფს, რომელიც ქურთული იდენტობის გამო კი ქურთული პოლიტიკური ფემინისტური გარემოდან, ხოლო ფემინისტური იდენტობის გამო კი ქურთული პოლიტიკური გარემოდან არის იზოლირებული“ (Açık,2009:281). ჟურნალი ქალთა დისკრიმინაციასა და ქალებზე ძალადობის საკითხებს დიდი მნიშვნელობას ანიჭებს. ქალთა ჟურნალები ქვეყნისა და ქალის თავისუფლების დაპარგავს ერთმანეთთან აიგივებენ: “ჩვენმა ქვეყანამ ქალების მსგავსად საკუთარი თავისადმი რწმენა დაკარგა“, ნათქვამი იყო ჟურნალში „თავისუფალი ქალის ცხოვრება“ (Açık, 2009:283).

⁵⁶ თურქეთის პარლამენტი

პოლიტიკისათვის მომზადებას მთელი ძალისხმევით ცდილობდა. ცდილობდნენ რა პოლიტიკაში აქტიურ ჩარევას, ქალები მხოლოდ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. „პირადი სარგებლობის გამო არ გვსურს პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება, ქალებისა და, ზოგადად, ხალხის წარმომადგენლები გვინდა ვიყოთ“ (Bora,2009:116). მწერალი აიშე კულინი ქალების პოლიტიკაში ჩართვას შემდეგნაირად აფასებს: „თუ ქალები პოლიტიკაში ჩაერთვებიან, დარწმუნებულები უნდა იყოთ, რომ ცვლილებები დაიწყება. იმისათვის, რომ ქალებმა მომავალ თაობას სუფთა და მოდერნიზებული ქვეყანა დაუტოვონ, ყველაფერი უნდა გაიკეთონ. გამომდინარე იქიდან, რომ განათლებისა და ჯანმრთელობის საკითხიდან დაწყებული რძის ფასებით დამთავრებული, ცხოვრების ყოველდღიური დეტალები მათი მოსაგვარებელია, ისინი შეძლებენ საკითხის არა დროებით, არამედ მუდმივ გადაწყვეტას“ (Bora,2009:118). Ka-Der –მა პრესის დიდი მხარდაჭერა დაიმსახურა.⁵⁷ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის ის, რომ Ka-Der-ის საქმიანობა ქალთა საკითხის პოლიტიკის დონეზე აყვანასა და გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. ორგანიზაციის ასეთ აქტიურ საქმიანობას საფუძველი 1990 წელს დაარსებულმა „ქალთა სტატუსისა და საკითხის განმსაზღვრელმა მთავარმა სამმართველომ“ დაუდო. სამმართველოს დაარსებას ხელისუფლებაში მოღვაწე ტრადიციული შეხედულების წარმომადგენლები უარყოფითად შეხვდნენ. მათი აზრით, ქალების პოლიტიკითა და საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავება ოჯახის ერთიანობას საფუძველს შეურყევდა. მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნათქვამი იყო: „მოსახლეობის ქალაქში მოდინება და „გაქალაქელება“ ტრადიციული ოჯახის დირებულებების გაუფასურებას იწვევს. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ქალს აიძულებს, სამსახური იშოვოს, თუმცა ყველას ავიწყდება ის პრობლემები, რომელიც ქალების ოჯახიდან გასვლას ახლავს თან. ოჯახში დედის ავტორიტეტი შეირყა. ტრადიციულ თურქულ ოჯახში მამა ოჯახის უფროსია, დედა კი –

⁵⁷ Ka-Der-ის დაარსების მნიშვნელობა რომ გავიგოთ, იმ პერიოდის პოლიტიკური ვითარება უნდა გავიხსენოთ. შარიათის და ლაიცისტური პრინციპების დაპირისპირება საზოგადოებაში დაძაბულობას ქმნიდა. გრძნობდნენ რა შარიათის გაძლიერებას, ქალები სხვადასხვა ქალთა პლატფორმებს აარსებდნენ. ასეთ პირობებში ქალთა სამმართველოს დაარსება, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში მიიღებდა მონაწილეობას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მით უმეტეს, რომ Ka-Der-ის პრინციპებს ქვეყნის ლაიცისტურობის დაცვა და ყოველგვარი ფანატიზმის, რასიზმის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება შეადგენდა.

სიწმინდის სიმბოლო“⁵⁸ (Acuner,2009:129). ხელისუფლების ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ქალების დასაქმებას მამაკაცების პერძო სექტორში დასაქმებას უკავშირებდნენ. ეს ქალებს საზოგადოებრივ სფეროში ჩართვის მეტ საშუალებას აძლევდა. თავად ქალები სახელმწიფოს მხრიდან ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმების შექმნას მოითხოვდნენ. 1989 წლის 5-6 დეკემბერს გამართულ სემინარზე პროფესორი ნერმინ აბადან-უნათი ამბობდა: “ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი ფონდებისა და ორგანიზაციების საქმე არ არის, არც ქუჩაში გამოსული მომიტინგებების საქმეა. მსგავსი სახის ღონისძიებები მხოლოდ მხარდაჭერას და საზოგადოებრივი აზრის შექმნას უზრუნველყოფს. საკითხის მოგვარება კი უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. რას გულისხმობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა? გენდერის საკითხის, სხვა დანარჩენი საქმეების მსგავსად, სახელმწიფო დონეზე განხილვას. ამ საკითხის გადაჭრის მექანიზმად კი ქალთა უფლებების სამინისტროს დაარსება შეიძლება მივიჩნიოთ“ (Acuner,2009:132). ამ ინიციატივას, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგებიც ჰყავდა. სოციოლოგი პროფესორის შირინ თექალის აზრით, სახელმწიფოს დაქვემდებარებული ქალთა სამმართველო ან სამინისტრო აუცილებლად მოექცეოდა მისი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება უკვე პქონდათ „სახელმწიფო ფემინიზმის“ სახით. ამ კონკრეტულ საკითხში მეცნიერების მოსაზრებას მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებ. სახელმწიფო დონეზე ქალთა საკითხის დაყენება უდავოდ

⁵⁸ ფემინისტების აქტიურობა და სახელმწიფოსადამი გარკვეული სახის მოთხოვნების წაყენება საზოგადოების ნაწილის გადიზიანებას იწვევდა. სტატიაში „ქალთა იდენტობის ძიება და ფემინიზმი სახელმწიფოს ხელით“ აილა ადაბეგუში წერდა: “ფემინისტების რამდენი ჯგუფიც არ უნდა არსებობდეს, ყველა მათგანის მოთხოვნა ერთია: რატომ უნდა გაგატაროთ მთელი ცხოვრება სახლში გამოკეტილებმა? რატომ არის მამაკაცი თჯახის უფროსი? რატომ არ შეგვიძლია იმ საქმის კეთება, რომელსაც მამაკაცები აკეთებენ? საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი იქამდე მიგვიყვანს, რომ თჯახისა და საზოგადოების სიმშვიდეს ბოლო მოედება. ფემინისტებს პგრიათ, რომ კანონები მათი სურვილების მიხედვით უნდა იქნეს მიღებული. დეპემბერში ანკარის უნივერსიტეტში ჩატარებულ კონგრესზე მოწვეული ყველა სტუმრის გამოსვლა ასე იწყებოდა: „მე ფემინისტი ვარ“. კონგრესზე სხვადასხვა საკითხი იქნა მიღებული: 1. ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა, 2. ქალიშვილობის ინსტიტუტის მოსპობა, 3. ქალების დასაქმება ისეთ სფეროებში, სადაც მათი რაოდენობა მცირება, 4. უნივერსიტეტებში ქალთა საკითხის კვლევის ცენტრის დაარსება, 5. არჩევნებში ქალთა კონტის 25%-ამდე გაზრდა, 6. სამოქალაქო კანონის უმოკლეს დროში შეცვლა, 7. ქალთა წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადობის აღმდეგთი საერთაშორისო ხელშეკრულების ამოქმედება. ავტორი კრიტიკულად ეკიდება ფემინისტების ამგვარ ინიციატივას და სვამს კითხვას: სახელმწიფოს მხრიდან ფემინიზმის მსარდაჭერას უნდა შევეგუოთ? “(Ağabeygüm,1994:53).

მნიშვნელოვანია, მაგრამ სახელმწიფო საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოახდენს ქალთა საკითხის პოლიტიზირებას. გენდერის საკითხის გადაჭრა ისე, როგორც ამას ფემინისტები მოითხოვენ, სახელმწიფოს ინტერესის სფეროში არ შედის. შირინ თექელის შიში, რომ სახელმწოდო იდეოლოგია ქალებს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას არ მისცემდა, სრულიად გასაგებია. თუმცა ვაფიქსირებ, რომ სახელმწიფო დონეზე ქალთა საკითხის დაყენებას გარკვეული სახის შედეგი ექნებოდა. თუნდაც ქავნის დემოკრატიულობის ხაზგასმისათვის. ფემინისტური იდეოლოგიისა და თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიის თავსებადობა, რა თქმა უნდა, ძნელად წარმოსადგენია.

90-იან წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოების აქამდე ტაბუდადებული თემების განხილვას. ქალები თვლიდნენ, რომ ვინაიდან თავიანთი სხეულის ბატონ-პატრონები თავად არიან, არავის აქვს უფლება მათზე იძალადოს. სწორედ ამიტომ, მათ „ჩვენი სხეული ჩვენ გვეპუთვნის“ კამპანია წამოიწყეს. ქალწულობის კონტროლი და ნამუსთან დაკავშირებული მკვლელობა ქალებზე ძალადობის ყველაზე უკიდურესი ფორმაა. კამპანიის სათავეში ბოსფორის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონები იდგნენ. 1992 წელს გამოცემულ ბიულეტენში, რომელსაც „ქალწულობის შესახებ“ ერქვა ქალთა სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. აიშე გიულის აზრით, „ქალები სექსუალურ ცხოვრებას მაშინ იწყებენ, როცა თხოვდებიან, მანამდე მათ მის შესახებ არაფერი იციან. სქესობრივი კავშირის დროს ქალი თავის უმწიდვლო სხეულს მამაკაცს აბარებს, მამაკაცი კი თავის ძალას უფრო მეტად შეიგრძნობს. აქედან გამომდინარე, სქესობრივი კავშირი შორს დგას ყოველგვარი ნაზი და წრფელი გრძნობებისგან“ (Altinay,2009:336). ქალთა „სქესობრივი თავისუფლების“ საკითხი ქალი მწერლების შემოქმედებაში იქნა ასახული.

1993 წელს პრემიერ- მინისტრად ქალის, თანსუ ჩილერის, დანიშვნა 90-იანი წლების უმნიშვნელოვანების მოვლენაა. სხვადასხვა პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები და, განსაკუთრებით, ქალები აღფრთვანებულები იყვნენ ამ ფაქტით. მათ წინაშე წარდგა ქალი თავისი მომხიბვლელი დიმლით, რომელსაც განათლება ამერიკაში ჰქონდა მიღებული და ინგლისურად თურქულზე უკეთ საუბრობდა. მასში ხედავდნენ ევროპეიზაციის გზაზე დადგომის დიდ იმედს. თუმცა თანსუ ჩილერმა ფემინისტი ქალების იმედები ვერ გაამართლა, ვინაიდან ქალთა საკითხს ის ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

2.7. “ისლამური ფემინიზმი”

90-იან წლებში ქურთი ქალების ფემინისტური მოძრაობის გარდა, გააქტიურდა ისლამური ფემინიზმის⁵⁹ სახელით ცნობილი ისლამისტი ქალების მოძრაობაც. თურქეთში რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოს უშუალო დაქვემდებარების და კონტროლის ქვეშ მოექცა. ამის მიზეზი კი, სახელმწიფოს ლაიცისტურობასთან ერთად, დემოკრატიულობაცაა. რელიგიური ჯგუფების არსებობა კი როგორც ლაიცისტურობის, ისე დემოკრატიის საფრთხედ იქნა მიჩნეული. როგორც საზოგადოებრივ, ისე ოჯახის სფეროში ისლამური გავლენის შესუსტება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. სამოქალაქო კანონის შემოღებამ საზოგადოებრივ და პირად (ოჯახის) სფეროში ქალების კანონის წინაშე თანასწორობა უზრუნველყო. 1980 წლის შემდეგ კი სახელმწიფო თავად ცდილობდა რელიგიური ჯგუფების გაძლიერებას. რელიგიურ ჯგუფებს ფინანსური დამოუკიდებლობა მიენიჭათ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, ისლამური ფასეულობების და ტრადიციების გავრცელებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები დაეარსებინათ. საგანმანათლებლო სასწავლებლებში რელიგიის გაკვეთილი სავალდებულო გახდა. განათლების სამინისტრომ ყურანის შემსწავლელი კურსები გახსნა. ასეთ ვითარებაში ისლამურ მოძრაობაში ქალების როლი უდავოდ გაიზარდა. თავსაბურავის მატარებელთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა და ხაზი გაესვა ცხოვრებაში ისლამური ტრადიციების აუცილებლობას. უნივერსიტეტში თავსაბურავით სწავლის უფლების მოპოვებისათვის მშვიდობიანი მსვლელობები დაიწყო. ეს ყველაფერი საზოგადოებაში ისლამური მოძრაობის გაძლიერებას და მათ ძლიერ ძალად ჩამოყალიბებას მოასწავებდა.

⁵⁹ ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი და პირველი იმამი ქალი ამინა ვადუდი ისლამისტ ფემინისტებს სხვაგვარად „მუსლიმ ფემინისტებს“ უწოდებს. ამ ქალების ერთი ნაწილი მოითხოვს ყურანის ახლებურ განმარტებას, რადგან მიიჩნევს, რომ ქალებისა და მამაკაცების „მტრობის“ ამბავი უმჟღების პერიოდიდან იწყება (İngün, 2005:5).

ისლამური მოძრაობის გაძლიერებაზე საუბრისას საკითხი ცალსახად არ უნდა განვიხილოთ. „ისლამური ფემინიზმის“ წარმომადგენელი ქალების ერთი ჯგუფი ისლამში ქალის ადგილის შესახებ აქტიურ კამათს აწარმოებდა. ისინი მუსლიმურ საზოგადოებაში ქალის დისკრიმინაციის მიზეზს, მამაკაცების მცდარ შეხედულებებს უკავშირებდნენ. ისლამური იდეოლოგიისა და ქალის და მამაკაცის თანასწორობის შესახებ არსებული წარმოდგენების ფემინიზმთან ადაპტაცია ცოტა რთული საკითხია. მაგალითად, მრავალცოლიანობის გამართლება იმით, რომ ქალი მატერიალურად არის უზრუნველყოფილი, ანდა ქალების მიერ გათხოვების შემდეგ მიღებული ფულადი სარგებელი არ წარმოდგენს იმის მიზეზს, რომ ისლამური კანონების ფარგლებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ ვისაუბროთ. “ყურანის ყველაზე მეცნიერულ კომენტარებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კი არაა წამოწეული, არამედ ის, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ“ (Arat,2010:94).

ისლამისტური მოძრაობა თურქეთში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ალტერნატივას წარმოადგენდა. იგი ქალის საკითხს აქტიურად ეხმაურებოდა და რაც შეიძლება მეტი მომხრის შეძენას ცდილობდა. ისლამისტური მოძრაობის დღის წესრიგში მდგარი ქალთა საკითხი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: ისლამი არის რელიგია, რომელიც საზოგადოებაში ქალთა საკითხს, ქალთა უფლებებს და სხვა სახის თემებს გულისყურით ეკიდება. იგი დიდ ყურადღებას უთმობს სქესთა შორის ურთიერთობებს, ოჯახის მოწყობის საკითხს და ახლაგზარდების ისლამის პრინციპების მიხედვით აღზრდას. ქვეყნის მოდერნიზაციის ლაიცისტური პრინციპები კი ისლამის პრინციპების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ქალის საკითხი რესპუბლიკური და ისლამისტური იდეოლოგიის ერთგვარი „საბრძოლო მოედანი“ გახდა. შირინი თექქელის აზრით „ისლამისტურ იდეოლოგიაში ქემალისტური რეფორმები და უფრო ადრე ქალთათვის მინიჭებული უფლებები უარყოფით კონტექსტშია განხილული. მაშინ, როცა ლაიცისტურობას და მოდერნიზმს წლები დასჭირდა, დღევანდელ თურქეთში ისლამისტური აზროვნება თანამედროვე ცხოვრების ორ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს – ლაიცისტურობასა და მოდერნიზაციას – ისე განიხილავს, როგორც ქალების დამცირებისა და დისკრიმინაციის ფორმას“ (Tekeli,1986:25).

ისლამური ფემინიზმის წარმომადგენლები თავიანთ შეხედულებებს ძირითადად ქურნალ-გაზეთების მეშვეობით აცნობდნენ საზოგადოებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ქურნალები “Kadın ve Aile,” („ქალი და ოჯახი“) ”Bizim Ailemiz“ („ჩვენი ოჯახი“) და ”Mektup“ (“წერილია“). ამ ქურნალებში ნათლად არის გამოკვეთილი ის პრინციპები, რომლებიც ქალის სტატუსსა და ადგილს განსაზღვრავს. აღნიშნული პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯვალოთ:

1. დისკურსი ოჯახში ქალის როლის შესახებ

2. დისკურსი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლზე საუბრისას ისლამური ჟურნალები ქალების განათლებაზე, დასაქმებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ეს ორი საკითხი ერთმანეთისგან განსხვავებულ ასპექტში განიხილებოდა. მაგალითად, თუ ოსმალო ქალებს და ქამალისტ ქალებს მიაჩნდათ, რომ განათლება დასაქმების საუკეთესო გზაა, ისლამისტი ქალები ასე არ ფიქრობდნენ. ისინი განათლების მომხრები იმდენად იყვნენ, რამდენადაც თავად რელიგია არ კრძალავდა ამას. ქალების დასაქმებას ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდნენ გამართლებულად, თუ ეს ოჯახის მატერიალური მდგომარეობით იყო შეპირობებული. მაგრამ გარკვეული სახის შეზღუდვას აქაც შევხვდით. სამსახური ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ქალებს მამაკაცებთან შეხება არ ჰქონდათ. ჟურნალი „ქალი და ოჯახი“ ქალებს სახლში დარჩენასა და ხელსაქმით ოჯახის ბიუჯეტის შევსებას ურჩევდა. ჟურნალი „Mektup“ („წერილი“) ქალების საზოგადოებრივი საქმიანობის განსაზღვრაში რადიკალიზმით გამოირჩეოდა.

ქურნალები „Kadın ve Aile“ („ქალი და ოჯახი“), „Bizim ailemiz“ („ჩვენი ოჯახი“) „მუსლიმი ქალის“ ტიპის შექმნას ცდილობდნენ, რომელიც „ისლამური ცხოვრებით“ იცხოვრებდა. „წერილი“ კი „მოჯაპიდი ქალის ტიპის“ შექმნისკენ იხრებოდა. ისლამის გავრცელება, რწმენისთვის თავდადებულობა ქალების საზოგადოებრივ აქტივობად მიიჩნეოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც სამივე ქურნალს აერთიანებს, დასავლეთისადმი „მტრობაა“. ქალებისათვის ევროპითი გავლენა რომ დაენახვებინათ, მუსლიმი ქალისა და გაევროპელებული ქალის შედარებას ახდენდნენ. მორალური მხარის წინ წამოწევით ქალებში „სინდისის ქენჯნის“ გაღვიძებას ცდილობდნენ.

ქურნალები ქურადღებას ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზეც ამახვილებდნენ. მათი აზრით, ქალი და მამაკაცი ალპის წინაშე თანასწორები არიან და ისინი ერთმანეთს ავსებენ. ამიტომ მართებულად არ მიიჩნევდნენ ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის შესახებ საუბარს. აღსანიშნავია, რომ არცერთი ქურნალი არ ბეჭდავდა მასალებს პოლიგამიის, ქალებზე ძალადობის, ანდა სასამართლოზე ქალების მოწმედ ყოფნის შესახებ, სადაც ორი ქალის ჩვენება ერთი მამაკაცის ჩვენებას უდრიდა.

ურიგო არ იქნება ქურნალების დადებით მხარეზეც გავამახვილოთ ყურადღება. გარდა იმისა, რომ ისინი ისლამური იდეოლოგიის პროპაგანდას ეწეოდნენ, რისი შეთავაზება შეეძლოთ მათ ქალებისათვის? პირველი ის, რომ თავად ქურნალში მომუშავე ქალები დიასახლისები და ოჯახის პატრონები იყვნენ. მათვის ოჯახის გარდა, საზოგადოებრივი სფეროც არსებობდა, სადაც მათ საკუთარი აზრის დაფიქსირება შეეძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალები ისლამური იდეოლოგიის აქტიური გამტარებლები და მქადაგებლები იყვნენ, მათ მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის შეკრებები (ყურანის კითხვა, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, ქორწილისა და წინადაცვეთის ცერემონიები) მათ საშუალებას აძლევდა, ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ და გარკვეული სახის ორგანიზაციების ჩამოყალიბების უნარი შეეძინათ. გარდა ამისა, თავსაბურავების ტარებასთან დაკავშირებით გამართულ მსვლელობებზე მონაწილეობა მათ პოლიტიკის მნიშვნელობას ნათლად წარმოუჩენდა. ჩამოთვლილი მაგალითები ქალების საზოგადოებაში ჩართვის შესაძლებლობად შეიძლება შევაფასოთ.

„ისლამურ ფემინიზმს“ ახლაგაზრდა თაობაში, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლიცეუმის მოსწავლეების სახით, ბევრი მიმდევარი ჰყავს. შეა

აღმოსავლეთის უნივერსიტეტის პროფესორის, ფერიდე აჯარის, მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თანამდროვე ცხოვრებაში „ისლამური ფემინიზმის“ შესახებ. სტუდენტები იცავენ და იზიარებენ ისლამის ყველა პრინციპს. ზოგიერთი მათგანისათვის თავსაბურავი⁶⁰ საზოგადოებისგან თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს. უმეტესობას საზოგადოებაში უჭირს ადაპტაცია და ამიტომ „ხსნის“ გზად რელიგია მიაჩნია. სწავლობენ, მაგრამ ქორწინების შემდეგ მუშაობას არ აპირებენ. პოლიგამიას ნორმად მიიჩნევენ და თვლიან, რომ „ალაპმა მათზე უკეთ იცის, რაშია მათი ბედნიერების საიდუმლო“ (Acar,2010:86).

⁶⁰ 1981 წელს თურქეთში „თავსაბურავის ომი“ დაწყო. 1990 წლის ოქტომბრის თვეში გაზეთში „ქალთა სტატუსისა და საქითხების მთავარი სამმართველოს“ დაფუძნებასთან დაკავშირებული კანონის შესახებ გამოქვეყნდა ინფორმაცია. აღნიშნული კანონი „თავსაბურავის აკრძალვად“ იქნა შეფასებული. ასეთი შეფასების მიზეზი კი კანონის მე-17 მუხლი გახდა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარის თავისუფლებას გულისხმობდა. „მოქმედი კანონების შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაშვებულია სამოსის თავისუფლება“. ამან ქალთა ორგანიზაციების, მწერლების და სხვადსხვა პარტიების მმაფრი რეაქცია გამოიწვია. ყველაზე მკაფიოდ საკუთარი პოზიცია „ჰემარიტი გზის პარტიის“ ლიდერმა მაჰმუთ ოზორქმა გამოხატა. მისი სიტყვები პატრიარქალური იდეოლოგიის ნათელი გამოხატულებაა, რომელიც რელიგიურ საფუძვლებს ეფუძნება. „თუ თურქი ქალის უფლებები მთავარმა სამმრთველომ უნდა დაიცვას, ეს ნიშნას, რომ იგი ყველა უფლებას კარგავს. თურქი ქალის უფლებები ყურანით არის დაცული. ჩვენი ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით არის დაცული... ჩვენ ყველა იმ უფლებას ვაღიარებთ, რაც ქალებს უნდა განესაზღვრათ, ვინაიდან წინასწარმეტყველის მშობელი ქალია. მაგრამ ჩვენ სხვა რამე გვაღელვებს. ზოგიერთი ფემინისტური ორგანიზაციის წინ წამოწვა და მხარდაჭერა ჩვენ ქალებს ზეწოლის ქვეშ აქცევს, რისი წინააღმდეგებიც ვართ. თურქი ქალი საკუთარ ნამუსს თავად იცავს“ (Acuner,2009:150). 1999 წელს სამხედროებმა პრემიერს ულტიმატუმი წაუქენეს, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა, ჩატარის სტილი გატკაცრებინა.

2.8. ფემინისტური მიმართულებები თურქეთში

თურქეთში, ევროპის ქვეყნების მსგავსად, ფემინისტური მოძრაობის შიგნით სხვადასხვა მიმართულება ჩამოყალიბდა: რადიკალური, ლიბერალური და სოციალისტური (მარქსისტული).

1. რადიკალური ფემინიზმი

რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლები პატრიარქალური ღირებულებების გადაფასებასა და ქალთა საკითხის ირგვლივ გაურთიანებას მოითხოვდნენ. რადიკალი ფემინისტების აზრით, პატრიარქალური იდეოლოგია ქალების დისკრიმინაციას შემდეგ სფეროში ახდენს: 1. სახლი, რომელიც ქალის პირად სფეროდ არის მიწნეული, 2. საზოგადობრივი თავშეყრის ადგილებსა და ქუჩებში არსებული საგანგაშო მდგომარეობა. (ქუჩებში ქალების გამოჩენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ოსმალო ქალებიც ამახვილებდნენ ყურადღებას, მამაკაცთა შეურაცხმულფელი მზერა მათ უხერხულობას უქმნიდა). 3. სქესობრივ ურთიერთობებში დამამცირებელი მდგომარეობა. 4. პროფესიულ ცხოვრებაში მარგინალიზაცია. 5. ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და სხვა სფეროში ქალების არსებობის უგულებელყოფა. ლოზუნგი – „თუ მომავალი ჩვენი იქნება, მაშინ მომავალი ქალშია“ – რადიკალური ფემინისტების პოზიციას კარგად გამოხატავს. ისინი, სხვა ფემინისტებისგან განსხვავდით, ქალის სხეულს, ხმას, სილამაზეს, სინაზეს და სხვა მსგავსი სახის თვისებებს წინა პლანზე წამოსწევენ. რადიკალური ფემინიზმის მიმდევრები უკრნალ „Feminist hafta sonu“ („ფემინისტური შაბათ-კვირა“) გარშემო არიან შეკრებილები.

2. ლიბერალური ფემინიზმი

ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორობას უსვამენ ხაზს. მათი აზრით, საბოლოო მიზანი მამაკაცებზე უფრო აღმატებული ყოფნა კი არ არის, არამედ მათთან თანასწორობაა. საზოგადოებრივ სფეროში ადგილის დაკავება ქალთა

თავისუფლების აუცილებელი პირობაა. მუშაობა ქალისათვის წარმატების ტოლფასია, მაგრამ ყველაზე მეტად ქალს ეკონომიკური თავისუფლება სჭირდება, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლება სიტყვისა და ცხოვრების თავისუფლებას ნიშნავს. ქალის სიტყვის თავისუფლება მას მამაკაცზე დამოკიდებულებისგან იხსნის, ოჯახში ქალისა და მამაკაცის ფუნქციები თანაბარი უნდა იყოს, ქალს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. არასასურველი ქორწინებისგან თავის დაღწევის მიზნით განქორწინების წესები უნდა გამარტივდეს. ლიბერალური ფემინიზმის პოლიტიკა ეგალიტარული პოლიტიკა. მათ მიერ შემოთავაზებული თავისუფლების ცნება სექსუალურ თავისუფლებასაც გულისხმობს. ქალწულობის საკითხი ქალის პიროვნულ თავისუფლებას ზღუდავს. ლიბერალი ფემინისტების აზრით, ქალს აქვს უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს სასურველ მამაკაცთან იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დაქორწინებულია. ვფიქრობ, ლიბერალი ფემინისტები ამ საკითხში რადიკალური ფემინისტებს ძალიან ჰგვანან. პოზიციის რადიკალიზაციის თვალსაზრისით, შეიძლება აჭარბებენ კიდეც მათ. თურქული ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები ჟურნალს „Kadınca“ („ქალური“) გამოსცემენ.

3. სოციალისტური ფემინიზმი (მარქსისტული)

რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლები ქალების დისკრიმინაციას პატრიარქალურ ფაქტორს უკავშირებდნენ, სოციალისტი ფემინისტები კი – ეკონომიკურ ფაქტორს. ისინი, ზოგადად, კაპიტალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ვინაიდან მათი აზრით, კაპიტალიზმა მამაკაცებს საზოგადობრივ, ქალებს კი ოჯახის სფეროში მიუჩინა ადგილი. სოციალისტ-ფემინისტებმა სლოგანით „პირადი არის პოლიკური“ ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისათვის აქტიური ბრძოლა დაიწყეს. ისინი ოჯახში არსებული სტერეოტიპების რღვევას ქადაგებდნენ, რაც მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში იქნებოდა შესაძლებელი. სოციალისტ ფემინისტების აზრით, თურქულ კულტურაში არსებული სქესობრივი ნორმების გადაფასება ქალების თავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა. ისინი სოციალისტურ-ფემინისტური ჟურნალის “Kaktüs” („კაქტუსი“) ირგვლივ არიან შეკრებილები

2.9. ქალთა საკითხის კვლევის ოსტორია

ქალთა კვლევების, როგორც აკადემიური დისციპლინის, ჩამოყალიბება ფემინისტური მოძრაობის პირველ ტალღას უკავშირდება. ყველაზე დიდი გავლენა კი სიმონა დე ბოვუარის „მეორე სექსი“ მოახდინა. პირველი სასწავლო პროგრამა ქალთა საკითხის კვლევის შესახებ 1970 წელს სან-დიეგოს უნივერსიტეტში იქნა მიღებული. ქალთა საკითხის კვლევა ძირითადად ტრადიციული სოციალური და ჰუმანიტარული დისციპლინების ფარგლებში ხდებოდა. ძირითადად ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და ფიქტოლოგიაში. პირველი ფემინისტური მოთხოვნა, რომელიც უნივერსიტეტებს წაუყენეს, ქალების სასწავლო გეგმაში, სასწავლო მასალებში, საგამომცემლო კატალოგებში „დამატება“ იყო. ტრადიციული სოციალურ და ჰუმანიტარულ დისციპლინებში „ქალების დამატების“ შესახებ თეზისი იმ ფაქტის გაანალიზებით იყო გამოწვეული, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქალების სოციალური დისკურსიდან გამოდევნასა და მხოლოდ ოჯახის სფეროსთან ასოცირებას ეყრდნობოდა. თუმცა მალევე გახდა ნათელი, რომ სოციალურ ცნობიერებაში „ქალების დამატება“ საკმარისი არ იყო, რადგან არც ერთი ტრადიციული დისციპლინა არ იყო „მზად“ ქალის ცხოვრების სრულყოფილი აღქმისათვის. უნივერსიტეტის მასწავლებლები და მეცნიერები მიხვდნენ, რომ ქალთა საკითხის კვლევის სფეროში უფრო მიზანმიმართული და დამოუკიდებელი პროგრამების შემუშავება იყო საჭირო, რომლებიც ე.წ. „ქალთა გამოცდილების“ საფუძველზე ქალების ცხოვრებას შეისწავლიდა. ყოველივე ამან შედეგად ის მოიტანა, რომ ძალიან ბევრ უნივერსიტეტში დაარსდა ფაკულტეტები, ცენტრები, კათედრები, სადაც შესაძლებელი იყო ქალური პერსპექტივიდან, ზოგადად, სამყაროს შესწავლა. სწორედ ეს არის ის განმასხვავებელი ნიშანი, რითაც ქალთა საკითხის კვლევის შესახებ არსებული პროგრამები სოციოლოგიის, ფიქტოლოგიის, ეკონომიკისა და ისტორიის ფაკულტეტებისაგან განსხვავდება. 1980 წელს მთავარი უურადღება გადატანილ იქნა არამარტო საზოგადოებრივ სფეროში ქალის როლის გააზრების საკითხზე, არამედ ცოდნის ტრადიციული დისციპლინების გადააზრების საკითხზეც. 80-იან წლებში ქალთა საკითხის კვლევა მულტიკულტურული პერსპექტივიდან დაიწყო. მოხდა კონცეპტუალური საკითხების რეკონსტრუქცია, რომელიც რასობრივ, ეთნიკურ სექსუალურ უმცირესობათა სფეროს

უკავშირდებოდა. 1990 წელს ქალთა საკითხის კვლევა გლობალიზაციის პერსპექტივიდან ხდება. ქალთა საკითხთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების გავრცელება ხდება დასავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, აზიაში. ამან კი ინფორმაციის გაცნობისა და გაცვლის შესაძლებლობა შექმნა. იქმნება საერთაშორისო ზაფხულის სკოლები, ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. შეიქმნა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

1980 წელს თურქეთში ფემინისტური იდეების აქტიურად გავრცელებამ და სხვადასხვა ფემინისტური მიმართულებების მიერ ფემინისტური უურნალების დაარსებამ, მყარი საფუძველი შექმნა უნივერსიტეტებში ქალთა საკითხის კვლევის ცენტრების ჩამოყალიბებისათვის.

უნივერსიტეტებში ქალთა საკითხის კვლევის სფეროში ორი მიმართულებით მუშაობენ. პირველ ჯგუფში შედის ის კვლევითი ცენტრები, რომლებიც სხვადასხვა დისციპლინებისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელ ადამიანებს აერთიანებს. ისინი გენდერის, ქალის ეკონომიკური და სოციალური სტატუსის, განათლების, ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობენ. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ის მიმართულებები, რომლებიც სოციალურ ფაკულტეტს ექვემდებარება.

ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები თავდაპირველად მხოლოდ ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტებში არსებობდა. 10 წლის განმავლობაში კი მათმა რაოდენობამ 13-ს მიაწია.⁶¹ აღნიშნულ ცენტრებში გარდა იმისა, რომ მუშავდება სხვადასხვა სახის პროექტები, რომლებიც ქალთა საკითხს ეხება, იმართება კონფერენციები და სიმპოზიუმები. კვლევითი ცენტრები, ერთი მხრივ, ცდილობენ, ქალთა საკითხი აკადემიურ სივრცეში გადაიტანონ და განიხილონ, მეორე მხრივ კი ტრადიციული თეორიებისა და აზროვნების ფორმების შესახებ აქტიურ კამათს აწარმოებენ.

ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები არსებობს შემდეგ უნივერსიტეტებში:

⁶¹ ჩუქუროვას უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევის ცენტრი, დაზის უნივერსიტეტის ქალთა საკითხისა და შესწავლის ცენტრი, გაზიანთეფის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევისა და შესწავლის ცენტრი, ჩანაკაიას უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევის ცენტრი, მერსინის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევის ცენტრი, ესქიშეპირის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევის ცენტრი, პაჭეთეფქს უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევისა და შესწავლის ცენტრი.

1. სტამბოლის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევისა და შესწავლის ცენტრი, რომელიც 1989 წელს დაარსდა. ცენტრი იკვლევს ქალთა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ქალთა როლის ირგვლივ არსებულ საკითხებს.

2. მარმარას უნივერსიტეტის ქალთა სამუშაო მაღის გამოყენების კვლევითი ცენტრი. დაარსდა 1992 წელს. ცენტრი იკვლევს ქალთა დასაქმების სფეროებს, აწყობს კონფერენციებსა და სემინარებს.

3. ანკარის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევისა და შესწავლის ცენტრი. დაარსდა 1993 წელს. ცენტრის მთავარი მიზანია საზოგადოებაში სქესობრივი საკითხისადმი უფრო შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავება.

4. ეგეოსის უნივერსიტეტის ქალთა საკითხის კვლევისა და შესწავლის ცენტრი. დაარსდა 1996 წელს. ცენტრის მიზანია სამოქალაქო საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის სფეროში ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნულ უნივერსიტეტებში არსებობს სამაგისტრო პროგრამები გენდერის კვლევის საკითხები.

თავი III

3.1. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა

ფემინისტური თეორიების ჩამოყალიბება და ფემინისტური კრიტიკის არსებობა უშუალოდ უკავშირდება ფემინისტურ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის ირგვლივ კამათი დღემდე მიმდინარეობს, ფაქტი ერთია: ფემინისტური კვლევების არსებობა ფემინისტურმა მოძრაობამ განაპირობა. გარდა ამისა, ფემინიზმი, როგორც სოციოკულტურული განვითარების ალტერნატიულ-ფილოსოფიური კონცეფცია ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. იგი, როგორც ქალთა სოციალურ-პოლიტიკური თანასწორობისათვის წარმოებული მოძრაობა, დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. თანამედროვე ფემინისტურ თეორიებს მიეკუთვნება მეორე და მესამე ტალღის ფემინისტური კონცეფციები. მეორე ტალღას მიეკუთვნება რადიკალური, ლიბერალური და სოციალური ფემინისტური თეორიები, ხოლო მესამეს – კულტურული, პოსტმოდერნისტური ფემინიზმი. მესამე ტალღის ფემინისტურ თეორიებს შორის მკვეთრად გამოხატული კონცეფციური სხვაობა არ არსებობს და ისინი მოიაზრებიან პოსტფემინისტურ სივრცეში.

მიუხედავად თეორიული და იდეოლოგიური სხვაობისა, თანამედროვე ფემინისტური დისკურსის ლოგიკურ საფუძვლად სიმონა დე ბოვეარის მიერ შემოთავაზებული „ქალურობის“ ფილოსოფიური კონცეფციაა მიჩნეული. მხედველობაში გვაქვს პატრიარქალურ კულტურაში ქალის სუბიექტობის გააზრება როგორც „განსხვავებულის“ და „სხვის“.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფემინისტური თეორიის მთავარი მიზანია ქალური სუბიექტობის წინა პლანზე წამოწევა, რომელიც როგორც კლასიკურ, ისე არაკლასიკურ სოციალურ თეორიებში მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აზროვნებასა და კულტურაში ქალის სუბიექტობის რეპრეზენტაციისათვის დისკურსიული გზების ძიება. სუბიექტობის ახალი ფემინისტური ეპისტემოლოგია ეფუძნება „სხვის“ კონცეფციას, რომელიც სპეციფიკურ და მრავალგვარ „ქალთა გამოცდილებასა“ და არსებობის ქალურ შესაძლებლობებს გულისხმობს. ქალურობის აქცენტირებამ ფემინისტურ თეორიას საშუალება მისცა, სუბიექტობის ახალი ფილოსოფიური კონსტრუქცია გამოევლინა. ვგულისხმობთ გენდერულად მარკირებულ სუბიექტობას, რაც კლასიკური

„უსქესობისგან“ ძალიან განსხვავებულია. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურაში ქალური სუბიექტობის ლოგიკური საფუძვლების ფემინისტურ-ეპისტემოლოგიური ძიება, თანამედროვე აზროვნებაში სუბიექტობის ეპისტემოლოგიის ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს.⁶²

ფემინისტური თეორიის ახალი საგანი თავისთავად მოითხოვს ახალ, არაკლასიკურ დისკურსებს და წერის პრაქტიკას, რომელიც ფემინისტურ თეორიაში რეალიზდება ფალოგოცენტრისტული ტიპის დისკურსის დეკონსტრუქციითა და კრიტიკით. ეს კი ფემინისტურ თეორიას სხვა კრიტიკული დისკურსების (პოსტმოდერნიზმი ან პოსტკოლონიალიზმი) სიაში აერთიანებს. ფემინისტური თეორიის მეშვეობით, თანამედროვე დისკურსიულ პრაქტიკაში შეტანილია ახალი დისკურსიული კრიტერიუმი, რომელიც სქესობრივ სხვაობას გულისხმობს. გარდა ამისა, ფემინისტური თეორიის თავისებურებად ითვლება მისი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც საზოგადოებაში სოციალური, პატრიარქალური და გენდერული წყობის ცვლილებას ითვალისწინებს.

ქალის სუბიექტობის და, ზოგადად, ქალური გამოცდილების დადგენის პროცესში მნიშვნელოვანი როლი პოსტრუქტურალისტური ფილოსოფიის ძირითადმა მეთოდმა – დეკონსტრუქციამ ითმაშა. დაპირისპირებულ სტრუქტურათა დერიდასეული კრიტიკა დეკონსტრუქციული ანალიზის მეთოდის, ანუ დეკონსტრუქციული წაკითხვის სტრატეგიის შესაძლებლობას იძლევა. „კლასიკური ფილოსოფიური გაგებით, წერს დერიდა, – საქმე გვაქვს არა დაპირისპირებულთა მშვიდობიან თანაარსებობასთან, არამედ მძლავრ იერარქიულ წყობასთან, სადაც ორიდან ერთი მართავს მეორეს და მასზე მაღლა დგას. დეკონსტრუქციის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, დაპირისპირებულობის ამ იერარქიული კიბის ნგრევაში მდგომარეობს“ (კავთიაშვილი, 2001:37). რეკონსტრუირება სტრუქტურალისტური ჟესტიც იყო, იგი გარკვეულ სტრუქტურალისტურ პრობლემატიკას გულისხმობდა. თუმცა იმავდროულად იგი ანტისტრუქტურალისტური ჟესტიც იყო. მისი ბეჭი მნიშვნელოვანწილად ამ ორაზროვნებასთან არის დაკავშირებული. იგი ნგრევას კი არ გულისხმობდა, არამედ რეკონსტრუქციას, რომელიც ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ როგორაა ესა თუ ის „ანსამბლი“ კონსტრუირებული. „გარკვეული

⁶² ადნიშნული პარადიგმატული ცვლილებების კონტექსტში განიხილება აგრეთვე კლასობრივი, რასობრივი და ეროვნული ტიპის იდენტობაც. მათი საერთო მახასიათებელია ტრადიციულ და კლასიკურ აზროვნებასა და კულტურასთან დაპირისპირება.

დისკურსის დეკონსტრუირება ნიშნავს, აჩვენო ის, თუ როგორ შეიძლება დაშალო ამ დისკურსის მიერ დაფუძნებული ფილოსოფია, ან ის იერარქიული ოპოზიცია, რომელსაც იგი ეფუძნება“ (ხარბედია, 2008:170). რომელიმე სტრუქტურის დემონტაჟი არ წარმოადგენს მარტივი ელემენტის რეგრესს, გარკვეული განუყოფელი პირველ საწყისის მიმართულებით, არამედ თავად ეს არქელირებულებები ისევე როგორც ზოგადად ანალიზი, წარმოადგენენ გარკვეულ ფილოსოფებს, რომლებიც უნდა დეკონსტრუირდნენ. დეკონსტრუქციული მეთოდი მისაღები აღმოჩნდა ფემინიზის თეორეტიკოსებისათვის, ვინაიდან სწორედ ბინარულ თპოზიციათა და იერარქიულობის სისტემის გაუქმების სურვილი იძლეოდა მარგინალიზირებული ქალური საწყისის ფილოსოფიურად დასაბუთებული (არისტოტელე, შოპენჰაუერი, რუსო, კანტი, ფროიდი, ლაკანი) პოზიციის ახლებური გააზრების შესაძლებლობას. დეკონსტრუქციის გავლენით ფემინისტურ თეორიაში ჩამოყალიბდა მიმართულება, რომელსაც ფემინისტური კრიტიკა ჰქვია.

ფემინისტური პოსტსტრუქტურალიზმის წარმომადგენლები ლიტერატურული, ისტორიული, სამართლებრივი თუ სასკოლო სახელმძღვანელოების ტექსტების დეკონსტრუირებისას, ნათელყოფენ, რომ არაცნობიერი განწყობის დონეზე აულტურაში ქალი მიჩნეულია „განხვავებულად“, „მარგინალურად“, „სხვად“, „გადახრის გამოვლინებად“, რაც ისტორიულ-კულტურული სისტემის პატრიარქალურობაზე მეტყველებს.

ფემინისტური კრიტიკა 1960 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა. მაგრამ მას წინ აულტურაში ქალთა როლისა და მიღწევების აღიარებისათვის ბრძოლის ორსაუკუნოვანი ისტორია უძღვდა. ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლას ეხება ისეთი წიგნები, როგორიცაა ჯონ სტიუარტ მილის „ქალთა დამორჩილება“, ვირჯინია ვულფის ესე „საკუთარი ოთახი“, სიმონა დე ბოვეარის „მეორე სქესი“. მნიშვნელოვანია ქეით მილეტის ნაშრომი „სქესობრივი პოლიტიკა“. სიტყვა „პოლიტიკაში“ ქეით მილეტი გულისხმობს მექანიზმებს, რომლებიც საზოგადოებაში ძალაუფლებრივ მდგომარეობას გამოხატავენ და განამტკიცებენ. მას დასავლეთში სოციალური წესრიგის ფორმები და ინსტიტუციები ძალაუფლებით მანიპულირების ფარულ საშუალებად მიაჩნია, რაც მიზნად ისახავს მამაკაცების დომინანტური როლის განმტკიცებას და ქალების დაქვემდებარებას. ავტორი უპირისპირდება ფროიდის ფსიქოანალიზი მამაკაცის როლის გამძაფრებას და, იმავდროულად ჰენრი მილერის, ნორმან

მეილერის და უნ ჟენეს ტექსტებში გამოავლენს პასაუებს, სადაც ავტორები თავიანთ პროზაში წინა პლანზე წამოსწევენ აგრესიულ ფალიკურ „მე“-ს და ქალებს “სექსუალურ ობიექტებად” განიხილავენ. 1969 წლიდან ფემინისტურ კრიტიკაში უამრავი ნაშრომი გამოჩნდა, რომლებიც სხვადასხვა პერსპექტივაში განიხილავდნენ კულტურაში ქალის როლის საკითხს. მათ ფსიქოანალიზის, მარქსიზმის და სხვადასხვა პოსტსტრუქტურალისტური თეორიის ანალიზი სწორედ ამ ჭრილში დაიწყეს.

ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია ფემინისტური თეორიისათვის, ვინაიდან სწორედ აღნიშნული „პრობლემური კელის“ შიგნით დაისვა ისეთი კონცეპტუალური საკითხები, როგორებიცაა ქალური სუბიექტობის სტრუქტურის საკითხი, რომელიც მამაკაცური სუბიექტობისგან განსხვავდება, ქალური ენისა და აზროვნების თავისებურების საკითხი, ქალური გამოცდილებისა და სექსუალობის საკითხი, რეპრეზენტაციის ქალური სტარტეგიებისა და ქალური პოლიტიკური სტრატეგიების საკითხი. ფემინისტური კრიტიკის წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანი იყო სამყაროს ალტერნატიული აღქმის (სამყაროს ქალური აღქმა) პერსპექტივის შექმნა. სხვა თანამედროვე კრიტიკული სკოლებისგან განსხვავებით ფემინისტური კრიტიკის ლიტერატურული პრინციპები მხოლოდ ერთ ავტორიტეტულ აზრს ან საკრალურ ტექსტებს არ ეფუძნება. თუმცა დღესდღეობით, აერთიანებს რა სხვადასხვა სკოლების (სტრუქტურალიზმი, ლინგვისტიკა, ფსიქოანალიზი, დეკონსტრუქცია) ელემენტებს, თავისი კანონიკური ტექსტებით იგი თანდათან თრთოდოქსული ხდება. როგორც თეორია და მეთოდი ფემინისტური კრიტიკა გვთავაზობს ლიტერატურის ანალიზის ახალ პრინციპებს და არგუმენტაციის ახალ შესაძლებლობებს. თავდაპირველად ფემინიზმი უარყოფდა ყოველგვარი სახის ობიექტივიზმს, დიქოტომიასა და იერარქიულობას. დეკონსტრუქციასა და ფემინისტურ კრიტიკას აერთიანებს მასალის გადმოცემის ხერხების, მეტაფორებისა და მნიშვნელობების ფართო განმარტება. როგორც ერთი, ისე მეორე ტრადიციული ბინარული აზროვნების დეკონსტრუქციას ახდენს. ფემინიზმი ექებს ენისა და სქესის სფეროში ურთიერთქმედების ახალ გზებსა და შესაძლებლობებს. ფემინისტური კრიტიკის ფრანგი წარმომადგენლები მამაკაცი მწერლების შემოქმედებაში ე.წ. „ქალური ენის“ ძიებით არიან დაკავებულები. მიიჩნევენ, რომ ენა არის რეალური საშუალება, რომლითაც შესაძლებელია სტეროტიპებთან ბრძოლა. ეს კი ნიშნავს, რომ ფემინისტური კრტიკა მიზნად ისახავს ობიექტივიზმის, პომოგენის, სიკეთისა და

ბოროტების კატეგორიების ამოხსნას. ფემინიზმი ახლებურად გაიაზრებს ცნებებს „ქალი“ და „მამაკაცი“ ეს კი იწვევს კლასიკური წყვილების სტრუქტურული დიქოტომიის (მამაკაცი - ქალი, სული - სხეული, კულტურა - ბუნება, აქტიურობა - პასიურობა, დღე - დამე, და ა.შ.) დეკონსტრუირების აუცილებლობას.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ფემინისტური კრიტიკა ფართოდ გავრცელდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფემინისტური კრიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ლიტერატურის იმგვარად შეფასება, რომ ქალების მოსაზრებები, ინტერესები და ფასეულობები წინა პლანზე იყოს წამოწეული. ერთ-ერთი ამოცანაა ლიტერატურის „რევიზიული კითხვა“, რაც ფარული სქესობრივი დისკრიმინაციის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ფემინისტური კრიტიკა, თეორიული თვალსაზრისით, შესაძლებლია სხვადასხვა საკითხზე იყოს ორიენტირებული, მაგრამ ერთი რამ ყველასათვის საერთოა - სამყაროში ქალური არსებობის განსაკუთრებული შესაძლებლობების და შესაბამისი ქალური რეპრეზენტაციული სტრატეგიის არსებობის აღიარება. სწორედ ამიტომ, ფემინისტური თეორია და ფემინისტური კრიტიკის ტექსტუალური პრაქტიკა ინტელექტუალური კულტურის ტრადიციული/მამაკაცური ფასეულობების წინააღმდეგია. აღნიშნული ტარდიციულობა ქალური გამოცდილებას, როგორც „მეორეხარისხოვნის“ კონსტრუირებას ახდენს. ხაზი ესმევა ენის ტრადიციულ ფუნქციონირებას, რომელიც ისეთი კლასიკური ცნებებითაა მოცული, როგორიცაა: „სუბიექტობა“, „წესრიგი“, „საზოგადოება“. აქედან გამომდინარეობს ფემინისტური თეორიის ძირითადი მოთხოვნაც: ლიტერატურული ტექსტების კლასიკური კანონის გადააზრება, გაფართოება ან სრულიად უარყოფა. აგრეთვე, „ქალთა ლიტერატურის“ სოციალური ისტორიის შექმნა. ფემინისტურ თეორიას და კრიტიკას ცოდნის თეორიული დაფუძნება სჭირდებოდა. ასეთი თეორიული საფუძველი პოსტსტრუქტურალისტური კონცეფცია აღმოჩნდა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სპეციფიკური ქალური ცნობიერების, ენის, წერის ქალური სტილისა და ლიტერატურის შესახებ აქტიური კამათის დაწყება. „უკანასკნელ პერიოდამდე - წერს ელენ შოულტერი - ფემინისტურ კრიტიკას არ გააჩნდა თეორიული საფუძველი. თეორიულ შტორმში იგი „ემპირიული ობოლი“ იყო. 1975 წელს მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერც ერთი თეორიული მანიფესტი ვერ შეძლებდა ყველა იმ მრავალფეროვანი მეთოდოლოგიისა და იდეოლოგიის

ადეკვატურად წარმოჩენას, რომლებიც თავის თავში ფემინისტურ კითხვას ან წერას აერთიანებდა “(Жеребкина,2000:136).

ფემინისტური კრიტიკის არსებობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქალი მწერლების ნაწარმოებების აღმოჩენა და კვლევა. მისი მეშვეობით მოხდა ქალი და მამაკაცი ავტორების მიერ შექმნილი ნაწარმობების ანალიზი ანტიგური ტექტსებიდან თანამედროვეობამდე. შესაძლებლი გახდა კლასიკური ლიტერატურული ტრადიციის ახლებური ინტერპრეტაცია, შეიქმნა ლიტერატურული თეორიის ახალი აპარატი, რომელიც გამდიდრებულია ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკით. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით თითქმის არ არსებობს ლიტერატურული და ფილოსოფიური ტექსტების წაკითხვა და ანალიზი ფემინისტური, ან გენდერული ინტერპრეტაციის გარეშე. რაც მთავარია, შექმნილია ახალი აკადემიური დისციპლინა, რომელიც წერის ქალური სტილის, არსებობის ქალური გამოცდილების საკითხებს იკვლევს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სანამ ფემინისტური კრიტიკა ჩამოყალიბდებოდა, კრიტიკა, რომელიც ქალთა შემოქმედებას აფასებდა „ანდროგინული პოეტიკის“ ხასიათს ატარებდა. სადაც უარყოფილი იყო უნიკალური ქალური ლიტერატურული ცნობიერება და ხაზი ესმოდა შეფასების იმ უნივერსალურ სტანდარტებს, რომელსაც ქალი მწერლები უნდა დამორჩილებოდნენ. 1968 წელს გამოქვეყნებულ წიგნში “ფიქრები ქალზე“ წიგნის ავტორი მერი ელემენი წერდა: “ტრადიციულად ლიტერატურულ კრიტიკაში წამყვანი ადგილი მამაკაც-კრიტიკოსებს უკავიათ, რომლებიც კითხვისა და ლიტერატურული ტექსების ანალიზის დროს საკუთარი შესაძლებლობების ინტერპრეტირებას ახდენენ“ (Жеребкина,2000:141). ასეთი სახის ლიტერატურულ კრიტიკას მწერალი „ფალიკურს“ უწოდებს. „ფალიკური კრიტიკოსი“, როგორც წესი, უარყოფს ტექსტუალური მნიშვნელობის მრავალფეროვნებას, იგი ცდილობს ინერპრეტაციის ერთიანი და უნივერსალური სისტემის შექმნას. ტრადიციულ ლიტერატურულ კრიტიკაში შემუშავებულ მეთოდებს ელემანი იორნიულად „სექსუალური ანალოგიებით აზროვნებას უწოდებს“. 60-იან წლებში ვითარება მკვეთრად შეიცვლა. ფემინისტურმა კრიტიკამ ყურადღება გაამახვილა როგორც პატრიარქალურ კულტურაზე, ასევე ქალურ ესთეტიკაზე, რომელიც ქალური კულტურის არსებობას უსვამდა ხაზს. 70-იანი წლების შუა ხანებში აკადემიური ფემინისტური კრიტიკა, რომელიც ინტერდისციპლინარული ფემინური კვლევების შედეგებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა განვითარების ახალ ფაზაში

შევიდა. ეს ახალი ფაზა კი გინოკრიტიკა იყო. ფემინისტური კრიტიკის უმნიშვნელოვანების ნაწილია გინეზისი, ანუ პოსტსტრუქტურალისტური ფემინისტური კრიტიკა, რომელიც იკვლევს ქალურ საწყისს ფილოსოფიაში, ენასა და ფსიქოანალიზმი. 80-იანი წლების მეორე ნახევარში აღმავლობას განიცდის გენდერული თეორია, რომელიც სქესობრივი განსხვავების შესწავლაზეა ორიენტირებული.⁶³

ფემინისტური კრიტიკის მთავარი თეორიული პრობლემა ქალთა სუბიექტობის საკითხია. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის ორი მეთოდი იქნა შერჩეული. პირველი – ქალური სუბიექტობის სტრუქტურის განსაზღვრა, როგორც „სხვა“⁶⁴, „განსხვავებული“ (მამაკაცურსა და ტრადიციულობასთან

⁶³ ფემინისტურმა თეორიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გენდერული კვლევების სფეროში. ფემინისტური თეორია წარმოადგენს ქალური სუბიექტობის, როგორც „განსხვავებულის“ კონცეპტუალურ საფუძველს. გენდერული კვლევების სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ კვლევის საგანია არა ერთი, ან თუნდაც ორი ქალი და მამაკაცი, არამედ თანამედროვე აულტურის სექს მცირე ხეთი სუბიექტი (ქალური, მამაკაცური, პომოსქესუალური, პეტეროსქესუალური, ტრანსსექსუალური). თითოეული მათგანი გენდერული შესწავლის საგანს წარმოდგენს. მეთოდოლოგიური საფუძველი კი „განსხვავებულობის“ კრიტერიუმია. ფემინისტური დისკურსი უშალოდ უკავშირდება თანამედროვეობის სხვა ფილოსოფიურ და სოციალურ თეორიებს. გენდერული კვლევები კი ჯერ ფემინისტური თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს იყენებენ და შემდეგ უკვე სხვა კრიტიკულ დისკურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში გენდერული კვლევების ძირითადი თეორიული აპარატი და მეთოდოლოგია ფემინიზმის თეორეტიკოსების მიერ მუშავდებოდა.

⁶⁴ სიმონა დე ბოვეარი სუბიექტობის კონცეფციაზე მსჯელობისას უან-პოლ სარტრის ფილოსოფიურ თეორიას ეყრდნობოდა. სარტრი უარს ამბობს სუბიექტობის კონცეფციის ყველა სახის დეტერმინიზმზე. ეგზისტენციური სუბიექტი არის არჩევნის სუბიექტი, ანუ ადამიანი არის ის, რასაც თავად ირჩევს. სუბიექტის არჩევანი არასოდეს არის წინასწარ განსაზღვრული და არ შეესაბამება სოციალურ-ეკონომიკურ, ან ფსიქოლოგიურ დეტერმინიზმს. იგი არასოდეს სრულდება და მისთვის სტაბილურობა უცხოა. ეგზისტენციალიზმის თეორიაში სუბიექტობის კონცეფცია დაკავშირებულია აგრეთვე „ნეგაციის“ ეგზისტენციალურ კონცეფციასთან. სარტრის აზრით, სუბიექტის არსებობა განისაზღვრება შემდეგი ოპოზიციური დონეების შესაბამისად: „მე“ და „არა მე“. ეგზისტენციური ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი სამყაროში მარტო არ არის. სუბიექტი ჩართულია „სხვებთან“ ურთიერთობაში. სარტრმა შეიმუშავა „მე“-ს და „სხვის“ ეგზისტენციური დიალექტიკა, რომელიც ნებისმიერი სახის ინდივიდუალურ სიტუაციას ისე განსაზღვრავს, როგორც ორგარ ურთიერთობას. მხოლოდ სხვა ცნობიერების არსებობა განსაზღვრავს და ასტიმულირებს ჩვენს საკუთარ ცნობიერებას. მხოლოდ „სხვების“ მეშვეობით ვახდენთ ჩვენი საკუთარი „მე“-ს კონსტრუირებას (Жеребкина, 2000:16).

მიმართებაში) და მეორე – ქალური სუბიექტობის სტრუქტურის განსაზღვრა „ქალურობის“ დამოუკიდებელ და უნიკალურ ტოპოლოგიის „შენების“ გზით. პირველ მეთოდოლოგიურ საფუძველზე გავლენა ეგზისტენციალურმა იდეებმა მოახდინა. სიმონა დე ბოვუარი წიგნში „მეორე სქესი“, ქალის ბუნებას „განსხვავებულის“ და „ავთენტურობის“ ცნებებთან მიმართებაში განსაზღვრავს. ბოვუარის აზრით, ქალების „განსხვავებულობა“ ყოველთვის განისაზღვრება ფალოსის ტრანსცენდენტული გააზრებით, რომელთან მიმართებაში ქალი ყოველთვის „სხვაა“ ანუ ობიექტია (Жеребкина, 2000:137). რაც შეეხება მეორე მეთოდოლოგიურ საფუძველს, აქ მნიშვნელოვანი როლი ფემინისტურმა პოსტსტრუქტურალიზმმა ითამაშა, სადაც ძირითადი ყურადღება გადატანილია უშუალოდ ქალური სუბიექტობის სტრუქტურაზე, ოდონდ არა მამაკაცურთან მიმართებაში.

ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა შესაძლოა დაიყოს შემდეგ ნაწილებად:⁶⁵

- 1) ქალთა ლიტერატურა – აქცენტი კეთდება ავტორის სქესზე;
- 2) ქალთა საკითხავი – აქცენტი კეთდება მკითხველის სქესზე;
- 3) ქალური წერა – აქცენტი კეთდება ტექსტის სტილზე;
- 4) ავტობიოგრაფიული ტექსტები – აქცენტი კეთდება ტექსტის შინაარსზე.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტიკული მიმართულებების გათვალისწინებით ერთმანეთისგან გამიჯნულია ტექსების სამი ძირითადი სახეობა:

- 1) „ქალთა ტექსტები“ – ტექსტები, რომლებიც შექმნეს ქალმა ავტორებმა:
- 2) „ფემინური ტექსტები“ – რომლებიც, წერის კულტურის თვალსაზრისით, ქალური სტილით არის დაწერილი;
- 3) „ფემინისტური ტექსტები“ – რომლებიც უპირისპირდება ლიტერატურული კანონის პატრიარქალურ მიზნებს, ამოცანებსა და მეთოდებს.

⁶⁵ ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის აღნიშნული კლასიფიკაცია ეკუთვნის ფემინიზმის თეორეტიკოსს ელიზაბეთ გროსს.

ლიტერატურის ისტორიაში ქალი ავტორების შემოქმედების წინ წამოწევამ წარმოშვა „ქალთა ლიტერატურის“ ცნება, რომელიც გულისხმობს ქალის მიერ შექმნილი თემების, ჟანრების, ლიტერატურის სტრუქტურათა შესწავლას. საგნების რიცხვში კი შედის ფსიქოდინამიკის, ლინგვისტიკის და ქალური ენის დინამიკის, ქალის კარიერის ინდივიდუალური და კოლექტიური ტრაექტორიის, ლიტერატურის ისტორიისა და ცალკეულ მწერალ ქალთა ნაწარმოებების შესწავლა. თავად ცნება „ქალთა ლიტერატურა“ ლიტერატურის თეორეტიკოსებსა და მწერლებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ კონკრეტულ საკითხს ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. სტატიაში „ფემინისტური პოეტიკის საკითხისათვის“ ელენ შოულტერი ლიტერატურის ფემინისტური ანალიზის ორ ძირითად მეთოდს გამოყოფს.

1)“ფემინისტური კრიტიკა“ – ქალი არის ტექსტის მკითხველი:

2) „გინოკრიტიკა“ – ქალი არის ტექსტის ავტორი.

შოულტერის აზრით, პირველი მეთოდი გამოხატავს მამაკაცების ტრადიციულ წარმოდგენას ლიტერატურაში ქალებისა და ქალურობის შესახებ, ხოლო მეორე მეთოდი გამოხატავს ლიტერატურული დისკურსის ახალ მოდელებს, რომლებიც საკუთრივ ქალურ გამოცდილებას ეფუძნება. ქალი, როგორც ტექსტის მკითხველი, ეცნობა და კითხულობს „მამაკაცურ“ ტექსტს, ხოლო ქალი, როგორც ტექსტის ავტორი ტრადიციული ტექსტუალური კოდებისა და გენდერული სტერეოტიპების დეკოდირებას ახდენს. გინოკრიტიკა ქმნის ქალურობის დისკურსის ახალ სახეებს და უარს ამბობს ლიტერატურის მამაკაცური თეორიებისა და მოდელების მარტივ ადაპტაციაზე. „გინოკრიტიკა იწყება მაშინ, როცა ჩვენ ვთავისუფლდებით აბსოლუტური და სწორხაზოვანი პატრიარქალური ლიტერატურის ისტორიისგან და მის ნაცვლად ვფოკუსირდებით ახალ, ხილულ საკუთრივ ქალურ კულტურაზე“ (Шоултер, 2004:324). გინოკრიტიკაზე საუბრისას მნიშნელოვანია აღვნიშნოთ ის უპირატესობა, რაც მას სხვა მეთოდოლოგიებისგან გამოარჩევს. გინოკრიტიკა არის კრიტიკა, რომელიც დაინტერესებულია ისეთი განსაკუთრებული ქალური სტრუქტურის შექმნით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ქალი ავტორების მიერ დაწერილი ტექსტების ანალიზი ყველა ასპექტით -მათი შექმნის, მოტივაციის, ინტერპრეტაციის ჩათვლით და ყველა ლიტერატურული ფორმის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ გახდა ჩვენთვის გინოკრიტიკა მნიშნელოვანი. ვფიქრობ, რომ გინოკრიტიკის მეშვეობით

შესაძლებელია ქალის, როგორც ავტორის და სპეციფიკურად ქალური იდენტობის დადგენა და გამოვლენა, სამყაროს ქალური აღქმის პერსპექტივის გაფართოება.

3.2. ფემინისტური კრიტიკა და თურქული ლიტერატურათმცოდნოება

თურქულ ლიტერატურაში მკვლევრების მხრიდან ქალი მწერლების შემოქმედებით დაინტერესებამ ფემინისტური კრიტიკისადმი ინტერესი გაზარდა. ცნობილი თურქი კრიტიკოსი ბერნა მორანი წიგნში “ლიტერატურული თეორიები და კრიტიკა” ფემინისტურ კრიტიკას ცალკე თავს უთმობს. ბერნა მორანი აანალიზებს ფემინისტური კრიტიკის ამერიკელი და ფრანგი წარმომადგენლების ნააზრებს და ყურადღებას ამახვილებს ქალზე, როგორც ავტორზე და როგორც მკითხველზე. კრიტიკოსი ქალისადმი ამბივალენტური დამოკიდებულების საკითხს დაწვრილებით ეხება და სუზან გუბარისა და სანდრა გილბერტის მსგავსად, თურქულ ლიტერატურაში “ანგელოზი” და “ფატალური” ქალის ტიპებს იკვლევს. ბერნა მორანი ინტერესდება ქალის ავტორობის საკითხითაც. იგი მიიჩნევს, რომ ქალის ავტორობის საკითხი თურქულ ლიტერატურაში შესწავლილი არ არის. კრიტიკოსი “ქალური ენის” მნიშვნელობაზეც საუბრობს და მას ქალური სუბიექტობის გამოვლენის სტრატეგიად მიიჩნევს. “ფემინისტური კრიტიკა ფემინისტური მოძრაობის შემდეგ წარმოიშვა. თავდაპირველად, იგი მამაკაცი ავტორების ტექსტებში ქალის საკითხის კვლევაზე იყო ორიენტირებული. მოგვიანებით კი მისი ყურადღების ცენტრში ქალი ავტორი მოექცა. ფემინისტური კრიტიკა შეეცადა ლიტერატურის ისტორიაში ქალური ტრადიციის დადგენას და ქალი ავტორების ტექსტების სპეციფიკურობის გამოვლენას. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ენას. პატრიარქალურ კულტურაში ენა ქალის დამცირების იარაღს წარმოადგენს, ამიტომ დღის წესრიგში “ქალური ენის” დადგენის საკითხი დადგა” (Moran, 2002:379).

თურქული ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ქალე პარლა ფემინისტური კრიტიკის შესახებ საუბრისას ყურადღებას გენდერზე ამახვილებს და ფემინისტური კრიტიკის მიზანს შემდეგი სახით წარმოადგენს: “ფემინისტურმა კრიტიკამ ისეთ მეთოდს მიმართა, რომლისთვისაც მანამდე ლიტერატურის არცერთ თეორიას არ მიუმართავს. ფემინისტურ კრიტიკას საფუძვლად მე-18 საუცუნეში

დაწებული ქალთა მოძრაობა დაედო. ფემინისტური კრიტიკის მიზანია მამაკაცური იდეოლოგიის მიერ განსაზღვრული სქესობრივი როლების გამოვლენა. იგი სოციალური ფაქტორების შემეცნებას, გაანალიზებას და შეცვლას ისახავს მიზნად”(Irzik , Parla, 2004:180)

პროფესორი (ლიტერატორი) გურსელ აითახი სტატიაში “ფემინისტური მეთოდოლოგია” დაწერილებით მიმოიხილავს ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ისტორიას. იგი ყურადღებას “ქალთა ლიტერატურაზე” ამახვილებს. იგი ქალის მწერლობისა და დედობის საკითხს ერთმანეთს უკავშირებს. იგი იმ სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ამ პროცესს ახლავს. მას მაგალითი თურქული ლიტერატურიდან მოჰყავს: ”ჩვენს ლიტერატურაშიც არიან ქალი მწერლები, რომლებიც მწერლობისა და დედობის საკითხის პრობლემატიზაციას ეხება. მაგალითად, ფერიდე ჯელალი რომანებში “სამი ქალი” და “მგლები” სწორედ ამ საკითხს ეხება” (Aytaç,1999:108).

მკვლევარი ებრუ აიქუთ თურქერი სტატიაში “ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა” ფემინისტური კრიტიკის ფუნდამენტალურ საკითხებს ეხება. იგი ყურადღებას ქალურ ენაზე ამახვილებს. “შამაკაცის სხეულისა და სექსუალობის საწინააღმდეგოდ საჭიროა ქალის სხეულისა და სექსუალობიდან გამომდინარე ქალური ენის, დისკურსის წინ წამოწევა”(Türker, 2003:293).

პროფესორი ოია ბათუმ მენთეშე სტატიაში ”ჯენტლმენი კრიტიკოსები და ქალი მწერლებიდან ფემინისტურ კრიტიკამდე” ქალების სამწერლობო სივრცეში ადგილის დამკვიდრების საკითხს ეხება. იგი ხაზს უსვამს იმ სირთულეებს, რომლებსაც ქალი ავტორები აწყდებიან. ოია ბათუმის აზრით ფემინიზმის მნიშვნელოვან მონაპოვრად ქალის იდენტობის თემის წინა პლანზე წამოწევა. იგი გინოკრიტიკაზეც ამახვილებს ყურადღებას. გინოკრიტიკის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია ქალის იდენტობის დადგენა, რომელიც უშუალოდ უგავშირდება ქალი მწერლის საკითხს” (Menteşe,1996:58).

თურქულ ლიტერატურაში ფემინისტური კრიტიკის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ნაშრომები ამით არ ამოიწურება. შევეცადე იმ სამეცნიერო მასალის წარმოჩენა, რომლებშიც ფემინისტური კრიტიკის თეორიული საფუძველია პოსტულირებული. პრაქტიკული თვალსაზრისით სამეცნიერო ნაშრომები

(სტატიები, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომები), რომლებიც ფემინისტური კრიტიკის მეთოდებს იყენებენ, რა თქმა უნდა, მეტია.

ფემინისტური კრიტიკა საშუალებას იძლევა ქალი ავტორების შემოქმედებითი გზა ისტორიულ ჭრილში დავინახოთ, ანუ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ქალთა შემოქმედება გავაანალიზოთ და შევაფასოთ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გათვალისწინებით. როდესაც თურქ მწერალ და პოეტ ქალებზე ვსაუბრობთ საუბარს მხოლოდ მე-19, მე-20 საუკუნეში მოღვაწე ქალი ავტორებიდან ვერ დავიწყებთ. ვინაიდან თურქ ქალ ავტორთა ისტორია უფრო ადრინდელი პერიოდიდან იწყება. მიზეზები, რამაც ქალი პოეტებისა და მწერლების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა შეაფერხა, საზოგადობრივი მოწყობის სისტემაში უნდა ვეძებოთ. ისლამის მიღებამდე თურქები მომთაბარე ცხოვრებას ეწოდებინ, დროთა განმავლობაში ისინი მკვიდრ ცხოვრებაზე გადავიდნენ. აღნიშნული „ცვლილება“ ქალთა მდგომარეობაზეც აისახა. „მომთაბარე ცხოვრება ქალსა და მამაკაცს თანაბარ პირობებში აყენებდა. ამის საფუძველს მომთაბარე ცხოვრების წესით გამოწვეული პრიმიტიული დემოკრატიული ტრადიციები და შამანიზმი იყო. შამანიზმში სამყაროს შემადგენელი ელემენტები ერთმანეთს აესებს და ერთმანეთისგან არ გამოიყოფა. იერარქიას და უთანასწორობას ადგილი არა აქვს. იმ დროს მამაკაცი მხოლოდ ერთ ქალზე ქორწინდებოდა, ქალს თითქმის ყველა იმ საქმის გაკეთება შეეძლო, რასაც მამაკაცი აკეთებდა. შეეძლო ცხენებე ჯდომა, ისრის სროლა, ხმლის ხმარება და ომში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, ქალს შეეძლო მმართველის ადგილიც დაეჭირა და მისი სიტყვა გადამწყვეტი ყოფილიყო (Mutlu, 2006:456). მომთაბარეობის სისტემაში ადამიანის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, მომთაბარე თურქულ საზოგადოებაში ქალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაშინ, როცა მამაკაცები ომში, ან სანადიროდ იყვნენ წასულები ოჯახზე, შვილებზე, საკვებსა და თავშესაფარზე პასუხისმგებლები ქალები იყვნენ. მკაცრი ბუნებრივი და მომთაბარე ცხოვრების პირობებში, ქალი მამაკაცის მსგავსად ძლიერი და მებრძოლი ხასიათით გამოირჩეოდა. მომთაბარე თურქულ საზოგადოებაში ადგილის და ფუნქციების თვალსაზრისით სქესთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ გვხვდება. მე-8 საუკუნის ორპონის წარწერებში თურქი ქალი პატივისცემით მოიხსენიება. წარწერებში საუბარია ოღუზი პრინცების საზოგადოებრივი და

პოლიტიკური მოდგაწეობის შესახებ. ორპონის წარწერებში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქალი და მამაკაცი ერთად მართავს სახელმწიფოს. „სახელმწიფოს მართავს ხანი, სახელმწიფო იცის ხათუნმა“. ტრადიციების მიხედვით ბრძანება, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „ხანმა ბრძანა“, ძალადაკარგულად ითვლებოდა. მხოლოდ ის ბრძანება იყო კანონიერი, თუ იგი შემდეგი სიტყვებით იწყებოდა – „ხანისა და ხათუნის ბრძანებით“ (Mutlu, 2006:456). ქალის აქტიური როლი, რომელიც მომთაბარე საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლის დროს პასიური გახდა. თუმცა, პრიმიტიული დემოკრატიული ტრადიციები მაინც შენარჩუნდა. ამის საფუძველად კი, სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსის გამოყენება უნდა მივიჩნიოთ. მართალია, სოფლის მეურნეობა ქალებს არ „აღმოუჩენიათ“, თურქმა მომთაბარე საზოგადოებამ იგი სხვა კულტურებისგან შეითვისა, მაგრამ მეურნეობაზე დაფუძნებული მკვიდრ საზოგადოებაში ქალმა ადრინდელი მდგომარეობა და სტატუსი მაინც შეინარჩუნა. შეა აზიაში სხვადასხვა რელიგიების არსებობამ პატრიარქალური სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. თუმცა იმის აღნიშვნა, რომ მხოლოდ რელიგიათა მრავალფეროვნებამ განაპირობა პატრიარქალური სისტემის ჩამოყალიბება და ქალების საზოგადოებრივი სფეროდან იზოლირება, მართებული არ იქნება.

ქალიან საინტერესოა გამუსლიმების პროცესში ქალის როლისა და ადგილის განსაზღვრის საკითხი. გამუსლიმების პროცესის დროს ადრინდელი ტრადიციები თავის ძალას კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებდა. მაგალითად, ჰარემი და თავსაბურავი ისლამის მიღების საწყის ეტაპზე ისლამური კულტურისათვის არ იყო დამახასიათებელი. სახის დაფარვა, ფეხს სმარება ბიზანტიური და ირანული კულტურის გავლენას წარმოადგენს და მისი მოხმარება ფათიჰ სულთანის სულთნობის შემდგომი პერიოდიდან იწყება.⁶⁶ ისლამის მიღების შემდეგ ქალის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მაგალითად, ირანში ზოროასტრიზმის მიხედვით ყველა სახის ბოროტების წყარო ქალია. თურქული საზოგადოება დროთა განმავლობაში არაბული და სპარსული ისლამური კულტურის გავლენის

⁶⁶ ბიზანტიური და სპარსული კულტურის გავლენის შესახებ წერს ნ. გელოვანიც: „ჩადრი და კარჩაკეტილობა არ არის წმინდა ისლამური მოვლენა. ჩადრი უძველესი დროიდან ქალის მორთულობისა და ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. მაგრამ ეს წესი უცხო იყო ისლამიდელი არაბებისათვის, ჩადრის ჩვეულება მუსლიმებთან გავრცელდა მეზობელი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან“ (გელოვანი, 2005:136).

ქვეშ მოექცა. ისლამის შემდგომი პერიოდის სქესთა შორის ურთიერთობის და ქალთა მდგომარეობის შესახებ ნათელი წარმოდგენას იმ დროის ლიტერატურული ძეგლები გვიქმნიან. პირველი ასეთი ძეგლია “Kutadgu Bilig” („კურთხეული ცოდნა“), რომლის ავტორია იუსუფ ჰას ჰაჯიბი. ძეგლი აღმოსავლეთ ყარახანების მმართველ თაუგაჩ ულუგ ბულრას ეძღვნება. აღნიშნული ძეგლი ყარახანების საზოგადოებრივი მოწყობის, რელიგიური და მორალურ-ზნეობრივი საკითხების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. ძეგლი დაწერილია ისლამის მიღების საწყის ეტაპზე. ამიტომ ისლამის გავლენა საგრძნობლად დიდია. თუმცა სპარსული, ძველი ჩინური და ინდური კულტურის, შამანიზმის ელემენტები, ბუდისტური, მანიქეისტური უიდურული კულტურის გავლენაც აშკარაა. იუსიფ ჰასის აზრით, ქალები ბოროტები, მატყუარები, არასანდო „სექსუალური ობიექტები“ არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისლამის გავლენა დიდია, ქალის ბოროტების საწყისად მიჩნევა არაბულ-სპარსული კულტურის გავლენაა, ისლამი ხომ სწორედ ამ კულტურის წიაღში წარმოიშვა. თუმცა არაბულ და სპარსულ კულტურაში ისლამის გავრცელების შემდეგ ქალები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდენ, ვიდრე ისლამის მიღებამდე იყვნენ. საკითხს მეტი ნათელი რომ მოვფინოთ, რამდენიმე ბეითის მოყვანაც საკმარისია:

Kutadgu Bilig, ბეითი 4510: ქალი სწრაფად უნდა გაათხოვო, თორემ სინანული მოგკლავს.

ბეითი 4511: ჩემო მეგობარო, გოგო, საერთოდ, თუ არ დაიბადება, კარგია, თუ დაიბადება და არ იცოცხლებს უკეთესია.

ბეითი 4512: ქალი ყოველთვის სახლში გამოკეტე, ქალებისთვის შინ და გარეთ არ არსებობს.

ბეითი 4519: ქალი მხოლოდ ხორცია ამიტომ შენახვა უნდა, რომ არ გაფუჭდეს (Uğurcan,2002:25).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, იუსუფ ჰას ჰაჯიბის აზრით, ქალები მატყუარა, არასანდო, „სექსუალური ობიექტები“ არიან. უნდა ითქვას, რომ მსგავსი სახის შეხედულება დღესაც ძალაშია. ვფიქრობ ლიტერატურულ ძეგლში მოცემულ შეფასებას არც ადამიანური და არც რელიგიური თვალსაზრისით გამართლება არა აქვს.

მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ქალის მდგომარეობას ეხება, მაპმუდ კაშგარელის „Divan-ü Lügat’it Türk“ („თურქულ ენათა ლექსიკონია“). მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ლექსიკონის სახით არის შედგენილი, იმდროინდელი თურქული საზოგადოების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია. ძეგლში ხაზგასმულია ქალისა და მამაკაცის ის თვისებები, რომლებსაც იმდროინდელი თურქები დიდი ყურადღებას აქცევდნენ. მამაკაცი უნდა ყოფილიყო მამაცი, ვაჟკაცი, სიკეთისმქმნელი, ქალი კი – მომომენი, გამგებიანი, მოსიყვარულე, სუფთა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ძეგლში, ოჯახის გოგონების გარდა, მოიხსენიება მოახლე ქალებიც. კიდევ ერთი გარემოება, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს, ეს ქალიშვილობის საკითხია. ახალგაზრდა გოგონას ღირსებად ქალიშვილობა იყო მიჩნეული. მაგალითად, „პატარძალს დაფარული რამ აქვს“ – ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და „დაფარულში“ სწორედ ქალიშვილობა იგულისხმება. როგორც ვხედავთ, „თურქულ ენათა ლექსიკონში“ „Divan-ü Lügat’it Türk“, განსხვავებით „Kutadgu Bilig“-ისაგან ქალების შესახებ წარმოდგენა უფრო დადებითია და ისინი ბოროტების საწყისებად არ მიიჩნევიან. ქალები მხოლოდ „სექსუალურ ობიექტებად“ არ აღიქმებიან. ძეგლში ქორწინების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პატრიარქალური ხასიათის მატარებელია. მაგალითად, სიტყვები – „ქმარმა ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა“ –(იგულისხმება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა) მამაკაცების ცოლებისადმი ბუნებრივ დამოკიდებულად არის მიჩნეული, რასაც თავად ქალებიც „გაგებით“ ეკიდებიან.

მესამე ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც ქალთა მდგომარეობა და სტატუსი კარგადაა წარმოჩენილი, არის „Dede Korkut Kitabi“⁶⁷ „დედე ქორქუთის წიგნი“. ჩვენთვის წიგნი შემდეგი თვალსაზრისით არის საინტერესო : 1. ნაწარმოებში მოცემული ქალთა პანორამა მრავალფეროვანია. 2. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ თურქულ საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „დედე ქორქუთში“ აღწერილია

⁶⁷ ოდუზური ენის მიხედვით ნაწარმოების სრული სახელია "Kitab-1 Dede Korkut Ala Lisan-ı Taife-i Oğuzan". ფუძ ქოფრულუ წიგნის შესახებ წერდა: „მოელი თურქული ლიტერატურა რომ სასწორის ერთ მხარეს დავდოთ, ხოლო მეორე მხარეს – „დედე ქორქუთი“, მაინც “დედე ქორქუთი” გადასწონის“ (Ceyhun, 1984:5). ნაწარმოებში აღწერილია ოდუზების ისლამის მიღების ადრეული პერიოდის მდგომარეობა.

ისლამის მიღების ადრეული პერიოდი, ქალებისადმი დამოკიდებულება ჯერ სრულიად შეცვლილი არ არის. შესავალ ნაწილში საუბარია ქალის ოთხი ტიპის შესახებ. ”ქალები ოთხი ჯურისანი არიან: ერთი ჯიშის დამაკნინებელია, ერთი მათრეველა და შარახვეტია, ერთი ოჯახის დედაბომია, ერთიც, რაც გინდა თქვი და, ყველაზე უარესია” (ჯაველიძე, შავულაშვილი, 1987:32).⁶⁸ წიგნში მოთხოვობილია 12 ამბავი, რომლებიც ძირითადად მამაკაცთა საგმირო საქმეების ეხება. თუმცა, რამდენიმე ამბის მოვარი გმირი ქალია. ეს ქალები, უპირველეს ყოვლისა, დედები და მეუღლეები არიან. აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქალებისათვის კარგი დედისა და მეუღლის ფუნქციის მინიჭება ისლამური პულტურის გავლენის შედეგია. ვინაიდან ისლამამდელ ხანაში ქალები არამხოლოდ კარგი დედობით და მეუღლეობით ფასდებოდნენ, არამედ ფიზიკური ძალითა და გამბედაობით. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ საუბრის საშულებას წიგნში არსებული ინფორმაცია გვაძლევს. წიგნში აღწერილი ოდუზი თურქები იურთებში (გადასატანი საცხოვრებელი სახლი) ცხოვრობენ, ნადირობენ, ჰყავთ შინაური ცხოველები ხშირად უწევთ სხვადასხვა ტომების თავდასხმის მოგერიება. ასეთ პირობებში მცხოვრები ქალი, გასაკვირი არ არის, რომ ფიზიკურად ძლიერი, მამაცი და გაბედულია. მამაკაცებიც მეუღლეებად ასეთ ქალებს ირჩევენ. ბამსი ბეირექი მამას ისეთი ქალის მოძებნას სთხოვს, რომელიც მასზე უკეთესი იქნება ”მამა, ისეთ ასულზე დამნიშნე, რომ ვიდრე მე ავდგებოდე, ის უკვე ზეზე იყოს, ვიდრე მე შარვაზე ავმხედრდებოდე, ის უკვე შავარდნის ზურგზე იჯდეს, ვიდრე მე მტერზე მივალ, მან უკვე მტრის თავი მომიტანოს” (ჯაველიძე, შავულაშვილი, 1987:67). ქან თურალიც იმავეს ითხოვს მამისგან ”მამავ, ვიდრე მე ავდგები, ის უნდა ადგეს, ვიდრე მე ჩემს სწრაფმავალ ცხენს მოვახტები, ის უნდა ამხედრდეს, ვიდრე მე სისხლისმსმელი გიაურების ქვეყანას მივალ, ის მივიდეს, მოკვეთილი თავი მომართვას” (ჯაველიძე, შავულაშვილი, 1987:11). ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იმის ხაზგასმაა, რომ ქალები თავად ირჩევენ ქმრებს. ოდონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ საომარ ხელოვნებასა და ვაჟაპატობას გამოცდიან. ბანუ ჩიჩექი ბამსი ბეირექს ვინაობას უმაღავს და ვაჟაპატობაში გაჯიბრებას სთავაზობს. ”ის გოგო ისეთი არ არის, შენ გეჩვენოს, მე ბანუ ჩიჩექის

⁶⁸ პირველ კატეგორიაში ქალთა ის ჯგუფია იგულისხმება, რომელიც ოჯახს ძალიან კარგად უძღვება. მეორე კატეგორიაში – ოჯახით და ქმრით უძმაყოფილო ქალები იგულისხმება, მესამეში – ქალები, რომლებიც ოჯახით არ ინტერესდებიან და მეოთხეში – ქალები, რომლებისთვისაც არც ქმარი ფასობს და არც სტუმარი.

გამდელი ვარ. მოდი, გავიდეთ სანადიროდ. თუ შენი ცხენი ჩემსას გაასწრებს, მაშინ იმის ცხენსაც გაასწრებს, მოდი, ისარი ვტყორცნოთ. თუ შენ მე მაჯობებ, იმასაც აჯობებ; მოდი დავეჭიდოთ, თუ მე წამაქცევ, იმასაც წააქცევ” (ჯაველიძე, შავულაშვილი, 1987:67). “დედე ქორქუთის წიგნში“ ფიქსირდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ქალი არ აღიქმება როგორც „სიამოვნების ობიექტი“. წიგნში ლეილასა და მეჯნუნის, ქერემისა და ასლის და „აკრძალულ სიყვარულში“ ასახული სიყვარულის ისტორიას ვერსად შევხვდებით. ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებში სიყვარული სულიერი და მატერიალური სიძნელეების დაძლევის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული „სულიერება“ მომთაბარე ტომისათვის, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი ვერ იქნებოდა. დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისადმი და გამოხატვის ფორმები განსხვავებულია. ამ „განსხვავებულობის“ მთვარი მიზეზი მომთაბარე ცხოვრებაა. აღნიშნულ პერიოდში ასევე ნაკლებ მოსალოდნელია ადამიანში პიროვნული ლირებულებების ძიება. მნიშვნელოვანი ფიზიკური ძალა და ჯანსაღი სხეულის ქონაა. სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები ერთმანეთში ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას აფასებენ. წიგნში თურქების გამუსლიმების ადრეული პერიოდის შესახებაა საუბარი. თუმცა საწყის ეტაპზე რელიგიური გავლენა იმდენად დიდი არ არის, რომ ქალისა და მამაკაცს შორის მკვეთრად გამოხატულ უთანასწორობაზე ვისაუბროთ.

თუ სამივე ლიტერატურულ ძეგლს შევაჯამებთ, ადრეული პერიოდის თურქულ საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთებას შევძლებთ. “Kutadgu Bilig”-ში („კურთხეული ცოდნა“) ქალი უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული. გაცილებით დადებითად არის შეფასებული ქალის როლი “Divan-ü Lügat’it Türk” -ში („თურქულ ენათა ლექსიკონში“). თუმცა აქ მამაკაცისადმი მორჩილების ტენდენცია აშკარად არის გამოხატული. „დედე ქორქუთის წიგნში“ ქალები პატივისცემით სარგებლობენ. ვფიქრობ, ისლამადელი ხანის თურქულ საზოგადოებაში ქალის როლი უფრო დიდი და საპასუხისმგებლო იყო, ვიდრე ისლამის შემდგომი პერიოდის თურქულ საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, ისლამის გავლენა რომც არ ყოფილიყო, მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლა მაინც შეზღუდავდა ქალის უფლებებს.

3.3. “ქალთა პროზის” განვითარების პერსპექტივები თურქულ ლიტერატურაში

ლიტერატურის ისტორიაში ისევე, როგორც სხვა ისტორიოგრაფიულ დისციპლინებში, გენდერის კატეგორიის უგულებელყოფამ განაპირობა „მამრობითობის“, პოეტიკის მამრობითი ნორმების, წერის მამრობითი წესის, მამაკაცების მიერ შექმნილი სახეების „ზოგადსაკაცობრიოსთან“ გაიგივება. ჰეშმარიტი ქალური საწყისი კი მხედველობის მიღმა დარჩა. თუ წერა, მეტადრე მხატვრული, „მამრობითი“ მოვლენაა, ლიტერატურის ისტორიაც მამაკაცი ავტორების ისტორია უნდა იყოს. თუმცა, ახალ დროში იწყება „სამყაროს გადალაგების“ პროცესი, რაც სქესთა შორის „გაუმჯობესებულ“ ურთიერთობას გულისხმობს. ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპების რღვევის, ლიტერატურაში ქალი მწერლების როლის განსაზღვრის, მათი ლიტერატურული ცხოვრებიდან „გამოდევნის“ მიზეზების ძიების, მათი შემოქმედების ანალიზისა და „რევიზიული“ წაკითხვის უმიშვნელოვანესი გზა ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკაა.

თურქული ლიტერატურის ისტორია ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ლიტერატურის ისტორია, „მამაკაცური“ იდეოლოგიით, ფასეულობებით, ლოგიკით, რაციონალიზმით არის გამსჭვალული. ქალი მწერლებისათვის სამწერლობო სივრცეში ადგილის დამკვიდრება მეტად რთული და ნელი პროცესია. ამის მიზეზები კი ისტორიულად, რელიგიურად, სოციალურად, პოლიტიკურად განპირობებული კონსტრუქტების, საზოგადოებრივი მოწყობის, აზროვნების სფეროში უნდა ვეძებოთ. მამაკაცური, პატრიარქალური აზროვნება წერასა და ქმნადობას ქალის საქმედ არ მიიჩნევს. ვინაიდან ქალი არ შეიძლება იყოს შემქმენლი, ქალის ხელში კალმის აღება არამხოლოდ შეუფერებელი საქციელია, არამედ ბუნების საწინააღმდეგოც. პატრიარქალური იდეოლოგიისათვის რაც არ უნდა მიუღებელი იყოს „ქალთა ლიტერატურის“ არსებობა, თანამედროვე მეცნიერული და მხატვრული კონცეფციებში ცენტრალურ ადგილს ქალი იკავებს. ქალი ხდება სხვადასხვა დისკურსების განხილვის და შესწავლის საგანი თუ საკითხი. მაგალითად, რომანტიკული დისკურსი, რეალისტური დისკურსი, პოსტმოდერნისტული დისკურსი და ა.შ. ლიტერატურაში ქალი განიხილებოდა როგორც „შემოქმედების ობიექტი“, ანუ ხდებოდა ან მისი მითოლოგიზაცია, ან

მისით მანიპულირება. ქალის „მოლაპარაკე სუბიექტად“ აღიარება მას საშუალებას აძლევს, დამსხვრიოს სოციომითოლოგიზირებული ხატი და საკუთარი მსოფლმხედველობიდან და პერსპექტივიდან შეაფასოს გარესამყარო.

რატომ არის მნიშვნელოვანი ქალი ავტორების, როგოროც „მოლაპარაკე სუბიექტის“, იდენტიფიკაციის საკითხი? უპირველეს ყოვლისა, სწორედ იდენტიფიკაციისას ვლინდება ფენომენ „მოლაპარაკე სუბიექტის“ სირთულე და ამბივალენტურობა. სამყაროში, სადაც ფემინური ფასეულობები უგულებელყოფილია, ქალი ავტორები ცდილობენ საკუთარი ადგილის დამკიდრებას. ეს კი ის ნაბიჯია, რომელიც სიმამაცესა და გარკვეული სახის თვითშეგნებას მოითხოვს. „ქალთა პროზასთან“, როგორც ფემინურ იდეასთან იდენტიფიკაცია, ქალ ავტორებში აღნიშნულ იდეისგან გაუცხოებასაც იწვევს. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ ექსტრა ლიტერატურული ფაქტორებით, არამედ არაცნობიერად ქალები პატრიარქალურ-ლინგვისტური ტრადიციის მატარებლები არიან. საკითხს უფრო მეტად აღრმავებს ის გარემოებაც, რომ ქალი ფსიქოლოგიურად და ისტორიულად შეეგუა მასთან, როგორც საზოგადოებრივი ნორმებისა და ტრადიციების შემნახველ და დამცველ არსებასთან, იდენტიფიცირებას. ეს სიმბიოზი ქალი ავტორების შემოქმედებაში პოულობს გამოვლინებას.

ქალი ავტორების შემოქმედება მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული. ახდენდნენ რა მარგინალური სუბიექტობისა და ენობრივი გამოხატულების მარგინალური პრაქტიკის რეპრეზენტირებას, მათვის „მაღალი ლიტერატურის“ პირობებში პატრიარქალური დისკურსის დაძლევა თითქმის წარმოუდგენელი იყო. ქალი ავტორების მარგინალური ტოპოლოგიის თავისებურებას ძირითადად ერთი ფაქტი განაპირობებს. ისინი კულტურაში აღიქმებოდნენ ჯერ ქალებად და, შემდეგ უკვე მწერლებად ან პოეტებად. ამის გამომწვევ მიზეზს კი ლიტერატურული დისკურსის ქალის სხეულთან დაკავშირება წარმოადგენს. იგულისხმება აფექტურობა, ემოციურობა და მგრძნობელობა. ქალთა შემოქმედება განიხილებოდა არა როგორც წერის ტექნოლოგიური შედეგი, არამედ, როგორც ქალის ბუნებრივი კრეატიულობისა და ფსიქოლოგიური თავისებურების შედეგი. აქედან გამომდინარე, სფერო, სადაც ქალების სხეულისმიერი თვისებების გამძაფრება ხდება, მათი პირადი ცხოვრების სფეროა. სწორედ ამიტომ ქალთა შემოქმედება განიხილება როგორც უნიკალური ქალური ემოციურობისა და ტრაგიკული ბედის ამსახველი

მოვლენა და არა როგორც ენობრივი ექსპერიმენტი. გარდა ამისა, ქალი ავტორების ძირითად ამოცანას დომინირებული ესთეტიკური და სოციალური ღირებულებების ინტერპრეტაცია და ინტერნალიზაცია წარმოადგენდა. ქალური მარგინალური ტოპოლოგიის ტიპიურ გამოვლინებად ქალების მიერ მამების, ქმრების სახელების ან ანონიმურობის დაცვის მიზნით ფსევდონიმების გამოყენება ითვლება. ამის მაგალითები ჩვენ თურქული ბეჭდური მასალებიდან შეგვიძლია მოვიშველით. თავად ლიტერატურაში ფიქსირდება ფაქტი, როცა მწერალი საკუთრი ვინაობის დასაფარად ფსევდონიმს, ან მამაკაცის სახელს იყენებს. მაგალითად, პირველმა რომანისტმა ქალმა, ფატმა ალიემ, ფრანგი მწერლის, ჟორჟ ონეს, რომანის „სურვილი“ თარგმანი „ერთი ქალბატონის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მამაკაც მწერლებს დიდხანს არ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ მთარგმნელი ქალი იყო. რესპუბლიკის პერიოდის ლიტერატურის წარმომადგენელი ქალი ავტორი, ჯაჰიდე უჩოქი სალიტერატურო სივრცეში ადგილის დამკვიდრების მიზნით მამაკაცის სახელს და გვარს იყენებს. იგი, როგორც ჯაჰიდ უჩოქი, ისეა ცნობილი.⁶⁹ ბეჭდური მასალებიდან მაგალითის მოყვანას გამართლებულად ვთვლით იმიტომ, რომ თურქმა ქალებმა სამწერლობო სივრცეში განაცხადი სწორედ უურნალ-გაზეთების მეშვეობით გააკეთეს. მაგალითად, 1868 წელს გამოცემულ გაზეთში Terakki („პროგრესი“) დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორები საკუთარ ვინაობას არ ასახელებდნენ. წერილი ხელმოწერილი იყო „სამი ქალბატონის“ სახელით. 1883 წელს გაზეთში “Hanimlar” („ქალბატონები“) გამოქვეყნდა წერილი ხელმოწერით „ცოლ-ქმარი“. ამ მოვლენას ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის ცნობილი წარმომადგენელი ნენსი მილერი შემდეგნაირად ხსნის: „ტრადიციულ კულტურაში მხოლოდ მამაკაც ავტორს აქვს „საკუთარი სახელი“, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და მისი უნიკალური სუბიექტობის მარიკირებას ახდენს. ქალ ავტორს კი საკუთარი სახელი არ გააჩნია. ამიტომ იგი იძულებულია „ისესხოს“ იგი ან მამისგან, ან ქმრისგან“ (Жеребкина, 2000:33). ქალური სუბიექტობის კონსტრუქცია განისაზღვრება დევიაციის კონსტრუქციის მეშვეობით და იმ თანმხლები ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც ქალებს „დანაშაულის გრძნობას“ უდგინებს „ნორმატიულ“ მამაკაცურ სუბიექტობასთან მიმართებაში. სწორედ ამან

⁶⁹ ჯაჰიდ უჩოქი აღფრთვანებული იყო პალიდე ედიფის შემოქმედებით და პიროვნებით. თუმცა საყვედურს გამოთქმადა, რომ პალიდე ედიფი ქმრის გვარი მიიღო. თავად ოთხევრ იყო გათხოვილი და არც ერთხელ არ გადასულა ქმრის გვარზე. ამით იგი საკუთარ ინდივიდუალობას უსვამდა ხაზს (Hazer, 2005:45-55).

განაპირობა ქალური ენის მარგინალურობა. იგი მიიჩნეოდა აფექტურობის, „სიგიუს ენად“.

ფემინისტური ლიტერატურის კრიტიკოსები სანდრა გილბერტი და სუზან გუბარი ნაშრომში „შეშლილი ქალი სხვენში“ ხაზს ტრადიციულ კულტურაში ქალური ტოპოლოგიის ბინარიზმს უსვამენ, ანუ ქალი ან ჯადოქრია, ან ანგელოზი. აღნიშნული ბინარიზმის შესახებ საუბრობს თურქული ლიტერატურის კრიტიკოსი ბერნა მორანი. ნაშრომში „ლიტერატურის თეორიები და კრიტიკა“ იგი წერს: „ფემინისტური კრიტიკის მიერ გამოვლენილ ჭეშმარიტებათაგან ერთ-ერთია მამაკაცი ავტორების მიერ შექმნილი ქალის ორი ტიპის არსებობის დადგენა. „ჯადოქარი“ და „ანგელოზი“ ქალის ტიპი მამაკაცის პროექციის შედეგია. ქალის აღნიშნული ტიპები თურქულ ლიტერატურაშიც გხვდება. მე მათ „თავგანწირული“ და „ფატალური ქალის“ სახელი დავარქვი. თავგანწირული ქალის ტიპი შემდეგი თვისებების მატარებელია: პატიოსანი, მორჩილი, მამაკაცის გაბედნიერებისათვის თავგადადებული. მაგალითად, შამსედდინ სამის რომანის „Taaşuk-1 Talat ve Fitnat“ („თალათისა და ფითნათის სიყვარული“) მთვარი გმირი ფითნათი, ნამიქ ქემალის რომანის „İntibah“ („გამოღვიძება“) პერსონაჟი დილაშუბი, აქმედ მიდჰათის რომანის „Felatun bey ve Rakim bey“ („ფელათუნ ბეი და რაქიმ ბეი“) მთავარი გმირი ჯანანი, სამი ფაშაზადე სეზაის რომანის „Sergüzeş“ („თავგადასავალი“) პერსონაჟი დილბერი. ფატალური ქალი კი მსხვერპლი ქალის საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევა. იგი არის არსებული ავტორიტეტული, პატრიარქალური პეგემონის წინააღმდეგ მებრძოლი, რომელიც ნონკონფორმისტობის გამო ჯადოქრად არის შერაცხული. მაგალითად, რომანში „გამოღვიძება“ მეჭვეიქერი სწორედ ასეთ ქალად ჰყავს წარმოდგენილი ავტორს, ან ნაბიზადე ნაზიმის გმირი ზეპრა, აქმედ მიდჰათის რომანის „ანგელოზი მიწაზე“ გმირი, არიფე“ (Moran, 2002:253).

3.4. იდეალური ქალის ტიპი მამაკაც მწერალთა შემოქმედებაში

არის თუ არა ქალი მამაკაცური პროექციის შედეგი? ამის ნათელი მაგალითი მამაკაცი ავტორების შემოქმედებაა. თურქულ ლიტერატურაში მამაკაცი ავტორების მიერ დახატული ქალი პერსონაჟები მაღალი ზნეობის მქონე, კარგი მეოჯახე და კარგი დედები არიან. მწერალთა უმეტესობა ქალში სწორედ ამ თვისებებს ეძებს და მათთვის იგი, როგორც ინდივიდი, საინტერესო არ არის. მით უმეტეს არ

ინტერესდებიან ქალთა სექსუალობის საკითხით, თუ გამონაკლისის სახით ატილა ილჰანს არ ჩავთვლით. ატილა ილჰანი პირველი თურქი მწერალია, რომელიც არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე წერს.⁷⁰ რის გამოც მან არაერთხელ დაიმსახურა საზოგადოების კრიტიკა. თავად მწერლისათვის მნიშვნელოვანი ადამიანის არჩევანია.

თურქელ ლიტერატურაში ქალის საკითხი წინ მამაკაცმა მწერლებმა წამოსწიოს. ეს კი ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთისკენ გურსის აღების მნიშვნელოვან შედეგად უნდა შევაფასოთ. მწერალი და საზოგადო მოღვაწე აბდულჰაკ ჰამიდი წერდა: „ჩვენი განვითარების მთავარი გზა ევროპაა“ (Кямилев, 1969:25). მწერალი და საზოგადო მოღვაწის ნამიქ ქემალის შეფასებით „საზოგადოების განვითარება უშუალო კავშირშია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებასთან“ (Enginün, 2007:135). მწერალი სტატიაში „ოჯახის პრობლემები“ წერდა: „კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება მამების ძალადობა შვილებზე, რომ ისინი ისეთები იყვნენ, როგორებიც თვითონ არიან? როდემდე უნდა დაწყევლონ საკუთარი შვილები იმის გამო, რომ მათ, მაგალითად, ექიმობა მოინდომეს. დედები საკუთარ ქალიშვილებს როდემდე უნდა ექცეოდენენ ისე, როგორც გასაყიდ ნივთებს, როდემდე უნდა ათხოვებდნენ მათ, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ?“ (Кямилев, 1969:24,25). თურქი განმანათლებლები ქალის ემანსიპაციის საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ერთ-ერთი წერილში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ „საზოგადოების განვითარებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მამაკაცი, როგორც ჩიტს არ შეუძლია ერთი ფრთით ფრენა ისე, სამყაროც წარმოუდგენელია მხოლოდ ქალების, ან მხოლოდ მამაკაცების სახით. რაც შეეხება გონებრივ განვითარებას, მართალია, მამაკაცი ქალზე მეტად არის განვითარებული, მაგრამ ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მამაკაცი აქტიურად მონაწილეობს საზოგადობრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში. ქალების შესახებ ფართოდ გავრცელებული გამოთქმა, რომ „მას თმა გრძელია აქვს, ჭკუა კი მოკლე“ უკვე მოძველდა“ (Кямилев, 1969:24). ძირითადი საკითხები, რომელებსაც მამაკაცი მწერლები ეხებიან, ქალთა „მონობის“ საკითხს ეხება. ქალები ან საკუთარი მშობლების, ან ქმრის ოჯახის მონებად ითვლებიან. ქორწინების საკითხი

⁷⁰ რომანებში Bıçağın სუ „დანის წერი“, Yanlış Kadınlar ve Yanlış Erkekler „შეცდომით ქალები და შეცდომით მამაკაცები“ სწორედ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე საუბარი. წიგნი „Hangi Seks“ „რომელი სქესი“თურქელ ლიტერატურაში სექსუალობის საკითხს ეხება.

კველაზე მტკიფნეულ საკითხთა შორის იკავებს ადგილს. ახალგაზრდა გოგონები და ზოგჯერ ვაჟებიც, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ქორწინდებიან. მრავალცოდიანობა, განქორწინება, პროსტიტუცია ის საკითხებია, რომლებსაც მამაკაცი მწერლები აქტიურად განიხილავენ. ისინი ქალების განათლების საკითხესაც დიდი ყურადღებას აქცევენ. თუმცა განათლება მათვის იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მხოლოდ განათლებულ დედას შესწევს უნარი, „კარგი შვილები“ გაუზარდოს ქვეყანას. სხვა მოტივით, მაგალითად, საზოგადოებაში ადგილის დამკვირდების მოტივით, ან დასაქმების მოტივით განათლების მიღება მამაკაცი მწერლების შემოქმედებაში არ განიხილება. იმ პერიოდის მწერლებისათვის მნიშვნელოვანი იყო ქალების იმ თვისებების ხაზგასმა, რომელიც საზოგადოების მორალურ და ზნეობრივ პრინციპებთან შესაბამისობაში მოდიოდა. მათ მიზანს კარგი მეოჯახისა და კარგი დედის ხატის შექმნა წარმოადგენდა. კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მამაკაცი მწერლები ეხებიან, ეროტიზმის თემაა. ისინი მას მეძაობად მიიჩნევენ და ქალი პერსონაჟები, რომლებიც აღნიშნული საქმით არიან დაკავებულები, ყოველთვის უარყოფით კონტექსტში არიან მოხსენიებული. ეს საკითხი ქალი მწერლების შემოქმედებაშიც არის განხილული. მაგალითად, სუათ დერვიშის Fosforlu Cevriye („ფოსფორიანი ჯევრიე“). იმ განსხვავებით, რომ აქ მთავარი გმირის ცხოვრება ისეა წარმოდგენილი, რომ გაკიცხვას არა ის, არამედ საზოგადოება იმსახურებს. მეძავი ქალის საკითხისადამი მამაკაცი და ქალი მწერლების დამოკიდებულების შეფასებისას არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება სქესის ანალოგიებით აზროვნების შედეგია. სუათ დერვიშის მიერ ჯევრიესადმი გამოხატული თანაგრძნობა ამორალურობის მხარდაჭერას არ ნიშნავს. აქ მნიშვნელოვანია საზოგადოების ადამიანისადმი დამოკიდებულება. კიდევ ერთი რამ, რაც შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ქალი მწერლისათვის ქალის პერსპექტივიდან საკითხის გაშუქება მკითხველში გმირისადმი დადებით დამოკიდებულებას იწვევს.

როგორც აღვნიშნეთ, თანზიმათის პერიოდის მამაკაცი მწერლები ქორწინების საკითხს დიდი ყურადღებას უთმობდნენ. აპმედ მიდჰათი ნაწარმოებში „Teehhülf“ („ქორწინება“) და „Felsefe-i Zenan“ („ქალთა ფილოსოფია“), მშობლების სურვილის წინააღმდეგ წასულ ახალგაზრდა ქალებს ხატავს. რომანში „ქორწინება“ პირველად თურქულ ლიტერატურაში მოცემულია ქალი პერსონაჟი, რომელიც მუსლიმური

წეს-ჩვეულებების და ფეოდალური შეხედულებების წინააღმდეგ გამოდის და დამოუკიდებლი ცხოვრებისთვის იბრძვის. რომანის „ქალთა ფილოსოფია“ პერსონაჟები განათლებული და დამოუკიდებელი ქალები არიან. ისინი მამაკაცის გარეშე ცხოვრებას ანიჭებენ უპირატესობას. რომანის მთავარი გმირი ფაზილა ორ გოგონას იშვილებს და ზრდის. უფროსი გოგონა აქილე ქორწინებას ტყვეობად მიიჩნევს, ხოლო მეორე ქალიშვილი ზექია კი დედასა და დას არ ეთანხმება და გათხოვებას ამჯობინებს. საბოლოო ჯამში გათხოვებით თავისუფლებადაკარგული ზექია ქმრის დალატის გამო კვდება. ერთი შეხედვით, მწერალი ქალების ასეთ “თავისუფლებას” მიესალმება. თუმცა, მამაკაცის გარეშე ცხოვრების, მთელი დღე წიგნის კითხვის გარდა არაფრის კეთებით, საკეტის შეკვეთით და სარეცხის სამრეცხაოში ჩაბარებით დაკავებული ქალების სახეში ხელოვნური, არაბუნებრივი ქალის ტიპს ხატავს, რითაც ფარულად ფემინიზმს დასცინის. ნაწარმოებში „Gençlik“ („ახალგაზრდობა“) ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები ავტორის ქორწინების საკითხთან დამოკიდებულებას გამოხატავს: “ჩვენს ქვეყანაში გოგონებს არ შეუძლიათ საკუთარი სურვილის მიხედვით და სიყვარულით გათხოვება. სასიძოებს მშობლები ირჩევენ და თუ ისინი გაიგებენ, რომ გოგონა ვინმეზეა შეყვარებული, მას ზნედაცემულად მიიჩნევენ“ (Литература Востока, 1975:129) აქმედ მიდჰათთან ჩვენ ვხვდებით ქალ პერსონაჟებს, რომლებიც „მამაკაცური თვისებების“ მატარებლები არიან. განსჯის უნარი და სიბრძნე მათ მამაკაცებზე მეტი აქვთ. ასეთ პერსონაჟები არიან რომანის „Dünyaya ikinci geliş“ („მეორედ დაბადება“) მთავარი პერსონაჟი ნარგიზი, რომანის „Hüseyin Fellah“ „ჰუსეინ ფელაჟი“ შეჰლევანდი და რომანის „Dürdane Hanım“ „ქალბატონი დურდანე“ ულვიე. სამივე პერსონაჟი მამაკაც პერსონაჟებზე მეტი ვაჟაცობით, გონებაგამჭრიახობით გამოირჩევა. ისინი განსაზღვარვენ მამაკაცთა ცხოვრებას და მოქმედებას. მამაკაცები კი, „ქალური თვისებების“ მატარებლები არიან. მაგალითად, ნარგიზი ოსმანის ფიზიკურ სისუსტეს, სიბრივეს მუდმივად დასცინის. გამოქვაბულიდან თავის დაღწევის გეგმას თავად სახავს და ოსმანს უუბნება „შენ აქ იყავი, დაიძინე, საქმეს კი მე მივხედავ“ (Yıldız, 2000:81). ულვიე ყაჩაღების თავდასხმას მამაკაცებთან ერთად იგერიებს. მისი სიტყვებით „ყველაფერს თავისი დროს აქვს. ამ ყაჩაღების მოგერიება მხოლოდ თქვენი საქმე არ არის, იგი ყველას საქმეა. მათგან ქვეყანა უნდა გავათავისუფლოთ, რომ ვაჟაცები გვერქვას“ (Yıldız, 2000:81). მწერალი პერსონაჟის ენაზე ამახვილებს ყურადღებას და მას „მამაკაცივით მოურიდებელი ენას“ ადარებს. მიუხედავად იმისა, რომ აქმედ მიდჰათი ქალის

პერსონაჟების დახატვისას მათი ხასიათის სიმტკიცეს უსვამს ხაზს, ისინი იმდენად არიან ძლიერები, რამდენადაც „მამაკაცური ენის და ოვისებების“ მატარებლები არიან. ბოლო პერსონაჟი ულვიე მეგრუპ ბეისგან მოტყუებულ და მიტოვებულ ქალს, დუნდარეს, ეხმარება. მამაკაცზე შურისძიების მოსურნე დუნდარეს გადაწყვეტილებას შემდეგი სიტყვებით მოუწონებს: “ყოჩად, ქალბატონო დუნდარე, დაე, იცოდნენ მამაკაცებმა, რომ ქალებსაც შეუძლიათ შურისძიება. იცოდნენ და ამის შემდეგ ვეღარ გაბედონ ქალების ცხვირსაწმენდი ხელსახოცივით თავიდან მოშორება“ (Yıldız, 2000:82).

შამსედდინ სამის რომანი “Taşuk-1 Talat ve Fitnat⁷¹”(,თალათისა და ფითნათის სიყვარული“) პირველი თურქული რომანია. აღნიშნულ რომანში მწერალი მაშვლობის წესით ქალის გათხოვების წინააღმდეგია. მწერალი ხაზს უსვამს ძალიან გავრცელებული ტრადიციის უარყოფით მხარეებს. გარდა ამისა, რომანი წარმოადგენს ძალიან კარგ მასალს იმ დროის საზოგადოების შესახებ, კონკრეტულად, საზოგადოების მიერ ქალის საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ. ავტორი საკითხისადმი თავის დამოკიდებულებას შერიფე ქადინის სიტყვებით გამოხატავს:

„ცოლი ვერც მუდერისი იქნება და ვერც მდივანი, რა საჭიროა გოგონების ამდენი განათლება? მათოვის ყველაზე საჭირო კერვა, ქარგვა და ამის მსგავსი ხელსაქმის ცოდნაა“ (Uğurlu, Balık, 2008:442). მწერალი ხაზს უსვამს ოჯახში მამების ავტორიტეტის საკითხს. ფითნათის მამინაცვალი მას მოხუც მდიდარ მამაკაცს მიათხოვებს, რომელიც საბოლოო ჯამში ფითნათის მამა აღმოჩნდება. იგივე თემა გრძელდება ნამიქ ქემალის რომანში “Zavallı çocuk” („საბრალო ბავშვი“). მამის დესპოტიზმისგან თავის დაღწევის მიზნით შეფიკა მდიდარ მოხუც კაცზე გათხოვებას მორჩილად ხვდება. უნდა ითქვას, რომ ნამიქ ქემალის შემოქმედებაში ქალთა სახეების ორი ჯგუფია მოცემული. ერთ ჯგუფს განეკუთვნება პროგრესულად მოაზროვნე ქალთა ჯგუფი, რომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა,

⁷¹ შამსედდინ სამის ეს რომანი რომანისათვის დამახასიათებელი თვისებებით არ გამოირჩევა (ენა, ნარატივი, მთვარი გმირები, სიუჟეტი) რომანი თურქული ლიტერატურსათვის დამახასიათებელ ჟანრს არ წამოადგენს, იგი მან ევროპიდან შეითვისა. ევროპულ რომანებს მკითხველი თარგმანების მეშვეობით ეცნობოდა. მიუხედად იმისა, რომ რომანის ტექნიკას იმდროინდელი მწერლები ნაკლებად ფლობდნენ, პირველი თურქული რომანის არსებობა დივანის ლიტერატურის ჟანრებისგან განთავისუფლებას და ლიტერატურის ახალი ჟანრებით გამდიდრების მაჩვენებელი იყო.

ხოლო მეორე ჯგუფს კი – ტრადიციულად მოაზროვნე ქალთა ჯგუფი. წერილში „ოჯახი“ მწერალი ნათლად აღწერს ქალის ერთფეროვან ცხოვრებას და იმ უსამართლობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქალს გულისხმობს, არამედ ზოგადად, ქალების უმარვლესობა სწორედ უსამართლობის და უთანასწორობის მსხვერპლია. „6-7 წლის ასაკში მამა აჭმევდა და აცმევდა, 14-15 წლის ასაკში მეურვის ადგილი ქმარმა დაიკავა“ (Enginün, 2007:201). მიუხედავად იმისა, რომ ნამიქ ქემალი ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობის წინააღმდეგია, საკითხის გადაჭრის გზებს იგი ან არ სახავს, ან ძალიან ბუნდოვან მინიშნებას იძლევა. მწერალი მორჩილი, კარგად აღზრდილი, სიყვარულისათვის თავგანწირული ქალებისადმი დამოკიდებულებას თბილი სიტყვებით გამოხატავს. მაგალითად, რომანში İntibah („გამოღვიძება“) დილაშუბს ამკობს ასეთი ეპითეტებით: „საბრალო“, „უცოდველი“, „ბავშვი“, ხოლო მეპფეიქერს კი – „მეძავი“, „ცოდვილი“, „წყეული“. 1889 წელს გამოქვეყნდა სამი ფაშაზადე სეზაის რომანი “Sergüzeş,” („თავგადასავალი“), რომელშიც ავტორი ტყვე გოგონას თავგადასავალს აღწერს. ქალის საკითხისადმი დამოკიდებულებას იგი რომანის მთავარი გმირის დილბერის ისტორიის აღწერით გადმოგვცემს. აქ მნიშნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ ოსმალეთის იმპერიაში ქალების ტყვედ გაყიდვა წვეულებრივი ამბავია. ოჯახი, სადაც დილბერი მოსამსახურედ მუშაობს, ვალების გამო მის გაყიდვას გადაწყვეტს. რომანის პროტაგონისტი ორჯერ გაყიდეს ტყვედ. 1890 წელს დაიბჭედა ნაბიზადე ნაზიმის რომანი “Karabılık” („ქარაბიბიქი“). ქარაბიბიქი ერთი ლარიბი გლეხის სახელია, რომელიც ყანის დამუშავებისათვის საჭირო ხარების შეძენის გამო მზადაა, თავისი ქალიშვილი ნებისმიერ ადამიანს მიათხოვოს. 1896 წელს ნაბიზადე ნაზიმის რომანი “Zehra” („ზეჰრა“) გამოქვეყნდა. რომანში ქალთა ტყვეობის გარდა, საუბარია მრავალცოლიანობაზე და მექაობის საკითხებე. ქალთა სახეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა მწერალი ჰალიდ ზია უშაქლიგილი. მწერალი სამი კატეგორიის ქალებს ხატავს. პირველი – სტამბოლის მაღალი წრის წარმომადგენელი ქალები, მეორე – მაღალ წრის საზოგადოებაში ადგილდამკვიდრებული დაბალი სოციალური ფენის ქალები და მესამე, მეოცნებე, ნაზი და რომანტიკული სულის მქონე ახალგაზრდა გოგონები. მწერალი, ისევე, როგორც სხვა მამაკაცი მწერლები, დიდ მნიშნელობას ანიჭებს ქალების ზნეობრივ-მორალურ მხარეს. რომანში “Aşk-ı Memnu” („აკრძალული სიყვარული“) მთვარი გმირის, ბიჭერის, ცხოვრება ზოგადი თვალსაზრისით უარყოფით კონტექსტშია მოცეული. მატერიალური სიმდიდრის გამო ახალგაზრდა

გოგონა მასზე გაცილებით მოხუც მამაკაცზე თხოვდება. შემდეგ ქმარს, ადნან ბეის, მისივე დისტულ ბეჭლულთან დალატობს. მწერლის მიერ გაიდეალებული ქალის ტიპს ომან “Nesl-i Âhir” („უკანასკნელი თაობა“) გმირის აზრას სახეში ვხედავთ. აზრა ევროპული და აღმოსავლური ტრადიციების შერწყმას ახერხებს. ინდივიდუალურობით, განსჯის უნარით იგი აშკარად განსხვავდება მწერლის სხვა ქალი პერსონაჟებისაგან. მწერლის თქმით „აზრა იმ ქალებს არ ჰგავს, რომლებიც მთელ დღეს სიზარმაცეში ატარებენ“ (Kerman,1990:80). ომანში “Kırık Hayatlar” (“დანგრეული ცხოვრება”) ვადიდეს სახით მწერალი საუკეთესო დედისა და ცოლის ხატს ქმნის. ვადიდე დვთისმოშიში, ოჯახისა და შვილებისათვის თავგანწირული ქალია, რომელიც „დიდსულოვნად“ პატიობს ქმარს დალატს. ჰუსეინ რაჟმი გურფინარის მიერ აღწერილი ქალი პერსონაჟები ძირითადად ცრუმორწმუნება, გაუნათლებელი ქალები არიან. თუმცა ეხება რა მწერალი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თემას, ქალების გონებრივ შესაძლებლობას მნიშნელოვან ადგილს უთმობს. ნაწარმოებში “Kuyruklu Yıldız altında İzdivaç” („ქორწინება კომეტის ქვეშ“) ცრუმორწმუნებალებთან ერთად, ლუტიფეს სახით საკმაოდ განათლებულ და ჭკვიან ქალის სახეს ხატავს. ლუტიფე შეძლებს ირფან გალიბის გულის მოგებას, ისე რომ ირფან გალიბს იგი ერთხელაც არ უნახავს. რეშად ნური გიუნთექინი, იაკუბ კადრი კარაოსმანოდლუ, ფეიამი საფა, აპმედ პამდი თანფინარი მამაკაც მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც ქალთა მორალური სიწმინდის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ. აღნიშნული მწერლები გაევროპელების უარყოფით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას და მათ მიერ აღწერილი ქალი პერსონაჟები, ოსმალეთის იპერიოდობრიონელი ქალების, ანუ სტუმართმოყვარე, ოჯახზე დამოკიდებული, ზედმიწევნით პატიოსანი, ჩუმი, მორჩილი ქალის სიმბოლოს წარმოადგენს. ამ მწერლებისათვის ზნეობა და სექსუალობა ერთმანეთთან არის გაიგივებული. რეშად ნური გიუნთექინის ომანში “Çalıkuşu” („ნარჩიტა“) მთავარი გმირი, ფერიდკ, საქმროს დალატით გულგატეხილი გარბის სახლიდან და ანატოლიის ყველაზე მიყრუებულ სოფელში მიდის მასწავლებლად. ომანში ყველაზე საინტერესი ის არის, რომ მწერალი ფერიდეს არცერთი მამაკაცისთვის „არ იმეტებს“ გარდა ქამრანისა, რომელმაც ფერიდეს უდალატა. საბოლოოდ ფერიდე ისევ ქამრანს დაუბრუნდა, თანაც სრულიად „უმწიკვლო“. მწერლის ამ გადაწყვეტილების შესახებ მწერალი ქალი ფინარ ქური წერს: „თურქულ ლიტერატურაში წლების განმავლობაში მამაკაცები ქალებს ისე ხატავდენენ და ისე წარმოადგენდენ,

როგორც თავად სურდათ. მაგალითად, რეშად ნური გიუნთექინმა ნარჩიტას მთელი ანატოლია მოატარა, გაათხოვა, მაგრამ ქამრანს რომ სუფთა დაბრუნებოდა, განა ქალიშვილად არ დატოვა?“ (Kür, 1999:4). აქმედ ჰამდი თანფინარი რომანში “Sahnenin dışındakiler” („სცენის მიღმა დარჩენილები“) ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით კი, ქალთა უფლებების დამცველი საზოგადოების შექმნაზე, ქალთა დასაქმებაზე ირონიულად საუბრობს. რომანის მთავრი გმირი საბიჭა ჯერ კიდევ 13-14 წლის ასაკში იწყებს ქალთა უფლებების შესახებ ფიქრს. იგი მიიჩნევს, რომ ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც ქალთა უფლებებს ეხება, ყალბია და უშედეგო. „ქალთა საკითხი ოჯახის, სახლის საკითხის გაანალიზების გარეშე ვერასდროს მოგვარდება“ (Uğurcan, 2002:15). იაკუბ კადრისათვის მორალურად დაცემული ქალის ხსნა უკვე აღარ არსებობს. მწერლისათვის ქალთა სექსუალობა ცოდვასთან არის გაიგივებული. სელიმ ილერის თქმით „იაკუბ კადრისთან მოვლენები, პერიოდები და პერსონაჟები რდგევას განიცდიან. ამ რდგევვის ეპონომიკური მიზეზები 1883 წელს დადგებული სავაჭრო ხელშეკრულებაა⁷² (Akathı, 1999:4). რომანში „Kiralık Konak“ („გასაქირავებელი სასახლე“) მთავარი გმირის სენიას სახით ევროპაზე და ყველაფერ ევროპულზე შეევარებული ქალის სახეა მოცემული, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ლამაზი ნივთები და ტანსაცმელია. მწერლის აზრით, ქალთა მორალური „გადაგვარება“ ტრადიციების მივიწყებისა და ევროპის მიბავშის შედეგია. ფეიამი საფა რომანებში სხვადასხვა ტიპის ქალებს ხატავს. მწერალი „გამამაკაცებული“ ტიპის ქალებს აკრიტიკებს, მიიჩნევს რა, რომ მათი გემოვნება და შეხედულებები ძალიან განსხვავდება საონო ქალებისაგან. რომანში “Bir Tereddüdn romanı” („რომანი მერყეობის შესახებ“) იგი ვილდანის სახით „ახალი ქალის“ სახეს გვაძლევს, რომელიც მუდმივ მერყეობას და კრიზისს განიცდის. ოურატომ ხატავს მწერალი მხოლოდ ასეთი თვისებების მქონე ქალებს, ამაზე პასუხს თავად იძლევა: „ყველა ქალი, რომელსაც ვიცნობდი, ისტერიული იყო. ამიტომ ჩემს რომანებში ქალები ასეთები არიან“ (Genç, 1990:57). მწერლისათვის იდეალურად ითვლება ქალი, რომელიც ძველსა და ახალ ფასეულობებს ერთმანეთს კარგად უთავსებს. უნდა ითქვას, რომ ფეიამი საფა ევროპულ ფასეულებებში დიდ საფრთხეს ხედავდა. ვინაიდან ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ქალთა

⁷² იგულისხმება 1883 წელს ინგლისა და ოსმალეთის იმპერიას შორის დადგებული სავაჭრო ხელშეკრულება.

მდგომარეობაზეც ახდენდა გავლენას, ქალებისათვის ევროპული განათლებისა და ტრადიციების გადაფასების შესაძლებლობას იგი საფრთხეედ მიიჩნევდა. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ საუბრისას აღნიშნავდა, რომ აუცილებელია ზღვარის გავლება, ვინაიდან სხვაობა, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს, ქალის კვერცხუჯრედში უნდა ვეძებოთ. „ყველგან, მთელ მსოფლიოში, 5 წლის გოგონას პირველი სათამაშო თოჯინაა, ხოლო ბიჭისა კი – თოფი. არჩევნის ეს სხვაობა 2 წლიდან ვლინდება. ეს კი გარემოს და აღზრდის გავლენა არ არის“ (Genç, 1990:57). მწერალი ქალს სუსტ არსებად მიიჩნევს. ქალისთვის გზის მაჩვენებელი მამაკაცია. ეს აზრია გატარებული რომანში “Matmazel Noraliya’nın koltuğuş” („მადმაზელ ნორალიას სავარძელი“). სელმას მაგალითზე მწერალი ხაზს უსვამს ქალის პიროვნების ჩამოყალიბებაში მამაკაცის გადამწყვეტ როლს. სელმა ფერიდის გულის მოსაგებად მის სურვილებს ასრულებს. ქალის ასეთი არამდგრადობა ფერიდისათვის მოსაწყენია და სელმას საქციელს შემდეგ შეფასებას აძლევს: „უგუნურება ქალის ყველაზე დიდი თვისებაა“ (Safa, 1981:13). ზოგადად უნდა ითქვას, რომ ფერიდი საფასათვის ქალი იმდენად ფასობს, რამდენადაც დედაა და მუსლიმური ტრადიციების დამცველი. სხვა შემთხვევაში ქალი უგრძნობი, მერყევი და უძლური არსებაა. თურქულ ლიტერატურაში „მშრომელი ქალის“ სახის შექმნა ორპან ქემალს უკავშირდება. რაც შეეხება „სოფლელი ქალის“ სახის შექმნას, იგი იაშარ ქემალისა და ბექირ ილდიზის სახელთანაა დაკავშრებული. იაშარ ქემალის მერიემჯე და ფაქირ ბაიკურთის ირაზჯე სოფლის რომანის პროტოტიპები არიან. ორივე მწერალი ქალის, როგორც დედის, როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ლიტერატურის კრიტიკოსი პილმი იავუზი, საუბრობს რა ბექირ ილდიზის ქალი პერსონაჟების შესახებ, აღნიშნავს: „ილდიზის მიერ აღწერილი ადამიანები მორალურ-ზნეობრივ ნორმებს, ტრადიციებს შეუგნებლად და თვალდახუჭულად ემორჩილებიან. ქალები ნორმების წინააღმდეგ არ იბრძვიან და მათ შეცვლას არ ცდილობენ. საკითხის ირგვლივ ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება განსხვავებულია. ილდიზი გვიჩვენებს, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალს არსებული ნორმების დამორჩილების გარდა, სხვა გზა არ რჩება. ნაწარმოებში “Karaçarşaflı gelin” („შავთავშლიანი პატარძალი“) დედა დანაშაულის საფასურად საკუთარი ხელით აძლევს ქალიშვილს იმ ოჯახს, რომელსაც მისმა ქმარმა თჯახის წევრი მოუკლა. ეს ეპიზოდი კარგად გამოხატავს ქალების უძლურებას. ამის საწინააღმდეგოდ ტრადიციების შეცვლის მოსურნე ისევ და ისევ მამაკაცია“ (Akatlı, 1999:5). მეპმეთ აქიფის ლექსეგში ქალისა და

ოჯახის თემას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. პროფესორი ბილგე ერჯილასუნი პოეტის ლექსებში აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ორ მიმართულებას გამოჰყოფს. 1. აღმოსავლეთში დამკვიდრებული მცდარი შეხედულებები და 2. დასავლეთის გავლენით საზოგადოებაში ფეხმოკიდებული მცდარი შეხედულებები. პირველ შემთხვევაში გაკრიტიკებულია შარიათის კანონების სურვილისამბერ გაანალიზება. იგულისხმება მრავალცოლიანობისა და განქორწინების უფლების არასწორი გააზრება. „ცოლი ფეხსაცმელივითაა. ცოტა დრო რომ გავა, უნდა გამოცვალო“ (Ercilasun, 2007:36). ასეთი დამოკიდებულება ქალის, როგორც დედისა და ოჯახის დამცველის, დიდი შეურაცხყოფაა. დასავლეთის ფასეულობების არასწორად დამკვირდებას აქიფი თავისუფლების არასწორად გააზრებას უკავშირებს. მიიჩნევს, რომ „თავისუფლების გამოცხადება ვერაფერს შეცვლის, თუ აზროვნების თავისუფლებას არ მივეჩვევით“ (Ercilasun, 2007:39).

აღნიშნულ მონაკვეთში შევეცადეთ გვეჩვენებინა მამაკაცი ავტორების ქალის საკითხისადმი დამოკიდებულება. შევარჩიეთ ის მწერლები, რომლებსაც თურქულ ლიტერატურაში საკითხების მრავალფეროვნებით, ენით, ესთეტიკით და ნაწარმოებების მხატვრული ლირებულების თვალსაზრისით განსხვავებული ადგილი უჭირავთ. მიუხედავად „განსხვავებულობისა“, მათ ერთი რამე აერთიანებთ. ეს ქალთა საკითხისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ყველა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მწერლისათვის ქალის დირსება მხოლოდ მისი დედობით, მორჩილებით, ოჯახისადმი თავდადებით განისაზღვრება. მათი შინაგანი სამყარო, შინაგანი დამოუკიდებლობა და სამყაროს მათეული ხედვა და აღქმა მნიშვნელოვანი არ არის. ნამიქ ქემალის, შამსედდინ სამის, ნაბიზადე ნაზიმის, აპმედ მიდჰათის, პალიდ ზია უშაქლიგილის, რეშად ნური გიუნთექინის და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების პერსონაჟები მამაკაცთა თვალთახედვით დანახული ქალის სახეს წარმოადგენენ. უმეტესად ამ მწერალთა ნაწარმოებებში მათ მიერ გაიდეალებული ქალები კვდებიან. მათი სიკვდილი „გამართლებულია“ იმდენად, რამდენადაც ისინი სიყვარულს ეწირებიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწერლებს ურჩევნიათ ისინი სუსტ, უძლურ, ნაზ არსებად წარმოაჩინონ, ვიდრე საკუთარი სიყვარულისათვის აბრძოლონ. მწერლები ქალთა სექსუალობის წინააღმდეგი არიან. ახდენენ მის ცოდვასთან გაიგივებას და იმ პერსონაჟებს, რომლებსაც ასეთი „სექსუალური თავისუფლების“ „უფლებას“ აძლევენ, ყოველთვის უარყოფით კონტექსტში განიხილავენ. გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ აპმედ მიდჰათი. ნაწარმოებში Henüz on yedi yaşında („ჯერ მხოლოდ

ჩვიდმეტი წლისა“) მწერალი ახალგაზრდა მექავი გოგონას მძიმე ცხოვრებას აღწერს. თუმცა მას საბოლოოდ ასეთი ცხოვრებისათვის მაინც ვერ იმეტებს. საზოგადოებაში ამ მოვლენის არსებობას მწერალი ცხოვრების დაბალი სოციალური დონით ხსნის. ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულზე მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს მწერალი ომერ სეიფედდინი. “ახალგაზრდა გოგონასთან ოჯახის შესაქმენლად და მასთან სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად ცხოვრებისათვის საჭიროა ურთიერთობა, გაგება და სიყვარული... თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში სიყვარული იკრძალება. თურქი 14 წლის გახდება თუ არა, დედის, დის, დეიდის და მამიდის გარდა, სხვა ქალის სახეს ვერ ხედავს. აბა ვისლა შეიყვარებს. გამოდის, რომ არავის. თურქებში ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულის ამკრძალავი ძალა „საზოგადოებრივი სინდისია“. საზოგადობრივ სინდისს კი ყველა იცავს. დედები ქალიშვილებს სიყვარულს კი არა, ლამაზად ჩაცმის უფლებასაც არ აძლევენ. ოჯახები კი ურთმანეთის მაკონტროლებლად გადაიქცნენ“ (Elişenler, 1999:20).

უნდა ითქვას, რომ ისტორიის განმავლობაში თურქებმა ცივილიზაციის სამი ფაზა გაიარეს. შესაბამისად მათი მსოფლიმსედველობა სამი განსხვავებული ფაზის ღირებულებათა სისტემამ განსაზღვრა. პროფესორი მეჰმეთ ქაპლანი, ამ სამ ფაზაში ქალთა ტიპების შესახებ ყურადსაღებ დასკვნებს აკეთებს. „ცივილიზაციის იმ პერიოდების გათვალისწინებით, რომლებშიც მოგვიწია ცხოვრება, ლიტერატურაში ქალის სამი ტიპი იქნა ჩამოყალიბებული. 1. ისლამიამდელ ხანაში, მომთაბარე ცხოვრების დროს, კხვდებით „გმირი ქალის“ ტიპს. 2. მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლისა და ისლამის მიღების შემდეგ ქალის გმირული თვისებები მნიშვნელობას კარგავს და იგი სურვილისა და სიყვარულის ობიექტი ხდება. 3. დასაგლურმა ცივილიცაზიამ ქალი მამაკაცის თანასწორი გახადა“ (Kaplan:2009,52). ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალის მესამე ტიპია, რომელსაც მამაკაცთან თანასწორობისათვის ბევრი ბრძოლა დასჭირდა და დღესაც სჭირდება. მამაკაცი ავტორების შემოქმედებაში ქალი პერსონაჟების კლასიფიკაციას თუ შევეცდებით, შესაძლოა ასეთი სურათი მივიღოთ: 1. ტრადიციული ქალები, რომლებიც მამაკაცი მწერლების იდეალს წარმოადგენენ. 2. ევროპაში განათლებამიღებული ქალები, რომლებიც საზოგადოებისგან გაუცხოებულები არიან. 3. დამოუკიდებელი ქალები, რომლებიც მამაკაცის გარეშე ცხოვრებას ამჯობინებენ, მაგრამ საკუთარ სინდისსა და პატიოსნებას არ დალატობენ. 4.

„ცუდი ცოლები“, რომლებიც ქმრებს „ჩაგრავენ“ მაგალითად, ორჰან ქემალის რომანის „Evlerden biri“ („სახლებიდან ერთ-ერთი“) გმირი ლემანი, რომელიც გაკოტრებულ ქმარს დასანახად ვერ იტანს და მხოლოდ საკუთარ გართობაზე ფიქრობს. ან რეშად ნური გიუნთექინის რომანის Yaprak dökümü („ფოთოლცვენა“) პერსონაჟი, ჰაირიე ჰანიმი. აღნიშნულ შემთხვევებში მწერლები როლების შეცვლას უსვამენ ხაზს, რაც, მათი აზრით, უიდებლო ქორწინებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ პატრიარქალური დისკურსის მქონე ნაწარმოებებში ქალის, როგორც დედის, მითოლოგიზირება ხდება. ქალთა სექსუალობა მჭიდროდ უკავშირდება ზნეობას. აქედან გამომდინარე, თუ ქალი მამაკაცთა პროექციის მიხედვით არ მოქცევა, მისი, როგორც მწერლის ან ხელოვნების რომელიმე სფეროს წარმომდგენლის, მარტივად მიღება ძალიან რთული პროცესია. თანამედროვე ქალი მწერლების სამწერლობო სივრცეში დამკვიდრებას წინ მდიდარი ისტორია აქვს. ვგულისხმობთ შეა საუკუნეების პოეტ ქალებს, რომლებმაც, ჩემი აზრით, ძალიან მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს „ქალთა ლიტერატურის“ არსებობას.

3.5 ”ქალთა ლიტერატურის“ განსაზღვრის საკითხი

ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ცნება „ქალთა ლიტერატურის“ ჩამოყალიბებას. „ქალთა ლიტერატურის“ ცნება გულისხმობს ქალის მიერ შექმნილი თემების, ჟანრების, ლიტერატურის სტრუქტურათა შესწავლას. საგნების რიცხვში კი შედის ფსიქოდინამიკა, ლინგვისტიკა და ქალის მეტყველების დინამიკა, ქალის კარიერის ინდივიდუალური და კოლექტიური ტრაქტორიები, ლიტერატურის ისტორია და ცალკეულ მწერალ ქალთა ნაწარმოებები. ცნებას „ქალთა ლიტერატურა“ ჰყავს როგორც მოწინააღმდეგები, ასევე მომხრეებიც. რატომ გახდა ეს საკითხი აქტიური დისკუსიის საგანი? ლიტერატურათმცოდნე ელენე ტროფიმოვას განმარტებით „ლიტერატურა წარმოადგენს კულტურის ველის იმ ნაწილს, სადაც ქალური ყოველთვის თამაშობდა და თამაშობს აშკარად გამოკვეთილ როლს და ქალთა სახელებიც მეტია. გარდა ამისა, ქალთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციის წყაროს სწორედ ლიტერატურული ტექსტები წარმოადგენენ“ (Трофимова, 2002:184). მოწინააღდეგეთა აზრით, თავად ლიტერატურის დაყოფა სქესის მიხედვით

არ არის სწორი, ლიტერატურა შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. ამ თეზისიდან გამომდინარე, ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება უნდა მოხდეს ავტორის პიროვნული თვისებების გაუთვალისწინებლად. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელოვნება ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტია, სადაც შემოქმედის პიროვნული განსაკუთრებულობა, მისი ფსიქოლოგიური და სულიერი მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს ნაწარმოების ფორმასა და შინაარსზე, ამ მოსაზრებას ვეღარ გავიზიარებთ. გარდა ამისა, ფსიქოლოგიაში არსებული გამოკვლევები იძლევა საშუალებას, ვიმსჯელოთ ქალური და მამაკაცური კომპლექსებისა და არქეტიპების შესახებ, რომლებიც პიროვნების მენტალობის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს. რუსი ფემინისტი მწერლების განცხადებით: „ქალთა პროზა არსებობს, ვინაიდან არსებობს ქალთა სამყარო, რომელიც მამაკაცთა სამყაროსაგან განსხვავებულია“ (Ровенская, 2000:5). ფემინიზმის ამერიკელი წარმომადგენლი სანდრა გილბერტი სვამს კითხვას: „თუ ავტორი ქალია, როგორ შეიძლება მისი სქესობრივი მიკუთვნებულობა მისი ლიტერატურული ენერგიისაგან გამოვყოთ?“ (Шоуол्टერ, 2004:321).

„ქალთა“ და „მამაკაცთა“ ლიტერატურის დიქოტომიის არსებობა იმ რეალობით არის განპირობებული, რომელსაც სქესის ანალოგიებით აზროვნება ჰქვია. ეს პოზიცია კი ყველაზე ნათლად ლაკანისეულ ფსიქოანალიზმი ვლინდება, რომელიც აღწერს ქალი სუბიექტის გაორების პროცესს ენაში. ფსიქოლინგვისტურ სამყაროში, რომელიც კონსტრუირდება მამისა და ვაჟიშვილის ურთიერთობებზე და მამაკაცურ ლოგიკაზე აგებული, ქალი სიცარიელესა და სიჩუმესთან ასოცირდება. იგი განხილულია, როგორც უხილავი სქესი. ლაკანის განმარტებით, „ადამიანური არსი ენაში იბადება და სწორედ ენის ჩარჩოებში კონსტრუირდება ადამიანის სუბიექტი“ (Трофимова, 2002:184). არსებულ კულტურაში სიტყვები „ქალური“ და „მამაკაცური“ მეტყველებს არამარტო ბიოლოგიურ სხვაობაზე, არამედ შეფასებითი კატეგორიებიცაა, რომელიც ყალიბდება სოციუმის მიერ და მყარად იკიდებს ფეხს საზოგადოებისა თუ ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაში. საზოგადოებაში აზრის მყარად დამკვიდრება კი სწორედ ენის მეშვეობით ხდება. სიტყვა „ქალური“ „მეორადის“, „უარსესის“, „რადაცისგან წარმოებულის“, კონტაციას ახდენს. შესაბამისად, ქალების სამოქმედო არეალი იზღუდება. გარდა ამისა, „ქალურისა“ და „მამაკაცურის“ დიქოტომია ყოველთვის პატრიარქალური პოზიციიდან ხორციელდება, ანუ არსებობს *a priori* მოსაზრება,

რომ მამაკაცური კულტურა და მისთვის დამახასიათებელი იერარქიულობა არის ნებისმიერი სახის ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების საზომი. აქედან გამომდინარე, ნორმად მიჩნეულია მამაკაცის პოზიცია, მსოფლმხედველობა. გაბატონებულია მასკულინური წესები. შესაბამისად, ცნება „ქალთა ლიტერატურა“ აღიქმება ნეგატიურად და ირონიულად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქალთა ლიტერატურისადმი“ უარყოფითმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო მითების წარმოქმნას იმის შესახებ, რომ ქალებს ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ღირებული არაფერი შეუქმნიათ. ხელოვნების და ლიტერატურის ისტორია ეს მამაკაცური გენის ისტორია. ⁷³ ამ მოსაზრების გამზიარებლებს და ირონიული შენიშვნის ავტორს, რომ „მწერლობისათვის ჯვარზე გაპრული ქალი არსად გვინახავს“ ერთი ფაქტი ავიწყდებათ. საუკუნეების განმავლობაში ქალებს „მაღალ ლიტერატურასთან“ ზიარების უფლებას არავინ აძლევდა. ამის მაგალითად ოსმალო ქალების მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ. ისინი უქმაყოფილებას გამოხატავდნენ, რომ მამაკაცებს ცოდნასთან ზიარების შემდეგ ქალებისათვის ამ საუნჯის გაზიარების სურვილი აღარ აქვთ (ამ საკითხს ჩვენ უფრო ვრცლად შევეხეთ ნაშრომის მეორე თავში). ლიტერატურა და ხელოვნება ქალების საქმედ არასდროს ითვლებოდა. ქალთა მოდგაწეობის სივრცე მხოლოდ სახლით შემოიფარგლა. მათი დამოკიდებულება გარესამყაროსთან მუსიკაში, ხელსაქმეში, ზღაპრებში გამოიხატა. საზოგადოებისგან მოწყვეტამ ე.წ. „სახლის კულტურა“ ჩამოაყალიბა, სადაც ქალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აღნიშნულმა „სახლის კულტურამ“ კი ქალები ლიტერატურიდან „გამოაძევა“. ისინი წარმოდგენდნენ ფონს უფრო მნიშვნელოვანი, საზოგადოებრივი და შემოქმედებთი ცხოვრების განხორციელებისათვის. პატრიარქალური სისტემა ქალს განვითარების და რეალიზაციის საშუალებას არ აძლევდა. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ ქალებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ, საფუძველს მოკლებულად მიმაჩნია.

თურქი პროფესორი (ლიტერატორი) ზერა ტოსკა ცნება „ქალთა ლიტერატურის“ შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „ლიტერატურაში ქალის საკითხის განხილვა შესაძლოა არსებული წესრიგის არღვევს. რადგან საკითხი ტრადიციის საზღვრებს სცილდება, დიდ ვნებათაღელვას იწვევს. თუ ლიტერატურა,

⁷³ მიუხედავად იმისა, რომ ქალ შემოქმედთა რაოდენობა მცირეა, არსებობენ ქალი ავტორები, რომელთაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მამაკაცი ავტორების გვერდით დირსეული ადგილი დაიმკვიდრეს. მაგალითად პოეტი ქალი საფო, დები ბრონტები, ჟორჟ სანდი, ემილი დიკინსონი.

ისევე როგორც სხვა დისციპლინები, საკითხეს ამ კუთხით შეისწავლის, ეს მხოლოდ მის განვითარებას შეუწყობს ხელს“ (Toska, 1996:45). „ქალთა ლიტერატურა“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ლიტერატურის დაყოფას „ქალურად“ და „მამაკაცურად“; იგი ტექნიკური ტერმინია, რომელიც ქალი ავტორებისა და მათი შემოქმედების არსებობას უსვამს ხაზს. უნდა ითქვას, რომ ქალისათვის იყოს მწერალი ან პოეტი, ძალიან რთული და, შეიძლება ითქვას, მტკიცნეული პროცესიცაა. ამის ერთ-ერთ მიზეზად გარე ლიტერატურული ფაქტორები უნდა ჩავთვალოთ. ფემინისტური ლიტერატურის კრიტიკოსი ელენ მოერსი წიგნში „ლიტერატურული ქალი“ წერს: „მამაკაცების ავტორობა ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის გარემოში, მამაკაცების სამეგობრო წრეში და საჯარო ლიტერატურული დისკუსიების დროს. ქალები კი, რომლებსაც განათლების მიღებისა და საზოგადობერივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდათ და მოგზაურობისა და მეგობრების გარეშე ცხოვრობდნენ სახლის გარემოში, როგორც ავტორები, ოჯახის ინტიმურ გარემოში ჩამოყალიბდნენ“ (Жеребкина, 2000:140). ქალებისათვის „მე-ს“ წინ წამოწევა და არსებობის შესახებ ხმამაღალი განაცხადის გაკეთება რთული და ხშირად მიუღწეველი მიზანიც არის. ჰეგემონური კულტურა ქალებს დამოუკიდებელად ყოფნის უფლებას არ აძლევს. ანუ „მაღალი ლიტერატურა“ მხოლოდ მაშინ აღიარებს ქალ მწერლებს, თუ ისინი მის კანონებს ემორჩილებიან. თუ მწერალი ქალი „მამაკაციებით მოურიდებელ ენას“ ფლობს, იგი ლირსია მწერალი ერქვას. თუმცა რეკომენდებულია, გამოყენებული იქნეს სიტყვები არა ქალი მწერალი, ქალი პოეტი ან ქალი ხელოვანი, არამედ, ზოგადად, მწერალი, პოეტი და ხელოვანი. ძალიან საინტერესოა აღნიშნული მოვლენისადმი თურქი პროფესორის და ფემინისტური კრიტიკის წარმომადგენლის ფათმაგულ ბერქთაის მოსაზრება: „მწერლები და ხელოვანები თავიანთ შემოქმედებაში იმ მატერიალურ და სულიერ დირებულებებს აღწერენ, რომელთა გარემოცვაშიც უწევთ ცხოვრება. როცა საქმე გენდერზე მიღება, მაშინვე პროტესტი იწყება. ამის მიზეზი, გარდა არაინფორმირებულობისა, ჩვენი საზოგადოების ერთ მკვეთრად გამოხატულ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ. ეს თავისებურება კი კრიტიკული აზრისადმი მტრული დამოკიდებულებაა. ბიოლოგიურ სხვაობაზე უფრო მეტად კულტურის სხვაობით განპირობებული იდენტობა, სამწერლობო საქმიანობაზეც ახდენს გავლენას. ჩვენს საზოგადოებაში, სადაც სქესობრივი სხვაობა მკვეთრად გამოხატულ სახეს იძენს, ქალისა და მამაკაცის ცხოვრება და გამოცდილება ძალიან განსხვავებულია“ (Berkay, 1998:8-9). ლიტერატურის თეორიაში

ქალებისათვის „მეორეხარისხოვანი ავტორობის“ როლია განკუთვნილი, რაც გულისხმობს, რომ ცნობილი ქალი ავტორები, რომლებიც ლიტერატურის კანონში მოხვდნენ, მოცემული ეტაპის გაბატონებულ გენდერულ და ენობრივ ნორმებს და სტერეოტიპებს იზიარებენ. სხვა შემთხვევაში, ისინი ვერ მოხვდებოდნენ ლიტერატურის კანონში. იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი უჭირავს ქალს „მაღალ ლიტერატურად“ მონათლულ, პატრიარქალური დომინანტებით გაჯერებულ შემოქმედებით სივრცეში, საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ თურქეთში „ქალთა ლიტერატურის“ განვითარების პერსპექტივებზე.

შუა საუბუნების თურქულ ლიტერატურაში ქალი პოეტების იდენტიფიკაციის საკითხი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თანამედროვე ქალი ავტორების. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული, საზოგადოებრივი, სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა განსხვავებულია, ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხი შესაძლებელია ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ. შუა საუბუნების ცნობილი პოეტი და მოაზროვნე ჯელალედდინ რუმი ქალთა საკითხისადმი ძალიან საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: “ქალი ღვთის სხივია, ტრფობის ობიექტი კი არა, თითქოს შემქმენელია და არა შექმნილი“ (ჯაველიძე, 1985:13).

შუა საუბუნებში მოღვაწე პოეტი ქალებიდან ყველაზე გამორჩეული მიპრი ხათუნის, ზეინებ ხათუნისა და ფიონათ ჰანიმის ცხოვრებაა. ⁷⁴ დივანის ლიტერატურის პოეტებზე საუბრისას ხშირად აღინიშნება, რომ ამ პერიოდის წარმომადგენელი ქალი პოეტები მაღალი საზოგადოების წრეს ეკუთვნოდნენ. მაგრამ განა მხოლოდ ეს იყო საკმარისი იმისთვის, რომ ისინი პოეტებად ეღიარებინათ. ნუთუ მათ, პატრიარქალური ჰეგემონიის პირობებში მათვის განკუთვნილი ადგილის დასაკავებლად ძალისხმევა არ დასჭირვებიათ? რა თქმა უნდა, კი. ცნობილია, რომ ძველი თურქული ე.წ. დივანის ლიტერატურის ქვაკუთხედს ქმნის იგივეობის ესთეტიკა, რომელიც მკაცრად კანონიკურ ხასიათს ატარებს და დაფუძნებულია წინასწარ დადგენილ და მიღებული კონვენციებსა და წესებზე. ეს წესები და კანონები, როგორც აუცილებელი და დაურღვეველი პირობა, მოცემულია შემოქმედის ცნობიერებაში და შემოქმედებითი პროცესიც მთლიანად ამ წინასწარ მოცემული მოდელებით არის წარმართული. ამან, რა თქმა უნდა, განაპირობა მხატვრული წარმოსახვის თავისებურებაც. მჭევრმეტყველება

⁷⁴ დივანის ლიტერატურის ქალი პოეტები არიან: აიშე ჰუბი ხათუნი, თუთი ხათუნი, ლეილა ჰანიმ და სირი ჰანიმი.

და პოეტიკა არ იყო გამიჯნული. ამიტომ მხატვრული განსხვეულების დონეზე მოქმედებდა საერთო წესები და კანონები. უურადღება ექცეოდა ამ წესების დაცვას, რაც აპირობებდა კიდეც ენის მხატვრულობას. ასეთ პირობებში ქალი პოეტი მამაკაც პოეტს კონკურენციას ვერ უწევს. მაგრამ ქალების ნიჭიერების, ქალური გრძნობების და სამყაროს ქალური პერსპექტივიდან აღქმის ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ შუა საუკუნეების დივანის ლიტერატურიდან იწყება. მას კი სათავეში მაჲრი ხათუნი უდგას. მურათ ურაზი წიგნში „ქალი პოეტები და მწერლები“ წერს: „დივანის ლიტერატურაში პოეტი ქალებიდან მხოლოდ მაჲრიმ შეძლო თავისი სქესის გრძნობების გულწრფელად გადმოცემა, მისი გაზელები ძალიან განსხვავდება იმ ქალი პოეტების გაზელებისგან, რომლებიც მამაკაცურ ფორმებს იყენებენ. იგი ქალის სულის მუსიკასა და წუხილს აერთიანებს“ (Yavuz,1988:12). ოქზქერეს ავტორი ლატიფიც მიჰრის ქალურობას უსვამს ხაზს. ოუ გავითვალისწინებთ, რომ ფითნათ ჰანიმის⁷⁵ მსგავსი ქალი პოეტიც კი იძულებულია სამწერლობო სივრცეში ადგილის დამკვირდების მიზნით მამაკაცური დისკურსი აღიაროს, საზოგადოებაში, სადაც მამაკაცური კულტურა პეგემონურია, მიჰრის ასეთი ინდივიდუალიზმი გარკვეული სახის ამბოხიცაა. წიგნის „ოსმალური პოეზია“ ავტორი ე. გიბი მიჰრი ხათუნის შესახებ წერდა: „იგი არ გამოირჩევა ორიგინალობით. მისი მეტაფორები და შედარებები იშვიათად არის მისი თანამედროვეებისგან განსხვავებული. მაგრამ მიჰრი ხათუნს არც აქვს სურვილი ლექსის ტექნიკით ბრწყინავდეს. მის ლექსებში იგრძნობა სურვილი, რომ გამოხატული იყოს მისი გრძნობები და აზრები. აქვე გაგახსენებთ, რა ძნელი იქნებოდა მისთვის, ქალისთვის, შუა საუკუნეების თურქეთში მიეღო სათანადო განათლება. ამიტომ შეუძლებლია, არ ადგაფრთვობანოს იმ სულმა და ენერგიამ, ნიჭმა, რომელმაც გადალახა ყველა წინააღმდეგობა და საშუალება მისცა პოეტ ქალს, შეექმნა პოეზია, რომელიც მისი თანამედროვე მამაკაცების პოეზიას

⁷⁵ ფითნათ ჰანიმთან დაკავშირებული ისტორია ნათელ წარმოდგენას გვიქმის იმ პერიოდის მამაკაცი პოეტების ქალი პოეტებისადმი დამოკიდებულების შესახებ. „ბაირამის წინა დღეს ფითნათ ჰანიმი მსხვერპლად შესაწირ ვერძს ეძებდა. ამ დროს გზად ადა რაგიფ ფაშამ და პოეტმა ჰაშმეთმა ჩამოიარეს. დაინახეს რა ფითნათ ჰანიმი, მისი გამასხარავება გადაწყვიტეს. ჰაშმეთი მიუახლოვდა და უთხრა: “ჩემთ ქალბატონო, რა საჭიროა ვერძის ძებნა? თქვენი ვერძი, ჰაშმეთი, თქვენს სამსახურში იგულეთ”, ფითნათ ჰანიმმა აღმაცერად გახედა და უპასუხა: “შენ ჯერ ბატქანი ხარ, მე კი რქებიანი ვერძი მჭირდებაო”. ჰაშმეთმა კი – ქალბატონო, თქვენთან ორი დღით დამტოვეთ და ჩემს რქებსაც ხახავთო, უპასუხა“ (Yavuz,1988:12). ამ სიტყვა-პასუხიდან პოეტი ჰაშმეთი შეურაცხეოფას აყნებს ფითნათ ჰანიმს. სიმბოლური გზით მას მემავთან აიგივებს.

კონკურენციას გაუწევდა და გაუძლებდა“ (Маштакова, 1967:55). მიპრის თანამედროვე მამაკაცი პოეტებიდან კი ყველაზე ცნობილი ისა ნეჯათია, რომელსაც სასახლის კარზე ყველა დიდ პატივს სცემდა, მათ შორის, მიპრიც. პოეტი ისა ნეჯათი არ გამოირჩეოდა ორიგინალობით და საკითხთა მრავალფეროვნებით, იგი იყო პოეტური სიტყვის დიდოსტატი. მიპრი ნეჯათის შემოქმედებას დიდ პატივს სცემდა, ამიტომ საკუთარ ლექსებს ხშირად უგზავნიდა მას. ოუმცა როგორც იმ დროის თეზქერეს ავტორთაგან ერთ-ერთი, აშიკ ჩელები, წერს: „ისა ნეჯათი არ იყო აღფრთოვანებული მიპრი ხათუნის შემოქმედებით“ ეს მის მიერ წარმოთქმულ ლექსშიც კარგად იკვეთება:

„ო, შენ, რომელიც წერ ნაზირეს ჩემი მიბაძვით,
ურთხილად იყავი, ეთიკის ზღვარს არ გადახვიდე.
არ თქვა “მოცულობით და რითმით ჩემი ლექსი ნეჯათისას უახლოვდება,
მართალია, სამი ასოა (ხმოვანი) ორივე სიტყვაში,
მაგრამ განა „სირცხვილი და „ცოდნა“ ერთსა და იმავეს ნიშნავს?!“
(Маштакова, 1967:42)

ამ ერთი სტროფიდან არამხოლოდ იმას ვიგებთ, აღფრთოვანებული იყო თუ არა ისა ნეჯათი მიპრი ხათუნის შემოქმედებით, არამედ იმასაც, რამდენად იყვნენ ქალი პოეტები მიღებული მამაკაც პოეტთა საზოგადოებაში. ისა ნეჯათი საკუთარ უპირატესობას ცალსახად უსვამს ხაზს. შედარების თვალსაზრისითაც იგი ზედმეტად მკაცრია. მიპრის შემოქმედება მისთვის „სირცხვილია“, საკუთარი კი – „ცოდნა“. უნდა ითქვას, რომ თავად მიპრი ხათუნმაც კარგად იცოდა მამაკაცების ქალებისადამი დამოკიდებულების შესახებ. იგი საკმაოდ თამამ ლექსებს წერს, რითაც მამაკაცების შემოქმედებით უპირატესობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს:

„ამბობენ, რომ ქალებს მოკლე ჭკუა აქვთ,
და მათი ყოველი სიტყვა ნაკლულია.
მიპრი, რომელიც ჭკვიანი და განათლებულია,
თვლის, რომ ერთი ლირსეული ქალი ათას უდირს მამაკაცს სჯობია,
ერთი გონებანათელი ქალი ათას უგუნურ მამაკაცს სჯობია“ (Sezer, 2005:146). მიპრი ხათუნს ეყო გამბედაობა ლექსებში გაეცხადებინა თავისი სიყვარულის ობიექტის ვინაობა. რუსი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდე ელენა მაშტაკოვა, წიგნში „მიპრი-ხათუნის დივანი“ წერს: „ჩვენამდე მოღწეული ლექსები და წერილობითი წყაროები პირდაპირ ასახელებენ იმ ადამიანებს, რომლებთანაც დაკავშირებულია

პოეტი ქალის სასიყვარულო ლირიკა: მუედზადე აბდურახმან ჩელები, რომელიც მიჰრის ბაგშვობის მეგობარი იყო და ისქენდერ ჩელები. პოეტი ისქენდერ ჩელების სახელის აშკარად ხსენებას ერიდება და მას ხშირად ლეგენდარული ალექსანდრე მაკედონელის სახელით იხსენიებს“ (Маштакова, 1967:26). მუედზადესა და მიჰრის სასიყვარულო ურთიერთობაზე საუბრობს მწერალი და პოეტი სენურ სეზერი: „მუედზადესა და მიჰრის შორის გრძნობის გამუღავნება მუედზადეს ლექსებით დაიწყო. გულგრილი არც მიჰრი დარჩენილა. პირიქით, იგი მუედზადეს იმაზე მეტ სიყვარულს დაპირდა, ვიდრე სხვა რომელიმე ყმაწვილს შეეძლო. ისქენდერისა და მიჰრის სიყვარულზე საუბრისას ავტორი წერს, რომ მიჰრის სიყვარული უპასუხო დარჩა. თეზქერეებში ისინი, ვინც მიჰრი ხათუნის სიყვარულის ობიექტების შესახებ საუბრობენ, ამბობენ, რომ ეს სიყვარული პლატონურია და მას მიწიერ სიყვარულთან კავშირი არ აქვს“ (Sezer, 2005:167). თუმცა წიგნის ავტორი აღნიშნავს: “თეზქერეს ავტორები ცდილობენ, ხაზი გაუსვან იმ ფაქტს, რომ მიჰრის ინტიმური ურთიერთობა არ პქონია არავისთან. პოეტის „პატიოსნების“ შესახებ ლატიფის თეზქერეში ვრცლადაა საუბარი. „ამგვარი სილმაზის პატრონი შეყვარებულის სიწმინდე და ნამუსის კალთა ყოველგვარი სიბინძურისაგან შორსაა“. თანამედროვე ცხოვრებაშიც ქალის სიწმინდე ნამუსის საზომად არის მიჩნეული. ამიტომ მე უფლება არ მაქს, უარყოფითი შეფასება მივცე იმ სტრიქონებს, რომლებიც საზოგადოებაში პოეტი ქალის „წმინდად“, წარმოჩენას ცდილობენ. ქალის ნამუსის შესახებ საუბარი ძნელია, ცილისწამება კი ცოდვაა, ვინაიდან ქალისა და მამაკაცის ქორწინების გარეშე ურთიერთობა სიკვდილითაც კი შეიძლება ისჯებოდეს. მისი თანამედროვეების მიერ პოეტის სიყვარულის შესახებ მოცემული განმარტება მათ ცილისმწამებლის როლისაგან ათავისუფლებს. თუმცა ამ საკითხზე თავად პოეტის ახსნა-განარტებას ღვთისადმი მის მიმართვაში ვხედავთ. იგი ღმერთს ჩადენილი ცოდვების მიტვებას სთხოვს. ცოდვებისა, რომლის შესახებ მხოლოდ მან იცის და თუ ამას ხალხი გაიგებს, შეიძლება ჩაქოლონ კიდეც. ჩაქოლვა კი სასჯელია ჩადენილი მრუშობის გამო. მრუშობის გამო ქალი შეიძლება არ მოკლან, მაგრამ მისი დისკრიმინაცია აუცილებლად მოხდება. ამიტომ მიჰრის რცხვენია და, უფრო მეტიც, ეშინია სიყვარულის (Sezer, 2005:169). მიუხედავად იმისა, რომ სენურ სეზერის მოსაზრება, ერთი შეხედვით, მართებულად შეიძლება მოგვეჩვნოს, იგი აკადემიურ საფუძველს არის მოკლებული. დივანის ლიტერატურაზე საუბრისას გასათვალისწინებელია შეა საუკუნეების ეთეტიკური ფასეულობები. სიყვარული განიხილება როგორც

მისტიკური და ლოგოტიპური. ამიტომ მისი პირდაპირი გაგება მცდარ ანალიზამდე მიგვიყვანს. არც თანამედროვე რეალობიდან უნდა შევაფასოთ შუა საუკუნეების ლიტერატურა და ხელოვნება. ქართველი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ელიზბარ ჯავალიძე აღნიშნავს: “პოეტი ქალბატონის ჯიუტი მტკიცება, რომ შეუვარებულმა ხელი უნდა აიღოს ნამუსზე, როდი ნიშნავს საკუთარი უზნეობის ხაზგასმას. მისი ამგვარი მორალური პოზიცია არც პოეტის პირადი სამიჯნური თავგადასავლებით და ცხოვრების წესით უნდა ავხსნათ. არამედ ეს გახლავთ მელამეთურ-რინდული მსოფლმხედველობის აღიარება, როცა გადმოცემულია თავდავიწყებული მიჯნურის უგონობა და სიხელე, რომელიც ლოგოტიპური სიყვარულის ამაღლების გზას აგვირგვინებს. ამ საფეხურზე გახელებულ მიჯნურს არ მოეთხოვება, დაიცვას დადგენილი ნორმები. ეს გახლავთ ზნეობრივი პოზიცია, რომელიც უგულებელყოფს საზოგადოების მიერ შემუშავებული მორალის მოთხოვნებს, ძირითადად გარეგნულ, მოჩვენებით პატიოსნებას რომ ქადაგებს“ (ჯავალიძე, 2010:267).

პოეტი საკუთარ გრძნობებს არ მაღავს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის სასულიერო პირების დამოკიდებულება მისი ამგვარი „თავისუფლებისადმი“. მიჰრი ხათუნის „ბუნტარული“ ხასიათის ლექსებზე რინდული მსოფლმხედველობის გავლენა იგრძნობა, რამაც მას საშუალება მისცა, მკაცრი ასკეტიზმის და სოციალური ნორმების წინააღმდეგ აზრი გამოეხატა. პროფესორი და ლიტერატორი ზეპრა ტოსკა სტატიაში „ქალთა ლიტერატურის შესახებ“ წერს: „მიუხედავად იმისა, რომ დივანის ლიტერატურის პოეტები სიყვარულზე საუბრისას საკუთარი სიყვარულის, ჭეშმარიტი გრძნობების პირდაპირ აღწერას თავს არიდებენ, არიან ის იშვიათი გამონაკლისებიც, რომლებიც ამ წესს არ ემორჩილებიან. უფრო მეტიც, ლექსებში სატრფოს სახელების აშკარა ხსენებასაც არ ერიდებიან. ამათგან ერთ-ერთი კი მიჰრია. რატომ არის იგი ასეთი თვალშისაცემი? იმიტომ რომ იგი ქალია და იმ პერიოდის ქალი პოეტებისგან განსხვავებით დადგენილი ნორმიდან გადაუხვია“ (Toska, 1996:50). მიჰრის თანამედროვის, ზეინებ ხათუნის, შემოქმედება ლექსების სიუხვით არ გამოირჩევა. ამას თავისი მიზეზი გააჩნია. გათხოვების შემდეგ მას მეუღლემ წერა აუკრძალა. ამ ფაქტის შესახებ პოეტი და მწერალი სენურ სეზერი წიგნში „თურქი საფო – მიჰრი ხათუნი“ წერს: „მიჰრი ზეინებისგან წერილს ელოდებოდა, იცოდა, რომ სტრიქონებს შორის ამოკითხავდა, ბედნიერი იყო თუ არა მისი მეგობარი. წერილზე პასუხი ზეინების მეუღლემ, ისაკ ვეპმი ჩელების გასცა. მოკითხვის გამო მადლობას უხდიდა მიჰრის, ზეინების შესახებ კი წერდა, რომ იგი გათხოვდა და წერას თავი დაანება“ (Sezer, 2005:142). აღსანიშნავია,

რომ თეზქერეს ავტორი აშიკ ჩელები წიგნში „პოეტების გრძნობები“ Meşairü-Şuara წერს, რომ „ზეინებ ხათუნმა წერას თავი დაანება, ქმრის მოთხოვნით სხვა მამაკაც პოეტებთან ურთიერთობა შეწყვიტა და ქმარს დამორჩილდა“ (Mutlu, 2002:28). ამ ფაქტს აშიკ ჩელები დადგებითად აფასებს. გამოდის, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ წერა ქალისათვის შესაფერის საქმიანობად აღარ მიიჩნევა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მიპრიმ იცოდა რა, რომ ქორწინება შესაძლოა მისი თავისუფლებისა და შემოქმედებითი ნიჭის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი მოვლენა ყოფილიყო და მასაც ზეინების ბედი უნდა გაეზიარებინა, არ გათხოვილა. მიპრი ხათუნი პირველი ქალი პოეტია, რომელმაც ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის შესახებ განაცხადა, და საინტერესოა, რომ ამის შემდეგ თანზიმათის პერიოდის ლიტერატურამდე ამ საკითხზე რეაქცია არცერთ ქალ მწერალსა და პოეტს არ გამოუხატავს.

თანზიმათის რეფორმების შემდეგ ლიტერატურა გახდა ის სფერო, რომლის მეშვეობით თურქული ინტელიგენცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ აზრს გამოხატავდა. დიდი დატვირთვა ეძლეოდა ცნებებს: თავისუფლება, სამშობლო, სამართლიანობა. რეფორმისტებისათვის ლიტერატურა წარმოადგენდა როგორც ერთმანეთთან ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებას, ასევე ფართო მასებთან ურთიერთობის საშუალებასაც. დასავლეთთან ურთიერთობამ განაპირობა რომანის ჟანრის დამკვიდრებაც. რომანის ჟანრი აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ჟანრი არ არის. იგი მან ევროპიდან შეითვისა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აქმედ პამდი თანფინარი წერს: ”თურქული რომანის განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი ჭეშმარიტება, რომანი ჩვენთან მოთხოვნის ტრადიციების საფუძველზე არ წარმოქმნილა, იგი სრულიად ახალი მოვლენაა... გარდა ამისა, საწყის ეტაპზე რომანის განვითარებას საზოგადოების ცალმხრივმა განვითარებამაც შეუშალა ხელი. საზოგადოება ქალის გარეშე ცხოვრებისუულ გამოცდილებას არასაკმარისად იძენს, პიროვნების ცხოვრებაში, სადაც არ უნდა იყოს იგი, ბედნიერების საკითხი თავისთავად დგება დღის წესრიგში. ამას კი, საბოლოო ჯამში, სიყვარულამდე მივყავართ“ (Tanrımar, 2010:19). ”ჩვენი რომანისტები მუდმივად თურქეთის სოციალურ რეალობას და ამ რეალობაში არსებული ცვლილებების შესახებ წერენ. მაგრამ ამას, როგორც წესი, არა როგორც რომანისტები, არამედ როგორც მასწავლებლები ისე აკეთებენ. რომანისტი, აღწერს რა ინდივიდს, საზოგადოებრივ რეალობასაც აღწერს.

ბალზაკი, ტოლსტოი, სტენდალი ასეთი რომანისტები არიან” (Naci, 2012:12). ვეთში ნაჯის ეს შეფასება ნათლად ასახავს თურქეთში რომანის განვითარების პროცესებს. იმის გამო, რომ ხელოვანები უფრო “მასწავლებლობდნენ”, რომანის განვითარება შეფერხდა. კიდევ ერთი გარემოება, რამაც რომანის განვითარება შეაფერხა სათანადო დონეზე კრიტიკის განუვითარებლობაა. ამის გამოა, რომ თანზიმათის პერიოდში უფრო მეტი წარმატება წილად გაზეთებსა და უურნალებში დაბეჭდილ პოლიტიკური ხასიათის წიგნებს ხვდა. პოლიტიკური ხასიათი განაპირობებდა რომანის ხარისხს. თუ რომანში მოცემული იდეა არსებულ იდეოლოგიას შეესაბამებოდა, მაშინ იგი პოპულარული ხდებოდა. თუმცა რომანში მოცემული იდეა როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, თუ რა არის მასში აღწერილი, არამედ იმითაც, თუ როგორ არის აღწერილი.⁷⁶

თანზიმათის პერიოდში ქალთა მდგომარეობის შესახებ თურქული ინტელიგენცია არაერთ განცხადებას აკეთებდა. ქალთა განათლების საკითხი მნიშვნელოვან საკითხთა შორის იჭერდა ადგილს. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ იმ პერიოდის თურქული ინტელიგენციისათვის განათლებული დედების აღზრდა მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ რამდენად მიესალებოდნენ ისინი ქალი მწერლების არსებობას, ეს სხვა საკითხია. თანზიმათის პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მწერალი ქალია ფატმა ალიე. თურქული ლიტერატურის ისტორიაში ფატმა ალიე პირველი რომანისტ ქალად არის მიჩნეული. ფატმა ალიე ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ჯევდეთ ფაშას ქალიშვილია. ამან, რა თქმა უნდა, მისი განათლების საკითხში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ფატმა ალიეს ძალიან კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. მისი სამწერლობო მოღვაწეობა თარგმანით დაიწყო. მან თარგმნა ფრანგი მწერლის ქორჟ ონეს რომანი “სურვილი” და იგი “ერთი ქალის” ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მწერლის ამგვარი გადაწყვეტილება შესაძლებელია შემდეგი გარემოებით ავხსნათ. მკითხველი მზად არ იყო ქალი ავტორის მისაღებად. მწერალმა პირველი რომანი 1910 წელს გამოქვეყნა. წიგნის შესავალში აკმედ მიღვათის სიტყვა იყო დაბეჭდილი. აკმედ მიღვათი მაღალ შეფასებას აძლევდა რომანს და თავად რომანის ავტორს.

⁷⁶ ალემდარ იალჩინი თავისებურების გათვალისწიენებით რომანის 4 ტიპს გვთავაზობს. 1. სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ამსახველი რომანები. 2 “ანატოლიის” რომანი. 3. ისტორიული რომანები. 4. სასიყვარულო რომანი (Yalçın, 2006:23-24).

თურქელი ლიტერატურის პაკერის აღნიშვნით “აპმედ მიდჰათის მხრიდან მთარგნელისათვის მადლობის წერილის გაგზავნამ და იმის აღნიშვნამ, რომ ფატმა ალიე ისტორიკოსს ჯევდეთ ფაშას ქალიშვილია, თარგმანი კრიტიკოსებისაგან დაიცვა. მით უფრო, რომ აპმედ მიდჰათი აღნიშნავდა: “ეს ქალბატონი ქების ლირსია არამხოლოდ იმის გამო, რომ თარგმნა გაბედა, არამედ იმიტომ რომ მამაკაცი მწერლის რომანის თარგმნის გამბედაობა ეყო და რომანი “მამაკაცური სტილით” თარგმნა”⁷⁷ (Paker,1991:280). თუმცა მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება იოლი არ ყოფილა. გათხოვების შემდეგ მას მეუღლე, ფაიქ ბეი, წერის უფლებას არ აძლევდა. სანამ ფაიქ ბეი სამსახურის გამო კონიაში არ გადაიყვანეს, ფატმა ალიე⁷⁸ მხოლოდ საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. ⁷⁹ მხოლოდ მეუღლის გამგზავრების შემდეგ დაუბრუნდა იგი სამწერლობო მოღვაწეობას. ფატმა ალიეს თანამედროვეა პოეტი ნიგარ ჰანიმი, რომელმაც თავი შეიკავა საკუთარი მოგონებების დღიურის გამოქვეყნებისგან. აღნიშნული დღიური მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ დაიბეჭდა. დღიურში პოეტი უიღბლო ქორწინების, ქალთა პირადი ტრაგედიის საკითხებს ეხებოდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ პოეტმა თავის სიცოცხლეში არ ისურვა მოგონებების დღიურის გამოქვეყნება, რაც ოსმალო ქალი პოეტებისა და მწერლების წერასთან დაკავშირებულ შიშსა და გაუბედაობას უსვამს ხაზს.

გუზიდე საბრი 11-12 წლის იყო, წერა რომ დაიწყო. მისი ნაწერები მასწავლებელს, ტაპირ ეფენდის, ჩაუგარდა ხელში, რაზეც მას მწვავე რექცია პქონდა: “რა არის ეს? ჩიგები, ღრუბლები, ყვავილები, საღამო და დილა, ლექსების წერის ნაცვლად რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვა და შესრულება გესწავლა. ლამის ერთი კვირაა, ყურანის ერთი სტრიქონიც ვერ დაგიზეპირებია” (Karaca,

⁷⁷ ფატმა ალიე თათრული ლიტერატურის ფუძემდებელ ფატიჰ ქერიმთან საუბრისას აღნიშნავს, რომ იგი მუშაობს წიგნზე, რომელიც ქალთა უფლება-მოვალეობებს ეხება. თუმცა სურს, რომ ეს წიგნი საფრანგეთში დაიბეჭდოს. კითხვაზე, რატომ არ უნდა მწერალს წიგნის თურქეთში დაბეჭდვა, პასუხობს: „არა, ჩემი ბატონო, თურქეთში თუ დაიბეჭდა, თავს მესს დამატებენ, ქალისა და ოჯახის საკითხზე ჩვენი მამაკაცების შეხედულება არ იცვლება, აქმდე გამოქვეყნებული წერილების გამო უამრავი მუქარისა და შეურაცხყოფის წერილი მივიღე“ (Koloğlu, 2002:12).

⁷⁸ ფატმა ალიეს დამ, ემინე სემიემ, სრულიად განსახვავბეული გზა აირჩია. ისიც იმ დროისათვის საქმაოდ ცნობილი ქალი იყო, წერდა სტატიებს მათემატიკის, რომანის და მოთხოვნის შესახებ. განათლებამ პროგრესულობამ მას იმის გამბედაობა მისცა, რომ პირველ ქმარს განქორწინებოდა (Karaca,2006:16).

⁷⁹ ფატმა ალიემ ცხოვრების ეს მონაკვეთი რომანში “Muhadarat” ასახა.

2006:10). პოეტს გათხოვების შემდეგ მეუღლე, საბრი ბეი, უკრძალავდა წერას. ძალიან საინტერესოა 1938 წელს გუზიდე საბრის მიერ მიცემული ინტერვიუ, სადაც იგი ცალსახად აღნიშნავს, რომ აუცილებელია მხოლოდ მწერალ მამაკაცზე გათხოვება. სხვა შემთხვევაში ძნელია მწერალი ქალის გაგება: ”როდესაც ადამიანი ისეთი მეუღლის გვერდით ცხოვრობს, რომელსაც მისი გრძნობებისა და განცდების გაგება არ შეუძლია, იგი ყველაფერს საკუთარ თავში ინახავს. ჩემმა მეუღლემ ვერ შეძლო ჩემი განცდების სიღრმეს ჩასწვდომოდა. მე 20 წელი საკუთარი გრძნობების ჩაკვლის ხარჯზე ვცხოვრობდი მასთან. სანამ ცოცხალი იყო, მის დაძინებას ველოდებოდი, შემდეგ ვდგებოდი და დილამდე ვწერდი” (Karaca, 2006:15).⁸⁰

შუფუაე ნიჰალ ბაშარიც ქალ მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც განათლების მიღებისა და წერილობითი საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის უკიდურესი ზომის მიღებაც კი დასჭირდა. მამამ იგი ძალიან ადრე გაათხოვა, რადგან პოეტს გათხოვების ნაცვლად სწავლა უნდოდა, მან თავის მოპვლაც კი გადაწყვიტა. ამ თემაზე პოეტი თავად საუბრობს ერთ-ერთ ინტერვიუში: “ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ხელოვნების სფეროში მოღვაწეობა და საკუთარი თავის განვითარება იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ადრე გამათხოვეს, ამისაგან თავის დასაღწევად თვითმკვლელობაც კი ვცადე” (Malkoç-Öztürkmen, 1999:26).

ქალი მწერლების შემოქმედება სრულიად სხვა გზით განვითარდა რესპუბლიკის პერიოდის თურქეთში. “ქალთა საკითხის” გადაჭრით ეგროპული ორიენტაციის მამაკაცი მწერლები იყვნენ დაკავებულები. მამაკაცი მწერლები, ერთი მხრივ, ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას მოითხოვდნენ, მეორე მხრივ კი ”უსაფრთხო” ქალის სახის შექმნას ცდილობდნენ. ეს საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეაქციის თავიდან აცილების კარგი საშუალება იყო. ქალი მწერლები ძირითადად მამაკაცების მიერ შემუშავებულ დისკურსს აგრძელებდნენ. ქალთა უფლების მინიჭებას ისინი ეროვნულობისა და სამშობლოს სიყვარულის სახელით მოითხოვდნენ. ამგვარად, მათ ევროპაში გავრცელებულ ფემინიზმს “ეროვნული”

⁸⁰ თანამედროვე ქალი ავტორი ერდენიზ ათასუ იმავე მოსაზრებას გამოთქვამს: ”გათხოვილი როდესაც ვიყავი, არ ვწერდი. ახლა ისევ რომ გადავწყვიტო დაქორწინება, ისეთ ადამიანს შევარჩევ, რომელსაც ჩემი მწერლობა არ შეაწეხებს” (Kadınlar, 2000:77).

დისკურსი დაუპირისპირეს.⁸¹ 1909 წელს ჰალიდე ედიფი წერდა: ”ქალი, უპირველეს ყოვლისა, პატრიოტი უნდა იყოს, ქვეყნის უფლებები ქალის უფლებაზე მნიშვნელოვანი და აღმატებულია. აქედან გამომდინარე, როდესაც ქალები უფლებებზე საუბრობენ, ამას საკუთარი თავის გამო კი არა, სამშობლოსათვის ლირსეული შვილების აღმზრდელი დედებისათვის ითხოვენ” (Durakbaşa, 1988:6). ”ახალი ტიპის ქალი” ქალების იდენტობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ისინი ქალებად კი არ აღიქმებოდნენ, არამედ – მამაკაცის “კარგ მეგობრებად”. ამის უველაზე ნათელი მაგალითი ისევ და ისევ მწერალი ჰალიდე ედიფია. მოგონებებში იგი წერს: ”საკუთარი თავის ჩემს ერთან გაიგივების ძალა უფრო მეტად ძლიერდებოდა. ან მებრძოლების გვერდით დავიკავებდი ადგილს, ან მათთან ერთად მოვკვდებოდი. ჩემი ღვაწლი რაც არ უნდა მცირე და უმნიშვნელო იყოს, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს” (Adıvar, 1928:283). ჰალიდე ედიფის რომანებში ქალი პერსონაჟები არისტოკრატიული წარმომავლობის განათლებული, ძლიერი და ინტელექტუალი ქალები არიან. მაგრამ მწერალი, ხატავს რა ძლიერი ქალის სახეებს, მათ ზედმიწევნით პატიოსან, ოჯახისა და რელიგიური ტრადიციების დამცველ ქალებად წამოაჩენს. რომანში Seviye Talib (“სევიე ტალიბი”) იგი სევიეს სახით განათლებულ მუსიკოს ქალს ხატავს, რომელიც მეუღლესთან შეუბუქებლობის გამო მასთან გაყრას ცდილობს. გაყრის მიზეზი სევიეს მუსიკოს ჯემალისადმი სიყვარულიც არის. ტალიბი, რომელიც მიიჩნევს, რომ ცოლი მისი საკუთრებაა, გაყრას არ თანხმდება. სევიე მას მიატოვებს და საცხოვრებლად საყვარელ მამაკაცთან გადავა. სევიეს მიაჩნია, რომ ქორწინება მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ ორ ადამიანს შორის ამისი სურვილი არსებობს. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. მართალია, რომანის მთვარი გმირის სევიეა,

⁸¹ ქალთა საკითხის გადაჭრა მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმებში. მისთვის სტამბოლის მადალ საზოგადოებასთან, მიწათმფლობელებთან, ოფიცრებთან საერთო ენის გამონახვა და ერთობლივი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ქალთან დაკავშირებული რეფორმები შესაძლოა მარტივად მიედო სტამბოლის მეწარმეებს, ოფიცრებს, დეპუტატებს, მაგრამ ანატოლიის დიდგვაროვნებისა და მიწათმფლობელების დაყოლიება ძალიან როგორი იქნებოდა. მათ შეეძლოთ რესპუბლიკის განვითარებისათვის შექმლათ ხელი და ხალხიც კი აეჯანყებინათ სლოგანით: ”რელიგია სელიდან გვეცლება”. 1921 წელს გამართულ პარლამენტის სხდომაზე პარლამენტის წევრი, რომელიც პროფესიით ექიმი იყო, გამოვიდა ასეთი ინიციატივით: ქორწინებამდე წყვილის შემოწება კანონით ყოფილიყო გათვალისწინებული. ამან შარიათის მომხრეების მოთმინების ფიალა აავსო. მათი აზრით, ქვეყნის რეგრესის მიზეზი რელიგიური საქმეების სახელმწიფო საქმეებიდან გამოყოფის გამო ხდება (Arat, 1986:120).

მწერალს კი გაღმერთებული ჰყავს სხვა პერსონაჟი ქალი, მაჯიდე მუსლიმური თურქული ზნეობის მქონე ქალია, რომელიც ინგლისში განათლება-მიღებული ქმრის მოთხოვნის გამო საკუთარი სურვილის მიუხედავად თანამედროვე ქალის ნიღაბს ირგებს. ანუ მაჯიდეში გაერთიანებულია როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ფასეულობები. იგი სწავლობს ინგლისურს, უკრავს პიანინოზე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების საქმის კურსშია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – იგი არის კარგი დედა. მწერალი თვლის, რომ პროგრესი სევიეს ან განათლებული ფაპირის მსგავს ადამიანებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მაჯიდეს მსგავს ქალებზე. მეორე მნიშვნელოვანი პერსონაჟი, რომელშიც ინტელექტუალი ქალის სახეა მოცემული, ჰანდანია. უნდა ითქვას, რომ ჰალიდე ედიფი ქალი პერსონაჟების ფიზიკურ სილამაზეს დიდი მნიშვნელობას არ ანიჭებს, პირიქით, ისინი უფრო მამაკაცური გარეგნობის არიან. ეს კი მათ “ასექსუალობას” უსვამს ხაზს. მამაკაცური გარეგნობა მათთან თანასწორობისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ერთ სიბრტყეზე განხილვის მეტაფორადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჰანდანი ძალიან განათლებული, კულტურული და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა ქალია, ბედნიერებას მაინც ვერ პოულობს. რევოლუციონერ ნაზიმს ცოლობაზე უარს იმის გამო ეუბნება, რომ მას მხოლოდ კარგ მეგობრად და თანამოაზრედ მიიჩნევს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მეგობრობა, არამედ სულთა ერთობაც. ჰანდანის ვერც მეუღლე, ჰუსნუ ფაშა, გააბედნიერებს. პირიქით, მისი დალატი ლოგინადაც კი ჩააგდებს. რომანში ყველაზე მნიშვნელოვანი ჰანდანისა და რეფიქ ჯემალის ურთიერთობაა. ჰალიდე ედიფი დიდი ყურადღებას უთმობს მორალურ მხარეს. ჰანდანისა და რეფიქ ჯემალის სიყვარული მხოლოდ პლატონურია. მწერალი გმირს მეგობრის ქმრის შეყვარების გამო სინდისის ქენჯნას უმძაფრებს და საბოლოოდ კლავს კიდევაც მას.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჰალიდე ედიფის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს, ეს “მამაკაცი ნარატორი”. ქალი ნარატორი არასოდეს გვხვდება. აღნიშნული ფაქტი პატრიარქალური ტრადიციების ჩარჩოებში მოქცევასთან ერთად, მკითხველისა და საზოგადოების ნდობის მოპოვების მცდელობად შეიძლება შევაფასოთ. ვინაიდან ავტორი ისედაც ქალია, “ქალი ნარატორი” მკითხველში არასანდოობის გრძნობას აღძრავდა, რადგან ისინი მამაკაც ნარატორს არიან მიჩვეულები. მეორე სავარაუდო ვარიანტი, რატომ მიმართავს მწერალი “მამაკაცი ნარატორის” ფენომენს სიყვარულსა და ინტიმური

საკითხების შესახებ, თავისუფლად წერა მიგვაჩნია. რომანში “ჰანდანი” მწერალი ინტიმურ საკითხებზე მსჯელობს, თუმცა არაგამოკვეთილი სახით. ჰანდანი სულიერი კრიზისის დროს სიზმარში მისი და რეფიქ ჯემალის სასიყვარულო სცენას ხედავს. რასაც შემდეგ ძალიან განიცდის: “ცუდი სიზამრი ვნახე, სიცხე მქონდა, გონება დაავადებული. იქ ინტიმური ურთიერთობა გვქონდა, ისეთი, არსაოდეს რომ აღარ ექნება ორ ადამიანს. ახლა გავიღვიძე, არასდოდეს ვნახავ იმ სიზმარს, ნერიმან, გულში ისევ ის სიყვარული მაქვს... პირობას გაძლევ, რომ სხვა დროს ასეთ სიზმარს აღარ ვნახავ....ამისთვის ყველა ღონეს ვხმარობ, მაგრამ ვნახე, ნერიმან...” (Adivar, 2007:208). ამ კონკრეტული ეპიზოდის გარდა, ჰალიდე ედიფი ქალის სექსუალობის შესახებ არსად საუბრობს. პირიქით, მის რომანებში სწორედ ისეთი ქალი პერსონაჟები გვხვდება, რომლებიც სექსუალობას თრგუნავენ. ამის ნათელი მაგალითი რომანის “Yeni Turan” (“ახალი თურანი”) მთავარი გმირია კაია. ჰალიდე ედიფი ძლიერ ქალ პერსონაჟებს ხატავს, თუმცა ისინი “ასექსუალები” არიან. “საკუთარ სურვილებს ეროვნულ საქმეს სწირავენ” (Irzik, Parla, 2004:165).

ჰალიდე ედიფი რესპუბლიკის პერიოდის გამორჩეული მწერალი ქალია. მას ლირსეული ადგილი უკავია თურქულ ლიტერატურაში. თუ მწერლის შემოქმედებაში პატრიარქალური დისკურსის დაძლევაზე ვისაუბრებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ პატრიარქალური დისკურსი დაძლეული არ არის. ჰალიდე ედიფი მისი თანამედროვე მამაკაცი მწერლებისგან დიდად არ განსხვავდება. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ლიტერატურაშიც აისახა. ეროვნული სულის გაღვიძება და ამ პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა ამ პერიოდის ლიტერატურის მთავარი საკითხია. რატომ მიიღო ჰალიდე ედიფი მკითხველმა და თურქულმა შემოქმედებითმა სამყარომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი მკეთრად გამოხატული ფიგურაა, რომელიც არც ომში მონაწილეობას გაურბის და არც მუსტაფა ქემალთან დაპირისპირების ეშინია.⁸² მეორე, იგი, როგორც მწერალი,

⁸² განმათავისუფლებული ბრძოლის საწყის ეტაპზე ჰალიდე ედიფი მუსტაფა ქემალ ათათურქს წერილი მისწერა, რომელშიც იმ დადებით მხარეებზე ამახვილებდა უურადღებას, რაც ამერიკელებისაგან მანდატის მიღებას მოჰყვებოდა შედეგად. საზოგადოებაში, ბეჭდვით ორგანოებში ჰალიდე ედიფის შესახებ განსხვავებული აზრია გავრცელებული. ჰალიდე ედიფის ათათურქთან დაპირისპირება და მისი რეჟიმის დიქტატორულად მოხსენიება დალატად არის შეფასებული. “ჰალიდე ედიფს რეფორმებისათვის მხარი რომ დაეჭირა და ეგოისტურად არ მოქცეულიყო, მაშინ თავის მისის შეასრულებდა. საკუთარი ეგოისტური პოლიტიკური მოსაზრებების ნაცვლად საერთო საქმეში უნდა ჩართულიყო” (Betin,1951:77).

ეპოქის იდეოლოგიის გამტარებელია და მკვეთრად გამოხატული მამაკაცური კალმის პატრონია. ჰალიდე ედიფის შემოქმედებაში ქალთა საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, თუმცა იგი განხილულია არა ქალური პერსპექტივიდან, არამედ პატრიარქალური კულტურის თვალსაწიერიდან.

თურქული ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი ინჯი ენგინუნი რესპუბლიკის პერიოდის მწერლებს ორ კატეგორიად ჰყოფს. პირველი – 1923-1950 წლებში მოღვაწე ქალი ავტორები, მეორე – 1950 წლის შემდეგ მოღვაწე ქალი ავტორები. ქალი ავტორების შემოქმედება მათ მიერ გაშუქებულ საკითხთა გათვალისწინებით შესაძლოა ოთხ ჯგუფად დავყოთ.

პირველი ჯგუფი: ეროვნული ფასეულებებისა და ტრადიციების დამცველი ქალი ავტორები. მათ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ სამია აივერდი (1906-1993), საფიე ეროლი (1900-1964), ნეზიჟე არაზი (1922-2009); მეორე ჯგუფი – რესპუბლიკის პერიოდში სოციალური საკითხებით, სოფლისა და უბრალო ხალხის ბედით დაინტერესებული ქალი ავტორები – სუათ დერვიში, აფეთ მუჰტერემოღლუ. 1950 წლის შემდეგ მოღვაწე ქალი ავტორებიდან უნდა დავასახელოთ სევგი სოისალი, ოია ბაიდარი; მესამე ჯგუფი – ქალი ავტორები, რომლებიც ქალთა საკითხს სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ფერიდე ჯელალი, მუქერემ ქამილ სუ, ჯაჰით უჩუქი, ნეზიჟე მუჟდდინი და სხვ. მეოთხე ჯგუფი – ქალი ავტორები, რომელთა შემოქმედებაზე თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობების კვალი აშკარაა. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ნეზიჟე მერიჩი, ლეიილა ერბილი, ტომრის უიარი, ადალეთ ალაოღლუ (Enginün, 2007:150). ინჯი ენგინუნის მიერ მესამე ჯგუფში გაერთიანებულ ქალთა სახელებს შესაძლოა დაემატოს ფურუზანი, აილა ქუთლუ, ინჯი არალი, სევიმ ბურაქი, ფუსნუ აკატლი, ინჯი არალი, ერდენიზ ათასუ, ნაზლი ერაი, ფეიზა ჰეპჩილინგირლერი, ბუქეთ უზუნერი, ფინარ ქური, დუიგუ ასენა, აფეთ ილგაზი ზეინეფ ორალი, ლატიფე თექინი.

რესპუბლიკის პერიოდის ლიტერატურის შემდგომი პერიოდის “ქალთა პროზა” მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა პერიოდის “ქალური პროზისაგან”. განსხვავებაში ვგულისხმობთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში საკითხთა ახლებულდა დასმასა და გაანალიზებს. მწერლების დამოკიდებულება ადამიანისადამი, საზოგადოებისადმი, ზოგადად, ადამიანთა შორის ურთიერთობისადამი უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა, ვიდრე ამას მანამდე

პქონდა ადგილი. მწერალ, ოია ბაიდარის, აღნიშვნით “1960-1980 წლებში ქალთა მოძრაობისა და ორგანიზაციების არსებობა ლიტერატურაზეც აისახა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სიმბოლომ “Baci” (“და”). მოთხოვთასა და რომანში ქალის, როგორც პიროვნების, აღქმა უკვე 1980 წლიდან მოხდა. ამაზე, რა თქმა უნდა, გავლენა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებამ და ფემინიზმა მოახდინა. “სოციალურ-საზოგადოებრივი ქალის” სიმბოლო ქალის, როგორც პიროვნების, სიმბოლომ შეცვალა (Baydar, 2001:131). ქალი ავტორების მიერ ქალთა საკითხით დაინტერესება გაცილებით სხვა მიმართულებით ვითარდება. კრიტიკოსი მელიქე ქოჩაქი აღნიშნავს: ”ქალი კაცზე და მის მიერ შექმნილ კომფორტზეა დამოკიდებული, ამან კი იგი საკუთარ თავს დააშორა. აქედან გამომდინარე, გონიერი და ემოციური თვალსაზრისითაც მამაკაცთან მიმართებაში უჩინარი ხდება. იგი ცხოვრებაში სუბიექტის როლს არ ასრულებს. იგი არის მამაკაცი - სუბიექტის ობიექტი. საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურა, პეგემონური მამაკაცური ხედვა, სქესობრივი პოლიტიკა ქალის იდენტობას “განსხვავებულის” ფორმულირებას აძლევს, რაც იწვევს ქალის გაუცხოებას როგორც საკუთარი თავისადმი, ისე გარე სამყაროსადმი. ქალის საკუთარი თავისადმი გაუცხოება მას მამაკაცის ობიექტად აქცევს. ეს კი მისი იდენტობის არქონის დამადასტურებელი საბუთია თითქოს” (Erden, 2011:21). ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოვლილი ქალი მწერლების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით კი სუათ დერვიში, სამაჲა აივერდი და სხვ. მათი თანამედროვე ავტორები იდენტობის საკითხს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ქალი მწერლების მიერ საკუთარ იდენტობაზე ფიქრი 1980 წლის შემდეგ იწყება. მათვის ისეთივე რთულია ლიტერატურის სივრცეში ადგილის დამკიდრება, როგორც მათი წინამორბედებისათვის. ⁸³ ფერიდე ჯელალის თქმით, “მას არ მოსწონდა ბაბიალის აღმართზე სიარული, ვინაიდან იმ სამყაროში მას და, ზოგადად, ქალებს უყურებდენენ ისე, როგორც საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს” (Hazer, 2005:55). ცნობილი მწერალი აიშე კულინი კითხვაზე – “ლიტერატურის სამყაროში

⁸³ სევგი სოისალის რომანს “დეიდა როზა” Tante Rosa, რომელშიც მწერალი გერმანული წარმოშობის ქალის ისტორიას აღწერს, კრიტიკოსების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათი აზრით, რომანში აღწერილი მოვლენები, ადამიანები და ატმოსფერო უცხოა თურქული საზოგადოებისთვის. სევგი სოისალს კრიტიკა უადგილოდ მიაჩნია და აღნიშნავს: “შესაძლოა, ჩემი დანაშაული ის არის, რომ რომანს “დეიდა აიშე” არ ვუწოდე” (Erden, 2011:23). ეს კი მწერლის ირონიული დამოკიდებულებაა კრიტიკოსებისადმი.

ქალ ავტორებს ჰყავთ თუ არა მტერი? პასუხობს: ”მამაკაცების მხრიდან ასეთ რამეს აშკარად ვგრძნობ, ვინაიდან მამაკაცებს არ უყვართ ქალებთან მეტოქეობა. სამსახურშიც კი ქალების ხელქვეითად მუშაობას მძიმედ უგუებიან” (Erden, 2011:45). ქალების შემოქმედებითი საქმიანობა, საკუთარი სახელის დაუფარავად გამოყენება და სხვა ამგვარი სახის “ღონისძიებები” ქალისათვის შეუფერებელ საქმიანობად ითვლება, მასზე ზედგამოჭრილია ზღაპრის მოყოლა, სიმღერა, მაქმანების ქარგვა. ქალის ხვედრი ჩუმად და საკუთარი იდენტობის გარეშე ყოფნაა. თურქულ ლიტერატურაში ეს საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუმცა ქალი მწერლების მოღვაწეობასთან დაკავშირებული უარყოფითი შეხედულება ნათლად იკვეთება მწერალ ფეიამი საფას რომანში „რომანი მერყეობის შესახებ“. მთავარი გმირი, რომელიც მწერლის პროტოგიპია, პირანდელოს⁸⁴ თარგმნით დაკავებულ მწერალ ქალთან, ვილდანთან, კამათისას აღნიშნავს: „ქალის ლიტერატურა მის გონიერებაში კი არა, მის საშოშია, ანუ ქალმა თავად აურია ქმნადობის ადგილი“ (Moran,2002:25). მწერლის აზრით, მამაკაცი ან მამა უნდა იყოს, ან ხელოვანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მამაკაცს როგორც პენისით, ისე კალმით ქმნადობის უნარი შესწევს. ქალის როლი კი მხოლოდ დედობაა.⁸⁵ დროთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება იცვლება. იდენტობისა და “მოლაპარაკე სუბიექტის” საკითხის განხილვა ფემინისტურ კრიტიკასთან არის დაკავშირებული. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ფემინისტურმა მოძრაობამ და ფემინისტურმა თეორიამ ქალთა თვითშეგნების ამაღლების საკითხში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ერთი მხრივ, ქალები ცდილობენ მათზე დაკისრებული სოციალური როლის მიხედვით “თამაშს”, მეორე მხრივ კი სამწერლობო და ხელოვნების სივრცეში ადგილის დამკვიდრებისათვის იდგვიან. იდენტობის საკითხმა თავისთავად განაპირობა “ქალი მწერლის” ცნების არსებობა. თუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქალის იდენტობა მამაკაცის მიერ არის განსაზღვრული როგორც მამაკაცის ობიექტი, მაშინ იგი იდენტობის დაბრუნების მიზნით შემოქმედებით სფეროში როგორც “ქალი მწერალი” ისე უნდა დაბრუნდეს. კითხვაზე – რატომ წერენ ქალები? – თანამედროვე მწერალი ასლი ერდოღანი პასუხობს: ”საკუთარი ხმის გაგონების

⁸⁴ ლუჯი პირანდელი (1867–1936) იტალიელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი.

⁸⁵ ქალის, როგორც დედის, მნიშვნელობა ისლამით არის განპირობებული, ვინაიდან ქალი ფასობს მაშინ, როცა იგი დედაა. უშვილო ქალი უსარგებლო ადამიანად ითვლებოდა. მას ან მამის ოჯახში აბრუნებდნენ, ან ქმარს მეორე ცოლი მოჰყავდა. თუ ქალი გაუთხოვარი გარდაიცვლებოდა, ითვლებოდა, რომ მან მოვალეობა ვერ შეასრულა.

მიზნით, საბოლოო ჯამში, იმის გასაგებად, თუ “ვინ ვარ მე”, საკუთარი იდენტობის დასადგენად, არასოდეს არ დასმულა კითხვა “მამაკაცი მწერალი არსებობს თუ არა”, მწერალი ისედაც მამაკაცია. იდენტობის საკითხი უმცირესობის საკითხია, ქალებიც ამ კატეგორიაში მოიაზრება” (Erdoğan, 2005:387). ცნება „ქალთა ლიტერატურა” და „ქალი მწერალი” ქალ ავტორებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ცნობილი მწერალი ქალები – ადალეთ ადაოდლუ, სევინჩ ჩოქუმი, ბუკეტ უზუნერი, ნაზლი ერაი, ფერიდე ჯელალი – ქალი მწერლების იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც აპროტესტებენ ცნებებს „ქალთა პროზასა” და „ქალთა ლიტერატურას“. ადალეთ აღაოდლუ აცხადებს: „როცა ცდილობენ სიტყვა „მწერალს” წინ სიტყვა „ქალი” მიამატონ, რომელიდაც პარტიის წევრი მგონია თავი“ (Karaca, 2006:34).

სევინჩ ჩოქუმის და სხვა მწერლების მოსაზრება კი ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

ფერიდე ჯელალი: „ხელოვანი, ქალი იქნება თუ კაცი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მამაკაც მწერლებს შორისაც არიან იაშარ ქემალივითა და ორპან ფამუქივით კარგი მწერლები. ვფიქრობ, იაკუბ კადრის, საიო ფაიქის და კიდევ სხვა პატივსაცემი მწერლების გზას ვაღგავართ და ხელოვნების სფეროში დირებულ ნაწარმოებებს ვქმნით“ (Karaca, 2006:225)

სევინჩ ჩოქუმი: „მე არ ვყოფ მწერლებს ქალ და მამაკაც მწერლებად, მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ნიჭია და თუ ადამიანს შემოქმედებითი ნიჭი აქვს, ის შესაბამის ნაწარმოებს შექმნის“ (Karaca, 2006:294).

ფინარ ქური ერდენიზ ათასუ, ინჯი არალი, ლეილა ერბილი, ნეზიპე არაზი, ლატიფე თექინი მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც პატრიარქალურ კულტურაში ქალი მწერლების იდენტიფიკაციაზე, ადგილის დამკვიდრებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამახვილებენ ყურდღებას.

ფინარ ქური ამბობს: „მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მწერლობა ძალიან რთულია, ხოლო თურქეთში კი ორმაგად რთულია, მით უმეტეს, თუ მწერალი ქალია. პატრიარქალური იდეოლოგიის პეგმონიის ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში ქალი მწერლისათვის ადგილის დამკვიდრება და საზოგადოებისათვის საკუთარი ხმის მიწვდენა სასწაულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს სასწაული,

მიუხედავად მისი ნელი სვლისა, აუცილებლად მოხდება, სწორედ ამიტომ არ გწყვეტ წერას”(Karaca, 2006:264). **ნეზიჲე არაზი:** „ის, რომ ქალი ხართ, უკვე ნიშნავს, რომ დამნაშავე ხართ, თუ შეძელით და ქალთა საკითხი დღის წესრიგში დაყენეთ და ცოტა წარმატებასაც მიაღწიეთ, ორმაგად დამნაშავე ხართ. მე რეალისტის თვალით ვუყურებ ქალთა საკითხს და ჩემი მეგობრების შეფასებას, რომ „მე ქალურ ზღაპრებს გვები“, არ ვეთანხმები. მიმაჩნია, რომ თურქეთში ეს საკითხი უფრო ღრმა კვლევის საგანი უნდა გახდეს“ (Karaca, 2006:231). **ლეილა ერბილი:** „თავდაპირველად ქალი და მამაკაცი მწერლების დიქოტომიის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ დღეს აზრი შევიცვალე.... ჩემი მაშინდელი პროტესტი საკუთარი თავის გადარჩენა უფრო იყო“ (Karaca, 2006:202). **ინჯი არალი:** „ჩვენს საზოგადოებაში ქალებს გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ: ოჯახი, ბავშვები. ლიტერატურა კი მეორე ადგილზე რჩება, ანუ უპირატესობას სახლის საქმეებს ვანიჭებთ. მხოლოდ მათი დასრულების შემდეგ ვუბრუნდებით წერას. მამაკაცი კი ასე არ არის. ამ საკითხში მას დრო და თავისუფლება მეტი აქვს. გარდა ამისა, ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებიც ნაკლები აქვს“ (Karaca, 2006:167) **ლატიფე თექინი:** “ისეთ გარემოში გავიზარდვ, სადაც ქალების მიერ მამაკაცების მტრად აღქმა და პირიქით, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუ მწერალი უნდა მიწოდოთ, მაშინ მირჩევნია „ქალი მწერალი“ მერქვას, რადგან ქალების გამაგიჟებელი მზერითა და ჩურჩულით მამაკაცების სისუსტის, მათი ჰეგემონიის რყევის შეგრძნება ძალიან დიდ სიმოვნებას მანიჭებს“ (Çağdaş, 1993:25) **ერდენიზ ათასუ:** “მე დადებითად ვუყურებ ცნებას „ქალთა ლიტერატურა“, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ცნება პატრიარქალური კულტურის კარგად ამსახველი ცნებაა. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ქალი მწერალი სიუჟეტს, ენასა და სიმბოლოებს მამაკაცი მწერლებისგან განსხვავებულად იყენებს” (Karaca, 2006:343).

გვიქრობ, იმ მწერლების დამოკიდებულებას, რომლებიც ცნება „ქალთა ლიტერატურის“ წინააღმდეგი არიან, დიდად განაპირობებს საზოგადოებრივი განწყობა. სიტყვა „ქალი“ ქალების საზოგადოებაში მარგინალურ სტატუსთან არის ასოცირებული. ქალი მწერლების შემოქმედებაზე საუბრისას, თურქი მწერალი ქალების შემოქმედების მკვლევარი პაკერი უურადღებას სიტყვა „ქალის“ მხოლობით რიცხვში წარმოებაზე ამახვილებს („ქალის უფლება“, „ქალის საკითხი“) და ამ ენობრივ ფენომენს ქალურობის აღქმას უკავშირებს. სასაუბრო

ენაში სიტყვა ქალი „მეორეხარისხოვანისა“ და „განსხვავებულის“ მნიშვნელობას ატარებს.“ თურქულ ში სიტყვა “ქალი“ მხოლოდ სიტყვა მამაკაცისგან განსხვავების მნიშვნელობით არ იხმარება. მას არაქალიშვილი გოგონას ქალიშვილი გოგონასგან განსხვავების მნიშვნელობაც აქვს. სასაუბრო ენაში „ქალი“ დაბალი სტატუსის მაჩვენებლია, რადგან ტერმინი უშუალოდ უკავშირდება სქესს. ამის ნათელი მაგალითია სიტყვა „ქალის“ „დამლაგებლის“ მნიშვნელობით გამოყენება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სქესის სტატუსი დამლაგებლის სტატუსთან არის გაიგივებული. სახლის უფროსი თავის მეუღლეს „ჰანიმს“ უწოდებს. ამგვარად, „ჰანიმის“ ოქმის შემთხვევაში სქესის სტატუსი სოციალური სტატუსის ქვეშ დაფარული სახით არის მოცემული, ხოლო სიტყვა „ქალის“ ხმარების შემთხვევაში დაბალი სოციალური სტატუსი იგულისხმება. იმის გამო, რომ სიტყვა „ქალი“ სქესობრივი და რეპროდუქციული მნიშვნელობის მატარებელია და, გარდა ამისა, „არაქალიშვილს“ „ქალიშვილისგან“ განასხვავებს (ანუ მორალურ საკითხთან არის დაკავშირებული), თურქეთში ცნება „ქალი მწერლის“ დამკვიდრების პროცესი კიდევ უფრო გართულებულია. მწერალი აფეთ ილგაზი ცნებისადმი თავის დუალისტურ დამოკიდებულებაზე საუბრობს: „ჩვენ ვცდილობთ, სიტყვა „ქალს“ მივეჩვითო. თურქულმა საზოგადოებამ მას უარყოფითი მნიშვნელობა მიანიჭა. ქალობის ძალიან გვრცხვენია, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საერთოდ არ აღიარებს მას. მეც მათ რიგებში ვიყავი, ორპან ქემალს „მამაკაც მწერალს“ უწოდებს ვინმე? მაშინ მე რა უფლებით მიწოდებო ქალ მწერალს? თუმცა ახლა ვხვდები, რომ ჩვენ სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო ვერ ვიღებო და ვითავისებო ცნება „ქალ მწერალს“, რითაც ქალურობაზე ვამბობო უარს და მიგვაჩნია, რომ ქალად ყოფნა მხოლოდ სქესის თვალსაზრისით განსხვავებას ნიშნავს “(Durakbaşa, 2012:16).

კრიტიკისისა და პროფესორის ჰასან ბულენთ კაპრამანის აზრით, “თურქეთში იყო ქალი, ძალიან რთული პროფესია” (Kahraman, 2003:5). მიუხედავად ამისა, 1970-1980-იანი წლები ნათლად აჩვენებს, რომ ქალ მწერლებს გარკვეული სახის გამოცდილება დაუგროვდათ. ჰულია არგუნშაჰი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალი მწერლები სამწერლობო სივრცეში აქტიური სახით 1970 წლის შემდეგ გამოჩდნენ. ”ჩვენს ლიტერატურაში არასოდეს ყოფილან ქალი მწერლები ისეთი დიდი როდენობით, როგორც ეს 1970 წლის შემდეგაა. ამ დრომდე ქალები ლიტერატურის “მომხმარებლებად” ითვლებოდნენ. 1970 წლის შემდეგ კი სიტუაცია

ისე შეიცვალა, რომ ლიტერატურაში ქალს მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭა. ეს ყველაფერი კი საზოგადოებრივი პროცესების, კარგი განათლების, ლიტერატურაში სოციალური საკითხების ასახვის კარგად გაცნობიერების, ლიტერატურაში ქალის ადგილისა და ქალი მწერლის შესახებ არსებული კრიტიკის შედეგია” (Argunşah, 1999:35). 1970 წლამდე რატომ წერდნენ ქალები მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური საკითხების შესახებ და რატომ უგულებელყოფდნენ ქალთა საკითხს? რატომ იკავებდნენ ისინი თავს მამაკაცური ჰეგემონიის კრიტიკის შემთხვევაში? ეს მოვლენა დაკავშირებულია “დანაშაულის გრძნობასთან”, რომელსაც ქალებს ტრადიციული მორალი უვითარებს.

1980 წელს ქალი ავტორები თანამედროვე ქალების პრობლემებს სხვადასხვა კუთხით აშუქებენ. მწერალი ნალან ბარბაროსოლლუ 1980-იან წლებს შემდეგნაირად ახასიათებს: “1980 წელი მართლაც გამორჩეულია. ადამიანები მარტო დარჩნენ. ქალები კი ისედაც მარტო იყვნენ. ლიტერატურა მარტოობის დაძლევის კარგი საშუალება იყო. ხშირად გვსაყველურობენ, რომ ჩვენს ნაწარმოებებში დიალოგი არ არის, ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავთან საუბრით ვცხოვრობთ”(Erden, 2011:29). ქალი ავტორები პიროვნების ჩამოყალიბებაში საზოგადოების როლისა და ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი ღიად საუბრობენ ქალის სექსუალობის საკითხზე. ქალისა მამაკაცის ურთიერთობის თემა თითქმის ყველა ქალი ავტორის შემოქმედებაში იკავებს ადგილს. მწერლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი აღიქვან არა მხოლოდ როგორც ქალები, არამედ როგორც ადამიანები. ადალეთ აღაოღლეუ რომანში *Ölmeye yatmak* (“მზადება სიკვდილისთვის”) განათლებული ქალის დრამას აღწერს, რომლის სურვილია, რომ “იგი აღიქვან არა ისეთ ქალად, რომლის მოვალეობა კაცებთან დაწოლა და საჭმლის მომზადებაა, არამედ ადამიანად.” 90-იან და 2000-იან წლებში ქალი ავტორების შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს შემდეგი საკითხები იჭერს: საზოგადოებაში ქალის, როგორც ინდივიდის, პრობლემა, ქალთა შინაგანი სამყაროს აღწერა, პოლიტიკური კონფლიქტებით დაინტერესება, მარტოობის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, სექსუალური ძალადობა, ინცესტი, ბავშვებზე სექსუალური ძალადობა, ქორწინებაში სექსუალური პრობლემები, მენოპაუზა, მშობიარობა, ტრადიციები და სამყაროს ახლებული ხედვის პერსპექტივები. აღნიშნული საკითხებს ხშირად ეხებიან ისეთი მწერლები, როგორებიც არიან ლეილა ერბილი, აიშე კულინი, ემინე

იშინება, ფინარ ქური, დუიგუ ასენა, ფეიზა ჰემილინგირლერ, ერდენიზ ათასუ, ფურუზანი, ელიფ შაფაქი და სხვები. ფინარ ქური, დუიგუ ასენა, ერდენიზ ათასუ და ინჯი არალი ქალთა საკითხს ფემინისტური თვალთახედვით განიხილავენ. მათ თამამად შეიძლება ვუწოდოთ ფემინისტი მწერლები. დუიგუ ასენა ქალის თვალით დანახულ მამაკაცთა სამყაროსაც აღწერს. ინჯი არალი აღნიშნავს “ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმ დამოკიდებულებისა, რომელსაც საზოგადოება იჩენდა ქალის მიმართ. ვთვლი, რომ ქალი ლამაზი, ჭკვიანი და ძლიერია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ფემინიზმის როლი. მამაკაცებს პატივს ვცემ და ვთვლი, რომ მთავარი დამნაშავე საზოგადოებრივი ვალდებულებებია. მე ვხედავ, როგორი სუსტები არიან და როგორ ეშინიათ მამაკაცებს ქალების. საჭიროა მამაკაცებთან ერთად გამოსავლის პოვნა. დიახ, ყველა მამაკაცის შიგნით არის ქალი და ყველა ქალის შიგნით – მამაკაცი” (Öğüt, 2007:66). ქალი ავტორის ანდროგენულობის შესახებ საუბრობს მწერალი ერდენიზ ათასუც. მისი აზრით, “ანდროგენული სულის მქონე ქალ მწერალს უნდა შეეძლოს საკუთარი თავი წარმოიდგინოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი გმირის სახეში”(Atasü, 2001:10).

2000 წლიდან არსებობს ქალი ავტორების მიერ დაარსებული ქალ მწერალთა გაერთიანებები, რომლებიც ქალი მწერლების პრობლემებს, მწერლობასთან დაკავშირებული სიმნელეების საკითხს განიხილავენ. ამ გაერთიანებებიდან ყველაზე ცნობილი გაერთიანებებია “ავტოფიოგრაფია/ბებიის ატელიე”, “ეგვისელი ქალი მწერლები” და თურქეთის პენ ცენტრის ქალ მწერალთა კომიტეტი.

ქალთა საკითხს მწერლები სხვადასხვა კონტექსტიდან განიხილავენ. ვფიქრობ, მათ მიერ დანახული ქალი კარგად ასახავს საზოგადოებისა და პიროვნების პრობლემას. მწერალი ნალან თუნთაში წერს: ”ჩვენს ქვეყანაში მართლაც ასეა, ქალი დამცირებული, შურაცხეყოფილი და დისკრიმინირებულია. ქვეყნის აღმოსავლეთით – წეს-ჩვეულებებით, დასავლეთით კი სხვა ფორმით ხდება მათზე ძალადობა. თურქეთში ქალი მუდამ მარგინალიზებულია. მოდელები, ხელოვნების სფეროში მოდვაწე ქალები, რომლებიც თითქოს დამოუკიდებელი ქალები არიან, დისკრიმინაციის თვალსაზრისით არაფრით განსხვავდებიან აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ქალებისაგან. ეს ორი ჯგუფი სქესობრივი თვალსაზრისითაც თანაბარ დონეზე განიცდის დისკრიმინაციას” (Tuntas, 2010:7-8).

“ქალთა ლიტერატურის” განვითარების პერსპექტივა დაკავშირებულია ქალის საზოგადოებაში და ხელოვნებაში ადგილის განსაზღვრის საკითხთან. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ქალთა ემანსიპაციის დონეს. თურქეთში ქალის ემანსიპაციის საკითხი ქვეყანაში მიმდინე გაევროპელების პროცესებს უკავშირდება. ამ პროცესის მნიშვნელოვანი შედეგია ფემინისტური პრაქტიკის არსებობაც. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მწერალი უარყოფს ფემინიზმთან ურთიერთობას, სწორედ ქალთა მოძრაობამ, ფემინისტურმა თეორიამ და პრაქტიკამ ჩამოაყალიბა ის მნიშვნელოვანი “იდეა”, რომლის ირგვლივაც ქალი ავტორები არიან გაერთიანებულები. მათ შემოქმედებაში კვლევის ობიექტი არის ქალი და მასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი ავტორები მხოლოდ ქალის საკითხზე წერენ ვიწრო კუთხით. ისინი პოლიტიკური და საზოგადობრივი თემებით თანაბრად ინტერესდებიან. თუ მწერალი არის ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის შესახებ წერს, მაშინ წერს რა საკუთარ ისტორიას, საზოგადოების და კაცობრიობის ისტორიის მწერალიც გამოდის. უერარ ჟენეტის თქმით: “დღეს თუ ვინმეს ეჭვი არ ეპარება იმაში, აქვს თუ არა წერის უფლება, იგი მწერლად არ ითვლება. ის, ვინც ვერ ხედავს სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს, გამოდის, რომ ამ სამყაროზეც ვერაფერს იტყვის”(Andaç, 2004:17).

”ქალთა პროზის” არსებობა ლიტერატურის გამდიდრების გზადაც შეიძლება შევაფასოთ. პატრიარქალურ, მკაცრ ნორმებში მოქცეულ ლიტერატურას ქალური ემოციურობა, მგრძნობელობა სხვა სილამაზეს მატებს. თუ ვიტყვით, რომ ქალმა ავტორებმა ლიტერატურის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს და დღესაც შეაქვთ, გადაჭარბებული შეფასება არ გამოგვივა. გასაანალიზებელ თემათა მრავალფეროვნება, ან თუნდაც ახალი უანრის დამკვიდრება ლიტერატურას უფრო ამდიდრებს. მაგალითად, ავტობიოგრაფიული ჟანრი “ქალურ” ჟანრად არის მიჩნეული. ჩვენ უკვე შევეხეთ ქალი ავტორების ლიტერატურაში დამკვიდრების საკითხს, მაგრამ დამატების სახით შეგვიძლია დავსძინოთ შემდეგი: დღეს თუ თურქულ ლიტერატურაში ქალ ავტორთა რაოდენობა დიდია, მათ აფასებენ და უყვართ, ეს ხანგრძლივი და მტკიცნეული პროცესის შედეგია, რამაც საბოლოო ჯამში ქალთა გამოცდილების დაგროვებას შეუწყო ხელი. ეს გამოცდილება კი უშუალოდ არის დაკავშირებული იმ საკითხებთან, რომლებიც ქალთა მოძრაობამ დააყენა — იდენტურობა, სექსუალურობა, სხეული და ფემინისტური პოლიტიკური პრაქტიკა. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც, ურთიგვარად,

ქალური პროზის არსებობის “გამართლებაა”. ეს არის მკითხველი. მკითხველისათვის საინტერესო ხდება, ქალი მწერლის თვალითაც შეხედოს სამყაროს, ყურადღება მიაქციოს იმ საკითხებს, რომლებიც მანამდე არ გაშექებულა. ქალი ავტორების შემოქმედებით მკითხველის დაინტერესებას ფინარ ქური ერთ ახსნას უქებნის: ”ადამიანს სურვილი უჩნდება აქამდე “უცნობი” დედის, ცოლის შესახებ წაიკითხოს და გაიცნოს იგი” (Kür, 1999:6).

კითხვას – რატომ წერენ ქალები? – შეიძლება ბევრი პასუხი მოეძებნოს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც ის არის, რომ წერა აძლევს ქალს საშუალებას, თავი სუბიექტად იგრძნოს. რენე დეკარტის ცნობილ გამონათქვამს – “ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ” – შესაძლოა შემდეგი სახის ინტერპრეტაციაც მივცეთ: “ვწერ, მაშასადამე ვარსებობ”. “ტექსტის დაწერა და კითხვა არის გამოცდილება, რომლითაც სუბიექტი დაკავშირებულია საზოგადოებასთან და ლიტერატურულ საქმიანობასთან (Риоткене, 2000:6). გარდა ამისა, წერა აძლევს ქალს საშუალებას, შეაღწიოს სხვა ადამიანების სამყაროში და ხელახლა დაიბადოს; მოიპოვოს ავტონომიური სუბიექტის სტატუსი. ცნობილი მწერალი ნეზიპე მერიჩი საკუთარი ცხოვრების აზრს წერაში ხედავს. მისი აზრით, “მხოლოდ ხელოვნებით არის შესაძლებელი, ადამიანმა საკუთარი თავის გამოხატვა შეძლოს” (Andaç, 2004:20). იგივე დამოკიდებულება აქვს ემინე იშინსუს: “ვწერ იმიტომ, რომ ბედნიერი მინდა ვიყო, არაფერი ისე არ მაბედნიერებს, როგორც წერა. თუ არ დავწერ, მოვკვდები, წერა ჩემი ცხოვრების აზრია. მჯერა, რომ წერისთვის დავიბადე. და თუ წერას თავს დავანებებ, შეიძლება მოვკვდე, შინაგანად ცარიელი ვიქნები” (Karaca, 2006:101). ადალეთ ადაოდლუსათვის ხელოვნება ჭეშმარიტი თავისუფლების სფეროა: “ხელოვნება ერთადერთი სამყაროა, რომელშიც არსებობა შესაძლებელია, ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალი სწორედ იქ არის” (Karaca, 2006:27). შინაგანი სიცარიელის დაძლევის მიზნით წერის შესახებ საუბრობს მწერალი ელიფ შაფაქი: “ვწერდი, რადგან რეალურ ცხოვრებაზე უფრო მეტად ცხოვრებისეული ჩემთვის ირეალური ცხოვრება იყო” (Karaca, 2006:99). მწერალი თომრის უიარი აღნიშნავს: ”წერა, შესაძლოა, ადგილის განსაზღვრის მცდელობად შევაფასოთ. შესაძლოა, გვინდა როგორც ცხოვრებისა და დროის განსაზღვრა, ასევე იმ ადგილის განსაზღვრაც, სადაც ვცხოვრობთ” (Andaç, 2004:21). აისელ ოზქანისთვის წერა ჰეგემონური კულტურის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი იარაღია: ”ჰეგემონურმა იდეოლოგიამ, ადამიანთა ურთიერთობაზე გავლენის მქონე

ლირებულებათა სისტემამ და ამ ყველაფრისადმი მახინჯმა დამოკიდებულებამ წერისკენ მიბიძგა” (Andaç, 2004:23). ფერიდე ჩიჩქოლლუს აზრით, “ლიტერატურა სხვის ცხოვრებაში ჩარევის საშუალებაა, მოსწავლეობის ხანს სკარლეტ ოპარას გამო ვღვრიდი ცრემლებს, შემდეგ კამიუს “უცხოში” საკუთარი თავი დავინახე. ახლაც შემიძლია საკუთარი ცხოვრებიდან გაქცევა, მომწონს, როცა საკუთარ გამოცდილებას სხვას ვუზიარებ და თუ საკუთარი იდენტობის დაცვა მინდა, უნდა ვწერო” (İleri, 1987:2). ფერიდე ჩიჩქოლლუს ეს სიტყვები შესაძლოა ყველა ქალ მწერალზე განვაზოგადოთ. მხოლოდ საკუთარი იდენტობის დაცვით, მხოლოდ იმის გაცნობიერებით, რომ ქალი მწერალი ხარ, შესაძლებელია ვიმსჯელოთ “ქალთა პროზის” არსებობასა და განვითარების პერსპექტივაზე.

თურქულ ლიტერატურაში ქალთა პროზის განვითარების და პერსპექტივების შესახებ საუბრისას ვცდილობთ, გამოვავლინოთ ის მიზეზები და შედეგები, რომლებიც საკითხის კვლევაში მეტ სიცხადეს შეიტანს. ვცდილობთ, დავადგინოთ მოტივაცია, რატომ წერენ ქალები, გამოვავლინოთ ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან და ცენტრალურ აღგილს იჭერენ ქალი ავტორების შემოქმედებაში.

”ქალთა პროზის” კლასიფიკაციას თუ შევეცდებით, იმ ისტორიული, პოლიტიკური და საზოგადოებროვი ატმოსფეროს გათვალისწინება დაგვჭირდება, რომელშიც ”ქალთა პროზას” ჩაუყარა საფუძველი. 1950-60-იანი წლების შემდეგ ქალისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, იმიტომ რომ ისტორიული პირობები შეიცვალა.

პალიდე ედიფის “იდეალური და ასექსუალი ქალის ტიპი” საკუთარი “იდენტობის მოპოვებაზე ორიენტირებულმა ქალის ტიპმა” შეცვალა. დღის წესრიგში ქალთა სექსუალობის საკითხი დადგა. ხაზი ქალის თვითშეგნების ამაღლების საკითხს გაესვა. აქამდე ტაბუდაღებული თემების შესახებ დია მსჯელობა ქალთა თავისუფალი აზროვნების მაჩვენებელია, რაც გარკვეული სახით დროსაც უკავშირდება; ანუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მეტ-ნაკლებ გავლენას ყველა ქვეყანაზე ახდენს. დროთა განმავლობაში ლირებულებათა გადაფასება ფუნდამენტური საკითხების დეკონსტრუქციისა და ახლებურად რეკონსტრუქციის აუცილებლობას ქმნის. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აღნიშნულ საკითხებზე ქალი მწერლები აქტიურობენ და გადაჭრის გზებს სახავენ. ჩვენ ვეცადეთ იმ ქალი მწერლების მოსაზრებები გაგვეცნო, რომლებიც თურქულ ლიტერატურაში გამორჩეულ აღგილს იკავებენ. მათი უმეტესობა თავს ფემინისტად არ მიიჩნევს, თუმცა ქალთა საკითხის კვლევის სფეროში ფემინიზმის კვალი

შესამჩნევად დიდია. არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც ფემინიზმით დაინტერესებას და მის გავლენას არ უარყოფენ და ფემინიზმის აპოლოგეტადაც კი ითვლებიან. მხედველობაში მყავს თანამედროვე მწერალი ქალები დუიგუ ასენა და ფინარ ქური.

თავი IV

4.1 ფინარ ქური და დუიგუ ასენა (შემოქმედების კონცეპტუალური საკითხები)

თურქულ ლიტერატურაში ფემინისტური თეორიებისა და პრაქტიკის კვალი ყველაზე მეტად ფინარ ქურისა⁸⁶ და დუიგუ ასენა⁸⁷ შემოქმედებაში იგრძნობა. მათი მოღვაწეობა იმ პერიოდთან არის დაკაშირებული, როდესაც ქალი მწერლების შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი ქალმა დაიჭირა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საკითხს სხვა ქალი მწერლებიც აშუქებენ, მიმართია, რომ აღნიშნული ქალი მწერლები საკითხის დასმის თვალსაზრისით რადიკალურობით გამოირჩევიან. მათი კველვის ცენტრალური ობიექტი არის ქალი და ყველა ის სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური თუ ტრადიციულ-მორალური საკითხები, რომელიც ქალის პიროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მათ შემოქმედებაში პროტაგონისტი ქალების ორ ჯგუფს ვხედავთ. არიან როგორც კომფორმისტი ქალები, ისე ნონკომფორმისტი ქალები. თუმცა ქალი

⁸⁶ ფინარ ქური დაიბადა 1945 წელს ბურსაში. დედა – ისმეთ ქური, საბავშვო მწერალი იყო, მამა ბერიამ ქური – მათემატიკოსი. ფინარ ქური არის ცნობილი ქალი მწერლების პალიდე ნუსრეთ ზორლუბუნას დისტვილი და ემინე იშინეუს დეიდაშვილი. ანკარაში კოლეჯის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა საფრანგეთში, სორბონას უნივერსიტეტში. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე “მე-20 საუკუნის თეატრი, რეალობა და ილუზია”. ჰყავს ერთი ვაჟი. 1964 წლიდან დღემდე არის ბილგის უნივერსიტეტის მოწვევული პროფესორი. 1984 წელს მიენიჭა საით ფაიქის სახელობის პრემია.

⁸⁷ დუიგუ ასენა დაიბადა 1946 წლის 19 აპრილს სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის პედაგოგიური განყოფილება. გარკვეულ პერიოდი მუშობდა როგორც პედაგოგი. 1972 წლიდან დაიწყო ჟურნალისტად მუშობა გაზეთ “თავისუფლებაში” თავად იყო. ურნალების: ”Kadinca“ (“ქალური”), ”Onyedi“ (“ჩვიდმეტი”), ”Negatif“ (“ნეგატივი”), ”Kim“ (“გინ”), ”Ev kadını“ (“დიასახლისი”) ხელმძღვანელი. 1987-2004 წლებში 8 წელი დაბეჭდა. გარდაიცვალა 2006 წელს.

პერსონაჟების ასეთი კლასიფიცირება მწერალთა “ფარული მიზნის” გამოვლენას ემსახურება. მათი შედარებისას ჩვენ შეგვიძლია დასკვნების გაკეთება, როგორი დამოკიდებულება აქვთ თავად მწერლებს ქალთა საკითხისდამი. არსებობს საკითხები, რომლებშიც მწერლების მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ საკითხის გადაჭრის გზები განსხვავებულია. დუიგუ ასენა კონკრეტულ გამოსავალს გვთავაზობს, ფინარ ქური კი ზოგ შემთხვევაში ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება და დასკვნების გამოტანას მკითხველს ანდობს.

ორივე მწერალი თავისებურად საინტერესოა. ფინარ ქურის შესახებ პროფესორი ფერიდუნ ანდაჩი წერს “ფინარ ქური სალიტერატურო სივრცეში 70-იან წლებში გამოჩნდა. მკითხველის წინაშე ახალი, განსხვავებული ხედვის მწერალი წარდგა. პიროვნების საზოგადოებასთან კონფლიქტი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის საკითხი ახლებურად განიხილებოდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა მწერლის მაღალი თვითშეგნება” (Andaç;2004:24). ფინარ ქურისათვის ლიტერატურა არის სფერო, რომელშიც რეალური სამყაროა აღწერილი. იგი იმ საკითხებზე ამახვილებს ყურდღებას, რომელიც იმ ეპოქას ასახვას, რომელშიც თავად ცხოვრობს. “ნაცნობი საკითხების ახლებური განხილვა, მათზე განსხვავებული ფიქრი, ანუ საკითხის დასმა აი, რა არის ხელოვანის მთავარი მიზანი” (Yazko,1980:81). ჩვენ მიერ დაწერილ ყველა სტრიქონში ჩვენს ეპოქას ვეცნობით,” –ამბობს მწერალი. აქედან გამომდინარე, იგი, როგორც მწერალი და მით უფრო, ქალი მწერალი, მეტი სიმბაფრით აღიქვამს ქალის საკითხს. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ქალი მწერლების მიერ ქალთა საკითხის განხილვა ქალური პერსაჟებივიდან ხდება, რაც მკვეთრად განსხვავდება ქალის მამაკაცური პროექტისგან. ქალური პერსაჟებივა კი ნიშნავს ქალი მწერლების მხრიდან “სხეულისმიერი”, “ემოციური”, თემების წინ წამოწევას. “ქალი მწერალი საკუთარ ემოციურ მხარეებს მეტ ყურადღებას აქცევს, რა თქმა უნდა. მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაც განსხვავებულია. ამან კი ქალს სხეულისმიერ, სულიერ, მორალურ საკითხებში მეტი სიღრმე შესძინა. ცხოვრებისეული განსხვავების ხელოვნების ნიმუშში ასახვა ბუნებრივი მოვლენაა. გარდა ამისა, ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ინდუსტრიალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ქალსა და მამაკაცს შორის კლასობრივი განსხვავებაც არსებობს. მართალია, ამას ბევრი არ ეთანხმება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. თურქეთში ქალი, რომელი ქლასის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, იქნება ის ბურჟუა,

მუშა, გლეხი, დისკრიმინირებულ კლასს წარმოადგენს. იმ ქალთა რიცხვი, რომლებმაც ეკონომიკური თავისუფლება მოიპოვეს, იმდენად მცირეა, რომ ეკონომიკური თავისუფლების მიუხედავად, საზოგადოებრივ თავისუფლებას მოკლებულნი არიან. ამ ძალადობის, დისკრიმინაციის, ყველაზე მკვეთრად აღმქმედი, გამგები და ამსახველი კი ქალი მწერალია” (Andaç, 2004:24). ცნების ”ქალი მწერალი” დამკვიდრებას ფინარ ქური ფემინიზმის დამსახურებად მიიჩნევს. ”ქალი მწერლებისადმი სერიოზული დამოკიდებულება და ჩვენს ლიტერატურაში ლოკომოტივის როლის შესრულება 1970 წლის შემდეგ დაიწყო. ცნება ”ქალი მწერალი” დღეს ირონიას ადარ იწვევს. ეს კი ფემინისტების დამსახურებაა. ისინი ამბობენ, რომ ქალს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ქალია და საკუთარი შინაგანი სამყარო უნდა აღწეროს, საკუთარი ქალურობა უნდა გამოიყენოს. მე სავსებით ვიზიარებ მათ მოსაზრებას” (Karaca,2006:264).

დუიგუ ასენასათვის ქალის თავისუფლება, იქნება ეს ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ სექსუალური, ძალიან მნიშვნელოვანია. რატომ აირჩია მწერალმა კვლევის ობიექტად ქალი? ”ვხედავდი, რომ ქალი მარტოხელა და ძალიან სუსტია. მოზარდობის ასაკიდან მოყოლებული ვცდილობდი, გამეგო ოჯახში მამის ავტორიტეტის ფენომენი. ყველაფრის გაგების და ამოხსნის სურვილი თანდათან დაგროვდა ჩემში. გარკვეული პერიოდი ქალების გრძნობებს ყურადღებას არ ვაქცევდი. მათ მიერ განცდილი და გადატანილი ცხოვრებისეული სიძნელეები ბუნებრივად მიმაჩნდა. ქალები ვერ საუბრობენ ქალის განცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე. სექსუალური ურთიერთობა, ოგულაცია, გინეკოლოგთან წასვლა, აბორტი, თითქმის არასოდეს განიხილება. თუმცა ეს საკითხები ძალიან დიდი გავლენს ახდენს ქალზე. უსამართლობა ყოველთვის ბრაზს იწვევდა ჩემში. უსამართლობის მოწმე თუ გავმხდარვარ, ისიც ქალების წინააღმდეგ ჩადენილი უსამართლობა იყო. სწორედ ამიტომ ავირჩიე ეს საკითხი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრი რამ შევიტყვე და ჩემი რეაქცია უფრო მკვეთრი გახდა. ეს რეაქცია კი ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოვეცი. თან ძალიან მინდოდა ჩემი საკითხისადამი დამოკიდებულება სხვებისათვის გამეზიარებინა” (Karaca,2006:45). საკუთარი გრძნობებისა და აზრის გამოხატვის ყველაზე კარგი საშუალება კი მწერლისათვის ლიტერატურა აღმოჩნდა. რეალისტური თვალით აღწერილი გარემო ლიტერატურის კრიტიკოსებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მასზე წერდნენ,

რომ მისი რომანები მხატვრულობით არ გამოირჩევა, იგი არის ავადმყოფური წარმოსახვის მქონე მწერალი, რომელიც თვით “დედობის” ფენომენსაც არ სცემს პატივს (Karaca;2006). თუმცა თავად მწერალი კრიტიკას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ცნობილი მწერლის, აზიზ ნესინის, მისთვის ნათქვამ სიტყვებს იხსენებს: “სხვების სიტყვებს ყურადღება არ მიაქციო, წიგნი თუ დროს უძლებს, გამოდის, რომ მარადიულია” (Karaca,2006:97). საზოგადოების დარჩენილი ნაწილისათვის კი დუიგუ ასენა არის მწერალი, რომელიც ტაბუდადებულ თემებზე დიად საუბრობს, მისი სახელი ასოცირდება გამბედაობასთან და თავისუფლებასთან. “დუიგუ ასენა დაკავშირებულია თავისუფლების, სიმართლის თქმასთან, ფლირტთან, სიყვარულთან, მამაკაცებისა და ქალების თანასწორ თანაცხოვრებასთან” (Arman,2005:5). სწორედ დუიგუ ასენას სახელთან არის დაკავშირებული ცნება “ქალურობის” დამკვიდრება.

მნიშვნელოვანია იმისა აღნიშვნა, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ფინარ ქურსა და დუიგუ ასენას ფემინიზმთან. თურქეთში დუიგუ ასენა ფემინიზმის ყველაზე აქტიურ წარმომადგენლად არის მიჩნეული. როგორც სოციოლოგი შირინი თექელი აღნიშნავს, “დუიგუ ასენას ნაქადაგები თანასწორობა 1949 წელს სიმონა დე ბოვუარის “მეორე სქესეა” და 1963 წელს ბეტი ფრიდანის “ქალური მისტიკის” მთავარ აზრს ეხმიანება” (Tekeli,1987:6). მკითხველი დუიგუ ასენას თურქ ერა დარცს უწოდებს და მისადმი მადლიერებას გამოხატავს. მან ქალებს დაანახა, რომ შესაძლებელია გახდე ფემინისტი, შესაძლებელია გააკრიტიკო მამაკაცური ჰეგემონური კულტურა. თავად მწერალი კი წერს: ”მე ერთ დღეში არ გავმხდარვარ ფემინისტი, კონსერვატორი მამის შვილი ვარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფემინისტი გავხდი, ვიცი, რომ მამაკაცებისგან განსხვავებულები ვართ და მათთან პარმონიაში ყოფნა წარმოუდგენელია” (Vatansever, 2003:7). ფინარ ქური თურქეთში ფემინიზმისა და, ზოგადად, ფემინისტების შესახებ დამოკიდებულებას შემდეგნაირად აღწერს: “მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მკვეთრად გამოხატული ფემინისტური მოძრაობა არ არის, ანტიფემინისტური პროპაგანდა საკმაოდ დიდია. მამაკაცური ჰეგემონია იმდენად ძლიერია ჩვენს ქვეყანაში, რომ სიტყვა ფემინიზმის გაგებაც კი მწვავე რეაქციას იწვევს. მაგრამ ამ სიტყვის შინაარსი არავინ იცის და არც არავის აინტერესებს. რეაქცია ზღვარსაც სცილდება და შეურაცხყოფის, დამცირებისა და დაცინვის სახეს იღებს. ასეთი დამოკიდებულება ცივილიზებული, განათლებული მემარცხენე ადამიანებისგან მოდის, თორემ უბრალო, ქუჩაში მდგომა ადამიანმა

ფემინიზმის შესახებ შესაძლოა არაფერი იცოდეს. ანტიფემინისტური პროპაგანდა ფემინიზმის არსის გაანალიზებით არ არის დაკავებული, ფემინისტებს ან “მამაკაცების მტრად”, ან “მამაკაცებზე გაგიჟებულ ქალებად” იხსენიებს. ქალი, რომელიც ამბობს, რომ ფემინისტი არ არის, გარკვეული სახით, ასეთი “ბრალდებისგან” იცავს თავს, ან პგონია, რომ იცავს. საჭიროა ერთობლივი და შეგნებული მუშაობა. არსებობენ ქალები, რომლებიც ამბობენ, რომ მეუღლებისგან დისკრიმინაციას არ განიცდიან და სახლის საქმეებშიც კი მხარდაჭერას გრძნობენ მათგან. ასეთი შეხედულების მქონე ქალი, რა თქმა უნდა, ფემინიზმით არ დაინტერსედება. მაგრამ საჭიროა, სწორედ მათ აეხსანთ, რა განსხვავებაა ყალბ სიმშვიდესა და ნამდვილ თანასწორობასა და თავისუფლებას შორის” (Somut,1989:9). მწერლების ფემინიზმისადამი აშკარა დამოკიდებულება რადაც დოზით მათ შემოქმედებით საქმიანობაზე აისახა. ფინარ ქური გულისტკივილით აღნიშნავს, რომ იყო მწერალი, თურქეთში ძალიან რთულია, რადგან არც სახელმწიფოს და არც კრიტიკოსებს მწერლის მხარდაჭერის სურვილი არ აქვს. “აქამდე გამოქვეყნებული რომანები იმის გამო იყო გაკრიტიკებული, რომ მხოლოდ ქალის დისკრიმინაციასა და მასზე სექსუალური ძალადობის საკითხს ვეხებოდი. მიუხედავად იმისა, რომ რომანში “ქალი სახრჩობელაზე” სამი ნარატორი მამაკაცი პერსონაჟია, ეს “გამბედობად” არავინ შეაფასა. პირიქით, კრიტიკა დავიმსახურე. ამის მიზეზი კი ფემინიზმის თანდათან დამკვიდრების შიშის შედეგია” (Somut,1989:9). დუიგუ ასენა ერთ-ერთ ინტერვიუში წერდა: “იმის გამო, რომ ისეთ საკითხებს შევეხე, რომელთაც აქამდე ასე დიად არავინ შეჭებია, ქალი მწერლების ერთი ნაწილისგან დამცირებისა და შეურაცხყოფის ატანაც მომიხდა” (Akgün,2003). 2006 წელს გაზეთ “დროის” უურნალისტი, მწერალი ნიჭალ ბენგსუ კარაჯა სტატიაში “ჩვენი გამყოფი მდინარეები” წერდა: “დუიგუ ასენას გარდაცვალება ბევრ ჩემს ნაცნობ მამაკაცს გაუხარდა. ასენა თურქულ-მუსლიმურ კულტურაში ქალთან დაკავშირებულ წარმოდგენებსა და მისტიციზმს დიდ ზიანს აყენებდა” (Karaca;2006).

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედების კონცეპტუალური საკითხები

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედებიდან ჩვენ შემდეგი კონცეპტუალური საკითხები გამოვყავით:

1. ქალის სუბიექტობის კონცეფციის საკითხი

2. ქალის სექსუალობის საკითხი

აღნიშნულ საკითხებს ვაანალიზებთ მწერლების რომანების მაგალითზე. ფინარ ქურის რომანები “Asılacak kadın” (“ქალი სახრჩობელაზე”), “Bitmeyen Aşk” (“დაუსრულებელი სიყვარული”); დუიგუ ასენას რომანები: “Kadının adı yok” (“ქალს სახელი არ აქვს”), “Kahramanlar hep erkek” (“გმირები მუდამ მამაკაცები არიან”).

4.2. ქალური სუბიექტობის კონცეფციის საკითხი

ფემინისტურ კრიტიკაში ქალური სუბიექტობის გააზრების საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე, ქალური სუბიექტობის რეპრეზენტაციისათვის დისკურსიული გზების ძიებაც. სანამ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ, ჟანრის საკითხის გარკვევა ამ კონკრეტულ საკითხს მეტ ნათელს მოჰყენს.

“მაღალი ლიტერატურის” კანონში სხვადასხვა ჟანრებს შორის ავტობიოგრაფიის ჟანრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მიჩნეულია, რომ იგი დღიურებისა და მემუარების მსგავსად “ქალურ” ჟანრს განეკუთვნება. ფემინისტური კრიტიკა ავტობიოგრაფიულ ჟანრს შემდეგი კუთხით განიხილავს. ქალის ავტობიოგრაფიული წერის მთავარი ამოცანაა გენდერული, ქალური “მე-ს” რეპრეზენტაცია. ამ თვალსაზრისით ავტობიოგრაფიის ტრადიციული გაგება იცვლება ავტოგინოგრაფიით, რომლითაც ავტობიოგრაფიულ წერაში აქცენტი კეთდება ქალის სპეციფიკურ სუბიექტობაზე. ავტობიოგრაფია, როგორც ჟანრი, წარმოადგენს ქალების მცდელობას, ილაპარაკონ ქალთა საკითხესა და ქალთა სპეციფიკურ ენაზე. ავტობიოგრაფიის მთავარ თემად ითვლება ოჯახისა და სახლის თემა. ოჯახი მიჩნეულია გენდერული იდენტიფიკაციის ფორმირების მოდელად. კლასიკური “ქალური” ავტობიოგრაფიისგან განსხვავებით გადამწყვეტილი იქნება ამ კონცენტრირებული სუბიექტობის განვითარების მიზანით. ავტობიოგრაფიის მთავარ თემად ითვლება ოჯახისა და სახლის თემა. ოჯახი მიჩნეულია გენდერული იდენტიფიკაციის ფორმირების მოდელად. კლასიკური “ქალური” ავტობიოგრაფიისგან განსხვავებით გადამწყვეტილი იქნება ამ კონცენტრირებული სუბიექტობის განვითარების მიზანით.

საკითხად ოჯახი და ინტიმური ურთიერთობებია მიჩნეული. დიდი ყურადღება ეთმობა საკუთარი სხეულისა და სექსუალობის შესახებ უშიშრად წერას. “ქალური” ავტობიოგრაფიული ისტორიის ყოველი სიტყვა, როგორც სხეულისა და სექსუალობის ისტორია, აფექტურია. სხეული, მშობიარობა, ძალადობა, ოვულაცია, ავადმყოფობა, ფეხმძიმობა, სიყვარული, სიძულვილი, ვნებები – ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც “ქალურ” ავტობიოგრაფიულ წერაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

რატომ გავამახვილეთ ყურადღება ავტობიოგრაფიის ჟანრზე? ჩვენ მიერ შერჩეული მწერლების ბიოგრაფიისა და შემოქმედების ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, მათი შემოქმედება მოგვეთავსებინა “ნახევრადავტობიოგრაფიული” ჟანრის ჩარჩოებაში. როგორც ფინარ ქური, ისე დუიგუ ასენა პირად საკითხებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ პერსონაჟები, რომელთაც ისინი ქმნიან, მხოლოდ მათი წარმოსახვის ნაყოფს არ წარმოდგენ. პერსონაჟების ისტორიები უშუალოდ მათივე ცხოვრებიდან არის აღებული. ორივე მწერალი ლიად საუბრობს მშობლებთან დამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებით კი მამასთან ურთიერთობაა ხაზგასასმელი. ფინარ ქურის პირად არქივში დაცული მასალების მიხდევით ირკვევა, რომ მწერლის სამწერლობო ცხოვრება მეტწილად მამის მიერ არის განსაზღვრული. სწორედ მამამ ურჩია მას, მსახიობობისათვის თავი დაენებებინა და მეტი დრო მწერლობისათვის დაეთმო. “მამაჩემი მათემატიკოსი იყო. სკოლაში ყევლაზე დაბალი ნიშნები მათემატიკაში მყავდა. მომდევნო წლებში მათემატიკოსებთან მომიხდა ურთიერთობა”⁸⁸. დედაჩემს რაც შეეხება, იგი ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო. ადრეულ ასაკში გათხოვების გამო არარეალიზებულად მიიჩნევდა თავს. ეს ძირითადად მამაჩემის ეჭვიანობით და ბევრი საქმით იყო გამოწვეული. მე დედაზე არ ვტრაზობ, იგი თავად ბრაზობდა ჩვენზე. იმის გამო, რომ იძულებული გახდა, შვილები გაეზარდა, წერას თავი დაანება”(Kür, Özel arşiv). დუიგუ ასენა “დილის გაზეთში” წერდა: „მამისგან რომ მეტი სიყვარული და სითბო მეგრძნო, ჩემი პიროვნული თვისებები უფრო სხვა კუთხით განვითარდებოდა. მამის სიყვარულის ნაკლებობის გრძნობა რომ დამეძლია, სიყვარულს სხვა მამაკაცებში ვეძებდი. ამის გამო მივმართავ ყველა დედასა და მამას, თქვენი ქალიშვილებისადმი სათანადო ყურადღება გამოიჩინეთ” (Sabah gazetesi, 2004). გაზეთში მუშაობისას დუიგუ ასენა თანამშრომელთან სასიყვარულო

⁸⁸ ფინარ ქურის მეუღლე, ჯან ქოლუქისა, მათემატიკოსია. ისინი გაშორებულები არიან.

ურთიერთობის გამო სამსახურიდანც კი იქნა დათხოვნილი. მწერლის ცხოვრების ეს ეპიზოდი ასახულია რომანში “ქალს სახელი არ აქვს”. ვფიქრობ, რომ ავტობიოგრაფიული წერა “აღიარების” დისკურსს ეყრდნობა. ქალი, როგორც სოციალურად მარგინალიზებული ობიექტი, აღიარების დისკურსის საშუალებით სუბიექტი ხდება. ვინაიდან ავტობიოგრაფიული ნარაციის ცენტრი არის თავად ქალი, რომლის მთავარი ამოცანაა, თავად განაგოს საკუთარი ცხოვრება, გადალახოს ტრადიციული გენდერული სტერეოტიპებით გამყარებული საზღვრები და დამოუკიდებლად მოახდინოს საკუთარი სუბიექტობის რეალიზაცია. სწორედ ამიტომ მივაქციეთ ყურადღება მწერალთა შემოქმედებაში ქალური სუბიექტობის კონცეფციის საკითხს.

ქალური სუბიექტობის საკითხი, როგორც ”შეორადი“ და ”სხვა“ სიმონა დე ბოვუარის მიერ იქნა წინ წამოწეული. ქალის პოზიციას იგი ტრანსცენდენტურის მიღმა განსაზღვრავდა. ”სუბიექტი, რომელიც ცდილობს სამყაროში ადგილის დამკიდრებას, ყოველთვის ტრანსცენდენტულ პოზიციას იკავებს. თუმცა საკუთარი პოზიციის დაკავებაში მას ხელს მამაკაცი უშლის, რომელიც მიისწრაფვის, იგი ”მოთხოვნილების ობიექტად“ აქციოს“ (Де Бовуар, 1997:29). სიმონა დე ბოვუარი ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებიც ქალის დაქვემდებარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. პირველი, ეს არის მამაკაცური სტრატეგია, სხვადასხვა დონეზე ქალები ობიექტად აქციოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გზით ხდება მამაკაცური ფუნქციის განმტკიცება ”სხვის“, ”შეორის“ ანუ ქალის მიმართ. შეორე – ქალების მხრიდან ”ნებაყოფლობითი“ მსხვერპლის როლის მორგება. ამ გზით ქალს შეუძლია თავი აარიდოს ეგზისტენციალურ პასუხისმგებლობას და თავისუფლებას. ფემინიზმის დემოკრატიულ თეორიებში ითვლებოდა, რომ სოციუმში ქალის ასეთი როლი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული. საგმარისია შეიცვალოს ეს პირობები და საკითხიც მოიხსნება დღის წესრიგიდან. ამის საწინააღმდეგოდ, სიმონა დე ბოვუარი ცდილობს, ხაზი ფსიქოლოგიურ ფაქტორს გაუსვას. ფემინისტური კრიტიკის ფრანგი წარმომადგენელი იულია კრისტევა ქალურ სუბიექტობაზე საუბრისას ჰეგელის მიერ შემოთავაზებულ თვითშემეცნების ცნებას ეყრდნობა, რომელსაც იგი ნეგაციის მეშვეობით წარმოადგენს. ამ ორი ცნების ერთმანეთთან დაკავშირების მთავარი არგუმენტი მდგომარეობს თვითშემეცნების იმ სპეციფიკურობაში, როგორიცაა ობიექტის ნეგაცია. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნეგაცია არის ობიექტის ანიგილაცია და მისი

შემეცნების სუბიექტის სტრუქტურაში შევვანა. როგორც სიმონა დე ბოვუართან, ისე იულია კრისტევასთან ქალური სუბიექტობა განიხილება როგორც “მეორადი” და “მარგინალური”. ქალური სუბიექტობის კონცეფცია ეფუძნება „სხვის“ კონცეფციას, ანუ ქალი კულტურაში “მეორადის” კონოტაციას ახდენს და სუბიექტად მიჩნეული მამაკაცის ობიექტს წარმოადგენს. ქალის სუბიექტობა ვლინდება გენდერულად მარკირებულ სუბიექტობაში, რომელიც კლასიკური “უსქესობისგან” ძალიან განსხვავდება. ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას რომანების გაანალიზებისას ჩვენ სწორედ ქალის სუბიექტობის საკითხს მივანიჭეთ დიდი მნიშვნელობა, რადგან ვთვლით, რომ სწორედ მის დადგენასთან არის დაკავშირებული სხეულისა და სექსუალობის განსაზღვრის საკითხი

ქალის სუბიექტობის რეპრეზენტაციის საშუალებად შესაძლოა სხვადასხვა მეთოდები იქნას გამოყენებული, მაგრამ ჩვენ ყურადღება ქალური ისტერიის ტექნიკაზე შევაჩერეთ.

ქალის ისტერიულობას პირველად ყურადღება ფროიდმა მიაქცია. ფროიდი ქალის სუბიექტობას სწორედ ისტერიას უკავშირებას. ქალის ისტერიულობის ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაცია „ქალური არსის“, „ქალური სულის“ დადგენას გულისხმობს. „ქალური სული“ მუდმივად ცვალებადია და ისტერიულობის მიღმა იმაღება. იგი ქალის სუბიექტობას მამაკაცური სუბიექტობისგან გამოყოფს. ლაკანი ქალის ისტერიას სექსუალობისა და სურვილის სფეროს უკავშირებს. ლაკანის განმარტებით, “ისტერია არის საშუალება, რომლის მეშვეობით ქალის სუბიექტობა ინტერპრეტაციის ან სიმბოლიზაციის არსებულ ფორმებს ეწინააღმდეგბა” (Жеребкина, 2000:94).

ფსიქოანალიზისა და ფემინისტური კრიტიკის ფრანგი წარმომადგენლები ელენ სიქსუ და კატრინ კლემანი, ქალის ისტერიულობის ნორმალიზებას ახდენენ და მას ქალის სუბიექტობის რეალიზების საშუალებად მიიჩნევენ. ელენ სიქსუს აზრით, ისტერიული სურვილი თავისი ინტენსიურობისა და ექსცესიურობის გამო, არასოდეს იქნება დათრგუნული. ლუსი ირიგარე ისტერიულობას პატრიარქალური დისკურსის რღვევის ქალურ ტექნიკად მიიჩნევს.

ლუსი ირიგარეს აზრით, საჭიროა ქალის, როგორც „სხვის“ ფალოცენტრისტული კონსტრუქციის, დეკონსტრუქცია და ამავე დროს ისეთი ხერხის მიგნება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ავტონომიური

ტერმინების დისკურსში ქალური სპეციფიკურობის გამოვლენა. ქალს უნდა მოვაშოროთ კულტურაში ფალოცენტრისტული სტატუსი, ვინაიდან იგი ფუნქციონირებს ან როგორც მამაკაცთა „მისაკუთრების“ ობიექტი, ან როგორც „გაცვლის“ ობიექტი⁸⁹ ამიტომ საჭიროა მოიძებნოს კულტურაში ქალური ეროტიზმისა და სექსუალობის, ანუ ქალის ავტონომიური სუბიექტობის „კვალი“, რაც არ თავსდება პატრიარქალურ კულტურულ ნორმებში და აღემატება მას. იმის გათვალისწინებით, რომ ქალი სრულად არის გარემოცული პატრიარქალური კულტურით, რა შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ რესურსს, რომლის მეშვეობით ქალი შეძლებს საკუთარი განცდებისა და გამოცდილების არტიკულირებას? უპირველეს ყოვლისა, მან კრიტიკულად უნდა გაიაზროს პატრიარქალური დისკურსი და ისარგებლოს მისით. ტრადიციული პატრიარქალური დისკურსის ტექნიკის გამოყენება ქალს აძლევს საშუალებას, „შეარყიოს“ პატრიარქალური ლირებულებები. ამის მთავარი გზა კი ისტერიულობის ტექნიკით სარგებლობაა. ისტერიულობა არის ქალური აქტივობის სპეციფიკური ფორმა, რომლის მეშვეობით კულტურაში ქალის პასიურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ისტერიულობის ტექნიკის მეშვეობით ქალი ახდენს საკუთარი თავის, როგორც კასტრირებულის, უგულებელყოფას და რეალიზდება საკუთარი სიმპტომების საშუალებით (სიმპტომში იგულისხმება სხეულის სხვადასხვა ნაწილი). ისტერიული ქალი ახდენს ექსტატური ტიპის დისკურსის არტიკულირებას. მის მაგივრად ლაპარაკობენ მისი სიმპტომები. ქალური ისტერიული დისკურსის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისტერიული ქალი სიმპტომების მეშვეობით ორგანული ქაოსის იმიტირებას ახდენს, იგი ჰარმონიულობაში იმყოფება არა მთლიანად საკუთარ სხეულთან, არამედ სხეულის სხვადასხვა ნაწილთან. ამიტომ სიმპტომი ყოველთვის ექსცესიურია. ისტერიული ქალი საკუთარი „დაავადების“ გამოვლენისას უარს ამბობს იმ ფუნქციების შესრულებაზე, რომლებსაც მას საზოგადოება აკისრებს. ასეთი დამოკიდებულება ერთგვარი პაროდიაა პატრიარქალურ კულტურაზე. „ქალი

⁸⁹ ფიქოანალიტიკოსი და გენდერული კვლევების პროფესორი ჯულიეტ მიტჩელი ლევი-სტროსის შრომებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ საზოგადოების უნივერსალურ კანონს არეგულირებს საქორწინო ურთიერთობები და მისი ძირითადი პრინციპი ინცესტის აკრძალვაა. ეს კანონი აიძულებს ოჯახს, მისი ერთ-ერთი წევრი „გაცვალოს“ სხვა ოჯახში. გაცვლის აქტი არის საზოგადოების გამყარების საფუძველი და როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოება – დედის თუ მამის ნათესაური კავშირის ხაზით განპირობებული – მამაკაცები ყოველთვის „ცვლიან“ ქალებს. (Mitcheil,2004:181)

ამართლებს პატრიარქალური კულტურის მოღვაწინის ისე, რომ ასრულებს არა მის მოთხოვნებს, არამედ საკუთარს. ექსცესიური მიმესინის საშუალებით ისტერიულ ქალს პასიური აქტიურში გადაყავს, რაც მისი სუბიექტობის გამოვლენის სტრატეგიას წარმოადგენს” (ბუსკივაძე, 2013).

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას ქალი პერსონაჟები ორ ჯგუფად შეიძლება დაგყოთ. კონფორმისტი და ნონკონფორმისტი ქალი პერსონაჟები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორივე კატეგორიის ქალთა სუბიექტობის განსაზღვრა. როგორ აღიქვამენ პროტაგონისტები სამყაროს და გააჩნიათ თუ არა მათ იდენტობა, რაც, ჩემი აზრით, უშუალოდ არის დაკავშირებული ქალურ სუბიექტობასთან. მწერლების მიერ დახატული ქალი პერსონაჟები ისტერიულები არიან. მათი “დაავადების” მთავარი მიზეზი პატრიარქალური დომინანტებით გაჯერებული სამყაროა, სადაც მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება არ აქვთ. ისტერიულობის ტექნიკაზე საუბრისას ჩვენ ადვინიშნეთ, რომ იგი პატრიარქალური კულტურის ერთგვარი პაროდიაა. ისტერიულობის ტექნიკა შეიძლება ფსევდომორჩილებადაც შევაფასოთ.

ორივე მწერლის შემოქმედებაში არსებობენ რომანები, რომლებიც მათ საეტაპო ნაწარმოებებად შეიძლება დაგასახელოთ. მხედველობაში გვაქვს ფინარ ქურის რომანი “Asılacak kadın” (“ქალი სახრჩობელაზე”) და დუიგუ ასენას რომანი “Kadının adı yok” (“ქალს სახელი არ აქვს”). აღნიშნული რომანები მორალური თვალსაზრისით არსანდობის გამო სასამართლოს მიერ იქნა აკრძალული. 1988 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით აიკრძალა დუიგუ ასენას რომანის “”ქალს სახელი არ აქვს” გაყიდვა. აკრძალვის საფუძველს წიგნის მორალური მხარე წარმოადგენდა. აღმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: “წიგნის საკითხი, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს, შემდეგი სახით გადაწყდა. ექსპერტის დასკვნის საფუძველზე წიგნი მორალური თვალსაზრისით მავნე გავლენას ახდენს ბავშვებზე. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტლება ძალაში უნდა შევიდეს” (Cumhuriyet:1991). იგივე ბედი ეწია ფინარ ქურის რომანს “ქალი სახრჩობელაზე”. მწერალი სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას სთხოვდა, რადგან თვლიდა, რომ რომანი სწორედ მორალური კუთხით არის მნიშვნელოვანი. “1979 წელს რომანის მკითხველთა რაოდენობამ ასი ათასს მიაღწია, ფილმიც კი გადაიღეს რომანის მიხედვით. არც მკითხველს და არც ფილმის მაყურებელს იგი ამორალურად არ მიუწინევია. დაუცველი, დისკრიმინირებული და გასაცოდავებული

ქალის ისტორია სწორედ რომ მორალური კუთხით არის საინტერესო. რეალურ ფაქტებზე დამყარებული რომანი, რომელიც საზოგადოების ყველაზე მტკიცნეულ ჭრილობას კიდევ უფრო მეტად მტკიცნეულის ხდის, თურქული ლიტერატურის ყველაზე ტრაგიკული რომანებიდან ერთ-ერთია. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალის გაყიდვა ჯერ კიდევ ძალაშია ქალის საკითხი, მხოლოდ ერთი რომანის კი არა, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მთავარ თემად უნდა იქცეს. ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რა უნდა წაიკითხოს მეორე მხრივ, საზოგადოება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია, ცხვრის ფარას ემსგავსება, რომელიც სამართავად ადვილია. თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების მოსპობის ყველაზე კარგი გზა კი ისეთი თაობის აღზრდაა, რომელმაც აზროვნება არ იცის. მიზეზი, რატომ მცირდება ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების რიცხვი, სწორედ ეს არის. დღეს უცხო ენიდან თარგმნილი სექსუალური ლტოლვის აღმძვრელი წიგნები ითარგმნება და ეს არ იკრძალება. ჩემი ორი რომანი კი, რომელიც სრულიად სხვა მიზანს ემსახურება, აიკრძალა. ამ პოლიტიკის განტევების ვაცი დღეს თუ მე ვარ, ხვალ მთელი თურქი ხალხი იქნება. ცივილიზებულ სამყაროში წიგნების აკრძალვა დანაშაულის ტოლფასია. გთხოვთ, რომანის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აკრძალვა გააუქმოთ” (Kür,1988:5).

ვფიქრობ, რომანს „Kadının adı yok“ (“ქალს სახელი არ აქვს”) სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მწერალი მთავარ გმირს სახელს არ არქმევს. რომანში დასმული საკითხები კონკრეტულად ერთი ქალის ცხოვრებისეული საკითხები არ არის. იგი ყველა ქალის ცხოვრებაშია მნიშვნელოვანი, იქნება ეს ერთგულების, დალატის, სიყვარულის, სექსუალური გამოცდილების თუ სხვა მსგავსი სახის საკითხები, გავლენას ყველა ქალის ცხოვრებაზე ახდენს. პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალს სახელი შესაძლოა არ ჰქონდეს, მაგარმ სწორედ მისთვის სახელის “დარქმევას” ცდილობს მწერალი მთელი ძალისხმევით. ქალის მარგინალიზირებული სტატუსის დაძლევა ისევ და ისევ ქალური გამოცდილების არტიკულირებით არის შესაძლებელი. პატრიარქალურ კულტურაში ოპოზიციური წყვილების შეცვლა, ანუ ობიექტის პოზიციის ნაცვლად სუბიექტის პოზიციის დაკავება, საკუთარი უპირატესობის დამტკიცება, საბოლოო ჯამში, საზოგადოებაში ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. ფინარ ქურის რომანი „Asilacak kadın“ (“ქალი სახობელაზე”) ქალის საკითხს ფართო სპექტრში განიხილავს. აღნიშნულ რომანთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში მწერალი აღნიშნავს: ”ამ რომანში ქალის საკითხს უფრო ღრმად ვეხბი, ვიდრე სხვა

რომანებში. მელექი ძალადობის მსხვერპლი ქალის სიმბოლოა. იგი არის ყველა დისკრიმინირებული, ჯერ კიდევ დაბალი თვითშეგნების მქონე ადამიანის სიმბოლო. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქს უფრო ფართო პრობლემასთან, კერძოდ, არსებული წესრიგის, ნამდვილი დამნაშავის დასჯაზე არაორიენტირებულ სამართალთან. საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც უსამართლობას ხედავს, შიშით ხმას არ იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საუბრობენ თურქეთში ქალის ემანსიპაციის შესახებ, იგი მაინც დისკრიმინირებულია. ქალთა საკითხში თურქეთის ჩამორჩენილობა რელიგიასთანაც არის კავშირში. ქალის “სახლში გამოკეტვის” ტრადიცია ძალიან არის ფეხმოკიდებული. მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლებაა ის საფუძველი, რომელიც ქალს სახლიდან გარეთ გამოიყვანს. ამგვარი სახით რელიგიური ზეწოლაც შემცირდება. მხოლოდ სექსუალურ ძალადობაში არ არის პრობლემა. პრობლემა საზოგადოებრივ გულგრილობასა და პასიურობაშია. ძალადობის წინააღმდეგ გაჩუქრება დანაშაულია (Kür, Özel arşiv).

ორივე მწერალი ძალიან კარგად აცნობიერებს და ითავისებს ქალთა საკითხს. ისინი პროტაგონისტებს იმ თვისებებით ამკობენ, რომლებიც მათი შინაგანი და მენტალური თავისუფლების მაჩვენებელია. ეს, რა თქმა უნდა, განაპირობებს მათ სუბიექტობას და დამოუკიდებლობას. მათი ისტერიულობა, ფსევდომოჩვენებითი მორჩილება კულტურაში მამაკაცური დისკურსის რდგევას იწვევს. მათი ქმედებები, ერთ შეხედვით, პატრიარქალური კულტურის ნორმებს ერგება. ისინი ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ამას საზოგადოებრივი ნორმები და ტრადიციები ითხოვს. მაგრამ მნიშვნელოვანია შედეგი, რომელიც პროტაგონისტების ქმედებებს მოჰყვება და გვაფიქრებინებს, რომ ისინი მზად არიან საკუთარი ინდიდუალურობისა და სუბიექტობის მოპოვებისათვის სიცოცხლეზეც კი თქვან უარი.

დუიგუ ასენას რომანებში პროტაგონისტების ისტერიულობა ძირითადად მამაკაცებთან ურთიერთობასა და ქორწინებაში გამოიხატება. ქორწინებასთან დაკავშირებული პროცედურები ტრადიციის დაცვით ხდება. გმირის საოჯახო ცხოვრებაც პატრიარქალური კულტურის ნორმების შესაბამისად მიმდინარეობს. ქმარსა და სახლზე მზრუნველობა ქალის უპირველესი მოვალეობაა

„დილით ადრე კდგები, საუზმეს კამხადებ, მისი წასვლის შემდეგ საყიდლებზე მივდივარ, დედახემის რეცეპტით კერძებს კამხადებ, შემდეგ საღამოს აგზობუსის გაჩერებაზე მივდივარ, მის მოსვლას კელოდები, სახლში ერთად

ვბრუნდებით, სუფრას ვაწყობ, ერთად ვვახშმობთ, შეძლებ სუფრას ვალაგებ, იხიც
ძებარება.... (Asena, 2008:62).

ამ მონაკვეთში ქალის ერთფეროვანი ცხოვრებაა ნაჩვენები. მისი ფუნქციები
მხოლოდ ოჯახზე ზრუნვით შემოიფარგლება. ქალის ასეთი ტიპი მამაკაცის მიერ
გაიდეალებულ „ანგელოზი ქალის ტიპს“ უფრო წარმოადგენს. მთავარი გმირის
ასეთი ცხოვრება მაღევე იცვლება, რაც მისი ორსულობით არის გამოწვეული.
შვილის გაჩენის სისარულს მისი მეუღლე ცივად ხვდება. მიზეზად ოჯახის
არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას ასახელებს. ქმარი თავად აძლევს მთავარ
გმირს აბორტის გასაკეთებლ ფულს. ქალი მამაკაცის ამ მოთხოვნასაც
ემორჩილება. მაგრამ, როცა გარკვეული დროის შემდეგ თავად ქმარი გადაწყვეტს,
რომ ახლა უკვე დროა, შვილები იყოლიონ, იგი სასტიკი წინააღმდეგია.

„შენ გინდა, რომ მამა გახდე, მაგრამ, აბა, მე მკითხე, მინდა, რომ დედა
გავხდე? შენ თუ შვილს გაგიჩენ, ამით ქალის წმინდა მოვალეობას შევასრულებ
ალბათ, მე ყველაფერზე უარი უნდა ვთქვა, მეგობრებზე, სამსახურზე, შვილები მე
უნდა გავზარდო, მათი აღზრდა, ავადმყოფობა, სწავლა ჩემს კისერზე უნდა
გადავიდეს, შენ მეგობრებთან უნდა გაერთო... პირველ შვილზე შენ თქვი უარი, მეც
დავთანხმდი, მამაკაცია და ასეა საჭირო-მეთქი, კიფიქრე. თუმცა, შვილი ძალიან
მინდოდა. ვფიქრობდი, რომ ასე იყო საჭირო, იმიტომ, რომ ასე გამზარდეს..
გათხოვდები, შვილი გეყოლება. ბედნიერი ქალი იქნები... ქალის ერთადერთი და
წმინდა მოვალეობა დედობაა.. მხოლოდ ის ქალები, რომლებიც დედები ვერ
ხდებიან, კარიურაზე ამახვილებენ უურადღებას, დედად არყოფნა ხომ დევექტად
არის მიჩნეული და, თურმე ქალები იმის გამო, რომ პენისი არა აქვთ, მამაკაცებზე
საშინლად ეჭვიანობენ. უკმარისობის გრძნობის დაძლევის ყველაზე კარგი
საშუალება კი კარიურული წარმატება ყოფილა. თუ პენისის არქონის გამო
ვცდილობ წინსვლასა და წარმატების მიღწევას, მაშინ ძალიან ბედნიერი ვარ.
ნებავ, სხვა ქალებიც ჩემნაირად ფიქრობდნენ“(Asena, 2008:103).

ოჯახის საკითხთან დაკავშირებით გმირის დამოკიდებულება აგრეთვე
ისტერიულია. საწყის ეტაპზე იგი ფიქრობს, რომ საკუთარი ოჯახი მამის
ტყვეობიდან თავის დახსნის ყველაზე კარგი საშუალებაა, თუმცა, საბოლო ჯამში,
საკუთარი სურვილით ანგრევს მას.

“მთელ დღეებს ოჯახურ ცხოვრებაზე თცნებაში გატარებდი, პატარა სახლი....მამაჩემის ტყვეობიდან თავის დახსნა...სურვილის მიხედვით დროის გატარება... სეირნობა... ეკროპა... თავისუფლება”(Asena,2008:56).

გმირის ასეთი პოზიტიური დამოკიდებულება მაღვეე ნეგატიურ დამოკიდებულებაში გადადის. ამის მიზეზი კი ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად, შინაგანი თავისუფლებაცაა. იმის გაცნობიერება, რომ თავისუფალია, პატრიარქალური დისკურსის რღვევისათვის გმირს მეტ ძალას მატებს.

“შბრძანებლობას თავი დაანებე, მე შენი მოახლე არ ვარ. მუც იხევე ვმუშაობ როგორც შენ, შენოდენა ხელფასს ვიღებ. რატომ ფიქრობ, რომ უფლება გაქვს მოსამსახურედ გამიხადო, რით ხარ ჩემზე უპირატესი?”(Asena,2008:108)

მეუდღის კითხვაზე, რატომ უნდა დაშორდნენ ერთმანეთს, ისინი ხომ დაქორწინებულები არიან და ეს სახლი მათი ბუდეა, გმირი პასუხობს:

“ეს არის ბუდე? ქორწინებაა იმის პირობა, რომ სახლი ბუდედ იქცეს? თოხ კედელს შორის მოქცეული, ერთმანეთისადმი გაუცხოებული ორი ადამიანის ერთად ყოფნაა ბუდე? ეს ბუდე კი არა, პანსიონია. მე მივდივარ, წარმატებული ვიქნები.... იცი მაინც, რა არის ქორწინება? იცი მაინც, როგორ უნდა იქცოდეს ქორწინებაში მყოფი ადამიანი? სამყაროში მიღიონობით ადამიანი ცხოვრობს, შენ კი ერთს ირჩევ. შენზე დაქორწინებულ ადამიანს დანაკლისის გრძნობა არ უნდა უჩნდებოდეს, შენ ერთხელ მაინც თუ გიფიქრია, მე რა მაკლია? თავისუფალი ვარ, მე თავად გავაცნობიერე ეს” (Asena,2008:109).

გმირი კარიერულ წარმატებას იოლად ვერ აღწევს. მისი სამსახურში წინსვლა ყოველთვის მამაკაცი კოლეგების ქილიკის და განკითხვის საგანი ხდება. ისინი ქალების სამსახურში წინსვლას მათ ფიზიკური სილამაზეს და სამსახურის უფროსთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმას უკავშირებენ.

“ქალად ყოფნასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, ლამაზი ქალის დანახვაზე უკელას გული მისდის, შენც ამიტომ აგიყვანეს სამსახურში”. ამ სიტყვების გაგონებაზე გული უკლე მომებჯინა.

- მე საკუთარი შრომითა და ოფლით მოვიპოვვ ეს სამსახური, დღე და ლამა გირიგით ვმუშაობ

– ეგ როდი მაგ ლამაზ შებლზე რომ არ ყოფილიყო, ვერაფერს გააწყობდოთ, – ამბობს თეომანი” (Asena, 2008:122).

დუიტუ ასენას რომანებში იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ქალები აცნობიერებენ, რომ ისინი ქალები არიან და საკუთარ დისკრიმინაციაში მამაკაცებზე უფრო მეტად თავად იღებენ მონაწილეობას. ამიტომ თვლიან, რომ საჭიროა ბრძოლა და საკუთარი იდენტობის დაბრუნება.

“იმის გამო, რომ ქალი ვარ, ცდილობ, დამიცვა, შემიცოდო, იმის გამო, რომ ქალად დავიბადე, თითქოს საცოდავი არსება ვარ და ბევრი რამ მებატიუბა. ან გპატიობენ, ან ბრალს გდებენ მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ხარ...მამაკაც ხელმძღვანელებს კველაფრის უფლება აქვთ, ჩვენ – არა, სამსახურში თუ ვინმე შეგიყვარდა, მაშინვე დაცინვას, დამცირებას დაიწყებენ. მხოლოდ იმ “მონა” გოგონებს არ ეხებიან, რომლებიც უფროსებთან აბამენ სახიყვარულო ურთიერთობებს. ვინ მისცა მათ ჩვენი დამცირების და განკითხვის უფლება? რა თქმა უნდა, ჩვენ, ქალები, ვაძლევთ მათ ამის უფლებას. მოელი ცხოვრების განმავლობაში მამები, ქმრები, დირექტორები, შეფები, მეგობარი მამაკაცები კველაფერს გვიკრძალავენ. თუ რამე მათი საწინააღმდეგო გააკეთე, ან ვიჟის სახელს გარქმევენ, ან მსუბუქი ყოფაქცევის ქალის დამდას გასვამენ. ვინ აძლევს მათ ამის უფლებას? ჩვენ, ქალები” (Asena, 2008:122).

წიგნში “Kahramanlar hep erkek” (“გმირები ყოველთვის მამაკაცები არიან”) მწერალი სხვადასხვა ქალის ისტორიას აერთიანებს. ყველა მათგანი განსხვავებულია, მაგრამ ქალურობის სპეციფიკური ბუნების გამოვლენას და ქალური გამოცდილების არტიკულირებას ისინიც ისტერიულობის ტექნიკით ახდენენ. მინდა ყურადღება გავამახვილო წიგნის სათაურზე. არიან კი მამაკაცები ყოველთვის გმირები? იქნებ პირიქით, ქალები არიან გმირები? ნილი, ჯანდანი, ნური, ჩიჩო ის ქალი პერსონაჟები არიან, რომლებმაც “საკუთარი სახელის” პოვნა მოახერხეს. არსებული საზოგადოებრივი წესრიგი დარღვიეს და თავს დამოუკიდებლად, თავისუფლად ცხოვრების საშულება მისცეს. ზემოთ ჩამოთვლილი ქალი პერსონაჟები მამაკაცებს საკუთარ უპირატესობას უმტკიცებენ, მათ გვერდით ისინი პასიურ პოზიციაში იმყოფებიან. მწერალი ქალური სუბიექტობის არტიკულირების მთავარ სტრატეგიას ქალის მიერ საკუთარი თავის არა როგორც ”სხვის”, არამედ როგორც სუბიექტის გააზრებაში ხედავს.

“ძლიერები უნდა იყოთ. საკუთარი თავის რწმენა უნდა გქონდეთ, მაგრამ ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კველა ადამიანის ბუნებაში დევს სუსტის დაჩაგვრა და, რა სამწუხაროა, რომ ეს უძლურთა არმია ქალთა არმია. თუ თქვენ პირველ ბრძანებას, აკრძალვას, სილის გაწნას წინ არ აღვუდგებით, ეს კოველთვის ასე გაგრძელდება. მაგრამ მტკიცე უარი ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. თუ სიყვარულს და სურვილს გრძნობ ჩემ მომართ, მაშინ ნუ დამამცირებ, ჩვენ თანასწორები ვართ და თუ ასე არ ფიქრობ, წავალ. პატივს სცემენ თქვენს პრინციპებს, მაგრამ საჭიროა, გქონდეთ ისინი” (Asena,2008:169).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დუიგუ ასენას პერსონაჟები ქალის სუბიექტობას მამაკაცებთან მიმართებაში ავლენენ. მამაკაცური ჰეგემონური კულტურის ნორმები ქალებს “აიძულებს”, დამოუკიდებლები გახდენენ, აზროვნება, ფიქრი ისწავლონ. ანუ თავად პატრიარქალური კულტურა აძლევს ქალს ძალას, რომ საკუთარი თავი იპოვოს:

“მამაკაცებზე ვფიქრობ, კოვლისმცოდნე ალიზე, მემეთზე, რომელმაც პირველად გული სასიამოვნოდ შემიტოკა, ოქტაიზე, რომელმაც პირველმა გამიღვიძია სექსუალური სურვილი, ერპანზე, რომელმაც მიმახვდორა, რომ მამაკაცები ქალში მხოლოდ სექსუალურ ობიექტებს ხედავენ, გურჯანზე, რომელმაც ყალბი სიყვარულითა და გრძნობებით, ტყუილით ჩემი მისადმი გაუცხოება გამოიწვია, მემეთზე, რომელთანაც მივხვდი, რომ მხოლოდ სიყვარული არ არის მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში, ოზარბაზა და სულეიმანზე, რომელთაოვისაც მე მხოლოდ ქალის მკრდთან ვასოცირდებოდი, მამაზე, რომელიც წუხდა, რომ ვაჟი არ ჰყავდა და ჩვენთვის სიყვარული ვერ გაიმეტა, რომელიც საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა, მაგრამ დედას ზღვაზე ტანსაცმლის გახდისა და ბანაობის უფლებასაც კი - არა. კველა ეს უსამართლობა და ძალადობა ფიქრს მაიძულებდა, საკუთარი თავის დაცვას მასწავლიდა” (Asena,2008:232).

კონფორმისტი პერსონაჟები პატრიარქალური დისკურსის არტიკულირებას ახდენენ. ისინი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თანხმდებიან საზოგადოებაში მათვის განკუთვნილ როლზე. შინაგანი პროტესტის გრძნობაც არ უწნდებათ. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც მათ არსებობას განსაზღვრავს, დედობაა. ამის ყველაზე კარგ მაგალითს დუიგუ ასენას რომანის “Kadının Adı Yok” (“ქალს სახელი არ აქვს”) გმირის ბერინის სახეში ვხედავთ.

“ჩემმა დამ მეორე შვილი გააჩინა, ძალიან ბედნიერია. პატარა ექვსი თვისაა, უფროსი კი – წლინახევრის. ჩემს დას ზუსტად 15 კილო აქვს მომატებული. ახლა განიერ ტანხაცმელს იცვამს. ორ შვილთან ერთად ძალიან ბედნიერია, ცდილობს კარგი დედა იყოს. როცა მივედი, მეუღლის პერანგებს აუთოებდა, ბავშვები დიდი ძალისხმევის შემდეგ, როგორც იქნა, დაეძინებინა.

- იქნებ დამხმარე აიყვანო-მეორე, ვურჩი.
- თხელმეტ დღეში ერთხელ დამლაგებული მოდის, ამაზე მეტი
უფლებას თავს ვერ მივცემ.
- უნივერსიტეტში რატომ აღარ დადიხარ, ძველ მეგობრებს ნახავდი,
გახალისდებოდი...
- ახეთ მდგომარეობაში? თანაც ქმარი ამის უფლებას არ მაძლევს. “შენი
აღგიღი ახლა ხახლ შიათ, ამბობს”. მართალიცაა, მე გათხოვილი ქალი ვარ
უკვე” (Asena, 2008:52).

აღსანიშნავია, რომ მწერალი კონფორმისტი პერსონაჟებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ისინი უფრო ფონის შესაქმნელად სჭირდება. ასენას ყურადღების ცენტრში ძლიერი ქალია მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ქალის ახლი ტიპის შექმნას ცდილობს, რომელიც თავისი ქალურობის გამო უნდა მიიღოს საზოგადოებამ. კონფორმისტი ქალების შესახებ მწერალი შემდეგ დასკვნას აკეთებს: ”როცა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და საზოგადობრივ ცხოვრების ყველა სფეროში მათ თანაბარ პირობებში თანაარსებობის შესახებ ვსაუბრობ, 30-35 წლის ახლგაზრდა ქალები ჩუმდებიან და თავის თავში იკეტებიან. ქალი, რომელიც ცხოვრების არცერთ ეტაპზე მამაკაცის თანასწორი არ ყოფილა, უნდა ხვდებოდეს ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას. მაგრამ უმრავლესობას უკვე შეჩვეული ცხოვრების სტილის შეცვლის ძალა აღარ აქვს. ცვლილებას დიდი ძალა სჭირდება იგი დინების საწინააღმდეგოდ ცურვას პგავს” (Asena, 1985:1). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, ის არის, რომ მწერალი ქალების გარეგნული სილამაზის შესახებ არაფერს არ წერს. იგი საერთოდ არ იძლევა ქალის ფიზიკურობის შესახებ ინფორმაციას. ვფიქრობ, მწერლის ასეთი დამოკიდებულება ნათლად გამოხატავს ბინარული წყვილებიდან – შინაგანი სამყარო – გარეგნული სილმაზე – რომელს ანიჭებს უპირატესობას. ქალის გარეგნულ მხარეს ყველა ხედავს, მის შინაგან

სამყაროს კი – ძალიან ცოტა. ამიტომ, მნიშვნელოვნია არა იმის ხაზგასმა, რაც ისედაც ყველასთვის თვალსაჩინოა, არამედ იმის წარმოჩენა, რაც ფარულია და რასაც დანახვა სჭირდება.

ფინარ ქურის ქალი პროტაგონისტები დუიგუ ასენას ქალი პროტაგონისტებისგან ძალიან განსხვავდებიან. მწერალი ერთი შეხედვით სუსტი ქალის სახე ქმნის, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ეს “სისუსტე” არის ის სტრატეგია, რომლის მეშვეობით ქალური სუბიექტობის არტიკულირება ხდება.

რომანი ”Asilacak Kadın“ (“ქალი სახრჩობელაზე”) რეალურ ისტორიას ეფუძნება. მწერალი რომანის შესახებ წერდა: ”21 წლის ვიწავი, როცა ჩამოხრჩობილი ქალის ისტორია მოვისმინე და სურათი ვნახე. ამან დიდი გავლენა იქონია ჩემზე. წლების განმავლობაში ვფიქრობდი მასზე. ორ წლიწადნახევარი ვწერდი. საერთო ჯამში კი რომანი “ქალი სახრჩობელაზე” 15 წლის ფიქრისა და მუშაობის შედეგია” (Kür,1988:129). ფინარ ქური აღნიშნულ რომანში სამი ტიპის მამაკაცის სახეს ქმნის. ერთი შეხედვით მთავარი გმირია არა მელექი, არამედ მოსამართლე ფაიქ ირფანი, მელექის ქმარი, მოხუცი ჰუსრევ ებრუზადე და ახალგაზრდა იდეალისტი იალჩინ თზვერენი. თუმცა ეს სამივე მამაკაცი მელექის გარშემო ტრიალებს. სიმბოლური სქემა შესაძლოა შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

მჩაგვრელი (მჩაგვრელები) – ჩაგრული – “მხსნელი”

რატომ დასჭირდა მწერალს რომანის ასეთი სახით სტრუქტურირება? გფიქრობ, რომ ამგვარი სახით უფრო ნათელი წარმოდგენა იქმნება საზოგადოებაში ჰეგემონი, პატრიარქალური კულტურის რეალური სახისა. რომანში ძალიან დიდი უურადღება ექცევა დუმილის ფენომენს. მთავარი გმირის, მელექ ებრუზადეს, ხმა მხოლოდ ორჯერ ისმის. პირველად, როცა სახელს ეკითხებიან, მეორედ როცა მოხუცი ქმრის ნასწავლ ფრანგულ სიტყვას იმეორებს.

რატომ არის მელექი “მდუმარე პერსონაჟი”? ამას თავისი ახსნა აქვს, რასაც ქვემოთ წარმოვადგენოთ.

რომანის პირველ ნაწილში მელექისა და იალჩინის სასამართლო პროცესია აღწერილი. მათ დიდგვაროვანი ჰუსერვ ებრუზადეს მკვლელობაში ედებათ ბრალი. სხდომის თავმჯდომარე, ფაიქ ირფანი, დარწმუნებულია, რომ მელექი მკვლელია და

მისი ჩამოხრჩობის ძალიან დიდი სურვილი აქვს. ფაიქ ირფანს “დამნაშავის” დუმილი ძალიან აღიზიანებს.

“როგორც კი სხდომათა დარბაზში შემოვიდა, მაშინვე ვიცანი. ის არის უკული სიბოროტისა და უწმინდურობის სიმბოლო. პირველსავე დანახვისას მივხვდი, რომ დამნაშავე იყო. შეუძლებელია მისი მსგავსები უდანაშაულოები იყვნენ. დანაშაული რომ ჩაიდინა, ესეც ნათელია. რამდენი მოწმეც არ უნდა მოიყვანონ, გადაწყვეტილებას მაინც არ შევცვლი. მაგრამ მოწმებმა კიდევ უფრო დაამძიმეს მისი დანაშაული. მხოლოდ ეს ახალგაზრდა არ გადაუყვანია ჭკუდიან. კიდევ რამდენ კაცოან იწვა? მეფარეთი კი შემამსუბუქებელ გარემოებებზე საუბრობს. პო, მაგრამ პროტესტი გამოხატა? თავი დაიცვა? თქვა, რომ დანაშაული მას არ ჩაუდენია? სასამართლოზე სიტყვაც კი არ დაუძრავს” (Kür ,2003a:12).

მოსამართლის მელექისადამი ასეთი დამოკიდებლება ერთი ფაქტით არის განპირობებული. იგი, ზოგადად, ყველა ქალს “დამნაშავედ” თვლის, უპირველეს ყოვლისა კი – საკუთარ მეუღლეს, ნიპალს. მისთვის ქალი არის ბოროტების საწყისი, რომელიც სასჯელის უმაღლეს ზომას, ჩამოხრჩობას, იმსახურებს. ნიპალი მხოლოდ იმიტომ მოიყვანა ცოლად, რომ 15 წლის “ხელდაუკარებელი” გოგო იყო. მაგრამ ვინაიდან ქალები დაბადებიდანვე უწმინდურები არიან, მათი ნდობა არ შეიძლება.

“ვინ იფიქრებდა, რომ პროვინციაში, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ 15 წლის გოგოს შეყვარებული უყოლებოდა. სიძირიდრეში, ხელისგულზე გაზრდილი გოგოც კი, თავისი ზნიდან გამომდინარე, შეგარცხვენს” (Kür,2003b:12).

ფაიქ ირფანი მამაკაცთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც თვლის, რომ ქალს განათლება არ სჭირდება. მისი აზრით, ვინაიდან ქალები ემოციურები არიან, მათგან მოსამართლე ვერ დადგება.

“ქალისგან მოსამართლე არ დადგება, არც ადგომატად იგარგებს, იურიდიული ფაქტობრივის სტუდენტების მიზანი სწავლაზე მუტად არის ქმრის შოგნა” (Kür ,2003a:32).

მოსამრთლე, რომელიც სრულიად დარწმუნებულია მელექის დანაშაულში, ყველანაირად ცდილობს, სხდომის სხვა წევრებიც დაიყოლიოს. ქალი წევრის

გარდა, მოსამართლის გადაწყვეტილებას ყველა ეთანხმება. ფაიქ ირფანს ჰგონია, რომ რადგან მეფარეთი ქალია, ამიტომ ცდილობს იგი დამნაშავის გამართლებას.

“რახან თავადაც ქალია, ამიტომ ცდილობს თავგამოდებით დამნაშავის დაცვას. გკითხე: დამნაშავის სკამზე მამაკაცი რომ მჯდარიყო, ისევ ასეთი ძალისხმევით გააგრძელებდით მის დაცვას? წარბაზულმა შემომხედა და მიასუხა: “გადაწყვეტილების მიღებისას ბრალდებულის სქესს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს”. რაც არ უნდა იყოს, ეს ფაიქ ირფანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, ამიტომ მას ვერავინ შეცვლის” (Kür ,200a 3:31).

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება საბოლოოა და მელექის ჩამოხრჩობით იგი ყველა ქალზე შურს ძიობს, სწორედ მელექია ის ადამიანი, რომელიც მას მოსვენებას უკარგავს. მელექის დუმილი მისთვის იმდენად აუტანელია, რომ ფიზიკურ ტკივილსაც კი გრძნობს.

მწერალი ჰუსრევ ებრუზადეს სახით დიდგვაროვან, თავკერძა და ავადმყოფური წარმოსახვის მქონე მამაკაცს წარმოგვიდგენს. 65 წლის მოხუცმა მოსამსახურე მელექი ცოლად იმიტომ მოიყვანა, რომ საზოგადოებას იგი არ განეკითხა. სრულიად ახალაზრდა მელექი მისი ქმრის ავადმყოფური წარმოსახვის მსხვერპლი ხდება. მოხუცი ჰუსრევ ბეი საღამოობით მიდის მამაკაცების თავშეყრის ადგილებში და მელექთან მამაკაცები მოჰყავს, რომლებთანაც მას სექსუალური კავშირის დამყარებას აიძულებს. თვითონ სავარძელებში მოკალათებული მშვიდად უყურებს ყველაფერს. მიუხედავად იმისა, რომ მოელმა ქალაქმა იცის ამ ამორალური ფაქტის შესახებ, ხმას არავინ იღებს მარტივი მიზეზის გამო: მამაკაცი ცოლს ისე უნდა მოექცეს, როგორც მოესურვება. თუ ქალი ძალადობის წინააღმდეგი არ არის, ოფიციალურადაც არ ჩივის, კანონიერად ცოლ-ქმრის საქმეში ჩარევის უფლება არავის აქვს. საზოგადოებამ ეს იცის და შორიდან გულდამშვიდებული აკვირდება მოვლენებს. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მელექის მონობიდან სხნას გადაწყვეტს, ჰუსრევ ბეის მებაღისა და მოახლის შვილი, იალჩინ ოზვერენია. მელექისა და ჰუსრევ ბეის ამბავი მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი გამოსავალს იმაში პოულობს, რომ ჰუსრევ ბეის კლავს, რითაც საბოლოოდ მელექის სიცოცხლეს აყენებს საფრთხის ქვეშ. სასამართლო ხომ მელექს მიუსჯის ჩამოხრჩობას და არა მას. იალჩინი ისეთი იდეალისტია, რომ რეალობას ვერ აღიქვამს. მისი აზრით, თუ ჰუსრევ ბეი მოკვდება, მელექის მონობა დასრულდება.

“შხოლოდ მის ხენაზე ვფიქრობდი, ალბათ შემიყვარდა კიდეც, მაგრამ ძვლელობისას სიყვარულზე არ ვფიქრობდი, მისი თავისუფლება მინდოდა. ამიტომ მოვკალი მოძალადე” (Kür ,2003a:105).

იალჩინი სხვებზე მეტად ხვდება მელექის ტრაგედიას. იგი ხვდება მიზეზს, რატომ ეგუება მელექი ძალადობას.

“შელექს არავის მოკვლა არ შეეძლო, არც არახოდეს იფიქრებდა ამას, რადგან ისე გაიზარდა, რომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა არავის უსწავლებია. ძალადობა, დისკრიმინაცია ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ეგონა. ეს ძალადობა კი მამაკაცების მხრიდან ხორციელდება, რადგან ძლიერები ისინი არიან, უკელაფერი მათ ხელშია” (Kür ,2003a:127).

მიუხედავად იმისა, რომ იალჩინს გულწრფელად უნდა მელექის დახმარება, არც ის განსხვავდება სხვა მამაკაცებისგან. როგორც სხვები, ისიც ისე ეძლევა მელექის სხეულით ტკბობას, თანაც – არაერთხელ. თუმცა სხვებისგან განსხვავდით იგი საკუთარ დანაშაულს აცნობიერებს.

მწერალი მელექის სახეში საბრალო, ძალადობის მსხვერპლ ქალს ხატავს. იგი ბავშობიდანვე მიაბარეს მოსამსახურედ. არასოდეს უგრძენია დედის და ოჯახის სიყვარული. მელექის ჯამაგირს მამინაცვალი იღებს. მწერალი მელექის ფიზიკურობაზე საუბრისას ყურადღებას გმირის თვალებზე ამახვილებს. სხვა სახის აღწერას არ გვაძლევს. მელექი სრულიად მარტოა პატრიარქალურ საზოგადოებაში. ერთადერთი ბუნდოვანი მოგონება, რაც მის მეხსიერებას შემორჩა მოხუცი ბაბუა და მისი ნამდერი სიმდერაა. მელექმა არ იცის, რა არის სიყვარული. იალჩინის კითხვაზე, “გიყვარვარ თუ არაო”, პასუხი არა აქვს. მელექმა იმ “სიყვარულის” შესახებ, რომელსაც მას მამაკაცები სთავაზობენ, არაფერი არ იცის. იალჩინმაც ისეთივე ტკივილი მიაყენა მას, როგორც სხვებმა.

“შენი ხენა მინდაო, მეუბნება, “მიყვარხარო”. პირველად ეს სიტყვები მისგან გავიგე, ეს როგორი სიყვარულია? ჩემი ხენა თუ უნდოდა, ჟუხრევ ბეის მითითებებს რატომ ასრულებდა? განა მანაც ისევე არა მომაყენა ტკივილი, როგორც სხვებმა?” (Kür,2003a:72).

მელქი თანდათან იხსენებდა ბაბუის სიტყვებს: ”მე რომ აღარ ვიქნები, ვინ მოგივლის, ნეტავ ბიჭი ყოფილიყავიო”. იგი ძალიან კარგად ხვდება ამ სიტყვების შინაარსს.

“ჩემო საბრალო ბაბუა, მე რომ ბიჭი კუოფილიყავი, თავის დაცვას შევძლებდი, ის, რასაც პუსრევ ბეი ჩადიოდა, ვერ ჩაიდენდა. მაგრამ დმურობა ქალად შემძმნა და ჩემი ძედისწერაც ეს ყოფილა” (Kür ,2003a:75).

მელქიმა იცის, რა არის სიყვარული: ”სიყვარული მხოლოდ მოხუცი ბაბუის ხელებმა მაგრძნობინა, თმებიდან თეთრი ყვავილებს მაცლიდა და სიმღერას მიმღეროდა, გამოდის, რომ თეთრწვერა მოხუცი ბაბუის სიმღერა ყოფილა სიყვარული”(Kür ,2003a:75).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მელქი არასოდეს ლაპარაკობს. მან იცი, რომ იგი მარტოა, ყველა მისი წინააღმდეგია. ამიტომ იგი ღირსეულ პასუხს აძლევს საზოგადოებას. ეს კი დუმილით გამოხატული პროტესტია. სწორედ დუმილია ის ისტერიული ტექნიკა, რომელიც პატრიარქალურ დისკურსს არღვევს. მოსამართლე ფაიქ ირფანს მელქის დუმილი აღიზიანებს, იალჩინს და მთელი ქალაქს კი – აოცებს.

რომანში “Bitmeyen aşk” (“დაუსრულებელი სიყვარული”) ფინარ ქური მსახიობ ნილგუნ ფამირისა და პოეტ სინან ქეჩეჯიოლლუს სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს. მწერალი პერსონაჟებზე საუბრისას უპირატესობას ნილგუნს ანიჭებს. მაგალითისთვის ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ ნილგუნი ცნობილი და წარმატებული მსახიობია, სინანი კი წარუმატებელი პოეტი. ფინარ ქური ნილგუნის და სინანის სიყვარულის ისტორიის აღწერით ქალის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ხატავს, რომელსაც სიყვარულის შესახებ მხოლოდ რომანებიდან თუ გაუგია რამე. ნილგუნის მიერ ლიცეუმის მიტოვება, უცხო ქალაქში მასზე 10 წლით უფროს მამაკაცთან გაქცევა სწორედ ამ მოტივით აიხსნება. რეალობა კი განსხვავებულია. დედასთან დალაპარაკების მიზნით სინანი ნილგუნს სამი დღე სრულიად მარტო დატოვებს უცხო ქალაქის რომელიდაც მიყრუებულ სასტუმროში. ნილგუნი გარკვეული დროის მერე აანალიზებს მომხდარს:

“რამდენიმე საათით დამტოვა და მალე მოვა.. საღამოსკენ დაბრუნდება, დედამისთან წამიყვანს. მაგრამ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რამდენი საათით დამტოვა, არამედ ის, რა გავიღე მე მისთვის და მან – ჩემთვის. ყველაფერი

დაგტოვე მის გამო. ლიცეუმის გამოცდები აღარ მაინტერესებს, ყველაფერი იხე გავაკეთე, როგორც მას უნდოდა. ამ უცხო და შორეულ ქალაქში მასთან ერთად წამოვედი. მე, პატარა ასაკში თუ ამის გაკეთება შევძელი, ის, ჩამოყალიბებული მამაკაცი, რატომ ვერ ახერხებს, მივიღეს დედამისთან და უთხრას: “აი ეს გოგო მიყვარს და მასზე მინდა დაქორწინებაო” რა საჭიროა წინასწარი სამზადისი. ამით ძალიან დამცირებულად ვგრძნობ თავს. თითქოს ქუჩიდან წამოყვანილი სულული გოგო ვიყო” (Kür ,2003b:26).

სინანთან ერთად გაქცევა, მასთან სიყვარულით ტკბობა ნილგუნს საწყის ეტაპზე თავისუფლებად მიაჩნია. თუმცა ეს ფსევდოთავისუფლება მალევე ქრება და ტკივილით აღსავსე ძიების პროცესი იწყება. გმირის მონოლოგებში მუდმივად საკუთარი თავის დადანაშაულების დისკურსი იჩენს თავს.

“კარგი, მაგრამ რატომ? გამუდმებით იმეორებდა, რომ უჩემოდ ცხოვრება არ შეეძლო, შესაძლოა ჩემი რცხვენია. იმის გამო, რომ მასთან ერთად წამოვედი, სხვა გოგოებივით რომ არ მოვიქეცი, მოვერების ნება რომ მივეცი...თავად უნდოდა, რომ თავისუფალი და საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვყოფილიყვავი, მეც მინდოდა და საბოლოოდ გავხდი კიდეც თავისუფალი” (Kür ,2003b:31).

ნილგუნი უცხო ქალაქიდან სტამბოლში დაბრუნების შემდეგ თეატრალურ სკოლაში აბარებს და წარმატებული სტუდენტი ხდება. სინანის გარდა მის ცხოვრებაში სხვა მამაკაცებიც არსებობდნენ. მათგან იგი იმას იღებდა, რაც საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად სჭირდებოდა. 17 წლის შემდეგ ნილგუნი და სინანი ისევ ხვდებიან ერთმანეთს. ნილგუნი მას ცოლად მიჰყება. ერთი შეხედვით გმირის ასეთი გადაწყვეტილება გაოცებას იწვევს. მეტწილად ხომ სინანის დალატმა განაპირობა მისი ცხოვრების შემდგომი განვითარება. ნილგუნის ასეთ გადაწყვეტილებას თავისი ახსნა გააჩნია. მხოლოდ სინანთან ცხოვრებით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მას არ ეკუთვნის, რომ იგი ვედარასოდეს მიაყენებს მას ტკივილის:

“ეშირად ვაცნობიერებ, რომ მას აღარ ვეძუთვნი. არაფერს აღარ ვაქცევ უურადღებას. მაგრამ ზოგჯერ მისი ხან ამაყი, ხან საცოდავი, ხან თავხედური გამოხდვა ნერვებს მიშლის, იქნებ ეს გამოხდვაზე უფრო ძეგად ტკივილია, დამარცხებით გამოწევული უცნობი შიში. მასთან იმიტომ ვრჩები, რომ ვერასოდეს მომაყენებს ტკივილს” (Kür ,2003b:467).

ნილგუნი ბრაზობს ქალებზე, რომელთაც საკუთარი დარდი სააშკარაოზე გამოაქვთ. მით უფრო არ ებრალება ისინი, ვინც მამაკაცის გამო იტანჯება:

“მიუხედავად იმის, რომ დანაშაულის გრძნობა არ მაწუხებდა, დერიას ტირილისაგან გაწითლებული და გასიებული თვალები, გასაცოდავებული სახე ჩამოყრილი მხრები, ძალიან მოქმედებდა ჩემზე. ტანჯვისთვის ქედის მოხრა და სააშკარაოზე გამოტანა ძალიან მაღიზიანებდა. მის მაგივრად მრცხვენოდა კიდევ გარდა ამისა, უჭვი მეპარებოდა მის ტანჯვაში. ღრმა და ძლიერი დარდი ასე მარტივად სააშკარაოზე არავის გამოაქვს. ჩემზე უკეთ ეს არავინ იცის” (Kür, 2003b:195).

ნილგუნი ნამდვილ თავისუფლებას მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვებს რაც წარსულისგან თავისუფლდება. სინანის დალატი სწორედ ის ბიძგია, რომელიც მას საკუთარ სუბიექტობას გააცნობიერებინებს. მართალია, ამის გაცნობიერებას დიდი დრო მიაქვს, მაგრამ მან იცის, რომ “გზას თუ გააგრძლებს, ცოცხალი იქნება, და სანამ ფეხზე დგომას შეძლებს, არ მოკვდება” (Kür ,2003b:43).

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედებაში ქალური სუბიექტობა “სხვის” კონცეფციასთან მიმართებაში განიხილება. მწერლების მიერ დახატული კაცი პერსონაჟები ქალებს “სექსუალურ ობიექტად” განიხილავენ, რომლებიც ვერასოდეს შეძლებენ საზოგადოებაში რეალიზებას. მაგრამ სწორედ ეს დამოკიდებულება უწყობს ხელს გმირების სუბიექტობის მოპოვებას და პატრიარქალური კულტურის დისკურსის რღვევას, არსებული ტრადიციების გადაფასებას, ქალური თვითშეგნების ამაღლებას. მწერლებთან მამაკაცები ქალური სუბიექტობის გამოვლენის მთავარ იმპულსად არიან მიჩნეულები. მათ მიერ მარგინალიზირებული ქალები, ბინარული წყვილებიდან – სუბიექტი-ობიექტი – სუბიექტის ადგილს იკავებენ. მამაკაცური კულტურისადამი აშკარა თუ დუმილით გამოწვეული პროტესტი, ქალური ისტერიულობით, საკუთარი იდენტობით, საკუთარი სხეულის შეცნობით, ქალურობის რეპრეზენტაციის გზების ძიებით ქალი პროტაგონისტები პატრიარქალური კულტურის მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებს არღვევენ და საზოგადოებას ახალი იდენტობით უბრუნდებიან. ისინი არიან ქალები, რომელთაც “სახელი” აქვთ.

4.3. ქალის სექსუალობის განსაზღვრის საკითხი

ფემინისტურ კრიტიკაში ქალის სხეულისა და სექსუალობის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. აღნიშნული საკითხის კვლევაში დიდი როლი მიშელ ფუკოს მარგინალურ პრაქტიკათა თეორიამ ითამაშა. მიშელ ფუკოს ფილოსოფიურ კონცეფციაში სხეული დაკავშირებულია ძალაუფლებისა და ძალადობის მექანიზმთან. ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ “ძალაუფლება ეს არის ძალისმიერი ურთიერთობების ჯაჭვი”. შემეცნების სფეროში სექსუალობა კონსტრუირდება მხოლოდ ძალაუფლებრივი ურთიერთობების ფონზე. აქედან გამომდინარე, სექსუალობა ეს არის არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური კონსტრუქტი, რომელიც ისტორიული ეპოქებიდან გამომდინარე რეპრეზენტაციის ფორმას იცვლის. მაგალითად, სექსუალობის ცნება ძველ ბერძნებთან და რომაელებთან არ იყო დაკავშირებული ცოდვასთან. შუა საუკუნეებში სექსუალურობის რეპრეზენტაცია არ იცნობს საჯარო და პირადი სახის მარკირებებს, ამიტომ აბანო ფუნქციონირებს, როგორც შეხვედრებისა და თავშეეყრის ადგილი. სექსუალობის, როგორც ცოდვის, აღქმა მე-19 საუკუნის ძალაუფლებრივ დისკურსს ეფუძნება, რომელმაც რეალობის ყველა სფერო ნორმატიულ და არანორმატიულ სფეროებად დაჰყო. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში სექსუალობის ფორმირება და სქესთა შორის ურთიერთობა, ასევე გენდერული ასიმეტრია, ძალაუფლების სოციალური კონსტრუქციის ტრანსფორმაციას უკავშირდება. სწორედ ეს წარმოადგენს სექსუალურობის პარადოქსალურობასა და არაერთგვაროვნებას. მაგალითად, ტრადიციულ პულტურაში ”ქალიშვილობის” ფენომენი, რომელიც ”ქალური სულიერების” დადგენის უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენს, ატარებს არა ფიზიოლოგიურ, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს.

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედებაში ქალის სექსუალობის საკითხის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია იმ კონცეპტუალური საკითხების გამოყოფა, რომლებიც ქალის სექსუალობის გამოვლენას უშლიდა ხელს. მხედველობაში გვაქვს ტრადიციები, ოჯახი, რომელშიც მამის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დიდია. ოჯახში არსებული იერარქიულობა, რა თქმა უნდა, უშაულო კავშირშია გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებასთან.

ჩვენ ადვნიშნეთ, რომ გინოკრიტიკა ეხება წმინდა ქალურ თემებს, რომლებიც ნებისმიერი ქალის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ქალური გამოცდილების დაგროვებას უწყობს ხელს. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, უურადღება უნდა მივაქციოთ ქალის მიერ საკუთარი სხეულის “აღმოჩენის” და საკუთარი სექსუალობის დადგენის საკითხს. სხეულის “აღმოჩენა” მოწიფულობის ასაკიდან იწყება, როცა ქალი მოზარდობის ასაკიდან მოწიფულობის ასაკში გადადის. ამის გამოხატულებას კი მკერდი და ოვულაცია წარმოადგენს. ეს არის პირველი ემოცია, რომელიც ქალს საკუთარ მარგინალურობას აგრძნობინებს. იგი არის ქალისა და მამაკაცის არამხოლოდ ფიზიოლოგიური განსხვავების მაჩვენებელი, არამედ იერარქიულობის აშკარა გამოხატულება. რომანში “Kadının adı yok” (ქალს სახელი არ აქვს) დუიგუ ასენა ამ პროცესს დედისა და ქალიშვილის დიალოგით გადმოგვცემს:

- დედა, მკერდი მექნება?
- გექნება, შვილო, უკვე დიდი ხარ.
- რატომ უნდა მქონდეს მკერდი? რა საჭიროა?
- შვილი რომ გეყოლება, რაჯ უნდა მიხცე.
- კარგი, მამახაც ხომ აქვს მკერდი, მიხი რაჯ რატომ არ იხმევა?
- იმიტომ, რომ მამებს სხვა მოვალეობები აქვთ,
- რა მოვალეობა?
- გათი მოვალეობაა შვილების კარგი აღზრდა, იხინი ფული შოულობები.

ხახლში მოაქვთ, შვილებს აცმევენ, ახწავლიან, ზრდიან.

- ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მკერდი არა აქვთ?
- არა, შვილო, გათი მოვალეობა მუშაობა და ფულის შოვნაა.
- თქვენ რატომ არ მუშაობთ და ფულს რატომ არ შოულობთ? მკერდი რომ გაქვთ ამის გამო?

- არა შეიღო, თუ მოვისურვებთ ჩვენც შგვიძლია მუშაობა, მაგრამ მერე თქვენზე ვინ იხრუნება?
 - დე არ მინდა, მკერდი გამეზარდოს, მინდა ფული ვიშვი. თუ ფული მექნება ყველა სურვილის ასრულებას „შემლებ” (Asena, 2008:12).

უნდა აღინიშნოს, რომ ქალის სხეული ხასიათდება ან როგორც “უწმინდური და ბინძური”, ან ამაღლებული და სულიერი. იგი იკავებს ან ცენტრალურ უადგილს ან პერიფერიულს. მაგალითად, ახლაგაზრდა გოგონას ოვულაცია და ბიჭების წინადაცვეთის პროცესს სრულიად განსხვავებული გამოხატულება გააჩნია. ერთ შემთხვევაში ის “უწმინდურობასთან” ასოცირდება, ამიტომ საჭიროა მისი დაფარვა, მეორე შემთხვევაში კი – საჯარო ცერემონიალის ჩატარება.

თურქულ საზოგადოებაში ქალის სექსუალობაზე ხმამაღლა საუბარი ქალი მწერლების დიდ გამბედაობად უნდა შევაფასოთ. პროფესორი, ქალთა საკითხის მკვლევარი ნეჯლა არათი წიგნში ”ქალი და სექსუალობა” წერს: ”თურქეთში სექსუალობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს, საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნიან ახლგაზრდები. თუ ერთი ფენა დემოკრატიული დირებულებების მქონე ოჯახიდან მოდის, არსებობს მეორე ფენა, რომელიც რელიგიური და ტრადიციების ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამ ფენის ახალგაზრდებში ნაადრევი ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენაა. იზღუდება ყველა სახის ქორწინებამდელი ურთიერთობები” (Arat, 1993:26). გამომდინარე იქიდან, რომ თურქულ საზოგადოებაში სექსუალობა მორალთან და ზნეობასთან არის დაკავშირებული, ქალის სხეულისა და სექსუალობის კონტროლის მექანიზმი მამაკაცების ხელშია. ახალგაზრდა გოგონას ქალიშვილობის საკითხი ოჯახის თავმოყვარეობასთან, კერძოდ მამების სინდის-ნამუსთან არის დაკავშირებული. სოციოლოგი დენიზ ქანდიოთი ამ ფაქტს ”კლასიკურ პატრიარქატს” უწოდებს, რომელიც თურქულ საზოგადოებაში მძლავრად არის ფეხმოკიდებული. ”ქალის სექსუალობის დათრგუნვა და მამაკაცების მიერ ქალების კონტროლი ”პატრიარქალურ მორალს“ ეფუძნება” (Kandiyoti, 1988:275). დამატების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალის სექსუალობის საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოებაში მამაკაცის სტატუსთან.

გვიქრობ, ოჯახი⁹⁰ არის ის სოციალური ინსტიტუტი, საიდანაც იწყება ქალის სექსუალობის დათოგუნვა. ოჯახში არსებული იერარქიულობა და გენდერული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალის საზოგადოებაში ინტეგრაციის და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საკითხს. პასიურ პოზიციაში მყოფი დედების როლს შემდეგ უკვე ქალიშვილები ირგებენ.

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას ჩვენ მიერ შერჩეულ რომანებში ქალი პროტაგონისტები საკუთარ სექსუალობას ჯერ გაუცნობირებლად თანტოლებთან ურთიერთობისას და წაკითხული რომანებიდან შეიგრძნობენ, შემდეგ ან საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობით ან ძალადობრივი გზით.

“ახალგაზრდა გოგონები, როგორც წები, სიყვარულთან და სექსუალობასთან დაკავშირებულ პირველ განცდას რომანებიდან, ფილმებიდან, სიმღერებიდან ეცნობიან. ოცნებები, რომლებიც ლიტერატურის, რადიოს, თეატრის მეშვეობით წარმოიშვება სინამდვილეს არ შეესაბამება. 17-18 წლის ახალგაზრდა გოგონების მოლოდინი, რომ მათ თანატოლები რომანები აღწერილ სიყვარულს განაცდევინებენ, ძალიან იშვიათად მართლდება. რომანებში, რომელსაც მე ვკითხულობდი, ადამიანები ერთმანეთთან ფიზიკური სიახლოვისას თავს კარგავდნენ, რატომ არ მოხდა ასე ჩემს შემთხვევაში? სინანის მოვერებისას მხრივოდ ტკივილს ვგრძნობდი. მხრივოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ კაცის წინ შემვეღი ვიდექი. მე ვიყავი გამონაკლისი, თუ რომანებში აღწერილი “თავის დაკარგვის” საკითხი იყო გადაჭარბებული?” (Kür,2003b:88).

⁹⁰XVI საუკუნის მეცნიერმა ალი ეფენდი ქინალიზადე წიგნში “საზოგადობრივი მორალი” ოჯახის საკითხებაც ეხება. ქინალიზადე ისლამისტი მეცნიერი იყო, შესაბამისად მისი შეხედულება ისლამურ სამართალსა და თურქულ ტრადიციებს ეყრდნობოდა. ქინალიზადეს მიხედვით, ოჯახის შედგება მამის, დედის, შვილების და მოახლეებისგან. ოჯახის თავი არის მამაკაცი და იგი უნდა ფლობდეს ოჯახის მართვის ხელოვნებას. იგი დაკავებული უნდა იყოს ან ვაჭრობით, ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით ან რაიმე სახის ხელობას უნდა ფლობდეს, რომ ოჯახის ჩემინა შეძლოს. მან უნდა იცოდეს გამომუშავებული თანხის რა ნაწილი უნდა დახარჯოს საჭმელ სა და ჩასაცმელ ზე. იგი უნდა დაქორწინდეს რომ გვარი გაგრძლედეს. ქინალიზადეს აზრით, ქალი უნდა იყოს ჯანმრთელი როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რომ შეძლოს ოჯახის შენარჩუნება. ქინალიზადე მონოგამიის მომხრე იყო და ამბობდა “მამაკაცს უნდა ჰყავდეს ერთი ცოლი, მამაკაცი არის ოჯახის სული, ისე როგორც ერთი სული არ თავსდება ორ სხეულში, ისე ორ სახლს არ უნდა ჰყავდეს ერთი მამაკაცი” (История,2006:402). მონოგამიის მომხრე იყო ზია გოქალფი, რომელიც სტატიაში “ოჯახი” წერდა: “ძველ თურქებში ოჯახი მონოგამიური იყო და ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ემყარებოდა. კაცები იძულებულები იყვნენ, პატივი ეცაო ცოლებისათვის” (Gökapl,1976:23).

“დამალობანას თამაშისას, მხოლოდ მეტეთოან მინდა დავიძალო. მასთან ერთად პატარა ნაძვის ხის ქვეშ ვიმალებით. ერთმანეთს ვეხუტებით. ერთხელაც ბუნებრ ში დავიძალეთ. მეტეთმა კარი დაკეტა. “აქ ძალიან ბნელა, მეშიანია”-მეთქი, თუმცა საშიში არაფერი იყო. მეტეთი პატარაა, მაგრამ ძალიან ძლიერია. მხარზე ხელი დამადო და ძლიერად მომიჭირა. იმ წამს მეგონა, გული ამომიგარდებოდა. მინდოდა, თავი მხარზე დამედო და დიდხანს კუოფილიყავი ასე, მაგრამ თავი მხარზე ვერ დავადე. ისე მოვიქცი თითქოს დამალვის მეტი არაფერი მაინტერესებდა” (Asena,2008:17).

პროტაგონისტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სექსუალობის შესახებ. მათ იციან, რომ მამაკაცებთან სიახლოვე პლატონური ურთიერთობა არ არის. თანაც არც მამაკაცები თანხმდებიან მხოლოდ “სულიერ სიყვარულზე”. ნილგუნი საღად აფასებს სინანთან ურთიერთობას და იცის, რომ მათი ფარული შეხვედრები დიდხანს არ გაგრძელდება.

“ჩვენი ურთიერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სექსუალური საკითხია. ადამიანი, რომელიც 30 წლისაა, მხოლოდ პლატონური ურთიერთობებით არ დაკმაყოფილდება. საღამოს სემრას პკითხა: “ნეტავ, ნამდვილად როდის მაკოცებსო?”, სემრას პასუხზე, “ძალიან მალეთ”, ტანში ურუანტელმა დაუარა. მაგრამ ნილგუნის წარმოდგენა სექსუალობაზე ძალიან განხხვავდებოდა სინანის წარმოდგენისგან. მან თეორიული თვალსაზრისით ძალიან კარგად იცოდა, რომ მამაკაცების სურვილსა და ქალის სურვილს შორის დიდი განხხვავება იყო. გარდა ამისა, სკოლის მეგობრები წვეულებებზე მიღებულ გამოცდილებასა და წაკითხული რომანებზე დაყრდნობით, ხშირად აფრთხილებდენენ ამის შესახებ” (Kür,2003:90).

დუიგუ ასენას გმირი საკუთარი მეგობრების გამოცდილებიდან გამომდინარე, ცდილობს, თავი აარიდოს იმ არასასურველ შედეგს, რომელიც მამაკაცთან ურთიერთობას შეიძლება მოჰყვეს.

“ერთანის მშობლები დახასევენებლად წავიდნენ. “წამოდი, ჩემთან წავიდეთო” ამბობს... უარს არ ვეუბნები. მივდივართ... ერთანს დიდი ხანია ვიცნობ, ისეთი კარგი და ისეთი კეთილია, რომ მთელი ცხოვრება მასთან მინდა ვიყო. როგორც კი სახლში შევედით, კისერზე მომეფერა. დასალეჯეს მთავაზობს... მოდუნდებით, მეუბნება... ცოტა მომწყინდა. მოდი, ბანქო ვითამა შოთ-თქო, ვთავაზობ... ვთამა შობთ... ცოტა ხნის შემდეგ ჩემს გვერდით ჯდება, მეხვევა, მკოცნის, ერთმანეთს ვკოცნით.

“უკვე დაგიღალეო”, ამბობს, უკვე დიდი ხარ და იცი, რომ კოცნის გარდა სხვა რამებიც არსებობს. ჩემს გახდას იწყებს, თვითონაც იხდის. ქუჩაში გაწუწული კატასავით გაანალებ, თავში ათასი აზრი მიტრიალებს. ჩემს მეგობარ ფუგენზე კვიქრობ. მამაკაცების სურვილის დაკმაყფილების გამო ტკივილის იტანს, ფეხმძიმედ დარჩა, შერცხვენილი და უბედურია. სახწრაფოდ ვიცვამ კაბას, სახლიდან შეშლილივით გამოვრბივარ”(Asena,2008:47).

მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ორივე მწერალი აქცევს ყურადღებას, ეს ქორწინების, როგორც სექსუალური თავისუფლების მოპოვების, საკითხია. სტატიაში “ქალის თავისუფლება” დუიტ ასენა წერდა: “უმრავლესობა იმიტომ ვთხოვდებით, რომ გვინდა თავისუფლები ვიყოთ. საზოგადოებაში, სადაც ქალისა და ვაჟის მეგობრობა აკრძალულია, შეყვარებულთან ერთად სახლში დაბრუნებაზე დიდი თავისუფლება არ არსებობს. რამდენი წლისაც არ უნდა იყოთ, ქუჩაში თავისუფლად ვერ გაივლით, შეყვარებულთან ერთად დასასვენებელად ვერ წახვალო, ბევრი რამ არსებობს, რასაც ვერ აკეთებთ, ამის გამო თხოვდებით. ახალზარდა გოგო საყვარელ მამაკაცთან თავისუფლად ურთიერთობას მხოლოდ ამ გზით ახერხებს. მაგრამ როცა გათხოვილი ქალის სტატუსი გაქვთ, იქ სხვა აკრძალვები იჩენს თავს. ქალმა, რომელიც მუშაობს, თანამშრომელთან სადილზე გასვლისგან შეიძლება თავი შეიკავოს. სადილი უბრალო რამეა, მაგრამ შეიძლება ვინმემ დაინახოს და გაკიცხვის საგანი გახდეს”(Asena,2005:11).

ფინარ ქურის გმირი ნილგუნი იმ შეგნებით გაიზარდა, რომ ქალი უნდა გათხოვდეს. სწორედ ამიტომ დათანხმდება იგი სინანთან ინტიმურ კავშირს, სჯერა რა, რომ იგი მისი ქმარი გახდება. იმის გამო, რომ ქალის ქალიშვილობის საკითხი ოჯახის ნამუსთან არის დაკავშირებული, გმირები ძალიან მნელად თანხმდებიან საყვარელ მამაკაცებთან ფიზიკურ სიახლოვეს.

“გადაწყვეტილი მქონდა, თავისუფალი კუოფილიყავი. კარის წინ ვიდექი და ვერ გადამეწყვიტა, ზარი დამერეკა თუ არა. ტვინში ერთმა აზრმა გამიეღვა: “მამამ რომ გაიგოს, რას ვაკეთებ, გული რომ გაუსკდებ? არა, მას ამას ვერ გავუკეთებ”(Kür,2003:112).

სინანი ქალების გაუბედაობას აღზრდას აბრალებს. მისი აზრით, გოგონებს დაბადებიდანვე უნერგავენ მომავალი სექსუალური ცხოვრების შიშს. ამით

ცდილობენ მათი “ნაადრევი თავისუფლება” შეზღუდონ და ტარდიციების ჩარჩოებში მოაქციონ.

“თქვენში ნაადრევი თავისუფლების სურვილი რომ ჩაკლან, არარეალურ შემს ნერგებ. და თუ ერთ დღესაც საზოგადოების ზეწოლის წინააღმდეგ გაიღაშერებთ, ეს შემი მაინც დაბრკოლება იქნება თქვენთვის” (Kür,2003:119).

მიუხდავად იმისა, რომ სინანი ასე “პროგრესულად” აზროვნებს, როცა საქმე საკუთარ ქალიშვილზე მიდგება, მზადაა მოკლას კიდეც.

“ერანთან თავს კარგად ვგრძნობ. ერთმანეთს ვკოცნით და ვეფერებით. მაგრამ მე სწავლა მინდა, გათხოვება არა. თუ არ გავთხოვდები ნამდვილ განცდებს როგორ შევიგრძნობ... მაგრამ ვიცი, რომ გათხოვებისას ქალი ქალიშვილი უნდა იყოს. მხოლოდ ასე თუ დაუმტკიცებს მამაკაცს, რომ მის ნამუსს არავინ შეხებია. მათ სიამოვნება უნდა მიიღონ, ჩვენ კი არა” (Asena,2008:47).

ქალები მხოლოდ საკუთარი სურვილით არ შეიგრძნობენ საკუთარ სექსუალობას. ეს შეიძლება ძალადობრივი გზითაც მოხდეს, როგორც ეს მელექის შემთხვევაშია. ჰუსრევ ბეის მიერ მოყვანილ მამაკაცებთან ურთიერთობისას მელექი ყოველთვის ძლიერ ტკიცილს განიცდის. თუ სხვა პერსონაჟები საკუთარი სხეულისა და სექსუალობის შესახებ თეორიულ ცოდნას ფლობენ, მელექის შემთხვევაში ეს ასე არ არის. იგი როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.

“გვიქრობდი, ნეტა ცა ჩამოიქცეს და თან ჩამიტანოს. გვკვდები... თითქოს კანს მაცლიან, ეს ტკიცილი გულამდე აღწევს. მგონი ამას დასახრული არ აქვს, მაგრამ ტკიცილისაც აქვს დასახრული. თრი დღე სისხლი მდიოდა, შემდეგ ტკიცილი გაქრა” (Kür,2003:45).

მწერლათა რომანებში სხეულისა და სექსუალობის საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ აღნიშნული საკითხისადამი პატრიარქალური დისკურსის ამბივალენტურობას. ქალის სხეული ერთდროულად არის როგორც უარყოფილი, ისე “გამოყენებული”. ანუ მისით ან ტკბებიან, ან უარყოფენ როგორც “უწმინდურს”. ქალი იძულებულია მხოლოდ არაპირდაპირი სხეულისმიერი ქმედებებით აიძულოს საზოგადოება, დაინახონ მისი გრძნობები და აღიარონ მისი

არსებობა. რეპრეზენტირებისას ქალი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ მისი სხეულისადმი მიმართულ ყველა სახის რეპრესიას გაუქმოს.

მწერლების მიერ დახატული ქალი პროტაგონისტები საბოლოო ჯამში საკუთარი სექსუალობის “დადგენის” შემდეგ უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობენ. სხეულისმიერი ტკივილი მათ საშუალებას აძლევს, უფრო “ფემინურები” გახდნენ. “ფემინურობაში” ვგულისხმობთ ქალის სხეულის ექსტატიურ ურთიერთობას სამყაროსთან. ქალური ლიბიდო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მამაკაცური. ოდონდ იმ განსხვავებით, რომ იგი “უკმარისობის” გრძნობას არ წარმოადგენს, როგორც ამას ფროიდი ამტკიცებს. ფრანგი ფემინისტური კრიტიკის წარმომადგენლის, ლუსი ირიგარეს, განმარტებით “ტრადიციულ კულტურაში ქალური ლიბიდოს დათრგუნვა გვაიძულებს დავივიწყოთ მისი მრავალგვარობა და ჰეტეროგენულობა” (Жеребкина,2000:167). ქალური ლიბიდო აუტოეროტიული და პლურალურია. მამაკაცების სექსუალობა ფოკუსირდება სურვილის ერთადერთ ობიექტზე – პენისზე, ქალური სექსუალობა კი რეალიზდება სხვადასხვა ორგანოების მეშვეობით. პატრიარქალური ლოგიკა ქალური სექსუალობის მარტივად მანიპულირების მიზნით მას ტაბუდადებულ თემად აცხადებს. ფინარ ქურისა და დუიგუ ასენასათან ქალური სუბიექტობა პირადპირ კავშირშია ქალის სექსუალობასთან. მათ მიერ დახატული ქალი პერსონაჟები, აცნობიერებენ რა საკუთარ მარგინალურობას, ცდილობენ “წართმეული” იდენტობის დაბრუნებას, რაც დიდად განაპირობებს მათ სექსუალურ თავისუფლებას. შიში, სირცხვილი, საზოგადოებრივი ზეწოლა რეპრესიის ის მაჩვენებლებია, რომელთა გადალახვა ქალის სექსუალობის რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა. სუბიექტობისა და სექსუალობის გაცნობიერება ქალს შინაგან თავისუფლებას სძენს. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, დაშორდეს მეუღლეს, დაარღვიოს საზოგადოებრივი ნორმები და იყოს თავისუფალი.

დასგნა

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია თურქეთში ფემინისტური მოძრაობის, ფემინისტური თეორიისა და კრიტიკის გაანალიზება და თანამედროვე ქალი მწერლების, ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას, შემოქმედებაზე მისი ასახვის წარმოჩენა.

1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთში ფემინისტური პოლიტიკის შემუშავება დაიწყო. მოსაზრება, რომ მანამდე ფემინისტური მოძრაობა არ არსებობდა, საფუძველს არის მოკლებული. ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებმა მყარი ნიადაგი მოამზადა ფემინისტური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. მართალია, რესპუბლიკის პერიოდის თურქეთში ქალთა მოძრაობამ სხვა მიმრათულება მიიღო, მაგრამ, ვფიქრობ, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ფემინიზმის“ არსებობა მოსალოდნელიც იყო. თურქეთში ფემინისტური მოძრაობა სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: პირველი პერიოდი მოიცავს ოსმალეთის იმპერიის რღვევისა და „გაევროპელების“ პროცესებს, რომელმაც ქალთა საკითხის წინ წამოწევა და განათლებული ოსმალო ქალების მიერ უფლებებისა და საზოგადოებაში ადგილის განსაზღვრისათვის აქტიური ბრძოლა განაპირობა. ეს კი, ჟურნალ-გაზეთებსა და ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციების დაარსებაში გამოიხატა. ქალთა მოძრაობის მწვერვალს II კონსტიტუციური მმართველობის პერიოდი წარმოადგენს. ოსმალო ქალები ქალის როლის, განათლების, ქალთა სამოსის, ქვეყნის მომავლის განსაზღვრის შესახებ უმარავ წერილს აქვეყნებდნენ. ქალთა უფლებების შესახებ საუბარი ევროპაში განათლებამილებულმა ახლაგაზრდებმა დაიწყეს. მართალია, ისინი ქალის განათლების მომხრეები იყვნენ, მაგრამ მირითად მიზანს არა ქალების პიროვნული თავისუფლება, არამედ კარგი შეიღების აღმზრდელებად მომზადება წარმოდგენდა. „ოსმალო ინტელიგენცია არც სახელმწიფოებრივ-რელიგიურ სისტემაზე ამბობდა უარს და არც სქესთა შორის დემოკრატიულ ურთიერთობაზე ფიქრობდა“ (Tekeli, 1988:313). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალო ქალების მოძრაობას მასიური ხასიათი არ მიუდია, იგი ფემინისტური მოძრაობის განვითარების საქმეში გადადგმულ „პირველ ნაბიჯად“ უნდა შევაფასოთ.

მეორე პერიოდს რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე ფემინისტური პროცესებია. 1926 წელს მიღებულმა სამოქალაქო კანონმა, 1934 წლის არჩევნებში ქალების მონაწილების შესახებ კანონმა ქალებს კანონიერად განუსაზღვრა სტატუსი. თუმცა ქემალისტურმა იდეოლოგიამ ქალები „ასექსუალები“ გახდა. „სახელმწიფო ფემინიზმა“ ქალებს თითქოს შიზოფრენიული იდენტობა შესძინა. მართალია, ისინი ჩადრს აღარ ატარებდნენ, მაგრამ თავიანთი „სქესობრივი იდენტობა“ დაკარგეს. სოციოლოგი, პროფესორი დენიზ ქანდიოთი აღნიშნავს: „გატარებული რეფორმები ქალების უფლებების დაცვის საქმეში რაც არ უნდა სასარგებლო იყოს, ისინი ქალების განთავისუფლებისათვის საკმარისი არ არის. თურქი ქალისათვის კანონის დონეზე თანასწორობის აღიარებამ საფასურად მისი პიროვნული თავისუფლება მოითხოვა“ (Kandiyoti,2010:332). აქ ალბათ ზედმეტი არ იქნება, თუ „ქემალისტი ქალების“ დისკრიმინაციაზე ვისაუბრებთ. მართალია, ისინი სახელმწიფო სამსახურში იდგნენ და სხვადასხვა საქმით იყვნენ დაკავებული, მაგრამ სახლის საქმეებს ისევ ისინი აკეთებდნენ. ოჯახი, შვილები მათი საზრუნოვი იყო. ვინაიდან იგი „რჩეულია,“ სახლში დიასახლისივით, ხოლო გარეთ ნამდვილი „მამაკაცივით“ უნდა მოიქცეს. ეს კი მისი „ორმაგი შრომის“ საუკეთესო გამართლება იყო.

მესამე პერიოდი კი 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდგომი პერიოდია. აღნიშნული პერიოდი რთული პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური პროცესებით გამორჩევა. ფემინისტური მოძრაობა უფრო გამოკვეთილ ხასიათს იძენს. ადგილი აქვს ფემინისტური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოსა და ქალების დიალოგს. შეიქმნა „ქალთა სტატუსისა და საკითხების განმსაზღვრელი მთავარი სამმართველო“. თავად ქალებს შორის ფემინისტური იდეოლოგია დიდად გავრცელდა. სტამბოლში, ანკარაში, ანტალიასა და სხვა ქალაქებში ქალთა ორგანიზაციები ჩამოყალიბდა. 1990 წელს დაარსდა “Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bilgi Merkezi“, („ქალთა შემოქმედების ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ცენტრი“), სადაც თავმოყრილია ქალი მწერლების, პოეტების, მხატვრების, მუსიკოსების, რეჟისორების შემოქმედება და პირადი არქივები. აღნიშნულ პერიოდში თავი იჩინა ქურთი ქალების ფემინისტურმა მოძრაობამ და „ისლამურმა ფემინიზმა“, რაც ფემინისტური მოძრაობის უფრო რთულ მოზაიკას ქმნის. დაიწყო ქალთა საკითხის გადაჭრისათვის სხვადასხვა პროგექტების

მომზადება. უნივერსიტეტებში გაიხსნა ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები. ქალები ხმამაღლა ალაპარაკდნენ სქესობრივი თავისუფლებაზე.

ფემინიზმის არსებობამ დიდი წვლილი შეიტანა თურქული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში. თანასწორობა, განსხვავებულობა და დამოუკიდებლობა ის ცნებებია, რომლებსაც ფემინიზმი აქტიურად იყენებს. ქალები არა მხოლოდ უფლებების მინიჭებას მოითხოვენ, არამედ თანამდროვე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ფემინისტურმა მოძრაობამ და ფემინისტურმა თეორიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიტერატურაში, ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის ჩამოყალიბების საქმეში. ამან კი ქალი მწერლებისა და პოეტების შემოქმედების ქალური პერსპექტივიდან გაანალიზების შესაძლებლობა შექმნა. ლიტერატურის ფემინისტურმა ანალიზმა უანრის სფეროშიც შეიტანა სიახლე. ავტობიოგრაფია “ქალურ უანრად” იქნა მიჩნეული. ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები “აღიარების” დისკურსს მიმართავენ. ნარატორად გვევლინება არა მამაკაცი, არამედ ქალი.

მიმაჩნია, რომ არა ფემინისტური მოძრაობა, თურქეთში ქალი მწერლების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა კიდევ დიდი ხნით გადაიწევდა უკან. ფემინიზმის მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩაითვალის ის, რომ ქალთა თვითშეგნებისა და თვითშეფასების საკითხში მან გადამწყვეტი როლი ითამაშა. კითხვაზე, რამ განაპირობა ფემინისტური მოძრაობის წარმოშობა, ცალსახა პასუხი არ არსებობს. იქნება ეს ევროპასთან სიახლოვე, ურბანიზაცია, ეკონომიკური მდგომარეობა, განმათავისუფლებელი ომი თუ სხვა მრავალი მოსაზრება, ფაქტი ერთია: თურქული ფემინიზმი არსებობს და იგი წარმოადგენს ორგანულ პრობლემებთან და საჭიროებებთან ადაპტირებულ მოძრაობას, რომელიც ფემინისტური იდეების პირდაპირ ტრანსლაციას კი არ ახდენს, არამედ თურქულ სოციოკულტურულ სინამდვილეს ერგება.

გვიქრობ, ფემინისტურმა კრიტიკის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ნაშრომები თურქული ლიტერატურის შემდგომის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ფემინისტური კრიტიკის არსებობამ ქალი ავტორების შემოქმედების “რევიზიული” წაკითხვა განაპირობა. წარმოიშვა ისეთი ცნება, როგორიცაა “ქალთა ლიტერატურა”, რომლის მიზანია ქალი ავტორების მიერ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ქალური პროექციით განხილვა.

ცნებას “ქალთა ლიტერატურა” ჰყავს როგორც მომხრები, ისე მოწინააღმდეგები. ჩემი აზრით, “ქალთა ლიტერატურა” ლიტერატურის დიქტომიას არ ისახავს მიზნად. საქმე ეხება ქალი ავტორების იდენტობის საკითხს. იდენტობის საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული ქალი ავტორების მიერ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ სიკრცეში ადგილის დამკვიდრებასთან. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ფემინისტური კრიტიკა ეხება, ქალისადმი მამაკაცების ამბივალენტურ დამოკიდებულებას ეხება. ეს კი პატრიარქალური აზროვნების შედეგად უნდა შევაფასოთ. ჰეგემონი კულტურა ცდილობს, საკუთარი სქესის უპირატესობა დაამტკიცოს “მეორე სქესის” დისკრიმინაციის ხარჯზე.

თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ქალი ავტორები ყურადღებას ადამიანის პიროვნულ თვისებებზე და მის შინაგან სამყაროზე ამახვილებენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქალური სექსუალობის შესახებ დაუფარავი და უშიშარი საუბარი. ქალები ყურადღებას ამახვილებენ სხეულზე და მის ბატონ-პატრონად არა მამაკაცს, არამედ საკუთარ თავს მიიჩნევენ. ტაბუდადებულ თემებზე წერა ტრადიციებთან კონფლიქტს იწვევს. საზოგადოებრივი მორალი ქალის სექსუალობის დამთრგუნველი ფაქტორია.

თანამედროვე ქალი მწერლები, ფინარ ქური და დუიგუ ასენა, ქალის საკითხის განხილვას ქალური პერსპექტივიდან ცდილობენ. მათვის მნიშვნელოვანია ქალის სუბიექტობისა და სექსუალობის წინა პლანზე წამოწევა. მწერლები რომანებში ქალის სუბიექტობის კონცეფციის განხილვისას, ქალის, როგორც “სხვის”, კონცეფციას ეყრდნობიან. მამაკაცური დისკურსის რდგევას ისინი ისტერიული ტექნიკის მეშვეობით ცდილობენ. ქალური ისტერიის არტიკულირება პატრიარქალური იდეოლოგიის პაროდიასთან არის დაკავშირებული. მწერლების მიერ დახატული ნონკონფორმისტი პერსონაჟები სუბიექტობას ჰეგემონური კულტურის წინააღმდეგ პროტესტით მოიპოვებენ. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ბინარულ წევილებში სუბიექტი – ობიექტი, ანუ, მამაკაცი და ქალი, ქალი სუბიექტის პოზიციას იჭერს. აღნიშნული პოზიციის დაკავებისათვის პროტაგონისტებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ.

მწერლები დიდი ყურადღებას აქცევენ ქალის სხეულისა და სექსუალობის საკითხს. აღნიშნული საკითხის განხილვისას ისინი ტრადიციებთან კონფლიქტს წამოსწევენ წინ. საზოგადოებრივი მორალის პერსონიფიცირებული სახეა მამის სახე. მწერლები ქალის მიერ სხეულის “აღმოჩენის” თემას მნიშვნელოვან

უურადღებას უთმობენ. ამ საკითხის გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ ქალები საკუთარ მარგინალიზირებულ სტატუსს მოწიფულობის ასაკიდან აცნობიერებენ. გარდა ამისა, ქალების სექსუალობა სხეულისმიერ ტკივილთან არის დაკავშირებული. შიში, გაუბედაობა და სირცხვილი სექსუალობის სფეროში ქალების დაბალი თვითშეგნების საფუძველია. აღნიშული საკითხის გაანალიზებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოება ქალებს ორ ჯგუფად ჰყოფს: “კარგი გოგოები” და “ცუდი გოგოები”. ისინი, ვინც დამოუკიდებელი ცხოვრება აირჩია ამორალურ ქალებად არიან მიჩნეულები. მაგალითად, ნილგუნი და რომანის “ქალს სახელი არ აქვს” მთავარი გმირი. მათზე საუბრისას მამაკაცი პერსონაჟები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი ყველა მამაკაცთან თანხმდებიან სექსუალურ ურთიერთობას და არც სხვისი ოჯახის დანგრევას ერიდებიან. ქალის სექსუალობის დადგენა უშუალოდ უკავშირდება ქალის სუბიექტობის კონცეფციას. თუ ქალი სუბიექტი ვერ გახდება, ვერც “ავტონომიურ სექსუალობას” მოიპოვებს. “ავტონომიური სექსუალობა” კი საკუთარი სხეულის ფლობას გულისხმობს.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში ქალი მწერლები პატრიარქალური დისკურსის პირობებში საკუთრივ ქალური სპეციფიკურობის გამოვლენას მაინც ახერხებენ. ასეთი კონცეპტუალური ცვლილებები ქალი ავტორების როლის, ადგილისა და გამოცდილების განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს კი ფემინისტური იდეებით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ქალი მწერლები მამაკაცებთან თანასწორობისთვის ბრძოლაში სოციალური ნორმების სიმძიმეს კარგად გრძნობენ, მათ საკუთარი გამოცდილების, მისწრაფებების, იდენტობის გამოხატვის გზებს მაინც მიაგნეს.

ბიბლიოგრაფია:

ტექსტი:

Asena Duygu: Kadının adı yok , Doğan Kitap yayınları İstanbul

2008

Asena Duygu : Kahramanlar hep erkek , Doğan Kitap yayınları İstanbul

2006

Kür Pınar: Asılacak kadın, Everest Yayınları İstanbul

2003

Kür Pınar : Bitmeyen Aşk, Everest Yayınları İstanbul

2003

		ქალი ავტორების იდენტიფიკაციის საკითხისათვის
ბუსკივაძე გ.		თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში.
2013		რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი ”სპეცალი” №7. თბილისი
ბუსკივაძე გ.		ფემინისტური მოძრაობა თურქეთში. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი” №
2011		1 (39), გვ. 233-235.
გელოვანი ნ.		ქალი ისლამში (VII-X სს). თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”
2005		
დონაძე ნ. კიკნაძე თ		გენდერი –სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი.
2006		თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ფონდი.
მეტრეველი გ.		ქალის სახე გ. კარალაციის შემოქმედებაში.
2004		სადისერტაციო ნაშრომი.
კავთიაშვილი გ.		დეკონსტრუქცია – ანალიზის მეთოდი. კრიტერიუმი №4, თბილისი რესთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი
2001		
კინროსი ლორდი.		ათათურქი – ერის მეორედ დაბადება. მთარგმნელი ნ.ჯანაშია. თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი
2011		
ლენგერმანი გ.		ფემინიზმის თანამედროვე თეორია.
ნიუბრუგე-ბრანტლი ჯ.		http://socium.ge/index.php
2011		

ლებანიძე ტ.	პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური
2011	მდგომარეობა თურქეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“
ნადარეიშვილი ქ.	ქალი კლასიკური ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში.
2008	თბილისი. სადისერტაციო ნაშრომი
ხარბედია გ.	პოსტსრუქტურალიზმი და დეკონსტრუქცია – XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
ჯაველიძე ე.	ფუთუვეთი – სულიერ-რაინდული ძმობა.
2010	(ფეთა-ჯავანმარდი-აიარი –რინდი –აჭი-ყარაჩოდელი) თბილისი
ჯაველიძე ე. შაჟულაშვილი გ.	“დედე ქორქუთის წიგნი”. თბილისი,
1987	გამომცემლობა ”საბჭოთა საქართველო“
ჯაველიძე ე.	შტუდიები. თბილისი, გამომცემლობა
1985	“საბჭოთა საქართველო”
ჭოლაძე გ.	ლიტერატურის ანალიზის ფემინისტური თეორიების
2009	ისტორიისათვისსაერთაშორის პერიოდულისამეცნიერო უურნალი “ინტელექტი” 3(35)თბილისი
Айвазова С.	Симона Де Бовуар. Санкт- Петербург
1997	

Айвазова С.

Феминистская традиция в России. Москва

1998

Водопьянова Е. Европейский феминизм, идей и движение. <http://ieras.ru>.

Де Бовуар С. Второй пол. Санкт-Петербург

1997

Жеребкина И. Прочти моё желание. Москва

2000

Жеребкина И. Феминистская теория 90-х годов: проблематизация женской субъективности. Харьков

2001

Ровенская Т. Феномен женщины говорящей. Идентификация женской прозы 80-90гг.

2000

Рюткёнен М. Гендер и литература, проблема “женского письма” и “женского чтения” Филологические науки. 2000. № 3. СС. 5-17

Трофимова Е.И Терминологические вопросы в гендерных исследованиях

2001

Общественные науки и современность №2

Трофимова Е.И О концептуальных понятиях и терминах в гендерных исследованиях и феминистской теории

http://lib.uni-dubna.ru/search/files/sr_konc_termin/~sr_konc_termin.htm

Джавелидзе Э. Д. У истоков Турецкой Литературы, И. Джелальеддин Руми

1979 Вопросы мировоззрения. Тбилиси

Легенгаузен М. Современные вопросы исломской мысли. Москва

2009

Понятие Женского Творчества .<http://education.gender-az.org/Files/4.14.5.ru.pdf>

Литература Востока В новое время. Москва

1975

Кямилев Х. У истоков современной Турецкой Литературы. Москва

1967

Маштакова Е.И. Михри Хатун. Диван. Москва

1967

Пушкарь Г. Топология и поэтика женской прозы, гендерный аспект. Ставрополь

2007

Тукачева Ю. Историко-философская интерпретация гендера.

2011

<http://dom-hors.ru/issue/fik/1- 2011-1-2/tukacheva.pdf>

Нордгрен Э. Развитие постструктурализма в теории литературного феминизма

1994 Русский феминистский журнал №2

Феминистская теория как философско-культурологический анализ понятия пола.

www.5ballov.ru.

Феминизм. Энциклопедия кругосвет. www.krugoscvet.ru

Шоултер Е. Современная литературная теория. Антология. Москва

2004

История Османского государства общества и цивилизаций. Том I. Москва

2006

Леви Строс К. Первобытное мышление. Москва

1999

- Митчел Дж. Святое семейство. Современная литературная теория. Антология. Москва
2004
- Луков В. А, Кириллина В.Н. Гендерный конфликт, система понятий.
- 2005 Знание, понимание, умение №1. Москва
- Пензина О.В. Критерии гендерного анализа женской прозы конца XIX века в современном литературоведении. Филологические науки, Ставрополь
- 2008
- Göbenli M. Zeitgenössische Türkisch Frauenliteratur Eine vergleichende Literaturanalyse ausgewählter Werke von Leylâ Erbil, Füruzan, Pınar Kür und Aysel Özakin. Hamburg 1999
- Göbenli M. Die Türkische Feministische Frauenbewegung der 80er Jahre –Darstellung und Analyse der Entwicklungen, Probleme, Perspektiven. Göttingen
- 1995
- Babka A. Literatur, Literaturwissenschaft, Literaturtheorie. Wien
- 2007
- Atasü E. Kadın Yazar. Dil Dergisi (Ankara Üniversitesi) Mart ,sayı 101
- 2001a
- Atasü E. Kadın Edebiyatı .Kadınlar Edebiyatı. Kadınlığım, Yazalığım, Yurdum. Ankara
- 2001b
- Atasü E. Kadın yazar Kimliği . www.erdenizatasu.com
- Atasü E. Kadın ve Duyarlık. Kadınlığım, Yazalığım, Yurdum. Ankara
- 2001c
- Atasü E. Kadınlar farklı mı yazıyor. Dosya, N25
- 2000
- Argunşah H. Kadın ve Edebiyat, I Kaşgar, 9 Mayıs 34-40

1999

Yalçın A. Cumhuriyet Dönemi Çağdaş Türk Romanı. Ankara

2005

Abadan-Untan N. Toplumsal Değişim ve Türk Kadını, Türk toplumda kadın. Türk sosyal
1982 bilimler dergisi. Ankara

Acuner S. Kurumsallaşmanın doğuş aşamaları . İstanbul

2009

Acar F. Kadın dergiler ve bir grup Üniversite öğrencisi üzerine bir inceleme 80'ler
2010 Türkiyessinde. İstanbul

Arat Y. Feminizm ve İslam, Kadın ve Aile dergisinin düşündükleri. İstanbul

2010

Ağabeygüm A. Kadınlık kimlik arayışı ve devlet eliyle feminizm. Kadın ve aile, sayı 53,Ocak
1994 İstanbul

Altınay A. Bedenimiz ve Biz . Bekaret ve cinselliğin siyaseti . İstanbul

2009

Aytaç G. Feminist yaklaşım. Genel edebiyat Bilim. Ankara

1991

Açık N. Çağdaş Türk Kadın Dergilerinin bir analizi . İstanbul

2009

Akathı F. Türk kadının Yüzyılı . Panel .Ankara

1999

Arat N. Kadın ve cinsellik . İstanbul

1993

- Arat N. Feminizmin ABC' si . İstanbul
1991
- Arat N. Kadın sorunu . İstanbul
1986
- Adivar H. Halide Edibin anıları . Londra
1928
- Adivar H. Handan. İletişim yayınları, İstanbul.
2007
- Andaç F. Edebiyatımızın Kadınları . İstanbul
2004
- Arman A. Duygu Asena kadınlara adam gibi sevişmeyi öğretti. Vatan 2 Aralık
2005
- Akgün B. Duygu Asena. Akaşam gazetesi N 15
2003
- Asena D. İlkel zafer dürtüsü ve sevgi sözcükleri . Kadınca
1985
- Asena D. İyi kızlar kötü kızlar. Kimlik , temmuz sayı 14
1996
- Berkay F. Türkiye Solu'nun kadına bakışı, değişen birşey var mı? 80'ler Türkiyesinde kadın
2010 bakış açısından kadınlar. İstanbul
- Berkay F. Kadın olmak, Yaşamak, Yazmak. İstanbul
1998
- Bora A. Yapabirlik olarak Ka-Der . 90'larda Türkiye'de Feminizm. İstanbul

2009

Bora A. Köker E. Feminizm ve kadın hareketi . Siyaset yeniden Mart , sayı 59

1994

Betin İ. Atatürk inkılابı ve Ziya Gökalp, Yahya Kemal , Halide Edib . İstanbul

1995

Bele T. Edebiyatımızda kadın. Bursa Edebiyat günleri.(Bildiri metinleri) Bursa. S.152-159

2001

Baydar O. Türkiye'nin çeyrek Yüzyıllık Defterinde kadın. Varlık Mart, 1050.8-9

1995

Baydar O. Kadın yazar olmanın dayanılmaz hafifliği. Bursa Edebiyat Günleri. Bursa.

2001

Cumhuriyet ... Kadının adı yok kitabı yasaklandı. N 23

1991

Coşkun B. Türk modernleşmesinin Kadın Romancıları üzerine okumak Tanzimattan

Cumhuriyete. International Periodical forteee Languages, Literature and History of Turkish or
2010 Turic Volume 5.4 fall

Ceyhun A. Dede korkut Kitabında Türk Kadını. Milli Kültür. Ankara

1984

Çakır S. Osmalı kadın hareketi. İstanbul

2011

Çağdaş Türk Edebiyatında Kadın yazarlar. Yayıma hazırlayan Can Kurultay. İstanbul

1993

Çalışkan A. Edebiyat Teorisi üzerine -3. Edebiyat teorilerinin sınıflandırılması.

- 2012 Uluslararası sosyal araştırmalar dergisi Cilt 5: sayı 21: Bahar
Demircioğlu A. Osmalı basında feminism. Tarih ve Toplum , sayı: 114
- 1993
- Durakbaşa A. Halide Edip , Türk modernleşmesi ve Feminizm. İletişim yayınları, İstanbul
2012
- Durakbaşa A. Cumhuriyet Döneminde Kemalist Kadın kimliğinin oluşumu.
- 1988 Tarih ve Toplum N:91
- Duygulu B. Asılacak Kadın . Somut dergisi N 15
- 1983
- Ercilasun B. Mehmet Akif 'in şiirlerinde Kadın Tipi ve aile temi. Gösteri dergisi N7
- 2007
- Elişenler S. Ömer Seyfettine göre Kadın . Tarih ve toplum sayı :20
- 1999
- Erden A. Türk edebiyatında Kadın Yazarlar. Kötüçültük, Cinsellik, Erotizm. İstanbul
2011.
- Erdoğan A. Kadın kendi sesini duymak için yazıyor. Türk edebiyatı. İstanbul
2005
- Enginün İ. Namık Kemal'in eğitim konusundaki görüşleri. Yeni Tütk Edebiyatı
2007 Araştırmaları. İstanbul
- Enginün İ. Türk Kadın Romancıları. Yeni Türk Edebiyatı Araştırmaları. İstanbul
2007
- Enginün İ. Türk Kadın Yazarları ve Halide Edib. Yeni Türk Edebiyatı Üzerine Araştırmalar

- 1983 İstanbul
- Genç A. Peyami Safa'nın romanlarında kadın. Milli Kültür. Kasım, sayı: 1981 Ankara.
- 1990
- Genç İ. Eski Türk edebiyatı tarihi , Giriş. İzmir
- 2006
- Gökalp Z. Türkçülüğün Esasları. İstanbul
- 1976
- İleri S. Feride Çiçekoğlu ile söyleşi. Cumhuriyet gazetesi sayı 22
- 1996
- Hazer G. Kadın öykü yazarının bireysel ve kurgusal sorunları. Dosya , Kadın öykücüler, S:8
- 2005
- İngün Ö. Feminizm ve islam ilişkisi. Doktora tezi . İzmir 9 Eylül Üniversitesi
- 2005
- Irzık S. Parla J. Kadınlar Dile düşünce. Edebiyat ve Toplumsal cinsiyet. İstanbul
- 2004
- Karaca N. Bizi ayran Nehirler. http://www.zaman.com.tr/null/duygu-asena-ve-bizi-ayiran-nehirler_331563.html
- 2006
- Karaca N. T Edebiyatımızın Kadın Kalemleri. Ankara
- 2006
- Kahraman B. Kadın olmak zor zannat. Radikal gazetesi, sayı 36
- 2003

Kür P. Pınar Kür'ün savunması. Özel Arşiv. 11 Şubat,Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bilgi
1988 Merkezi Vakfı

Kür P. Türk edebiyatında Erkeler.... Hürriyet N 25

1999

Kür P. Baba ve anne yorumu. Özel Arşiv. Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bilgi Merkezi Vakfı

Kür P. Asılacak Kadınla ilgili söyleşi. Özel Arşiv.Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bilgi Merkezi Vakfı

Kür P. Türkiye'de romancının durumu. Özel Arşiv. Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bilgi Merkezi Vakfı

Kerman Z. Romancılarımızın İdeal Kadın tipleri. Yeni Türk Edebiyatı İncelemeleri.
İstanbul

2009

Koloğlu O. 1913'te Türk Kadın hereketi üzerine gündemdeki tarif. Tarih ve Toplum. Sayı:22

2002

Kandiyoti D. Ataerkil görüntüler, Türk Toplumunda Erkek egemenliğinin Çözümlemesine
2010 yönelik notlar.İstanbul. 80'ler Türkiyesinde Kadın bakışacısından Kadınlar

Kartaş E. Türkiye'de Kadın hareketleri ve Edebiyatımızda kadın sesleri.International
Periodical for tee Languages, Literature and History of Turkisch or Turic.4.8 Fall

2009

Kuş S. Murahtan Mungan'ın hayat Hanım ,ilk tayin adlı öyküsünün feministbicembilimsel
Yaklaşım. Kadın ve Edebiyat. İÜ Sanat ve Tasarım Dergisi özel sayısı , cilt -2,Mayıs

2011

Karaca Ş. İlk kadın yazarlar ve trajedileri. Türk Edebiyatı , S.387 İstanbul

2006

Kurdakul Ş. ÇAĞDAŞ TÜRK EDEBİYATI . Meşrutiyet Dönemi. İstanbul

1986

Kadın üzerine görüşler, portreler . Milliyet Haftaya bakış 1-7 Mart

1987

Kaplan M. Dede Korkut kitabında kadın. Türk Edebiyatı üzerinde Araştırmalar. İstanbul

2009

Malkoç-Öztürkmen N. Şüfike Nihal Başar. Edebiler, Sefirler, Hanımfendiler: S 26

1999

Moran B. Edebiyat kuramları ve Eleştiri. İstanbul

2002

Menteşe O. Centilmen Eleştirmenlerden ve Bayan yazarlardan Feminist eleştiriye . Bir

1996 Düşün yolculuğu, Ankara

Mutlu S. 1923 öncesi Döneminde Türk Kadını.

www.aydinlama1923.org/sayi/A1923_46_3mutlu.pdf

Nida Ö. Kadın Romancılarımız (Başlangıçtan günümüze)1892-1991. İstanbul

1991

Naci F. Yüzyılın 100 Türk Romanı. İstanbul

2012

Öğüt N. Yazarlığının 30 yılında İnci Aral. Varlık, Nisan, SS: 65-70

2007

Safa P. Kadın Erkek farkı.Kadın ,aşk, aile .Objektif serisi N:5

1981

Sezer S. Türk Safosu- Mihri Hatun .İstanbul

2005

Sabah gazetesi 2004 : Duygu Asena itiraf etti. sayı 33

Somut: Pınar Kürle söyleşiklerimiz “Fena halde feminist”. 9 Aralık

1983

Paker S. Womens Writing in Turkisch . Londra.

1991

Türker. E. A. Feminist Edebiyat Eleştirisi- Hace Eleştiri. Özel sayısı-6

2003

Tekeli Ş. Emegence of the feminist movoment in Turkay . Londra

1986

Tekeli Ş. 1980'Ler Türkiyessinde Kadınlardır. İstanbul

2010

Tekeli Ş. Kadınlardır için. İstanbul

1988

Tekeli Ş Duygu Asena neyi yakaladı. Nokta dergisi sayı 23

1987

Toska Z. Kadın Edebiyatına dair. Sanat dünyamız sayı:63

1996

Tanrınar A. H. XIX Asır Türk Edebiyatı tarihi. İstanbul

2010

Tuntaş N. Nalan Tuntaşla söyleşi, Söke Öykü Roman dergisi, Kent- Mekan- Esin – Yazın.

2010

- Timsi N. Gevrek M.A. 1990'larda kadına yönelik Aile içi şiddetle mücadele hareketi içinde
2009 oluşmuş bazı gözlem ve düşüncüler. İstanbul
- Tuğyan T. Duygu Asena, söylecek sözü vardı. Kıbrıs yazıları, sayı 3/ Yaz-Güz
2006
- Toris A. Bir biyografi ya da Duygu Asena 'nın Kahramanları. Somut dergisi,
1993 Ocak, Sayı N5
- Uğurcan S. Osmanlı –Türk Romanında kadın tipleri. Türkük araştırmaları dergisi 11 Mart
2002
- Uğurlu A. Balık M. Nazlı Erayının öyküsünde kentli kadın kimliği. Yazım ve değişim
2008 İzmir
- Yavuz H. Feminizm, Oriyentalizm ve Divan. Kültür- Sanat 12-13
1988
- Yeğenoğlu M. Haremdeki Leydi, Montegu'nun mektuplarında feminism ve oriyentalizm.
1995 Defter , Yaz, N:24
- Yıldız A. Ahmed Midhat Efendi'nin romanlarında sıradışı kadın tipleri. Tarih ve Toplum
2000 Sayı: 165 Mart